რუსუდან ჭუბაბრია

მზესუმზირა, უმზეოდ დარჩენილი

ვუძღვნი ჩემს საოცარ მშობლებს

ლეილა გაბუნიას და გია ჭუბაბრიას

თბილისი

2017

რედაქტორი: შუქია აფრიდონიძე

გარეკანზე გამოყენებულია ნანა გოგიბერიძის ნახატი

© რუსუდან ჭუბაბრია, 2017

გამომცემლობა „ნეკერი”, 2017

ISBN 978-9941-457-64-7

სარჩევი

რედაქტორისგან 4

მას 6
ზამთარი 7
მზეს ჩემს ბალიშზე ჩასძინებოდ 8
სოსოს 10
სახალისო – ავტოპორტრეტი 11
(კარგი განწყობილებისთვის) 12

მოთხრობები 13
- თვალხილული სიზმარი 13
- მე თბილისში მივდივარ! 26
- ხანა 38
- მაკა 51
- გელოდებოდნენ! 74

თარგმანები 80
- გევორგ ემინი 80
- მარინა ცვეტაევა 89
- ანა ახმატოვა 90
- ალექსანდრე ბლოკი 91
- კონსტანტინე სიმონოვი 92
- ბელა ახმადულინა 93
- ლარისა რუბალსკაია 94

მიჩ ალბომი, „სამშაბათობით მორისთან” 96

რედაქტორისგან

კრებულის ავტორს – **რუსუდან ჭუბაბრიას**, სპეციალობით ორიენტალისტს (არმენოლოგს), მოწოდებით კი – ჰუმანიტარს ამ სიტყვის უფართოესი და საუკეთესო გაგებით, ბოლო ხანებში ჩვენი მკითხველი ინტერესით ეცნობოდა – თანდათან და ფრაგმენტულად. შესანიშნავი მოთხრობები („ხანა” და „მაკა”) დაიბეჭდა ჟურნ. „ჩვენს მწერლობაში”, პოეტური თარგმანები კი – „ცისკარსა” და „აღმოსავლეთში”.

რუსიკო ჭუბაბრიას პირადი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ოჯახითურთ მოუხდა ამერიკაში გამგზავრება. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ნიუიორკში (ბრუკლინი). სამშობლოში დედ-მამის მზრუნველობით აღზრდილ-ნაფერებმა ქალიშვილმა ღირსეულად გაართვა თავი მის წილხვედრ პასუხისმგებლობას, როცა გადაწყვიტა მეუღლესთან ერთად ამ დიდ ქვეყანაში გამგზავრება და თანამედროვე ეპოქის შესაფერისი სწავლა-განათლების მიცემა მოზარდი შვილებისათვის.

ცხოვრების ნირის შეცვლას ჩვენი ავტორისათვის ლიტე-რატურული საქმიანობა არ შეუწყვეტინებია; მეტიც: ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა იგი და მეტად საინტერესო ნაწარმოებები შეაქმნევინა. ეს ის შემთხვევაა, როცა თითქოსდა წმინდა მემუარული ჟანრი ჭეშმარიტ ლიტერატურად იქცევა. თქმული თანაბრად ეხება როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ პროდუქციას. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისეთი შედევრის თარგმანი, როგორიცაა მიჩ ალბომის გახმაურებული „სამშაბათობით მორისთან”. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი და რ. ჭუბაბრიამ მისი ქართულად ახმიანება, სავსებით სამართლიანად, ჩვენი ენის ღირსების საკითხად მიიჩნია, როცა ხელი მოჰკიდა ამ საქმეს და წარმატებითაც გაასრულა. მთელს თავის ნამუშაკევს ავტორმა თავი მოუყარა და მკითხველს შესთავაზა შესანიშნავი კრებული მრავლისმეტყველი სათაურით – „მზესუმზირა, უმზეოდ დარჩენილი”, – რუსთველისეული ცნობილი ტრიადა რომ მოვიხმოთ, „გულის, გონებისა და სულის” დამაპურებელი ნაწარმოები.

ერთი ნიუანსიც: თავისი მონათხრობის ფრაგმენტებს ავტორი ასოციაციურად უკავშირებს და უძღვნის კიდეც მისთვის ძვირფას, აწ გარდასულ ადამიანთა – პროფესორ ქეთევან კანდელაკისა და სიყრმის მეგობრის თეიკო ბერძენიშვილის ხსოვნას; მთელს წიგნს კი ავტორი უძღვნის თავის „საოცარ მშობლებს" – ლეილა გაბუნიას და გია ჭუბაბრიას.

შუქია აფრიდონიძე

მას

შენ ფოთოლცვენას მოჰყავდი ჩემთან,
ფოთოლცვენას და შხაპუნა წვიმებს,
გალუმპულ ქუჩებს, დახურულ ზეცას,
მაღალ აღმართს და ნაცრისფერ კიბეს.
შენ ფოთოლცვენას მოჰყავდი ჩემთან
ისე, რომ თვითონ ვერ გრძნობდი ამას
და შენი მხრები ჩემს მძიმე მზერას
დაატარებდნენ აღმა და დაღმა...
გაცლილ ქარვისფერ ბაღებს ველოდი
და ხეტიალი მიყვარდა ქარში...
ახლა ვფიქრობ და თვითონ ვოცდები –
ნუთუ მიყვარდი?! მიყვარდი მაშინ?!
და შემოდგომა დღითი დღე, წლობით
მძარცვავდა, როგორც ქუჩაში ხეებს
და გულგახსნილი ვიდექი მის წინ
და სიხარულით ვუწვდიდი ხელებს.
მე გულგახსნილი ვიდექი მის წინ,
ჩემი გაძარცვის მივეც უფლება.
ცივი წივილით მაღლა და მაღლა
აჰქონდა, ჭრიდა, გლეჯდა ღრუბლებად...
დიდი ხანია უკვე, რაც შენს მხრებს
აღარ უგრძნიათ მახვილი მზერა,
მე მივატოვე ისინი მაე
და ნუღარ მომთხოვ ამაზე მეტად
სულში ჩახედვას, ან ჩემს გაძარცვას
ამაოდ ცდილობ, ამაოდ ელი,
მე სულელურად გადმოგილოცე,
რაც იყო ჩემში – სულ ყველაფერი!
... და მოხვეტავენ – ხანდახან ფიქრებს
პირქუში ზეცა, ქარი და მტვერი,
თავს დამახვევენ გამხმარ ჭრელ ფოთლებს,
მაგრამ ამაოდ – მე აღარ გელი...

მე აღარ გელი, აღარც უსიტყვოდ აღარ მოგიხმობ,
შენ აღარა ხარ, ვისიც უმზეროდ მიყვარდა მზერა,
ისევ სიმშვიდე შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში
კვამლივით გაწვა და გაყუჩდა... მე ვიცი, მჯერა!
რომ შემოდგომა დადგება ისევ ჩემს თბილ ქალაქში,
ისევ იქნება მარტოობა, შრიალი ხეთა,
მაგრამ ნურც წვიმა, კუშტი ზეცა და მე ვილოცებ –
ნურც ფოთოლცვენა ნუღარასდროს მოგიყვანს ჩემთან!

1981

ზამთარი

ჩემს ვიწრო ქუჩაზე დათოვს და დაბარდნის,
ყინვა და სიცივე შუშებს შემიჭირხლავს,
უცბად მოვარდება თეთრი ქარიშხალი,
ბრახუნს ამიტეხავს, კარებს დამიწიხლავს,
ზეცა გაბრაზდება, სწრაფად შეკრავს კოპებს,
ვიცი, გულს მომიკლავს მისი ცივი მზერა,
ღიმილს შევავედრებ ჩუმად, სიყვარულით,
მაგრამ მაშინ რა ვქნა, თუ არ დამიჯერა.
ხეებს ხელს დავუქნევ, პასუხს არ გამცემენ,
ჩიტებს დავუძახებ – ნეტავ, სად არიან?!
დადა გუდული ხმით ვიღაც ჩამჩურჩულებს:
შენთვის არ სცალიათ – ჯერ ხომ ზამთარია...
ზეცა გაბრაზდება, სწრაფად შეკრავს კოპებს,
ვიცი, გულს მომიკლავს მისი ცივი მზერა,
ღიმილს შევავედრებ ჩუმად, სიყვარულით,
მაგრამ მაშინ რა ვქნა, თუ არ დამიჯერა...

* * *

მზეს ჩემს ბალიშზე ჩასძინებოდა,
ეძინა ღრმად და მძიმედ ოხრავდა,
ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ
ბებოს მონაყოლ ზღაპარს მოჰგავდა.
ეძინა მზეს და მისი სხივები
ოთახში ჩუმად და ფეხაკრეფით
დადიოდნენ და მე ვეღარ ვცნობდი
მზეს, ასე მწუხარს და ხელდაკრეფილს,
მზეს ჩემს ბალიშზე ჩასძინებოდა.
ვერ გავუბედე ძილის დაფრთხობა,
ვუმზერდი რიდით, მე ხომ არასდროს
მზე არ მენახა ასე ახლოდან.
სულაც არ ჰგავდა სიცოცხლის დედას,
რომელსაც ძალუძს, მსოფლიო მართოს,
მზე იწვა, როგორც პატარა ბავშვი,
მიუსაფარი და მარტოდმარტო.
მზე ჰგავდა შრომით გატეხილ მოხუცს,
იწვა ტკივილით წელში მოხრილი,
მსოფლიო დარდით შუბლგატეხილი,
მსოფლიო სევდით მხრებჩამოყრილი.
... და განა ვინმემ აცალა ძილი?
ღამე ხომ ჯიქურ იდგა კარებთან...
და ცის თაღისკენ გასაფრენ მთვარეს
გულის ჯიბეში ძლივს აკავებდა...
მთვარე დაუსხლტა ღამეს ხელიდან
და ნელი ბრუნვით ცაზე აგორდა,
დიდი გოდორი ვეება ხელით
ჩაებღუჯა და მაღლა აჰქონდა.
მერე კი მძიმედ მოხადა თავი
და, ვიდრე რიჟრაჟს უხმობდა დილა,
დიდრონ ვარსკვლავებს ცის შავ ხავერდზე
დიდი მუჭებით ფანტავდა ფრთხილად.

ღამე კი ჩუმი განმარტოებით,
ვიდრემდე მთვარე ზეცას მწყემსავდა,
ჩამომჯდარიყო ბროლის კიბეზე
და მოსასხამის კალთას კემსავდა.
მზემ ჩემს ბალიშზე გამოიღვიძა,
წამოიწია, მხრები აწურა,
ღია ფარჯრიდან ახედა ზეცას
და დიდებული რწევით გაცურდა.
გაცურდა უხმოდ, იყო და არა...
თან გაიყოლა სხივების აცმა,
მერე კი ცეცხლის მოიგდო რიდე
და ჰორიზონტის ნაპრალში ჩაწვა.
სადღაც გათენდა, სადღაც დაღამდა...
ამ დღემაც განვლო... ეს დღეც გათავდა...
მზეს ჩემს ბალიშზე ჩასძინებოდა,
ეძინა ღრმად და მძიმედ ოხრავდა...
ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ
ბებოს მონაყოლ ზღაპარს მოჰგავდა.

2017 წელი 5 მარტი

სოსოს

უფალმა ღმერთმა შენი თავი მე მომაკუთვნა, –
მომაკუთვნა და თან გულმშვიდად ზრუნვით მომანდო.
ვიცი, ძნელია ჩემს გვერდით ყოფნა, ანჩხლი ქალი ვარ,
თბილგულიანო, გაჭირვებულთა დიდო ქომაგო.
თივის ზვინი ხარ, მზის მხურვალე გულით გამთბარი,
ანცი წვიმა ხარ, ყვავილების ცვარით დამტკბარი,
თბილ ბუხრის პირას ფანჯარაში თეთრი ზამთარი,
პატარა ბიჭი, სუუუუუულ პირველად მაჭრით დამთვრალი.
დიდი ნაძვი ხარ, ვებერთელა დიდი ტორებით
ტყის პირას მდგარი, სასაცილო, განმარტოებით,
ხან მოხეთქილი შეუვალი მღვრიე მორევი,
ხან კი მაღლობი, გაბნეული კოხტა გორებით.
მიწა ფხვიერი, სადაც ვწევარ და ღრმად ვიძინებ,
მზეს ვპარავ სიზმრებს, ჭრელა-ჭრელა ლამაზ ფრთებიანს,
ხან ღრუბელს ჰგავხარ, ჩუმად გარინდულს ლურჯი თაღის ქვეშ
სადაც ხანდახან ოცნებები ჩამოსხდებიან.
მე მჯერა შენი დაძარღვული მსხვილი მკლავების,
მოულოდნელად ანთებული ბავშვის თვალების,
გულგახსნილობის მწველი ძალის და ნეტარების
უპეს მომდგარი ცხელი ცრემლის არშეკავების...
მე მჯერა შენი დაბზარული ხელისგულების,
ნისლიან დარშიც მზის სხივი რომ მოიკალათებს,
და შენი მზერის, თითქოს დიდის და თითქოს ბავშვის,
ცისმარე დილით რომ მაღვიძებს და მომანათებს.
გაკვირვებული შემომყურებ და მეც ვიცინი.
ვერ გაგიგია, ასე ვფიქრობ თუ ისევ ვხუმრობ.
ნაძვის ჩრდილები ნელა-ნელა დგებიან ფეხზე
და მზე დაგორავს ცის კაბადონზე ზანტად და მყუდროდ...
გზა სავალი გვაქვს კიდევ დიდი, არცთუ ადვილი;
თუ რამ გითხარი, დამიჯერე, არის ნამდვილი
ცხოვრება ჩვენთვის შეუცნობელ ფიგურებს ძერწავს,
მინდა, ამ გზაზე დიდიხანს ვიაროთ ორივემ ერთად

2017 წელი 8 მარტი

სახალისო – ავტოპორტრეტი

სიყვარულს მუჭით ვარიგებ ფრთხილად,
სიმტკიცეს სიტყვის, თუკი გჭირდებათ,
გულახდილობის წამლეკავ ძალას,
თავზე დატეხილს მღვრიე ზვირთებად.
ქარაფშუტობას, რაც მაბადია,
ოცნებას? არ მაქვს, მაგრამ მწადია
ცრემლს სიხარულის... ჯერ კიდევ დამრჩა
და კიდევ რა მაქვს? სიცოცხლის განცდა
ვარიგებ ხალისს, გვეყოფა ყველას,
ტკივილს ვერ მოგცემთ, მე ის მჭირდება –
სულში მოხდებილს მიტოვებს ხნულებს,
მერე ამიფრენს ლამაზ ფიქრებად!
ვარიგებ სიცილს – ანცსა და ჟღერადს,
უფლის ყურამდე რომ სწვდება ბგერა!
სიზმრებს ფრთებიანს, ტკბილსა და ფერადს
სილაღეს აფრის ქარი რომ ბერავს
ვარიგებ იმედს ნათელს, მცხუნვარეს
სასოწარკვეთილს გულს რომ უმაგრებს.
ცოტა სიანჩხლეს, ცოტა სიავეს
და ბავშვად ქცევის წმინდა სიამეს.
არმიტევების გრძნობას ბრალიანს,
არპატიების ტკივილს გვარიანს,
სისასტიკეს და ცრემლებს ჯავრიანს –
არჩევანი გაქვთ ბევრი ძალიან,
სიჯიუტეს და სიკერპეს ოხრად,
კლდეს რომ გაამტვრევს და რკინას მოხრავს.
მაშ ასე... ბევრი ვილაპარაკე
ცხოვრება გადის ძილსა და ფიქრში.
არ მოგერიდოთ, თვითონ განსაჯეთ
თუ რამ გაკლიათ – ჩადექით რიგში!

2017

(კარგი განწყობილებისთვის)

ნისლმა გათქვიფა მზე,
მზე ეამბორა ცას,
ჩრდილები მძიმე სვლით
მიუყვებიან გზას.
წვიმა ჰკიდია გულს,
ცრემლი არ სწყდება თვალს,
ყინულად ქცეულ სულს
რა მზე გაალხობს ხვალ?!
რა უნდა ვუთხრა მას?!
მარტის აწეწილ ქარს,
მარტოსულობით მკვდარს
რომ არ უღებენ კარს....
შავ სველ სადენზე წვიმს,
წვეთი მიჰყვება წვეთს,
თვალებს ვხუჭავ და ვგრძნობ:
სიცოცხლე სუნთქვას წყვეტს.
ზეცამ გათქვიფა მზე,
მზე მოეფარა თვალს,
ისევ იფეთქებს დღე,
მაინც იქნება ხვალ!

2017

მოთხრობები

თვალხილული სიზმარი

ვუძღვნი
ჩემს უსაყვარლეს ბავშვობას, უსაყვარლეს უფროს თაობას და ჩემი თეიკო ბერძენიშვილის ნათელ ხსოვნას

დამრეც ფერდობზე მძიმედ მივაბიჯებ. თოვლში მუხლებამდე ვეფლობი. ამ სისველის შეგრძნებაც კი სიამოვნების გრძნობით მავსებს. ისეთი სითეთრეა ირგვლივ, ვბრმავდები. ბრმაც რომ ვიყო, არაფერი შემაშინებდა. აქ ყველა ბორცვს ვიცნობ, ყოველი კუნძის ადგილმდებარეობა თვალდახუჭულმა ვიცი. რამდენჯერ ამირბენია და ჩამირბენია, ვინ მოსთვლის. ამ ფერდობზე გაცვდა ჩემი ბავშვობა.

სიჩუმე სრული... მახსენდება ჩემი ანგელოზად გაფრენილი თეიკოს: „მოვუსმინოთ სიჩუმეს!"

ამ ხელშეუხებელ სიჩუმეს ჩემი ნაბიჯების ხმა არღვევს, ვერ ვისვენებ, მაინც მივიწევ ქვევით და ქვევით, თეთრი უსასრულობა რაღაცნაირად მიხმობს და მეც ანგარიშმიუცემლად ვემორჩილები მის ძახილს... აი, კიდევ რაღაც ხმაა, ყრუ და ნაცნობი... ვიღაც შეშას აპობს, შეყინულ ნესტოებს კვამლის სუნი სწვდება. ფილტვები დასკდომამდე მებერება. თოვლზე ვჯდები, საოცარ სიმსუბუქეს და სიმშვიდეს ვგრძნობ, მარაოსავით ვიშლები.

ცას ჯერ არ გაუღვიძია. მზეს ღრუბლების სქელი საბანი ჯერ არ გადაუგდია. ალბათ, მოკუნტული წევს და საბნის კიდე ყურზე აქვს წაფარებული. ეძინოს... როგორი ნეტარია ძილის სამყარო.

„რუსი, ნუ ღელღელაობ", – მესმის დედაჩემის ხმა.

მაღალი სიცხე მაქვს... ბატონები მოგვიბრძანდნენ...

ჩემი ძმა დაბეჯითებით ცდილობს ლოგინში შემოძრომას და ბატონების გადაბირებას, მაგრამ ნურას უკაცრავად!

„გამარჯობა, ციყვო მაშო, მოდი ერთად ვითამაშოთ".

ყბადაბერილი ყავისფერი ციყვები მსხვილი თხილებით, იღლიაში ამოჩრილებით, საბავშვო ჟურნალის აშრიალებული პრიალა ფურცლებიდან ხტებიან, ფეხი უსხლტებათ და კაკლისოდენა თხილები პირდაპირ სახეზე მაცვივა.

მეღვიძება. მზეს ისევ სძინავს. მეც ვიბრუნებ ძილს.

ისევ ბავშვობაში მეღვიძება.

კვარცის მოლურჯო შუქი ოთახში. ლარნაკიდან გადმოზნექილ ყვავილებსაც მოლურჯო ფერი დაჰკრავთ. მამა, დედა და ჩემი ძმა ჩემს ოთახში სხედან და ლაპარაკობენ. რა ბედნიერებაა. გვერდს ვიცვლი და ძილის უძირო სამყაროში ნეტარებით მივექანები.

„ოცდა, ოცდახუთსა დეკემბერსა

ქრისტე იშვა ბეთლემსაო და...

ჰაი, ჰაი, ჰაი ალილო...”

ეს სიმღერა სვანეთში მოვისმინე პირველად...

სვანეთი... უშგული... ხუთი წლის ვარ.

მამა გადაღებებზეა. სახლში ნავთის ლამპა ანთია და ნავთის მძაფრი სუნი დგას.

გარეთ უამინდობაა.

პირველი მოკლული ბაყაყი და სახურავზე არაკუნებული

თავსხმა წვიმა.

ფართოდ გაღებული ფანჯარა და წვიმის სუნი.

დაფენილი ფერდობები, თითქოს სხვადასხვაფერი ოთხკუთხა ნაჭრები ვიღაცამ გადაჭიმა და მიწაზე ჩააკერ-ამოაგვირისტა.

ლოლას არაბუნებრივად ლამაზი სახე, მზისგან გარუჯული მოწითალო ფერი რომ დაჰკრავს.

– მოქაჩე, – მეუბნება სიცილით, და ამ უთეთრესი კბილების გაელვებას ქუხილის ძალა აქვს.

მე ჩემი პატარა მუჭებით მიწიდან ამოშვერილ ღეროებს ვებღაუჭები, მთელი ძალით ვექაჩები და... ჰოი, საოცრებავ... ხელში ყურძენივით ასხმული პატარა კარტოფილების მტევანი მრჩება.

ჩემი გაოგნებული სახის დანახვაზე ლოლა იცინის, ეს სიცილიც სხვანაირია, რაღაცნაირად გამჭვირვალე და ძალიან გადამდები.

ცხენით მოჯირითე სვანი ბიჭები და შხარა.

განმარტოებით მდგარი სკოლის ერთადერთი ერთი ციდა შენობა. უშგულიდან მესტიამდე მოჩაქჩაქე ავტობუსი და შეზარხოშებული სვანების მოგუგუნე სიმღერა.

მიშა ხერგიანის საფლავზე დადებული ყვითელი ყვავილი და იმის შეგრძნება, რომ რაღაც ძალიან კარგი გავაკეთე!

* * *

ბაზა სავსეა „უპატრონო” ბავშვებით.

რაკუშკა ისევ ფუტკრებს დასდევს და თავისი ბავშვობიდან დაკოჟრილი თითებით მათ გაწვრთნას ლამობს. ხან საიდანღაც მატლებს მოათრევს და მათი პეპლად ქცევის ყველა ეტაპს გულდასმით აკვირდება. ვილინა და დები მანჯავიძეები, ჭინჭრის შოლტებით შეიარაღებულნი, საომრად ემზადებიან.

მე ქვანახშირის გორაზე დავბორიალობ. არ წვიმს, მაგრამ მე მაინც ყოველი შემთხვევისთვის თეთრი ბოტები მაცვია, რომელთაც გვერდებზე ლამაზად შემართული წითელი ცხენები ამშვენებთ. ჩვენი მშობლები მთელ დღეს ლაბორატორიაში მუშაობენ. იქ არცთუ ადვილია ცხვირის შეყოფა. ყველას სერიოზული სახე აქვს. ჩვენ ყველას, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9 საათიდან საღამოს 6-მდე ერთი დედა გვყავს. თან ეს „დედები” მორიგეობის მიხედვით ყოველდღე იცვლებიან. ამ „დედას” ევალება ჩვენი – „უპატრონოთა არმიის” მთელი დღის განმავლობაში „დახვავებული” პრობლემების მოსმენა-გადაჭრა დღისა თუ ღამის ქოთნების გატან-გამოტანის ჩათვლით.

შესვლისთანავე კედელზე დიდ სურათს შენიშნავთ, ამ კაცს მე არ ვიცნობ, არც არასდროს მინახავს, უბრალოდ, ვიცი, რომ ძია გოგია, ჭუპიკას მამა, და რომ ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, და რომ ძალიან ბევრს მუშაობდა. 42 წელი ჩემთვის უკვე მოხუცებულობის ზღვარია, მაგრამ ახლა ამაზე დასაფიქრებლად არ მცალია.

ყოველთვის დედაჩემს ვეძებ.

„მოი მამა ზდეს?’” – ვკითხულობ.

მერამდენედ მისწორებენ, მაგრამ გაგიგონია?! ხომ გასაგებია, ვისაც ვეძებ... რა საჭიროა ეს „რიჟა ბაზარი”?!

სქესის თემა ჩემთვის ჯერჯერობით დახურული და უინტერესოა. „მოი მამა” და მორჩა!”

ერთიანად ნახშირში ვარ ამოგანგლული. სადაა თეთრი ბოტები, წითელი ცხენებიც კი შავად იმზირებიან პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

– მურიანოოოოო... – მესმის შოთას ხმა და სიცილი. შოთა იზოს ქმარია. იზო ლამაზი, მაღალი, ხუჭუჭთმიანი ოსი ქალია, სავსე მკერდითა და განიერი ყვრიმალებით. მათ ჩვენი კბილა ქალიშვილი ჰყავთ – ირმა.

* * *

მართლაც რომ მურიანი ვარ...

შოთა მე ძალიან მიყვარს.

მალე შოთა გასცილდება იზოს და მე მას ვეღარასდროს შევხვდები. მისი „მურიანო" და სითბო კი მთელი ცხოვრება გამყვება.

* * *

ჩემი უსაყვარლესი დეიდა ნინა, უთბილესი ძია იურა, ბილიბონსი. ულამაზესი დეიდა კლავა და მისი ვაჟი კირუხა. დეიდა ლიუბა, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ გარბის დერეფანში თავისი ლურჯი ქოშების ტყაპატყუპით.

კირუხას სრულიად ახალგაზრდას მოკლავენ.

დიდი ხნის შემდეგ, ისრაელში ავტობუსით მგზავრობისას, აფეთქდება დეიდა ლიუბა.

ძია იურას ისრაელში ზღვაში ცურვის დროს გული გაუჩერდება. ბავშვობის ულამაზესი სამყარო რღვევას დაიწყებს. ჯერჯერობით კი ყველაფერი წესრიგშია, და თან თურმე როგორ წესრიგში!

* * *

ძია პავლემ ახლახან ააწოწოლავა თივის ზვინები.

მათ მზის მთელი მცხუნვარება აქვთ დაგროვილი თავის წიაღში. თივის ზვინები ბაზაზე თავმომწონედ დგანან და ოფლად იღვრებიან. დღემდე არ ვიცი, რატომ არ გვიკრძალავდნენ მშობლები, ანდა როგორ გვანებებდნენ ამ უსაქციელობას.

თივის ზვინები მიზანშია ამოღებული. კრაზანებივით ვესევით, ვინ ვის მოაწრებს. ერთმანეთის მიყოლებით ვახტებით, ვძღებით მზის სურნელებით, თავგანწირვით ვსრესთ გამომშრალ ბალახს მზის ოხშივარი რომ ასდის... სადღაა ზვინები?!

გაგიჟებული ძია პავლე სახლიდან გამორბის. ვინაა ჩვენი დამწევი? სიცილ-ხარხარით გავრბივართ, სულ იოლად ვევლებით ხის ცისფერსაღებავატკეცილ ღობეს და ბინდდაკრული ტყის სიღრმეს ვაფარებთ თავს. მეორე დღეს კი „სუფთა სინდისით" ინდაურებივით გაფხორილები დავსეირნობთ ისევ ბაზაზე და ბოჩოლებივით უცოდველ მზერას ვაგებებთ ძია პავლეს.

* * *

მსხვილი ძაფით ნაქსოვი ჩანთა. საცაა უჯრედები დააწყდება.

მამას სიმძიმისგან დაჭიმული მკლავები. ასეთი უზარმაზარი საზამთროები ამოაქვს მამას თითქმის ყოველ შაბათ-კვირას. ამდენ საზამთროებს შორის მარტო ერთი აღმოჩნდა სრულიად თეთრი და რატომღაც სწორედ ეს დამამახსოვრდა. მწყინს!

ძია დევიც არასდროს ჭრის საზამთროს უჩემოდ.

დეიდა ვერა კი ფერად-ფერადი შრაშუნა გოფრირებული ქაღალდებისგან ისეთ სამასკარადო ფორმებს კერავს, რო... გაგიჟდება ადამიანი.

რუსიკო ანელის გრძელი ხვეული თმა აქვს და ულამაზესი თვალები. მე ის საშინლად მომწონს, ალბათ, მშურს კიდეც, მაგრამ ჩემს თავს არ ვუტყდები.

* * *

ტკაცატკუცი გაუდის შეშას.

ცაზე უშავესი ნაძვის კენწეროები დაგვყურებენ. კოცონი ნა-პერწკლებს ისვრის და ალის ენებს ხტუნვა-ხტუნვით მიუყვება მაღლა. ბევრნი ვართ დიდიან-პატარიანად. ნაკვერჩხალს ტოტებით ვშლით და ვაღვივებთ. ცეცხლიდან ნახევრად დამწვარი კარტო-ფილები ამოგვყურებენ.

ძია რომა – მავრივით მუქკანიანი, ძლიერი, სომხური დიდი ფიქრიანი თვალებით. მღერის და თან როგორ! – მღერის ბოხი, ხავერდოვანი ხმით და ჩვენ, ბავშვებს, რაღაც დიდური სევდა გვიპყრობს. სრული სიჩუმეა. გამურულ-დამშეულებს კარტოფილის ჭამაც კი გვავიწყდება.

> День проходит, не беда, кап-кап,
> Набухают провода, кап-кап,
> Между пальцами года просочились – вот беда!!!
> Между пальцами года, кап-кап.

კაპ-კაპ... და ასე წვეთ-წვეთ, მარცვალ-მარცვალ შემოდის დიდური სევდა და გვზრდის, როგორც წვიმა სოკოებს.

კარტოფილი ხელებს გვწვავს, სულს ვუბერავთ, მაგრამ მაინც არაფერი გვშველის. და მაინც, როგორი გემრიელია ნაკვერცხალში

შემწვარი კარტოფილი, ყველაზე გემრიელი მთელს დედამიწაზე...

როგორ ჰგავს თურმე მინელებული ცეცხლი ღამის ქალაქს თვითმფრინავიდან!

* * *

„ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული,

აქეთ-იქით საფლავები და მათ შორის ნაკადული”...

აღარ ვაგრძელებ.

სოფლის სასაფლაო... გორისა...

აქა-იქ მიწაში თავჩარგული და გვერდშექცეული საფლავის ქვები,

სიძველისგან გადარეცხილი გაცვეთილი წარწერებით.

პატარა ეკლესია და ერთი ციდა სამრეკლო.

მსუყე ბალახი და მუჭისხელა ყაყაჩოები. ქარი სანთლებს გვიქრობს, ხელისგულებს ვუმარჯვებთ, მაგრამ ამაოდ. სულ ექვსნი ვართ. ნასთან მოვედით.

საფლავი არ მახსოვს, თითქოს ნატაც ჩვენს გვერდითაა. სოფლის სასაფლაო არ მამძიმებს.

მახსოვს უთეთრესი ყველის მოზრდილი თავი. ძია ბერდია ამ ყველივით თეთრი ულვაშითა და თმით, რომელსაც ქარი განუწყვეტლივ უწეწავს. ცხვირი არწივისებური. ცოცხალი თვალები და მოწითალო ფერის სახის კანი. ძია ბერდია ყველს ჭრის. ყველის ჩამოთლილ მსხვილ ნაჭრებს რძე წურწურით გასდის. ასეთი რამ პირველად ვნახე. უუუუ, რა გემრიელია!

ძია ბერდიაც და ნატაც ჩემი ბავშვობიდან მოდიან, მათ გარეშე მე ჩემი თავი არ მახსოვს. ეს სულ სხვა სიყვარულია.

ისინი ბებიაჩემის უახლოესი ადამიანები არიან. ასევე თინიკოც, რომელმაც დღეს აქ წამოსვლა ვერ შეძლო. თინიკო ჩემი ბებიის გადასახლებაში მყოფი მეგობრების ქალიშვილია. მას ფეხი – იქ, გადასაკარგავში, ქართულ რუკაზე აადგმევინეს,

ძია ბერდია იგონებს იმას, რაც მე ძალიან კარგად მახსოვს და იმას, რაც საერთოდ არ მახსოვს და, ალბათ, არც უნდა მახსოვდეს.

ლალისფერ ღვინოს ჭიქებში თითქოს ჭახჭახი გაუდის.

მამა თავისი ბავშვობის შესახებ მოყოლას იწყებს. ბებია,უპირობო, თავდადებული სიყვარული. გამთბარი ტაფით დათბილული ფეხები, ბებიას სითბოგამოცლილი სხეული, პატარა შვილიშვილი რომ

გაყინვისგან იხსნას... და ტირის მამაჩემი და ვტირი მეც, რადგან არასდროს მინახავს მამაჩემი ასეთი, თითისტოლა ცრემლებს დიდი მუშტებით რომ იწმენდს და მაინც რომ ვერ აჩერებს ამ ულევ ნაკადს. ტირის კი არა, ზლუქუნებს, პატარა ბავშვივით უხტის მხრები და ფართო ხელისგულებს სახეზე იფარებს.

აღარც ძია ბერდიაა... აღარც თინიკო...

მას შემდეგ, ალბათ, 30 წელზე მეტი გავიდა...

ჩიტები წვიმის მოლოდინში სამრეკლოს სახურავქვეშ შეყუჟულან და თავიანთ სადარდელს ჟივჟივით უზიარებენ ერთმანეთს.

მალე მაგრად დასცხებს!

* * *

მეხუთე კილომეტრი. ჩანჩქერი, კივილ-წივილი და ხარხარი. ასე მხოლოდ 14-15 წლის ასაკში იცინი. საცურაო კოსტიუმი არავის გვაქვს, ტანსაცმლიანად ვხტებით წყალში. სამი-ოთხიოდე მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილ წყალს თავებს ვუშვერთ. რა მნიშვნელობა აქვს – ვიცით თუ არა ცურვა, ბევრნი ვართ, დახრჩობის საშუალებას არავინ მოგცემთ. არც მობილურია... ჩვენმა მშობლებმა არც კი იციან, სად ვართ, ფიზიკოსების ბაზამ და ძია პავლემ ჩვენს გარეშე შვებით ამოისუნთქეს.

წყლიდან ამოსულებს ტანსაცმელი სხეულზე გვეკრობა და ეს გარკვეულ, აქამდე უცნობ, უხერხულობის შეგრძნებას ბადებს. წელზევით შიშველ ბიჭებს თვალს ვერ ვუსწორებთ, ისინიც გვარიდებენ მზერას, მაგრამ ვგრძნობთ, რომ თვალი მაინც ჩვენკენ უჭირავთ.

მთის მცხუნვარე მზე ზედ ტანზე გვაშრობს ტანსაცმელს. საშინლად გვშია, ჟოლოს ბუჩქებს კრაზანებივით ვესევით, ეს არ გვშველის, კუჭი გვიყურყუტებს. გზად ულამაზეს მინდვრის ყვავილებს ვკრეფთ. გა-რაინდებ-ული ბიჭები გვეხმარებიან. უცნაურია... როგორც იქნა, ლიანდაგებამდე ამოვაღწიეთ. ვოცნებობთ, რომ ჩვენმა ცისფერმა „კუკუშკამ" ჩამოიქროლოს, ყაჩაღებივით შევახტებოდით, მაგრამ მას სხვა განრიგი აქვს და ბაკურიანში მარტო მაშინ ჩამოდგება, როცა ჩვენ შინ კარგა ხნის მისულები ვიქნებით.

ასე რომ, ლიანდაგით მივიკვლევთ გზას ბრემენელი მუსი-კოსების სულისკვეთებით სავსენი. იქნებ ამის შემდეგ მიყვარს ასე

ძალიან ლიანდაგების სუნი...

ძალაგამო ცლილები, ძუნძულ-ძუნძულით ავდივართ მთის ქუჩაზე.

არც ახლა კითხულობს არავინ ჩვენს ამბავს – უ პ ა ტ რ ო ნ ო ე ბ ი !!!

მაგიდაზე ფისოს (და ყველა ჩვენგანის) ბებია მარგოს გაკეთებული უგემრიელესი აჯაფსანდლით სავსე ქვაბი გვიცდის!

მათლაფებში ყურებამდე ვართ ჩამძვრალები.

* * *

მოსკოვი. თოვს დიდი ფანტელებით. ქუჩები თეთრია. მანქანები სვლას ანელებენ.

საფრანგეთის საელჩოს პირდაპირ პატარა ეკლესიაა. ის მებრძოლი იოანეს სახელს ატარებს!

სითეთრეში შავ ლაქად მოჩანს ქალის სილუეტი. მთავარ შესასვლელამდე თითქოსდა დიდი მანძილი არაა, მაგრამ გზა ვერ გაუკვლევია. თოვლი და თვალებში ჩამდგარი ცრემლები ხედვას უშლის. ჯიუტად მიიწევს წინ, ავად წამოშლილი ფიქრების კორიანტელის განდევნას ამაოდ ცდილობს და, სანამ შესასვლელს ეძებს, თეთრი მტრედების გუნდი კვალდაკვალ მისდევს. თოვ-ლისფერი მტრედები მას თავზე და მხრებზე ასხდებიან.

ეს ქალი დედაჩემია. ის 44 წლისაა, მე – 17-ისა.

* * *

ღამეა, ბაკურიანს თავზე ბღუჯა-ბღუჯად აყრია ვარსკვლავები. ფანჯარა ფართოდაა ღია. რაღაც საეჭვო სიჩუმეა ბაზაზე. ნუთუ ასე გვიანაა?! მადლობა ღმერთს, დღეს ღამის პეპლები არ ჩანან. აი, კუტკალიები კი ხმაშეწყობილად, შესაშური ერთსულოვნებით, რიტ-მის დაურღვევლად ჭრიჭინებენ.

ჩვენ უკვე მშობლები ვართ.

7 წლის პატარა ნინი მაგიდას უზის და ინტერესით შემომყურებს. თვალები უბრწყინავს. შველივითაა შემართული. ის მე თითქმის არ

მიცნობს! მე კი მას – ძალიან კარგად, არა მხოლოდ მას, მის წინამორბედ სამ თაობას. დიდი პაპის შესახებ, ალბათ, სმენია, მაგრამ არასდროს უნახავს.

– მიირთვი, – ვეუბნები და ჩაით სავსე ფინჯანს ახლოს ვუწევ.

ერიდება, ვგრძნობ, რომ ჩემი მზერა და ყურადღებაც რაღაცნაირად ზღუდავს და აფრთხობს.

ღამე თითქოს ოთახში შემოდის, ვიწრო რაფას იდაყვებით ეყრდნობა და ვარსკვლავებით მოჩითულ მოსასხამს ფეხქვეშ იკეცავს. ისიც კარგად იცნობს ნინის დიდ პაპას.

– ბაბუ ლავრენტი გახსოვს? – ვეკითხები.

– არა, – მპასუხობს ნინი.

მე ახლა ვხვდები, რომ ერთგვარი შემაერთებელი რგოლი ვარ ამ პატარა გოგონასა და წინა თაობებს შორის. ეს სევდიან-სინანულიანი ტვირთი მხრებს მიმტვრევს და სულს მიხუთავს. თვალები ცრემლით მევსება. მე სარკესავით ვარ, რომელშიც თაობებმა გაიარეს და თავისი ანარეკლი დატოვეს ჩემს წიაღში. ამ სარკეში კელაპტარივით ჩაუქრობლად ანთიხარ, ჩემო საყვარელო თეიკო, ჩემო შეუგუებელო სინამდვილევ და გაუნელებელო ტკივილო!

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა, თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით,

ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები, დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა...”

ნინი ვერ ხვდება, რა მატირებს.

ეს დიდების სევდაა, ნინი. შენთვის ჯერ ადრეა ამის შესახებ ფიქრი!

დიდი რია-რიაა, „წვრილფეხობა” შემოგვეკედლა და მათ გუ-ლისძგერას ჩვენ – „მსხვილფეხობა” მოწყალედ, ღრმა ყურადღებითა და ცოტა ირონიით ვადევნებთ თვალს, ეს ხომ ჩვენთვის უკვე კარგა ხნის გავლილი ეტაპია. შესაბამისად, ნიკუშას გულწრფელი ფანტაზია ქეთის მოტაცებასთან დაკავშირებით ძალიან გვახალისებს და მაკვარანცხ შეკითხვებს ბადებს. თან, რა თქმა უნდა, ვპირდებით, რომ მის გვერდით ვიქნებით მუდამ და ამ შორსგამიზნული გეგმის ხორცშესხმაში ცხოველ მონაწილეობას მივიღებთ.

ჩვენც ჯერ კიდევ იმ ასაკში ვართ, როცა შეყვარებულობა სულის სასურველი მდგომარეობაა, ჩვენს გულებს ჯერ კიდევ შერჩენია „ფეხებზე წინ სირბილის” უნარი და ხანდახან გულის ძგერას

მკერდთან კი არა, ყელთან ვგრძნობთ, ანუ, როგორც იტყვიან, გული ამოხტომას ლამობს.

ყველანი შეყვარებულები ვართ, საჭიროა ეს თუ არა, ანდა გვინდა თუ არა.

იოკო, მაგალითად, ფიფქად გადაქცევაზე ოცნებობს იმ იმედით, რომ საყვარელ ადამიანს ოდესმე ბაგეზე ჩამოადნება. ნინო თავისი მშვენიერი მაყვლისფერი თვალებით... ვიცით, ვისაც უყურებს, ბატონი ანდრო კი მთლად ველადაა გაჭრილი და გაურკვევლობისგან ღობე-ყორეს ედება, უყვარს და რა ქნას... ამ დროს ქალბატონი ნანა სახლში ზის როდენის „მოაზროვნე"-ს პოზაში და შიგადაშიგ ფიქრიან და იმავდროულად კეკლუც მზერას გვტყორცნის. ვერ გაიგებ, რა უდევს თავში.

ახლა იოკო ავსტრალიაში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. ნინოსაც თავისი „სხვა" ოჯახი ჰყავს, ნინი და სანდრო კი, ნანას და ანდროს შვილები, უკვე ზემოდან დაგვყურებენ და „ჭკუას გვასწავლიან".

დიდი ხნის შემდეგ სანდრო ყველასგან უჩუმრად საჩუქარს გამომიგზავნის, თან ინსტრუქციას დაურთავს: „შეანჯღრიეთ, გახსენით და ჩასუნეთ". ეს მინის ქილა აღმოჩნდება ბაკურიანის მიწით. ამ ქილას სათუთად შევინახავ და ვერ გავიმეტებ ვერც ერთი ყვავილის ქოთანში ჩასაყრელად.

* * *

თავსხმა წვიმაა. თავიდან ფეხებამდე დავსველდით და ტალახში ამოვიგანგლეთ. გუბეს დავინახავთ და დაუფიქრებლად ვხტებით, თან ერთმანეთს ვასწრებთ. წვიმაზე მეტად ჩვენ ვხმაურობთ. ამას ჰქვია – ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედამიწა – ქალამნად!

ისევ კოკისპირულად წვიმს, როგორც მაშინ... ბავშვობაში.

ჩემს შვილებს სძინავთ.

მე ქუჩას ფანჯრიდან გავყურებ.

14-15 წლის გოგო-ბიჭები ფანჩატურში სხედან და არის ერთი სიცილ-ხარხარი და აყალ-მაყალი, ძიძგილაობენ, კამათობენ, თამაშობენ...

ერთხანს ვუყურებ, მერე მეღიმება:

„– ახლა წიხლით რომ გამაგდო, ამ ამინდში გარეთ გამსვლელი არა ვარ!” – გამიელვა თავში.

ასეა! ჩაიარა...

* * *

მთიდან ნელ-ნელა ეშვება ნისლი. „კოხტა გორა” უკვე უკან მოიტოვა. მე მის დიდებულ მსვლელობას საწოლიდან ვადევნებ თვალს. მერე ვდგები და ფეხშიშველა გავდივარ აივანზე. ნისლი ჯიქურ მიახლოვდება. აი, სულ ახლოსაა. მაღალი ნაძვები კისრებს იგრძელებენ, რომ სრულ მონობაში ყოფნას თავი აარიდონ. აი, დეიდა ირას სახლსაც გამოსცდა.

ისეთი სქელია ნისლი, მზად ვარ, მოაჯირს გადავაბიჯო და შიგ ჩავწვე. ნისლი არ მაცლის, სველი სიცივე ძვალსა და რბილში მიჯდება. ისევ საწოლში ვძვრები და საბანში ვეხვევი.

მესმის დედას ნაბიჯების ხმა. მაღაზიიდან ბრუნდება. ისიც ვიცი, რა იყიდა – ქართული პური, ქეთინოს ყველი და თაფლი, ფიჭის მოზრდილი ნაწილი ნებიერად რომაა გაწოლილი.

თავს ვიმძინარებ.

სამზარეულოში ხმაურობს დედა. მოთუშული პომიდვრისა და დაჭრილი მწვანილის სუნი ტრიალებს.ახლა ტაფა აშიშინდება, რადგან დედა კვერცხს ათქვეფს და დაახლის. მერე გამოვა და მეტყვის:

– რუსა, ადგომის დროა!

და მეც ვითომ ახლა ვიღვიძებ, ისე ავდგები, როგორც დიდი, დიდი ხნის წინ.

მანამ კი ნისლი გუბდება ჩემს ოთახში. ქვემოთ, თეთრ ნისლში, თეთრი ბატები დასდევენ ერთმანეთს.

– დიიდოჰე! – მესმის შორიდან მენახირეს შეძახილი.

– მუუუუუ, – მობღავიან ტყიდან ძროხები, სველდრუნჩიან თავებს მძიმედ აქნევენ და ტაატით ნისლში უჩინარდებიან...

* * *

მორიგ ზაფხულს ვემშვიდობებით!

ფერდობზე ვსხედვართ. სივრცეში კი ღილებივითაა გაბნეული თივის ზვინები. წითელი მზე ხან ამოვარდება, ხან ჩავარდება, თითქოს

უფალი ხელისგულით ეთამაშება, მერე კი ცომივით ზელს მთებს მიღმა და ხარობს მზე, წითლად იღვრება ცის კაბადონზე.

ჩვენ უკვე დიდები ვართ. თივის ზვინების დანახვა სისხლს აღარ გვიმღვრევს, გვიყვარს სიჩუმე და მზერით ტკბობა ვისწავლეთ. სიჩუმესაც ისე ვუსმენთ, როგორც თეიკომ გვასწავლა. პირში მზით გამთბარი გამხმარი ბალახის სიმწარეს ვგრძნობ.

მიწაზე ვსხედვართ, მუხლებზე მკლავებშემოხვეული.

ბინდიც ფეხაკრეფით შემოდის და თავის გამჭვირვალე რიდეს გვაფარებს მღვრიე ტალახისფერი რომ გადაჰკრავს. მუქდებიან მთები, ბინდში გვეკარგებიან მარცვლებივით გაბნეული თივის ზვინები. ახლადამოგორებული მთვარის შუქი გვინათებს გაკვალულ ბილიკს, თუმც ვალდახუჭულებს შეგვიძლია სახლამდე მისვლა. ვარსკვლა-ვებს ჯერ არ გაუღვიძიათ.

* * *

ის, რომ ჩვენ ასე ვიჯერეთ გული ჩვენი ბავშვობით, რომ ეს ბავშვობა ასეთი არაჩვეულებრივი იყო, რომ უსაშველოდ ვოცნებობდით და ძალიან გვიყვარდა; რომ ჩვენი ნავები ღია ზღვაში ასე მშვიდად და დაცული გაცურდნენ, ეს თქვენი და თქვენი თაობის დამსახურებაა, ჩემო საყვარელო მშობლებო!!!

დიდი მადლობა ყველაფრისთვის!

მადლობა უფალს, რომ ნაპრალი ჩვენს თაობებს შორის არასდროს გაჩენილა; დიდი მადლობა, რომ გვისმენდით და გვიგებდით... იმისთვის, რომ საერთო ღირებულებები გვქონდა... იმისთვის, რომ დაგვიმსგავსეთ. ეს თურმე დიდი ბედნიერება ყოფილა, არა, ბედნიერება კი არა, ნეტარება...

* * *

მზეს გაუღვიძია. დათოვლილი ნაძვების ბომბორა ჩრდილები ჩემს გვერდით წამოწოლილან. თოვლი ბრჭყვიალებს, და თან როგორ!.. ისევ მწვავს ნესტოებს კვამლის სუნი. ისევ ვიღაც აპობს შეშას... ასე იყო და ასე იქნება...

მზის სინათლეზე მოკაშკაშე მსხვილი ლოლო ხმაურით სწყდება სახლის სახურავს და ისარივით მოჰქრის ქვემოთ.

ფრررრრ, ფრررრ, – უკმაყოფილოდ იშმუშნებიან მთვლემარე ნაძვები, როცა მათ დათოვლილ ტორებზე გზააბნეული ჩიტი შემოსკუპდება სულის მოსათქმელად და ნისკარტით ბუმბულის დალაგებას მოჰყვება.

ამ დროს თოვლი ნება-ნება, ზანტად ეშვება ქვევით და მახსენდება ევტუშენკოს არაჩვეულებრივი შედარება:

„ისე თოვდა, თითქოს ვიღაც აკვარიუმში ფშვნიდა თეთრ პურს".

აი, ახლა კი დროა, გზას გავუდგე, იქნებ როგორმე იაგორას ველამდე ჩავაღწიო...

დიდი მადლობა დათო პაპელიშვილს ამ მუხტისთვის!

მე თბილისში მივდივარ!

ღამეა, საავადმყოფოში ჩამომდგარ მოუსვენარ სიჩუმეს იშვიათად თუ არღვევს ნაბიჯების ხმა. ეს ნაბიჯები ძირითადად დერეფნის გაყოლებით, მარცხნივ მიემართებიან – რეანიმაციის განყოფილე-ბისკენ. ნაბიჯები სწრაფია, რიტმული და რაღაცნაირად მოსაწყენად ერთგვაროვანი. იშვიათად სხვაგვარ ნაბიჯებსაც გაარჩევს კაცი, უძილობას გამოქცეული პაციენტი ფლატუნ-ფლატუნით მიუყვება დერეფანს და ღამით გულში შემოპარულ-გაცოცხლებულ შიშსა და უიმედობის მკაწვრელ გრძნობას ეჭიდავება.

ზოგმა მოახერხა და ძილის ჯადოსნურ სამყაროს შეაფარა თავი…. ზოგს თვალი ჭერისთვის მიუპყრია, მაგრამ ეს მზერა ბევრად უფრო შორსმხედველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს მზერა დროში მოგზაურობს და წარსულის, „იმ ცხოვრების" ლაბირინთების კედლებს უმოწყალოდ აწყდება. „იმ ცხოვრებასა" და დღევან-დელობას შორის ხომ ახლა თვალუწვდენელი და თითქოსდა დაუძლეველი უხილავი კედელია აღმართული.

მე ჩვიდმეტი წლისა ვარ და სრულიად მოუმზადებელი სიკვდილისთვის. მე მისთვის უბრალოდ არ მცალია, უამრავი საქმე მაქვს... მეჩქარება… მე თბილისში მელოდებიან...

მე ჩემს საწოლში ვწევარ. პალატა პატარაა, თითქოს სივრცე ვიღაცამ განზრახ დაახშო. ეს ჩვენი დღევანდელი განაჩენია…

აი, გალიამ უკვე ჩაიძინა, მისი მშვიდი ფშვინვა მესმის. ოლია კი… აი, ოლია რას აკეთებს, არ ვიცი. რა ნისლიანი შუქი კრთის მის საოცარ, უძირო მწვანე თვალებში.

ჩვენ ერთი დიაგნოზი გვაქვს. ოლია ჩემზე 1-2 წლითაა უფროსი. მწვანე თვალებს გარდა, მას ულამაზესი ხელის მტევნები აქვს – ცოცხალი – მეტყველი, ძარღვიანი თითები, ბალიშზე დაფენილი გრძელი ქერა თმა და საოცარი შინაგანი შუქი… ოლია უკრაინიდანაა. მისი ფეხები ალბათ ასევე ლამაზი და ჩამოქნილი – აწ მკვდარი – უმოძრაოდ და უგრძნობლად აწყვია საავადმყოფოს შტამპით აჭრელებული უღიმღამო საბნისპირის ქვეშ.

მე გამიმართლა… ოლიას კი ხერხემალი დაუზიანდა და წელს ქვემოთ მოწყდა… ყოფილი სპორტსმენი, რომელსაც თაყვა-ნისმცემლები გასავალს არ აძლევდნენ, ახლა დედისა და მამის ამარაა დარჩენილი. არავინ რეკავს, არავინ მოდის. არავინ კითხულობს მის ამბავს და ოლიაც შეეჩვია ასეთ ყოფას. მისთვის სხვა სამყარო არ

არსებობს. მისი დედ-მამაც აქ, ამ საავადმყოფოში ცხოვრობენ უკვე ორი წელია და გულს უმაგრებენ თავიანთ სანატრელ და სათაყ-ვანებელ ერთადერთ ქალიშვილს.

დერეფანში ისევ ვიღაც გამოფლატუნდა, ახველებს და მოუსვენრად პირს აწლაპუნებს.

– ვინ არის, ნეტავ… – მეზარება გახედვა…

მეც არ მძინავს. ჩვენი პალატის ფანჯარას გავყურებ. მის უხეშ, საღებავატკეცილ ჩარჩოს გარედან ჭუჭყიანი, გაყინული თოვლი აკრავს.

არყის ხეების ტყეც, რაღაც იდუმალებით მოცული, დაჟინებით ამომყურებს ქვემოდან. რაღაც მეტად უსიამოვნო გრძობა მეუფლება. მახსენდება, დღეს როგორ გულგრილად გააგორეს სანიტრებმა თეთრზეწარგადაფარებული ადამიანი მორგისკენ. კარგი ცხოვრება აქვთ არყის ხეებს, ვერაფერს იტყვი…

აი მთვარეც… ის შორიდან მიჭვრეტს, შემომჩერებია. ის მე შუქურას მაგონებს, გზადაკარგულ გემებს იმედს რომ უსახავს და თავისკენ მოუხმობს: „ნუ გეშინიათ, ახლოსაა მიწა, აქვეა გზა ხსნისა”.

სიკვდილი დასუნსულებს და თავის მომავალ თანამგზავრებს ლილისფერ თითებზე უკვე მერამდენედ ითვლის. „ე ბიჭო, არავინ გამორჩეს, ამ მართლაც და უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულს”.

მე ჩვიდმეტი წლისა ვარ!..

ჩემი მზერა უკვე თბილისში დაბოდიალობს. ეს სულელი პეტრიაშვილი ისევ ხტის და ცეკვავს, ადრიანო ჩელენტანო კი ისევ უბერავს თავის „ლა შატემი კანტარეეე… კოლა გიტარო მანოოო-ს”.

მეტრო “დელისთან” საშინელი სიცხეა, სუნთქვა ჭირს.

უკვე ბაკურიანში ვარ. „გოგნი გორაზე, თოვლი მოსულა, მაშ გაუმარჯოს ხახლამუშისა, … ჯერ შენ ათამაშებ, მერე მე ვათამაშებ… ვაშაااااااა, ხახლამუშისა”. მესმის ძია ლავრენტის ხმა და ჩუმი ქირქილი… დეიდა ლენას ღვინისფერი საყურეები მზეზე ლალისფრად კიაფობს.

მზის მხურვალებისგან გაქაფულ-გამშრალ მიწაზე ვწევარ. გამხმარი ბალახი სასიამოვნოდ მიძვრება შიშვლად დარჩენილი სხეულის ყველა კუნჭულში და დაუნდობლად მჩხვლეტს. ვწევარ გულაღმა და ცას გავყურებ. ღრუბლის ქულები ზანტად ირევიან და არაფრად აგდებენ ცადაწვდილ ნაძვთა კენწეროების თამაშსა და

კეკლუც როკვას. მათ უბრალოდ არ სცალიათ, წინ გასავლელად კიდევ დიდი გზა უდევთ.

ნიავი შიშველი ფეხებით დარბის. წითლად ანთებული მარწყვის დაკიდულ თავებსა და წამოყელყელავებულ წერეწოებს ხალისით ახტება. თავისი გრილი თითებით ქუთუთოებს მიხუჭავს. ნეტარების აღუწერელი ნიაღვარი ზანტად შემოდის და ავსებს ჩემი სხეულის ყველა კუთხეკუნჭულს. სიმსუბუქის უცხო შეგრძნება და... სადღაც ქვემოთ ფარფატ-ფარფატით ვეშვები, როგორც ბავშვობისას გაკეთებული ქაღალდის თეთრი თვითმფრინავი. კარგია, მაგრამ მოულოდნელად მზერის სისწრაფით კვლავ პალატაში ვბრუნდები…

ვიღაც თუ რაღაც კივის, უცხოდ და ველურად. ალბათ, თვით სიკვდილსაც აერია სათვალავი და შეშინებული სადმე კუთხეშია ატუზული.

ოლიას დედა დერეფანში გადის.

– ოპერაციის მერე ვიღაც ნარკოზიდან გამოდის ასე, ახალი პრეპარატია…, – ამბობს ოლიას დედა, და განცვიფრების ნიშნად მხრებს იჩეჩავს

– მართლაც რომ უცნაურია…

ეს გულსაკლავი და გონების დამანგრეველი ხმა კიდევ 2-3 წუთი გრძელდება. სრულიად საკმარისი დროა, რომ მთელმა განყოფილებამ გაიღვიძოს და თავი ღამის კოშმარში იგრძნოს. კოშმარი არც დღისით გვაკლია…

მერე ყველაფერი ყუჩდება… გალია ისევ უდრტვინველად ფშვინავს. მე კი უკვე მყარად და უძრავად პალატაში ვარ. ჩემი შინაგანი მზერა მოგზაურობას წყვეტს. ჩემთვის საწოლი, ოდესღაც დაღლილობის დროს თავშესაფრად აღქმული, ახლა საკნადაა ქცეული, საკნად, რომელიც საავადმყოფოს ცხოვრების ყოველ-დღიურობით და ტკივილით არის პირამოვსებული.

ოლიასთან თითქმის ყოველდღე მოდის ანდრეი – ერთი აწოწილი ახალგაზრდა კაცი, მასაჟისტი. მსხვილ წარბებს ქვეშიდან უნდობელ და არაკაცთმოყვარე ნაცრისფერ მზერას გვტყორცნის და გეზს პირდაპირ ოლიას საწოლისკენ იღებს. მისი შემოსვლისას ოთახში უცნაური სიჩუმე და სიგრილე ისადგურებს. ოლია ანდრეის არაფრისმთქმელ მზერას აგებებს და თხელი ჰაეროვანი ხელით საბანს ზემოთ ექაჩება.

ანდრეი პირსაბანთან მიდის, ხელებს იბანს და ქაღალდის პირსა-ხოცით დიდხანს იმშრალებს. მე რატომღაც დიდი ინტერესით

ვადევნებ ამ სანახაობას თვალს, თუმც ყოველდღიურად ერთსა და იმავეს ვაწყდები. ეტყობა, ანდრეის უტყვ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყლის აღმოჩენას ვლამობ. სულ ტყუილად! ანდრეი თოჯინასავითაა, რობოტივით – ჩადებულ პროგრამას პირნათლად მიჰყვება და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს. განა საიდან მოვიდა? სად გაიზარდა? ვინ იყო მის გვერდით? ნუთუ არავის გაუმეტებია მისთვის თბილი სიტყვა. მზრუნველი ხელი არ მოუხვევია, გულთან არ მიუკრავს. ნუთუ მის ნაცრისფერ თვალებს მდუღარე ცრემლი არასდროს მოსდგომია, იქნებ, მოსდგომია და თან ისეთი მდუღარე, რომ ერთბაშად დაუშრიტავს შვების მომნიჭებელი უკანასკნელი სხივი, იმედი ჩაუკლავს და ჩაუნაცრებია. ვინ იცის… ჩვენ ხომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. ერთი კი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ სიტყვას დიდი ძალა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნერვები ასეა გაშიშვლებული, "სიტყვა" კი ანდრეის არავისთვის ემეტება, რა გინდა, რომ ქნა…

ანდრეი თავისი გრძელი, ძარღვიანი ხელებით დიდხანს ათამაშებს ოლიას ტერფებს, თითებსა და ქუსლებს უსრესს, მუხლისთავებს აწვება. კუნთებს ეჭიდავება. მე საბანს თავზე ვიხურავ. ვერ ვუძლებ ოლიას ჭერს მიბჯენილი უსასოო მზერის ყურებას. სულ მგონია, რომ საცაა ყმუილს დაიწყებს.

ანდრეი ოფლით დაცვარულ შუბლს მაჯით იწმენდს.

– გმადლობთ! – მესმის ოლიას ხმა.

ანდრეის ნაცრისფერი მზერა ოლიას გაფითრებულ სახეზე ჩერდება, ანდრეი უხმოდ მიდის პირსაბანთან, ხელებს იბანს და ჩვენს პალატას ტოვებს. როგორც ჩანს, მორიგ, მისთვის ნომრად ქცეულ პაციენტისკენ მიემართება.

ამის შემდეგ კი იწყება ის, რისი ყურება და გაძლებაც ჩემთვის წარმოუდგენელია. ოლიას სხეული მშვილდივით იჭიმება. საწოლზე წამომჯდარი ექსტაზში შესული მლოცველივით იწყებს რწევას, მერე თავგამეტებით ეხეთქება ბალიშს, იწყებს ფეხების სრესასა და მუხლების მტვრევას. ამ დროს მე მუშტისხელა ვხდები, თავზე საბანს ვიხურავ და მწარედ ვქვითინებ, თან სულ მეშინია, ეს ჩემი დახშული მოთქმა ოლიას სმენას არ მისწვდეს.

– მკვდარია ჩემი ფეხები, მკვდარი, მკვდარი…. – მესმის მისი სასოწარკვეთილი ხმა.

ვცდილობ, ყურები ხელისგულებით დავიხშო და ეს ხმა არ გავიგონო, მაგრამ არაფერი გამომდის.

ეს ხმა მანგრევს და ვგრძნობ, სხეულის დალეწილი ნაწილები საავადმყოფოს კედლებს ოთახში შემთხვევით შემოფრენილი დამფრთხალი ჩიტებივით როგორ საბედისწეროდ ეხეთქებიან.

– Здравствуйте, Лилит!

– Здравствуй, дорогая!

ლილიტი ელმავალივით მიქრის. გამხდარ ფეხებს მოუსვენრად ადგამს, თითქოს შეჯიბრებაში მონაწილეობს და ცდილობს, ფინიშამდე პირველი მივიდეს. ნეტავ, სად გარბის? სად მიეჩქარება.

აქ დიდად ვერ გაქანდები. სარბიელი სივრცის თვალსაზრისით მცირეა და შეზღუდული. ალბათ, ძრავად ქცეული, მოზღვავებული ენერგია ადგილზე არ ასვენებს. სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. განა შეიძლება იმის დაჯერება, რომ ლილიტი უკურნებელი სენითაა შეპყრობილი და ყოველი წლის 1-2 თვეს ამ საავადმყოფოში ატარებს. ეს მისთვის ჩვეული გარემოა, ყველა ექიმი და მედდა იცნობს. აქ ის შინაურია, თავისიანი.

გარეგნულად ლილიტი მეტად წააგავს ჩვენი ბავშვობისდროინ-დელი პოპულარული მულტფილმის ერთ-ერთ გმირს. ყველას ახსოვს პატარა ქერათმიანი გოგონას გულისამაჩუყებელი ამბავი, ძაფზე გამობმულ წითელ ხელთათმანს თოვლზე რომ დაასრიალებდა, ამ ხელთათმანის ლეკვად ქცევის მოლოდინში. ამ გოგონას დედა ჰყავდა – აწოწილი, მკაცრი გამომეტყველებით, წამახვილებულ ცხვირზე შემოსკუპებული შავჩარჩოიანი სათვალით, რომლის შუშებიდან მთელი სამყაროს კრიტიკულ-კატეგორიული შესწავლა მიმდინა-რეობდა.

ლილიტი გარეგნულად ამ „დედას" წააგავს, მაგრამ ლილიტი კეთილია, ხიბლიანი და… კერკეტი კაკალი. საგონებელში ჩავარდნილი ქირურგები ოპერაციის გაკეთებაზე უარს ამბობენ, ამას კი დაუჩემებია: „კიდეც გადავიტან და კიდეც დიდხანს გაგიმწარებთ სიცოცხლეს, აი ასე!"

ლილიტი ეროვნებით სომეხია, მარტოხელაა და მარტოსული. როგორც წესი, თუკი არ გარბის, დერეფანში წიგნში ცხვირჩარგული ზის და კითხულობს. კითხულობს გატაცებით და დაუსრულებლად.

მე მომწონს ლილიტი. მისი ენერგია გადამდებია და რაღაც გმი-რული სულისკვეთებით სავსე. აი, ახლაც საუზმე შემოუტანეს.

ლილიტი გამხდარი ხელით პურის ნაჭერს უხალისოდ იღებს, მაგრამ წიგნს მეორე ხელიდან არუშვებს… და უცებ:

– ღმერთო, ჩემო, რა უბედურებაა, ჩემმა მეზობელმა ისევ ჩაისვარა! – უკმაყოფილოდ ამბობს ლილიტი…, – წარმოუდგენელია. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ეს აქოთებული სუნით გაჯერებული ჰაერის მოლეკულები ჩემს პურის ნაჭერზე რიგებად მწკრივდებიან, – ამბობს ლილიტი და პურს სანაგვე ყუთში უძახებს.

მეცინება, მეტად ხელშესახები სურათია, ვცდილობ, ჩემი წარ-მოსახვა დავძაბო. ახლა ჩემთვის ყველაფერი გასულიერებულია: როე შავი ახოვანი არსებაა, რომელსაც დიდი თვალები აქვს, წელზე ქამარ-ხანჯალი არტყია და რატომღაც წითელი ტყავის მაღალყელიან ჩექმებს ატარებს; ლეიკოციტები თეთრ უნიფორმაში გამოწყობილი პატარა ჯარისკაცები არიან, რომელთაც დიდი ბრძოლა აქვთ გაჩაღებული ჰემოგლობინის წითელქუდიან მებრძოლებთან. … აღარ მახსოვს, როგორ გამოიყურებოდნენ ლიმფოციტები. ვაი, სირცხვილო, მე მგონი, ეს საკითხი ღიად დამრჩა.

– მიყვარს საავადმყოფოში ყოფნა, – სევდიანად ამბობს ლილიტი, – აბა რა… აქ ჩემი საზოგადოება მყავს, სახლში მარტო ყოფნა კი… მეტად სევდიანია და არასაინტერესო.

მახსენდება ერთი ჩემი ახლობლის ნათქვამი: „ვიცი, რომ ჩემს სტუდენტებს ვუყვარვარ, ვიცი, რომ არაჩვეულებრივად ვუკრავ, მაგრამ ეს ცოტაა. … შინ რომ მივდივარ, იქ ჩაბნელებული ბინა მხვდება… მეტი არავინ და არაფერი”… მაგრამ ახლა მე ამაზე არ ვფიქრობ…

მე ჯერ ჩვიდმეტი წლისა ვარ!

ლილიტის გამოსვლით გაოგნებული იქვე შორიახლოს მჯდომ დედას გავყურებ, ის იძულებით გახალისებული მზერით შემომც-ქერის, ჩუმია და თავშეკავებული.

მე მამას მუხლებზე ვუზივარ. მზერა უცხოა, შორეული…. ხანდახან ცრემლი გადმოსრიალდება და მოთხილამურის სისწრაფით დაუბრკოლებლად მიექანება ნიკაპისკენ. მე მას არაფერს ვეკითხები.

მე ჩვიდმეტი წლისა ვარ!

ხვალ ლილიტს ოპერაციაზე გაიყვანენ!

* * *

ჩვეული გარემო – ვიწრო დერეფანი, წამლის სუნი, სწრაფად და საქმიანად მოსიარულე თეთრხალათიანი მედპერსონალი, ზოლიან პიჟამებში გამოწყობილი ავადმყოფები, ზოლები აუცილებლად ყავისფერ-თეთრი. უცხო თვალისთვის ყველა ერთმანეთს წააგავს, მე კი თითოეულს ვიცნობ, სიბნელეშიც კი იოლად გამოვარჩევ ერთმანეთისგან.

დიდ ქოთნებში ჩარგული მცენარეები, გეგმაზომიერად განლაგებული თითქმის ყველა კუთხეში, ალბათ,… განწყობილების ასამაღლებლად… საწყლებს თავი ჩაუქინდრავთ და სევდიანად ადევნებენ თვალს იატაკზე ფანჯრის კარგა ხნის გაუწმენდავი მინებიდან შემოღწეული ზამთრის თეთრი მზის სხივების ზანტ ცოცვას. სულ ტყუილად იწევენ წინ და ამაოდ ცდილობენ ფოთლების შეგებებას.

მოსაცდელში ვზივარ და ჩემი ცხოვრების მორიგ განაჩენს მოთმინებით ველი. ამჯერად ძვლის ტვინის აღება მელოდება. იქნებ ჩემს შიშს ზედმეტად დიდი თვალები აქვს და არც კი ღირდეს ასეთ ამბად ეს ყველაფერი მაგრამ, რა გინდა, რომ ქნა…

მეშინია… ესე იგი, ჯერ კიდევ არ დავღლილვარ და ბრძოლის უნარი შემომრჩა…

მე… ჩვიდმეტი წლის ვარ…

ფანჯრის მახლობლად ახალგაზრდა ქალი ზის, მკერდზე ხელებგადაჭდობილი, შუბლით ფანჯრის მინას ეყრდნობა… და რაღაცას თვალმოუშორებლად ჩაჰყურებს.

„ბედნიერი”, – ვფიქრობ მემ(რატომ, კაცმა არ იცის. ჩვენ აქ ვართ, ეს კი… „იქიდანაა” მოსული, ალბათ, ამიტომ).

მზერა მშვიდი აქვს.

„ნეტავ, რას უყურებს ასეთი დაჟინებით?” – მიკვირს მე, – „განა რა ასეთი საყურებელია ან იქით, ან აქეთ?”

დერეფანში ხმაურით მიაგორებენ სადილს.

უცნობი ზანტად ბრუნდება და სრულიად უდრტვინველად უმზერს თეთრხალათიან პერსონალს. ურიკა მიგორავს და ბოსტნეულის წვნიანის გაუგებარი ოხშივარი ათიოდ წუთით გუბდება დერეფანში.

– გეშინიათ? – მეკითხება სრულიად მოულოდნელად.

ეს შეკითხვა მაკრთობს და მაკვირვებს. ახალგაზრდა ქალს ლამაზი

ნაკვთები აქვს, ჩამოქნილი ცხვირი და თხელი ტუჩები. უცნაურად მეტყველ ღრმა თვალებში ღიმილი უწვება და ცხვირის ძგიდემდე ჩამოცურებულ სათვალეს შუათითით მოხდენილად ისწორებს. …

– მაშ, გეშინიათ, არა?

მისი ანცი ინტონაცია გადამდებია…

– მეშინია, … ძალიან, – გულწრფელად ვეუბნები მე და ვუღიმი.

– მე კი, … აი, მე კი უკვე აღარაფერი მაშინებს, – დაგუდული ხმით მეუბნება უცნობი…

ღიმილი სახეზე მაშრება.

უცნობი ხელს ფრთხილად მხვევს მხარზე.

– მე სისხლის გათეთრება მაქვს… სულ რაღაც სამი თვე დამრჩა… სამი თვე და სულ ესაა, – უხერხულად იშმუშნება, მისი მზერა ისევ ტოვებს აქაურობას და სადღაც შორს, შორს დახეტიალობს…

– ერთი რაღაც დამრჩა მოსამთავრებელი და… ჰერიიი…

მხარზე მსუბუქად დადებული ხელი უმალვე გრძნობს, როგორ იძაბება და პატარავდება ჩემი სხეული. თვალები ცრემლით მაქვს სავსე და მზერას იატაკს არ ვაცილებ, არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ მწიფე ცრემლებს, ქვეყანას წალეკვით რომ ემუქრებიან. მრცხვენია ჩემი შიშისა და ჩემი ცრემლების…

ის კი… ის კი იღიმება და მისი ხელი შემოდგომის ხმელი ფოთოლივით თრთის ჩემს მხარზე.

ერთი სული მაქვს, როდის დამიძახებენ, ოღონდ ამ ჯოჯოხეთს გავექცე და სადმე დავემალო…

– ეს თქვენ, ჯანმრთელებს გეშინიათ… – მესმის მისი დაგუდული ხმა.

მეძახიან… მადლობა ღმერთს.

ვერ ვემშვიდობები, დაუყოვნებლივ ვდგები და საპროცედუროსკენ უკანმოუხედავად მივდივარ. … გული თითქოს წყვეტს ბაგუნს, ქვემოთ იწევს, ფეხებს ვერ ვგრძნობ…

პირქვე ვწევარ. არავითარი ტკივილის შეგრძნება. მხოლოდ ჩემი ძვლების რაკარუკი მესმის, რაღაც მეტად არხეინად ხმაურობენ.

მე კი ასე მეშინოდა… ვგრძნობ, რომ გული მიღონდება და არც კი

ვიცი, რატომ. ახალგაზრდა რუსი მედდა ჩემს თავთან მუხლებზე იჩოქებს, შუბლზე მკოცნის და ვალიდოლის ბოხორა აბს ენის ქვეშ მიდებს. გაშლილ ხელისგულზე მისი მსხვილი ცრემლი სკდება… ტირის… მე ვცდილობ, გავმაგრდე და მეტი აღარ ვატირო… ცოდოა…

ფეხზე ვდგები… თითქოსდა არაფერი. თავბრუ არ მესხმის. საპროცედუროდან გავდივარ. უცნობი არსად ჩანს. თითქოს უსასრულობას შეერწყა, გაქრა… იყო და არა იყო რა-სავით, მაგრამ ვაი, რომ იყო, მისი სიტყვები "ეს თქვენ, ჯანმრთელებს გეშინიათ" ჩემს სულსა და გონებაში სამარადისოდ აღიბეჭდება… და სამარის კარამდე გამყვება.

– ლილიტ! – ვჩურჩულებ მე, – ლილიტ!

– ჩჩჩჩ, – თითი ტუჩებთან მიაქვს სვეტას და კოხტა თავზე მედდის ქუდს ისწორებს.

რეანიმაციაში შესვლის უფლება არ მაქვს, მაგრამ სვეტა ე. წ. „ბახილებს" მაცმევს და თეთრ ხალათს მახურავს.

– როგორაა? – ვეკითხები მე, – გამოძვრება?

სვეტა მხრებს იჩეჩს, – მდგომარეობა რთულია, მაგრამ სტაბილური.

– შეიძლება ახლოს მივიდე?

– სულ ხუთი წუთით, …მაინც ვერაფერს გაიგებს…

– მაინც მინდა, ზეგ თბილისში მივდივრ და…

სვეტას სახე უნათდება.

– რა კარგია, ძალიან მიხარია…

– მეც.

– მარტო ხუთი წუთი, გესმის? ვინმემ რომ გნახოს, გამისვრიან აქედან!

– სულ ხუთი წუთი, – თავს ვუქნევ მე.

ლილიტი ელექტროდანადგარს ჰგავს, უამრავი სადენი და მილი აქვს მიერთებული. გული მიკვდება. ლილიტი ასე გაუნძრევლად მწოლიარე ვერ წარმომიდგენია. თვალები დახურული აქვს. ერთი ხელი დაბმული, ლეიკოპლასტირით გადაწებებული, გამჭვირვალე პაკეტის სითხე კი წვეთ– წვეთად მოედინება თხელ მილებში.

– ლილიტ, – ვიწყებ ჩემს უჩვეული მონოლოგს, – ლილიტ,

… მე ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება… მე თბილისში მივდივარ და დასამშვიდობებლად მოვედი… დასამშვიდობებლად

ვგულისხმობ სულ რაღაც ორი კვირით. …რომ დავბრუნდები, ფეხზე უნდა დამხვდე, გესმის და…. სომხური სიმღერა უნდა მასწავლო… ევთანხმდით. ლილიტ, გესმის ჩემი? სიჩუმე.

– რას ელაპარაკები ამდენს, – ეცინება სვეტას, – არაფერი ესმის.

– შენ ასე გგონია? ესმის, ეს ლილიტია. სვეტას ისევ ეცინება.

– წადი, დაიძინე, ხვალ გაგწერენ და გადატვირთული დღე გელის. ჭკუაზე რომ მოვა, მე ყველაფერს ვუამბობ, წადი ახლა, გვიანაა.

– კარგი, წავედი, – ვამბობ მე და ვდგები.

უკან ვიხედები და ნამდვილად არ მეჩვენება, ლილიტი მიყურებს, აშკარად ვხედავ, როგორ კიაფობს ლილიტის დახურული თვალის პატარა ღრიჭოში ლილიტისავით დაუდეგარი სიცოცხლის სხივი.

* * *

– ოლია, მივდივარ, გესმის? თბილისში მივდივარ!

მის მწვანე თვალებში მოყვითალო დინება იჭრება, არა, ეს არაა შური, ეს სიხარულის ყვითელი ფერია, კრიალა და სუფთა, ოლია შენატრის ჩემს ბედნიერებას და თავის მშვენიერ ხელებს ჩემკენ იწვდის.

მე მისი საწოლის კიდეზე ვჯდები.

მის ტუმბოზე ლამაზ ლარნაკში თეთრი ყვავილების ულამაზესი კონა დევს.

– ენძელები, – ვამბობ მე, – ღმერთო, საიდან? ლარნაკს ხელში ვიღებ და ამ საოცარ სურნელს ხარბად ვისრუტავ.

ეს რაღაა? მის თვალებში უფრო მეტი ფერია, უფრო მეტი რაღაც, ვიდრე ჩემი სიხარულით გამოწვეული.

– ანდრეიმ მომიტანა დღეს დილას…

– რაო… ანდრეიმ? რომელმა ანდრეიმ, – გონს ვერ მოვდივარ… – იმან? მასაჟისტმა?

– ჰო, აბა ვინ, – სიცილით კვდება ოლია.

ყვითელმა დინებამ ახლა ცეცხლოვანი ათინათის სახე მიიღო… ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?..

– მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა…

– რა? – სუნთქვა მეკვრის.

– ფეხებს ვგრძნობ!!!

ახლა კი ვტირი, დაუფარავად, ცხარე, მდუღარე ცრემლებით. წარმოუდგენელია ამ ნაკადის შეჩერება, მაინც, სადაა ამდენი ცრემლი დაგუბებული?..

– ნუ ტირი, – მეუბნება ოლია, – ახლა კი მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

მე კი მაინც ვტირი, მინდა თუ არა… ვტირი, რადგან საოცარია სიხარულის ცრემლი, არცთუ ბევრს რგებია ეს ნეტარება წილად, როგორი ტკბილია და მათრობელა სიხარულის ცრემლის წამლეკავი ნაკადი…

დიდი მადლობა, ოლია!!!…

მას შემდეგ 30 წელი გავიდა…

მას შემდეგ ოლიას კვალს ვერსად მივაგენი…

მას შემდეგ მის შესახებ აღარაფერი მსმენია…

მე მეცხრე სართულიდან გადავყურებ მოსკოვს. ის უსაშველოდ დიდია, საქმიანი და ცოცხალი. ბინდ-ბუნდში ნელ-ნელა ქრებიან კრემლის ცეცხლისფერი გუმბათები. მე ფანჯარასთან ზურგით ვდგები, მინდა გავემიჯნო რეალობას და მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ვიფიქრო… ხვალ მე თბილისში მივდივარ!

ძია გურამისა და დეიდა ნანას სახლში სახლის სურნელი დგას. ღრმად, ღრმად ვისუნთქავ ამ მათრობელა ჰაერს, ფილტვების დასკდომამდე. მინდა, საავადმყოფოს წებოვანი ჰაერის ნასახი არსად დავტოვო და პირწმინდად ამოვაპრიალო ფილტვების ყველაზე ღრმა და მიუწვდომელი კუნჭული. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ საკუთარ თავს ვერავინ გაჰქცევია, რომ საავადმყოფოში გატარებული ორი თვე ჩემს სულსა და ძვალში უკვე ჩაქვავდა და ჩაიკირა. ვერც იმას მივმხვდარვარ, რომ ამ ორმა თვემ უამრავი რამ მომცა და მასწავლა. სულ სხვაგვარად დამანახვა ჩემს ირგვლივ არსებული სამყარო.

ახლა კი სახლში ბულიონის სურნელი ტრიალებს. შიშინებს ჩაიდანი, ტკაცუნობს ზეთი, ჭურჭელს ჭახაჭუხი გაუდის… რა კარგი ყოფილა სახლის ხმაური… თეფშზე თუ ჭიქაზე გამოყვანილ უბრალო ორნამენტი თუ გამოსახული სადა ყვავილიც კი ჩემს აღფრთოვანებას იწვევს.

დეიდა ნანას ღუმელიდან შოკოლადისფერი ნამცხვარი გამოაქვს.

ჰაერში ერთბაშად იშლება ვანილის ნაცნობი და საყვარელი სურნელი.

მე სამზარეულოს პატარა მაგიდასთან ვჯდები. დედა პურს ჭრის, ძია გურამი ძეხვს თლის და თხელ ფენებად აწყობს მოგრძო, მალაქიტისფერ თეფშზე, ჭრის და შემომყურებს მისთვის ჩვეული უკეთილესი ღიმილით.

– რა იყო? – მეკითხება.

მე არაფერს ვაკეთებ, მუშტებზე დაყრდნობილი ვზივარ და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თვალები საცრისოდენა მიხდება, ანდერსენის ზღაპრის ხის ფუღუროში ჩამალული ძაღლებივით.

– არაფერი, – ვამბობ მე, – მიხარია და… ბედნიერი ვარ…

ვხედავ დედას, როგორ უჩერდება დანა ხელში. მერე ვხედავ მათ თვალებს. ვხედავ, ღიმილს მიღმა როგორ წვალობს თვალის ნაოჭებში გამოჭყლეტილი ცრემლი.

მეც ვტირი,თან ვიცინი…. ღმერთო, რა კარგია…

დეიდა ნანა გრძელტარიან პატარა ცისფერ საცერს იღებს და… ათოვს და ათოვს თეფშზე მწკრივად ჩამორიგებული ნამცხვრის მუქ ნაჭრებს შაქრის უწვრილესი ნამცეცებით.

ვსვამთ ჩაის და ვიცინით, ვიცინი ისე, თითქოს საავადმყოფოში გატარებული ეს ორი თვე არც არსებობდა, სიკვდილისთვის არათუ არ მცალია, ის, უბრალოდ, აღარ არსებობს.

ვიძინებ.

დილას კი, გამთენიისას, ისეთი გრძნობა მეუფლება თითქოს ცა ხმაურით იღვიძებს ჩემს ფანჯარასთან, ისე სკდება, როგორც ზედმეტი გამოწვისაგან გადახურებული უზარმაზარი კერამიკული თეთრი ფილა.

წითელი მზე კრემლის ოქროსფერ გუმბათებს ლოკავს.

ფანჯარას ვაღებ და ღრმად ვისუნთქავ მოსკოვის დილის სუსხიან ჰაერს. ქუჩის გაყოლებაზე ჯერ კიდევ ანთია ლამპიონები.

მე დღეს თბილისში მივდივარ.

მე იქ მელოდებიან.

მამა რეკავს და ამბობს, რომ ჩვენი ფანჯრის წინ უჩვეულოდ ადრე და ერთბაშად აფეთქდა ალუბლის ხე და უამრავი ყვავილი გამოისხა.

ეს კარგი ნიშანია!!!

11. 06. 2010

სატელეფონო ჯიხურთან მდგარი ერთსა და იმავე სატელეფონო ნომერს განუწყვეტლად ვკრეფ. უცნაურია, კვლავ არავინ პასუხობს. თბილისური ნომრების შემდეგ აქაური ზედმეტად გრძელი და მომქანცველი მეჩვენება, შედეგი – არავითარი. „ნეტავ, სად უნდა წასულიყო ამდენი ხანი 90 წელს მიტანებული მოხუცი”, – მიკვირს მე და კვლავ თავიდან ვიწყებ ნომრის აკრეფას. საშინელი გრუხუნით მოქრის მატარებელი და ირგვლივ ყველაფერს აყრუებს. წარმოუდგენელია ამ პირობებში არსებობა. სახლიც რომ მაჩუქონ, არასდროს დავთანხმდები აქ ცხოვრებას.

უიმედოდ ვკიდებ ყურმილს და ველი, როდის გაივლის მეტროს მორიგი მატარებელი.

ეს ბრაიტონია.

ირგვლივ ძირითადად რუსული საუბარი ისმის. ერთმანეთს ენაცვლება ინგლისურ-რუსული წარწერები. ძალიან იშვიათად გადააწყდებით ქართულ აბრასაც. აქ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს გადაეყრებით. ძნელია, აქ თავი ამერიკაში იგრძნო. ეს, ალბათ, არცაა ამერიკა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ამერიკის მიწაზე გადმოინაცვლა. ახალგაზრდა თაობა თუმცა კი ინარჩუნებს მშობლიურ ენას, მაგრამ თავს ნამდვილ ამერიკელად მიიჩნევს. თუკი ამერიკელების გარემოცვაში, გა-ამერიკელებულ-მა „ჩვენიანმა” დახმარების ხელი გამოგიწოდათ და „წინაპრების ენით” გაგესაუბრათ, ეს მისი დიდი პიროვნული ღირსების მაჩვენებელია და მათ მიმართ მადლიერების გრძნობა მთელი ცხოვრება გაგყვებათ. ბრაიტონს ხშირად აკითხავენ ნიუ-იორკის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები „ჩვენიანები”. აქ პროდუქტები „რუსულია”, ჩვენი გემოვნებისდა მიხედვით შერჩეული და შედარებით იაფი. მაღაზიები „რუსულენოვანია”, არცთუ იშვიათად შეხვდებით ასევე თურქებს, ჩინელებს, ესპანელებს. „ჩვენებს” ძალიან უკვირთ, რომ ამ „არაჩვენიანებმა” „რუსული ვერაფრით ვერ ისწავლეს, თუმც კია დრო... ამდენი ხანია, ბრაიტონზე ვაჭრობენ”. აქა-იქ გადააწყდებით ასეთ მეტად საინტერესო განცხადებასაც: „WELCOME, WE SPEAK ENGLISH”. მადლობა ღმერთს, თორემ „ჩვენები” აქ თავს სრულ ბატონ-პატრონად გრძნობენ და მათთვის საჭირო რამდენიმე სიტყვის (hello, sorry, good morning, food stamps, madicaid, madicare) გარდა, ინგლისურის

ცოდნით თავს დიდად არ იცხელებენ.

არ დამავიწყდება, როგორ შევიარე ამერიკაში ახალჩამოსულმა ბრაიტონის ერთ მაღაზიაში, დისნეის შესანიშნავი მულტფილმების ინგლისურ ენაზე შემენის იმედით. ჩემი შეკითხვა, როგორც მივხვდი, მეტად გულუბრყვილოდ გაისმა. ახალგაზრდა გამყიდველი (უკაცრავად და, saleman-ი) ჯერ „მშობლიურად" გაიზმორა, უკმაყოფილო მზერა მომაპყრო და ჩემთვის კარგად ნაცნობი ინტონაციით მკითხა: „აქ საიდან უნდა იყოს დისნეის ინგლისური ფილმები, ეს ხომ რუსული ქუჩაა". აღნიშნული არგუმენტი და „ზრდილი ტონი" სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ მაღაზიის კარი სამუდამოდ გამომეხურა.

უკვე 5 საათი ხდება. ყურმილს კვლავ არავინ იღებს.

სააგენტოში ვრეკავ.

– ნომერი სწორია, ალბათ, ბაღშია, – მშვიდად მპასუხობს კოორდინატორი და ყურმილს დებს.

ვერაფერი გამიგია, რა უნდა ბაღში 90 წლის ადამიანს. იქნებ, რაღაც კარგად ვერ გავიგონე, მაგრამ გარკვევით მითხრა: "სადიკო".

ჯანდაბას, რაც არის, ესაა…

ოკეანის სანაპიროსკენ ვიღებ გეზს. ვცდილობ, მატარებლის გამაყრუებელ ხმაურს გავექცე. ფიქრები აქეთ-იქით გამირბიან, ვღელავ. ხვალ პირველად მივდივარ სამსახურში და აქამდე ჩემს კლიენტს ვერსად მივაგენი.

სანაპიროზე სიმშვიდეა. ქვიშა ყვითელია. თოლიები აქა-იქ დაბაჯბაჯებენ და გრძელ ნისკარტებს აქეთ-იქით ატრიალებენ „სასუსნავის" ან მორიგი მსხვერპლის მოლოდინში.

საბანაო სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ქვიშა სუფთაა. კედებს ვიხდი და ქვიშაში ვდგები. ქვიშა ნოტიოა, გრილი, სასიამოვნო…

იქით, ძალიან შორს, თეთრი გემი სერავს ჰორიზონტს. ნელნელა მივდივარ ნაპირისკენ. ოკეანე ტუჩებს ილოკავს. სველ ქვიშაზე ვდგები, ქვიშა ახლა უკვე არასტუმართმოყვარედ ცივი და არასასიამოვნო მეჩვენება. მოშორებით ვჯდები. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ სრულიად მარტო ვარ ამქვეყნად, მაგრამ ეს სიმარტოვე არ მაშინებს. ვწვები, თუმც ვიცი, რომ ქვიშის მარცვლებს მერე ვერაფრით მოვიცილებ… სულერთია, ახლა ვცდილობ არაფერზე ვიფიქრო, უბრალოდ, ამ სიმარტოვისა და ამ უკიდეგანო სივრცის ნაწილად ვიქცე, გამოვთიშო ჩემი ტვინის ყველა უჯრედი.

თითქოსდა გამომდის… ტალღების ხმა საიდანღაც შორიდან მესმის, ოკეანის ტალღაზე ქაღალდის ნავივით ვიწყებ რწევას.

ხვალინდელი დღის მოლოდინი მაინც არ მაძლევს მოსვენებას. მობილურს ვიღებ და კვლავ ვიწყებ ციფრების აკრეფას. ორი ზარი, სამი და... გაოგნებული ვჯდები. ვიღაცამ ყურმილი აიღო.

– გისმენთ, – მესმის მოხუცი ქალის ხმა

– გამარჯობა! თქვენ… ხანა ხართ? – თითქმის ვყვირი მე

თოლიები წამიერად წყვეტენ თავების აქეთ-იქით ტრიალს და ცნობისმოყვარეობით შემომცქერიან.

– გამარჯობა! – მესმის მოხუცის კეთილგანწყობილი ხმა.

– რა ხანია, გირეკავთ და ვერ დაგიკავშირდით, მე თქვენი ახალი ჰომ-ატენდანტი ვარ.

– მე „სადიკში" ვიყავი და ახლახან მოვედი, რა გქვიათ და საიდან ხართ?

– საქართველოდან.

დუმილი და უცებ გამართული ქართულით მესმის:

– გამარჯობა, მეგობარო! – რასაც ქართული „სულიკო" მოჰყვება. ხმა კრიალა აქვს, ინტონაცია – ზუსტი.

მე „მიმინოსავით" არ ვყვები მის სიმღერას. არ მეტირება. ვუსმენ რაღაც სრულიად გაუგებარი ემოციით შეპყრობილი, დაბნეული, აღიმებული და არც კი ვიცი, რა ვთქვა.

უცნაური რამაა ემოცია, გაჯერებული სხვადასხვა მუხტით, ხანდახან თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავითაც კი. ნეტავ, შეიძლე-ბოდეს ანალიზის გაკეთება…

ხანა კი აგრძელებს სიმღერას და ვხვდები, რომ ისიც იღიმება.

მე ჯერ არ ვიცი, როგორ გამოიყურება ხანა, არც ის, რომ იგი თითქმის ბრმაა, კიდევ ბევრი, ბევრი რამ, მაგრამ ერთი რამ შემიძლია უკვე გარკვევით ვთქვა: – გულში სიმშვიდე მეღვრება, ხანა რაღაც-ნაირი „ჩემი" ხდება, ეს კი ცოტა როდია საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანისთვის.

– Доброе утро, Ханочка... – ვეუბნები მე!

– Ооо, моя девочка пришла, – მესმის ხანას ხალისიანი ხმა.

მე მხრებზე ვხვევ ხელს, მისი თავი ჩემს მკერდს სწვდება.

მის ყოველთვის აკურატულად დავარცხნილ სრულიად თეთრ ხშირ თმას ზემოდან დავყურებ.

– Ну, как дела?

– Все прекрасно! – ამბობს ხანა და თავისი შესანიშნავად მჟღერი და მკაფიო ხმით იწყებს:

„Вот пришла суббота и кончилась работа,

И нам с тобой охота кадриль потанцевать,

Кадриль мояяяя...”

მღერის ხანა თავისი მშვენიერი ხმით და გულს ხალისით მივსებს. ასე მეგებება ხანა უკვე ოთხი წელია. ოთხი წლის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას მე მასთან მივდივარ.

„Ты должна быть до конца у меня!”, – მეუბნება ის. ამგვარი პერსპექტივა, ცოტა არ იყოს, მაბნევს და იმავდროულად მახალისებს. „ნეტავ, ვის „კონეც”-ს გულისხმობს, ჩემსას თუ მისას?”, – ვფიქრობ მე.

ხანდახან ხანასთან მისი შვილიშვილი შემოირბენს. „Красное солнышко!” – ასე ეძახის მას ხანა. ბებიას დახედავს, თავის წერილებს შეამოწმებს და გარბის. ეს ამერიკაა – „დრო ფულია”. მაგრამ, თუკი ბებიას დასჭირდა, იმწამსვე გამოჩნდება და სრულიად დაუზა-რებლად აუსრულებს ყველა თხოვნას. აქ ამგვარი დამოკიდებულება მეტად იშვიათია და განსაკუთრებით ფასობს. ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი.

ხანას ერთადერთი ვაჟი ფლორიდაში დასახლდა. მისი ყურადღება დედის მიმართ ძირითადად კვირაში ერთხელ დარეკვით შემოი-ფარგლება. ხანა გულნატკენია, მისმა ვაჟმა არც მის 90 წლისთავზე ჩამოსვლა ინება და არც საჩუქარი გამოიმეტა. ოთხი წლის განმავლობაში ფიმა (ეს ვაჟის სახელია) მხოლოდ შაბათობით რეკავს და მათი სიტყვა-პასუხი უკვე ზეპირად მაქვს შესწავლილი.

ერთი ქალიშვილი დედისგან არცთუ შორს ცხოვრობს, ბევრს ავადმყოფობს და დედასთან მისვლას თვეობით ვერ ახერხებს. ძირითადად ტელეფონით ესაუბრება, მაგრამ ეს საუბარი გულის შემაღონებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს და თვით ხანასთვისაც კი მეტად მომქანცველია. სამწუხაროდ, დედასა და შვილს სულიერად საერთო ბევრი არაფერი აქვთ. ამიტომ, როცა ხანას შვილთან საცხოვრებლად გადასვლის პერსპექტივაზე ველაპარაკები, ხელებს ასავსავებს და გულწრფელად ამბობს, რომ მარტო ცხოვრებას მიეჩვია და ძალიანაც მოსწონს.

მისი მეორე და უსაყვარლესი ქალიშვილი პერმში დარჩა. ის

ხშირად რეკავს, რამდენიმეჯერ ჩამოაკითხა კიდეც დედას. ის მართლაც გამორჩეულია.

მე არ მჯერა ხუთი თითის „ისტრია” იმის შესახებ, რომ დედას ყველა შვილი ერთნაირად უყვარს. ნამდვილად არიან გამორჩეული შვილები, ზოგჯერ მიზეზით და ზოგჯერაც – უმიზეზოდ.

* * *

სტაფილოსფერი თავსაფარი: საგულდაგულოდ დაკეცილი და ბალიშის ქვეშ სათუთად ამოდებული. მეტალის საწოლი, რომელიც ღილაკზე მიჭერისთანავე მოსახერხებელ პოზიციაში დგება. ძველი, გაცრეცილი კომოდი, რომელსაც აქა-იქ, სართულ-სართულ შერჩენია ლამაზი, ჩუქურთმიანი სახელურები. მისი შეხედვისას რატომღაც ყოველთვის სევდა შემიპყრობს ხოლმე და თვალამოგდებული ძველი ბეჭდის მღვრიე ბუდე წარმომიდგება თვალწინ.

საწოლის ქვეშ ორი გადაკერებული ჩემოდანია შეცურებული. ერთში ხანას საბუთებია, რუდუნებით დაკეცილ-ჩალაგებული, და ყველა ის ქაღალდი, რაც კი მის სახელზე ოდესმე მოსულა. მეორეში კი ხანა სეზონურად გამოსაცვლელ ტანისამოსს ინახავს და სულ იმას დარდობს, ემანდ ვინმე არ შემოძვრეს ფანჯრიდან (მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარას გისოსები აქვს დატანებული), ან ტუალეტში გაჭრილი საჰაერო ღრიჭოდან და მისი ავლა-დიდება ხელს არ გააყოლოს. ხანას ბინაში ყველაზე ძვირფასი მისი მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებული მედლებია და მეუღლის ხსოვნა. მეუღლის შესახებ საუბრისას ხანას სადაფისფერ თვალებს ცრემლი მოადგება. ამ ცრემლს ხანა არასდროს იწმენდს. ეს ცრემლი მოსაგონარი სანთელივით ანთია, სანამ უპეს არ მოსწყდება და სირბილ-სირბილით არ დაეშვება დაბლა.

ხანას არ უყვარს ომის შესახებ ლაპარაკი. აქა-იქ გამოჟონავს ხოლმე გულისშემძვრელი მოგონებანი, მაგრამ მათ მაშინვე მოუყრის თავს და გულის რომელიმე კუთხეში ჩაჩურთავს… აი, ომის დროს მიღებულ ჯილდოებსა და მედლებს კი დიდი რუდუნებით უვლის და სათუთად ინახავს ნაჭრის თოპრაკში, რომელიც უკვე ცნობილი გაცრეცილი კომოდის მესამე უჯრის მარცხენა კუთხეში დევს.

მეორე მსოფლიო ომის დროს შეხვედრია ხანა ქართველ ჯარისკაცებსაც, რომლებსაც მისთვის რამდენიმე ქართული ფრაზა და „სულიკო” უსწავლებიათ.

ხანას ფანჯრის წინ მოასფალტებული პატარა ეზოა.ამ ეზოში სადღაც ზემოდან ხისსაფეხურებიანი მაღალი კიბე ეშვება. ამ კიბით მოვდივარ ხოლმე მე, თუკი შაბათობით რკინის უზარმაზარი ჭიშკარი ღია დამხვდა. ამ კიბეებით ჩამოდის მზეც, მაშინაც კი, როცა ჭიშკარი საგულდაგულოდაა გადაკეტილი, მზე ორ აყლაყუდა აგურის შენობას შორის არხეინად ძვრება და მოდის, მოაბიჯებს და მოედინება. ავსებს ხანას პატარა და მყუდრო სოროს, ცოტა ხნით იბუდებს მის საძინებელში და განცხრომას ეძლევა. მზემ იცის, როგორ ელოდება მას 92 წლის თვალისჩინწართმეული მოხუცი, იცის და არასდროს აგვიანებს…

„Солнышко, мое солнышко!!!” – ნეტარებით ჩურჩულებს ხანა, იღიმება და ეალერსება, ეალერსება და ეთაყვანება, როგორც წარმართი. მზეც ეფერება…ხანას, ცდილობს მისი დალეული სხეულის ალყაში მოქცევას, ფრთხილად ბოჭავს თავისი სხივებით, გაუბედავად მკლავებში იმწყვდევს, ეთამაშება, ხანა შეჰხარის მზეს… ხანა ბედნიერია…

ხანა საძინებელში გადის, ხელის ცეცებით იოლად აგნებს ბალიშის ქვეშ შეკეცილ თავის სტაფილოსფერ ხილაბანდს და თავზე იხურავს. მე ოთახიდან გავდივარ და… ტახტზე ვწვები. ვწვები და ვფიქრობ ჩემი საყვარელ ბებიების და მათი თაობის შესახებ. მე ყოველთვის ვიცოდი მათი ფასი. მენატრებიან… უსაზღვროდ….

დეიდა ვალიას სიფრიფანა სხეული უმალვე ამოცურდება, ლილის-ფერი, ყოველთვის სათუთად დავარცხნილი თმა, ვიწრო სათვალე მზეზე ციმციმებს, თხელ თითებში, რა თქმა უნდა, განუყრელი პაპიროსი და… მაკვარანცხი ღიმილი… ალბათ,რამდენი რამის გაკეთებას მოვახერხებდი ახლა მათთვის… გვიანაა? არა… შორია…

„Я всегда могла быть мостом для человечества, но костылем – никогда”, – მესმის ჩემი 28 წელიწადს გულაგში გამოწვრთნილი და გამოტანჯული გაუტეხელი ბებიის პათეტიკური ამოძახილი და მეღიმება. რა კარგი რამაა სიზმარი…, როგორ მიხარია ხოლმე მათი ნახვა…

დეიდა ვალია ისევ აბოლებს პაპიროსს და მისი თხელი სათვალის მინები მზეზე ლაპლაპებენ.

ხანა ლოცულობს, – მე ეს ვიცი, ამ ლოცვას მე უკვე ოთხი წელია, თვალს ვადევნებ. ოდნავ შეღებულ კარს მიღმა თავზე ხილაბანდ-დაფარებული მუხლებზე უღონოდ ხელებდაწყობილი ბრმა მოხუცი

ზის. ხანა ბუტბუტებს, ბუტბუტებს გაუჩერებლად. ვუყურებ და სულ რაღაც უცნაური შეგრძნება მიპყრობს, ხანდახან შიშიც კი ამიტანს ხოლმე. სადაფისფერი თვალები სადღაც იმზირებიან, რაღაცას გარკვევით ხედავენ, ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ თვით უფალი ჩამოდის მასთან სასაუბროდ...

სხვანაირად ლოცულობენ მარტოხელები,… თან ბრმები...

დიდი ძალა აქვს მათ ლოცვა-ვედრებას…

მოპირდაპირე სახლის პირველი სართულის ფანჯრიდან ხანას ხანდახან უზარმაზარი თეთრი შავლაქება კატა ესტუმრება, ძვრება გისოსებს შორის და სრულიად მოურიდებლად ათვალიერებს ხანას საძინებელს. ხანა უკვე მიჩვეულია ამ უცხო ხმაურს,ნკატის მაგივრად დიდ ლაქას ხედავს, მაგრამ ხვდება, რომ მას მოპირდაპირე სახლიდან მოაკითხეს. ხანას ამ თავხედი და ცნობისმოყვარე კატისთვისაც ჰყოფნის მოსაფერებელი სიტყვები. ეს კარგად იცის კატამაც, გისოსებს შორის გაიჭიმება, თათებს გადმოაწყობს და შავზე შავი კუდის არხეინი ქნევით ადევნებს თვალყურს მოასფალტებული მკვდარი პატარა ეზოს ერთფეროვან და უღიმღამო ყოფას. ხანას საოცრად ნათელი გონება აქვს, ზეპირად ახსოვს ყველას ტელეფონის ნომერი და დაბადების დღეები.მხოლოდ გადასამოწმებლად დამიძახებს ხოლმე. მეც გადმოვიღებ მის მოზრდილ, კომოდივით გაცვეთილ წიგნაკს და ვუკითხავ. ამას წინათ წამაკითხა დეკემბრის იუბილართა არცთუ მოკლე სია და მიყუჩდა. გაკვირვებულმა შევხედე.

– გადაშალე!
– ვინ?
– ყველა!!!
– რატომ?
– აღარ არიან, – მომიგო ყრუდ…

ხანა მართლაც დადის „სადიკში". ასე ჰქვია „Day Care Center"-ს „ჩვენებურად". მარტოხელა მოხუცებისთვის ეს თემა წმიდათაწმიდაა. ამგვარი ცენტრების რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობა – სრულიად გამართლებული. აქ თავს იყრიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები, ძირითადად ხანშიშესულები. ეწყობა საინტერესო მოსაგონარი საღამოები, იმართება ცეკვები, კონცერტები, შეხვედრები გამოჩენილ მოღვაწეებსა და მსახიობებთან. აქ გატარებული 4-5 საათი სალბუნივით ედება მოხუცთა მარტოობით დაღლილ გულებს, ახლობლების მოსვლის უიმედო მოლოდინით ამოცარიელებულ

თვალებს ცეცხლი უჩნდება, კაპილარებში სისხლი თბება და გონება ნათდება – „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!”

9 მაისი ხანასთვის დიდი დღესასწაულია.

ამ დღეს ის ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადება. საუკეთესო კაბას ჩაიცვამს. აისხამს თავის ჯილდოებს და გასწევს „სადიკისკენ”. მე მგონი, ეს ჯილდოები უფრო მეტს იწონის, ვიდრე ხანას სიფრიფანა და გამჭვირვალე სხეული, მაგრამ მიდის ბედნიერი და წელგა-მართული. საოცარია, ხანა 92 წლისაა, მაგრამ ხანა ახალგაზრდაა, ახალგაზრდობა მაინც სულის მდგომარეობაა. ხანა ამის ცოცხალი დასტურია.

ხანა მადლიერი და, მაშასადამე, ძალიან ბედნიერი ადამიანია. უფალმა ეს იშვიათი ნიჭიც არ დაინანა მისთვის. ხანას მზე უნთია სულში და მზის ნათელს უწილადებს ყველას. „მეგობრისათვის, ნათელი დღისათვის მადლობელი ვარ” – მესმის ინოლას თავგან-წირული ხმა, რომელიც ზარივით რეკს ჩემს გულში. მისი ექო ნეტარების გონებადამბინდველ ზვირთებად აწყდება ჩემს ძვალსა და გონებას და ატორტმანებს და ანგრევს.

…ერთ არაჩვეულებრივ ქალს არაჩვეულებრივი შვილი მოუკლეს. კიბეზე კი ავდიოდი, მაგრამ გულიც და ფეხებიც უკან მრჩებოდა… ჩემი გონება უარს ამბობდა, მიეღო სინამდვილე, თვალებს არ სურდათ დანახვა… მაგრამ ეს ყველაფერი იყო, დამანგრეველი, გამანადგურებელი, მაგრამ იყო! მაინც რამდენის გაძლების უნარი აქვს ადამიანს...

რა საშინელება ყოფილა სიჩუმე ხალხში, ზღვა ხალხში… თითქოს ყურთასმენა დამეხშო. ვხედავდი, როგორ ლაპარაკობდა ხალხი, ვიღაც კედელთან ჩაცუცქულიყო და ხელებში თავჩარგული ჩუმად, მაგრამ მაინც ქვითინებდა, ვხედავდი ტანმორჩილ ქალბატონს, რომე-ლიც მთელი საღამო კითხულობდა ფსალმუნებს, მაგრამ მაინც სამარისებური სიჩუმე იდგა, თითქოს მუნჯი ფილმის კინოკადრებს ვადევნებდი თვალს.

არაჩვეულებრივი დედა თავისი არაჩვეულებრივი შვილის ცხედართან მჯდარი. ირგვლივ არავინ… ვერავინ ბედავს მიახლოე-ბასაც კი… ისინი მარტონი არიან… ასევე მარტო და ერთსულ იქნებიან მერეც… მთელი ცხოვრება…

დედა დუმს, მხოლოდ ხანდახან ფრთხილად გადაუსვამს ხელს თავისი „ჩახჩახა” ბიჭის უკანასკნელ სასთუმალზე დაფენილ ხშირ

ხვეულებს და სიჩუმე… – ისეთი, რომ მის სიმძიმეს ფიზიკურად ვგრძნობ.

„როცა დედა დუმს, არავის აქვს ხმის ამოღების უფლება”, – ცივი ტყვიისფერი ნაკადი კეფას მიმტვრევს და შუბლის გავლით საოცარი სისწრაფით გამოიტყორცნება გარეთ.

ეს არაჩვეულებრივი დედა თავისი არაჩვეულებრივი შვილის შესახებ მეტყვის: „ჩვენ, აი, ასეთი კავშირი გვაქვს – მე, უფალი და ჩემი ბიჭი”, – და სამკუთხედს შემოხაზავს, – „ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მასთან ყოფნის ნეტარება მაჩუქა 26 წელი”. ცრემლების ნიაღვარი ისევ ამოხეთქავს სადღაც კუჭიდან, ყელთან ამოვარდება, გაიჭედება და გაქვავდება.

რა არის ეს? არ ვიცი, ეს ქვეცნობიერია თუ ცნობიერი… მაგრამ ფაქტია. არის რაღაც უსაზღვრო, რაღაც აღმატებული ძალა, რომელიც მიწაზე დაშვების საშუალებას არ გაძლევს… ალბათ, ესაა ჭეშმარიტი მორწმუნეობა და ღვთისნიერება…

„წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა,
იქნება, ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა”…

ამერიკელები ისედაც უკანმოუხედავად გაქცეულ დროს კიდევ უფრო მეტად უჩქარებენ ნაბიჯს. ეს საოცრად წეწავს ადამიანის ფსიქიკას და თავბრუს ხვევს. ჯერ შობასა და ახალ წელს კარი არ გაუხურავს და მეორე დღეს ნიუ-იორკის მაღაზიის ვიტრინებში საგაზაფხულოდ გამოწყობილი და უკვე მომდევნო დღესასწაულის აქსესუარებში გამოწყობილი მანეკენები დგანან. შენც ძალაუნებურად მირბიხარ, მირბიხარ გაუჩერებლად, კაცმა არ იცის, საით და რატომ, არა უკანმოუხედავად და ეს მშველის, ალბათ. მე სულ უკან ვიხედები, რადგან იქ ძალიან ბევრი რამაა ჩემთვის ძვირფასი, ფასდაუდებელი და განუმეორებელი. ეს ისეთი უშრეტი წყაროა, რომელსაც პირდამშრალი ადამიანის ნეტარებით ვეწაფები, მერე მიწაზე ვწვები და ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ.

ისევ ბაკურიანი…

როცა ამ ნიუ-იორკულ მიწაზე ბაკურიანის ტყეში გაბნეულ გულგაშლილ პრიალა ყვითელფურცლება ყვავილებს გადავწყდი, ვერც კი მივხვდი, როგორ ჩავიმუხლე. მათ მიცნეს, ანდა იგრძნეს ჩემი გულიდან გამოხეთქილი სითბო და ალერსის ნება დამრთეს. „შენ აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, შენა, ჰა?” ჩამესმა სერგო ზაქარიაძის კარგად ნაცნობი ხმა.

* * *

მუხლამდე თოვლი. გზას ძლივს მივიკვლევ… სულ გადაირია ეს ბუნება… სად გაგონილა ამხელა თოვლი ნიუ-იორკში, გაგიჟდება ადამიანი… თოვლის ნამქერი ხედვას მიშლის, დაბნეული ვდგავარ და ვერ გამირკვევია, საით წავიდე. ცალ თვალს გაჭირვებით ვაღებ და ბარონ მიუნჰაუზენივით რაღაც ნაცნობ ქიმს ვლანდავ. მგონია, „მეშველა”, ნელ-ნელა მივბობღავ იქით, თოვლი კი მიშენს და მიშენს… ისე, რა ლამაზია ირგვლივ ყველაფერი!.. თეთრი, თეთრი, სასიამოვნოდ უკაცრიელი და რაღაცნაირად მარადიული…

100 მეტრის გავლას 20 წთ-ს ვანდომებ, მაგრამ მიზანი მიღწეულია… ხანას სახლის კუთხე უკვე მოჩანს… ორიენტირად გადაქცეული ვერცხლისფერი ნაძვი თეთრადაა დაბარდნილი და სიმძიმისგან წელმოწყვეტილი.

კიბეს ვუახლოვდები… სადღაა საფეხურები? ქვემოთ ჩასასვლელი კიბე ნამდვილ სასრიალო ფერდობადაა ქცეული. თოვლი თავგამეტებით მიშენს და უკანასკნელ ძალას იკრებს, ცდილობს, გზა გადამიკეტოს და სადარბაზოში არ შემიშვას, მაგრამ აწი ვეღარაფერს გახდება, ბრძოლა წაგებულია. ნეტარებით ვიხსენებ ბავშვობის გამოცდილებას და, უკანალზე დასკუპებული, სრიალსრიალით მივექანები დაბლა. სადარბაზო კარს დაუბრკოლებლად ვაღებ, აბეზარ ზამთარს ცხვირწინ ვუხურავ კარს. ესეც ასე…

სადარბაზოში თბილა.

ჩემს ფხაკაფხუკზე ხანა სამზარეულოდან კედელზე ხელის ცეცე-ბით გამოდის:

– Пришла, моя девочка, пришла!, – მესმის მისი ხალისიანი ხმა.

ხანა ხელებს მხრებზე მხვევს. მეც ჩემს ხელებს ვაგებებ და მისი ჩიტივით გახდარი სხეულის გაცრეცილ ნაცნობ სითბოს ვგრძნობ. …

– იქცევა ქვეყანა, – ვეუბნები მე, – დღეს, ალბათ, „სადიკში” ვერ წახვალთ.

– ვინ თქვა? – გაკვირვებით შემომყურებს ხანა.

– გარეთ თოვლია, საფეხურები საერთოდ არ ჩანს…

– წავალ… აი, ნახავ, მალე მზე ამოვა…

– როდის, დღეს? – მეცინება მე.

– დღეს, მან იცის, როგორ მჭირდება.

მეცინება – კი… როგორ არა!

ნიუ-იორკში კია მეტად ცვალებადი ამინდი, მაგრამ ასეთი რამ?

– შეუძლებელია.

– მე ვგრძნობ მზის ამოსვლას, – არ ჩერდება ხანა.

მხრებს ვიჩეჩავ და საუზმის მომზადებას ვიწყებ.

– ჩაიდანი შიშინებს, არაჟანი და ხაჭო თეფშზეა, პური გახუხული, წამლებიც ადგილზე.

საწოლი ხანას უკვე გაუსწორებია.

– მოდი, დამიჯექი, დღეს პერმიდან დარეკეს, – ამბობს ხანა და ქალიშვილთან საუბრის შინაარსს მაცნობს, მერე კი გუშინდელი დღის „სადიკის" ამბებს მიყვება.

მე ყურადღებით ვუსმენ, საყინულიდან ქათმის ბარკალი გამომაქვს და ხახვის დაჭრას ვიწყებ.

ხანა, ჩვეულებისამებრ, მხიარულად ლაპარაკობს. მერე ჩერდება.

– რა იყო? – ვეკითხები მე, – რატომ გაჩერდით, მე აქ ვარ, გისმენთ.

– ვიცი, ჩავფიქრდი.

– რაზე ფიქრობთ?

– ისე… თოვლი შეწყდა?

– უცნაურია, თითქმის…

– შენ კი არ გჯერა,აი ნახავ,მალე მზე გამოვა.

– ნეტავი, ისე მართლა თუ გამოვიდა მზე, ჩავთვლი, რომ ნამდვილი ჯადოქარი ხართ, – ვამბობ მე სიცილით.

– აი, ნახავ…

მოპირდაპირე ფანჯარაში ჩვენი ნაცნობი კატის სილუეტს ვხედავ. არ ვიცი, რას ფიქრობს ამინდის შესახებ. ისე, ცოტა შეშფოთებული კი ჩანს. რაო, ვერ მოგართვით დღეს ხანასთან სტუმრობა, აბა, თუ ბიჭი ხარ, ამ მუხლამდე თოვლში გადმოჭერი ეზო და აქ ამოძვერი, რაო… ვერაო? ეეე, შე დედალო, შენა…

– ხომ არ დაიღალეთ – იქნებ დაწვეთ?… – ვეკითხები მე.

– სულაც არა, – მეუბნება ხანა, – თუ ჩამთვლემს, ისევ სკამზე. მზეს დაველოდები, მე ვგრძნობ, სადაცაა გამოჩნდება.

– მე აქვე ვარ, სარეცხს დავაუთოვებ, – ვამბობ და სასადილო ოთახში საუთავებელ მაგიდას ვშლი, სარეცხი არცთუ ბევრია. უთოს შიშინი გაუდის.

კატა ოთახში გაუჩინარდა.

საუთავებელ მაგიდას ვკეცავ და სისხლი მეყინება.

სამზარეულოს იატაკზე მზის სხივი მოცოცავს…

ეს რაღაც მისტიკაა, – ვფიქრობ და რაღაც აქამდე უცნობი, არცთუ სასიამოვნო განცდა სერავს ჩემს გულს:

– ხანა… სოლნიშკო, – ძლივს ამოვთქვამ მე.

ხანას მხიარული ხმის ნაცვლად სიჩუმე მეხმიანება.

– ხანა, – ვეუბნები მე და რატომღაც უცნაურად მკაწვრელი ცივი ჭიანჭველები იწყებენ ჩემს კანში შეძრომას და სიღრმისკენ იწევენ.

ხანა მზეს უყურებს, მის ღია თვალებში მზის სინათლე ანთია, მზის სხივები დათამაშობენ.

– ხანა, – ვჩურჩულებ მე.

ხანა დუმს, მისი მარჯვენა ხელი ჩვეულებისამებრ ასვენია გამხდარ მუხლებზე, მარცხენა კი რაღაც უცხოდ ჰკიდია ჰაერში.

– ხანა, – ისევ ჩუმად ვამბობ მე და ვგრძნობ, როგორ იწყებს გიზგიზს ჩემს ტერფებთან შიშის კოცონი, უძლურებისა და სასოწარკვეთის სველი ენები დავლურს უვლიან ჩემს გარშემო, ხორკლიანი ენებით მლოკავენ და მაღლა მიიწევენ.

მე მუხლებზე ვეშვები. ხანას ხელებს ჩემს ხელისგულებ შორის ვიმწყვდევ და ხმამაღლა ვეუბნები:

– ხანა!!! – თუმც ვიცი, რომ პასუხს ვერასდროს მივიღებ. ცრემლები მახრჩობს. ხანა კი ისევ მზეს უყურებს და დაშრეტილი თვალები მზის სინათლით აქვს სავსე.

მეშინია ამ ცივი, გასუდრული სიჩუმის. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამქვეყნად მარტო მზეა ცოცხალი.

თავს ხანას კალთაში ვრგავ და ბავშვივით ვზლუქუნებ.

სიკვდილი სადღაც აქვე, კუთხეში აყუდებულა და თავისი ლილისფერი თითებით ძლივსღა იკავებს უჩვეულო სიცივისგან დამფრთხალ, ასხმარტალებულ სულს… თვითონ კი ცრემლით აქვს სავსე თვალები. მძიმეა მისი ტვირთი…

მოულოდნელად თმაში თბილ სისველეს ვგრძნობ… ხანა მემშვიდობება…

თავს მაღლა ვწევ.

ხანას თვალებში ნელ-ნელა ქრება მზის ნათელი, მზის სხივები ფეხაკრეფით დადიან ოთახში და ავსებენ ყველაფერს. არასდროს მინახავს ამდენი მზე ამ ოთახში.

ხანას ჩამუქებულ თვალებს ობოლი ცრემლი სწყდება და გაჭირვებით მოარღვევს გზას ღრმა ნაოჭების ლაბირინთებში.

ცრემლო, პატარავ, ერთი ციდავ… ეს რა ძალა გაქვს ასეთი?! რამდენ ტკივილს იტევ და რამდენ სიხარულს? საიდან მოდიხარ და საით მიგეჩქარება? როგორი მდუღარე ხარ და ზოგჯერ როგორი ტკბილი… ვინა ხარ ახლა? ხანას უკანასკნელი ამოსუნთქვის სითბოს მომტანი თუ სიკვდილის შიკრიკი?

ოთახი სავსეა მზით…

„Солнышко, мое солнышко!” – მესმის ხანას ხმა…

ხანას ხელები ნელ-ნელა ცივდება ჩემს მხურვალე ხელისგულებში.

მაკა

მაკას დაბადება არ მახსოვს. ამ სახლში რომ გადმოვედი, ის უკვე 3-4 თვისა იქნებოდა.პირველად ეზოში ვნახე. ასაკოვანი, ჭაღარა, წარმოსადეგი ქალი ხელით დაატარებდა და ღიღინით ეთამაშებოდა; პატარა წამოიჭყივლებდა და მიყუჩდებოდა. როცა გავუსწორდით, ქალი ხალისიანად მოგვესალმა და იკითხა:

– ახალი გადმოსულები ხართ, არა?

დედამ გაუღიმა და დაუდასტურა.

მაშინ მე 7-8 წლის ვიყავი. სკოლიდან მოსულს ზურგზე მძიმე ჩანთა მეკიდა. ერთი სული მქონდა, სახლში მივსულიყავი, ჩანთა დამეგდო და თამაში მომესწრო, ვიდრე გამებისა და ეტიუდების არცთუ სასურველი დრო დამიდგებოდა. დრო ცოტა მრჩებოდა, ამიტომ დიდად არავისთვის მეცალა… მაგრამ ჩემი ყურადღება ამ პატარა, მუთაქასავით გახვეულმა არსებამ მიიქცია, უზარმაზარი ცისფერი თვალები ჰქონდა, ერთი – ყურადღებით მომზირალი, მეორის თეთრონში კი ეს ულამაზესი ცისფერი ბურთი უცნაურად ბრუნავდა, უცებ გაჩერდებოდა, მერე კი ხან იქით გადაგორდებოდა, ხან – აქეთ. ასეთი რამ არასდროს მენახა და, ცოტა არ იყოს, დავიბენი.

– მოგწონს? ხომ ლამაზია? – მკითხა ბებიამ, როცა ჩემი მზერა შენიშნა. მე დედას ქვედაბოლოს ჩავებღაუჭე და მის ზურგს მორცხვად ამოვეფარე.

მერე კიდევ ერთხელ მალულად გავხედე პატარას. ახლა უკვე ორივე თვალი სწორად და დაჟინებით მიმზერდა. – აი, მაკაც გაიზრდება და იმეგობრებთ, – თქვა ბებიამ.

სწორედ მაშინ გავიგე, რომ ეს მუთაქა ქალბატონი ბრძანდებოდა, სახელად მაკა ერქვა და, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მეპიტნავებოდა ასეთ პატარა ბავშვებთან მეგობრობა, თანხმობის ნიშნად თავი დაუყოვნებლივ დავუქნიე და შინისკენ მოვკურცხლე.

მალე მაკას კბილები ამოეწვერა… ყვითელი, ყვითელი. ოქროსფერი თმები დაეხვა და დაუკულულდა. უყვარდა ხალხი, ყველას უღიმოდა, ჭყივილით ესალმებოდა და ხელში ასაყვანად იწევდა, მაგრამ სხვები დიდად არ ანებივრებდნენ, ხანდახან თავზე თუ მიეფერებოდნენ ან ღიმილით დაუქნევდნენ ხელს და გაეცლებოდნენ, მაკა ამითაც კმაყოფილი იყო. სამაგიეროდ, ბებია არ შორდებოდა, გულზე მიკრული დაჰყავდა და პირზე ულევ ნაკადად

მომდგარ დორბლს გულისყურითა და სიყვარულით წმენდდა.

გვიან, მაგრამ მაინც აიდგა ფეხი მაკამ. ფეხის ტერფს მიწაზე არ დგამდა, ფეხის წვერებზე დადიოდა და უცნაურად ქანაობდა. ბებია ხელით დაატარებდა, იმედს არ კარგავდა, რომ მისი სანუკვარი შვილიშვილი მალე სხვა ბავშვებივით დაიწყებდა სიარულსა და ხტუნვას, მაგრამ ამაოდ, ვის აღარ უჩვენა, მაგრამ, საუბედუროდ, ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. მაკა კვლავ ფეხის წვერებზე იდგა და ბებიას ხელს ჩაფრენილი გაღიმებული დაბანცალებდა ეზოში. მალე ყავარჯენი და ჯოხი მაკას მუდმივ საყრდენად და ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა.

მაკას დედა ირინა ორმოცს გადაცილებული ლამაზი ქალი იყო, მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა: თხელი და ლამაზი კიდურები, თმა ყოველთვის მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და წითლად შეღებილი. სახის ოვალი მრგვალი, წინ წამოწეული ყვრიმალებით, ცხვირი ოდნავ კეხიანი, რაღაცით ალტმანის ანა ახმატოვას ჩამოჰგავდა. თლილი თითები ჰქონდა, მუდამ განუყრელი სიგარეტით. წითელი პომადა, იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე მოხ-დენოდეს ეს მჭახე ფერი. ხმა ცოტა ბოხი ჰქონდა, მაგრამ მე მომწონდა მისი საუბრის ტემბრი... აი, მის მზერას და მასთან შეხვედრას კი მუდამ გავურბოდი, და არა მარტო მე. ცარიელი თვალები ჰქონდა, რაღაცნაირად არასასიამოვნოდ უცხო, არაკეთილი. ხან სულ არ მოგაქცევდა ყურადღებას, ხან კი ისე აგიხირდებოდა და ჩაგაცივდებოდა, ვერ დაეხსნებოდი… გვიან გავიგე, რომ შიზოფრენიით იყო ავად და ამ მძიმე ავადმყოფობის შეტევები ასაკთან ერთად უფრო ხშირი და საშიში ხდებოდა.

მაკას მამა არასდროს მინახავს, იქნებ არც არასდროს მოუკითხავს, იცოდა კი მისი არსებობა? ალბათ. ჩვენს ქალაქში ვის რა დაემალება! ჩვენ, ბავშვები, ინტერესით ვკვდებოდით, მაგრამ ბავშვური სისასტიკე დავძლიეთ, მადლობა ღმერთს, ჭკუა გვეყო და მაკასთვის ამ საკითხზე არასდროს ჩამოგვიგდია სიტყვა.

ახლა რომ ვფიქრობ, ასე მგონია, რომ მაკას ამქვეყნად მოსვლას არც არვინ ელოდა და არც მოელოდა. მაკამ თითქოს უფლის „დაკავებუ-ლობით" ისარგებლა, საუფლოდან გამოეპარა და ამ ქვეყნის ზღვარს გადმობიჯებულმა გამარჯვების ყიჟინა დასცა. უფალმაც შეუნდო თავის "უძღებ" შვილს ეს ურჩობა და დროებით აქ ყოფნის ნება დართო...

მაკა გაზაფხულის თქეშივით მოულოდნელად მოვიდა, მოვიდა ხმაურით, მხიარული, ბედნიერი, პირღიმილიანი, მიმნდობი და მიმტევებელი, მისი ტვინი და გახსნილი გული არ იყო მზად ამქვეყნიურ სინამდვილესთან პირისპირ შესაყრელად. გულწრფელ აღტაცებასა და მადლიერებას გამოხატავდა ყველას მიმართ, ვინც კი გაუღიმებდა, მის სატკივარს გულთან მიიტანდა და დახმარების სურვილს გამოთქვამდა, თუ თბილ სიტყვას გაიმეტებდა.

მიუხედავად ფიზიკური უძლურებისა, ქარგავდა, ქსოვდა, კითხულობდა, ჩვენზე მეტი ლექსი იცოდა ზეპირად, მერე კი მუსიკამ გაიტაცა. საათობით თვალდახუჭული და გარინდებული უსმენდა რადიოს. ბებიამ გიტარა უყიდა და კერძო მასწავლებელიც დაუქირავა. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მაკა მეტად გულმოდგინე მოწაფე გამოდგა. მთელი დღეები მეცადინეობდა, აწყობდა სიმღერებს. სმენა კარგი ჰქონდა, ხმა ცოტა მჭახე, თუმცა მაინც ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო მისი მოსმენა, მაგრამ რამდენიმე თვეში მისი რეპერტუარი სულ ზეპირად ვისწავლეთ და ერთი და იმავეს მოსმენით თავმობეზრებულები ხანდახან ყურებზე ხელებსაც კი ვიფარებდით, თუმც ვცდილობდით, მაკას ეს არ შეემჩნია.

ზოგჯერ ბებიას გარეთ გამოჰყავდა, იქვე ეზოს გრძელ სკამზე ჩამოსვამდა და თვითონაც გვერდით მიუჯდებოდა. ჩვენ ყირაზე გადავდიოდით, რას აღარ ვთამაშობდით – კლასობანა სთუ დახუჭობანას, ლაფტას თუ შვიდ ქვას… ახლა წარმომიდგენია, რა ხდებოდა ბებიას გულში, მაკა კი იცინოდა და თავისი უზარმაზარი ხელებით ტაშს გვიკრავდა, გვახელებდა და გვამხნევებდა. რა ვიცოდი მაშინ, რა საოცარი გული ფეთქავდა ამ კაფანდარა ავადმყოფი გოგონას გალეულ მკერდში.

ბებია იყო ის ერთადერთი ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც მაკას დაბადებამ დიდ ფორიაქთან ერთად დიდი ნათელიც შემოიტანა. ბებიამ კარგად იცოდა თავისი შვილიშვილის მძიმე ავადმყოფობის ამბავი და გული უკვდებოდა მისი მომავლის გამო, სინათლე კი – იმიტომ, რომ მაკა იყო თვით სინათლე. რას აღარ აკეთებდა, რომ თავისი უდღეური პენსია ისე გაენაწილებინა, რომ მის სანატრელ შვილიშვილს არაფერი მოჰკლებოდა, რომ მაკას გაჭირვება არასდროს ეგრძნო, განა რას ითხოვდა?!

მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ბებიამ თავისი აღსას-რულის მოახლოება იგრძნო. მაკა თავისთან მიიხმო, უზარმაზარ ხელში რაღაც პატარა ჩაუდო და უთხრა:

– ეს შენია, შენთვის ვინახავდი.

მაკამ ხელისგული გაშალა. პატარა ოქროს ბეჭედი იყო, შუაში მოზრდილი ვარდისფერი თვლითა და ბრჭყვიალა გამჭვირვალე ქვებით.

მაკას ეს ბეჭედი არასდროს ენახა და გაკვირვებულმა შეხედა ბებიას.

– შენია, უბრალო არ გეგონოს, დედაშენს ნუ უჩვენებ, – ძლივს გასაგონად უთხრა ბებიამ და გამხდარი ხელით მუჭი დაუხურა.

ბებია გამთენიისას გარდაიცვალა. გარეთ საშინელი ქარი იყო და ხმელი ფოთლები ხმაურით აწყდებოდნენ ფანჯრის მინებს.

მაშინ შეიგრძნო პირველად მაკამ სიკვდილის გრილი სუნთქვა და შეძრწუნდა.

ბებიას გარდაცვალებამ მაკას ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ირინამ ნელ-ნელა სახლიდან ყველაფერი გაზიდა, ზოგს კაპიკებად ყიდდა, ზოგს კი ჩუქნიდა ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს. სახლში მხოლოდ ლურჯი სადილის სერვიზი დარჩა – სერვიზი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იყო მაკასთვის. ისიც სასწაულებრივ გადაურჩა ირინას – მეგობარმა არ დაანება. მაკას ბავშვობიდან ახსოვდა ეს თეფშები – მათზე ნადირობის სხვადასხვა სცენა იყო გამოსახული. ბებია გადმოიღებდა ხოლმე და რაღას არ უამბობდა. თეფშებზე არსებული გმირებიც უმალ ცოცხლდებოდნენ და მაკასაც იმ სამყაროში ეპატიჟებოდნენ. იქ მაკას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ცხენსაც უმალ შემოევლებოდა და მათთან ერთად აჭენებდა, უკან კი ძაღლების ხმაურიანი ყეფა მოსდევდა.

ბებიას მონათხრობი ამბები მაკას დღესაც კარგად ახსოვდა, იმდროინდელი სილაღისა და უდარდელობის შეგრძნება დღესაც სისხლს უმღვრევდა და ბედნიერების ცრემლს ადენდა.

კედლები გადაიყვლიფა და დასკდა, ფილები დაიბზარა, იატაკიდან ფიცრები ამოცვივდა, თვეობით გაურეცხავი ფარდები ჭუჭყიანი ტილოებივით ეკიდა ფანჯრებზე.

სტუმრები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. მაკა კუთხეში იჯდა ხოლმე და თავისი უზარმაზარი ცისფერი თვალებით ადევნებდა თვალყურს უაზრო სმას და დროსტარებას. დედას ვერაფერს ეუბნებოდა. ირინა შეუვალი და აგრესიული ხდებოდა, ხმის

ჩახლეჩამდე უყვიროდა მაკას, ყველა ცოდვაში ადანაშაულებდა და სახლიდან აგდებდა. ყოველივე ეს საშინელი მოსასმენი იყო, მით უფრო – სანახავი… მაკა ცდილობდა გასცლოდა და ამით მაინც დაეცხრო დედის რისხვა. რამდენჯერ მინახავს დაკეტილ კარს მიღმა ატირებული. დიდ ხელისგულს გამეტებით ურტყამდა კარს და ემუდარებოდა:

– დედა, დედიკო.. ყველაფერში მართალი ხარ, ოღონდ არსად წახვიდე… მაპატიე, მე ვარ დამნაშავე ყველაფერში, მხოლოდ მე!…

ამ დროს მეზობლებს მიჰყავდათ მაკა, ეცოდებოდათ. ხან ასადილებდნენ, ხან ფულს ჩაუკუჭავდნენ ჯიბეში. რცხვენოდა მაკას, ძალიან რცხვენოდა, მაგრამ რა ექნა.

ირინა გონს მოეგებოდა და ახლა ქუჩა-ქუჩა და მეზობლებთან დაუწყებდა მაკას ძებნას. ტიროდა და მუხლებზე დამხობილი ფეხებს უკოცნიდა და პატიებას სთხოვდა, მაკა კი ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ამშვიდებდა, უყვარდა, დედა იყო, როგორიც არ უნდა ყოფილიყო.

მეტად მძიმე საყურებელი იყო ეს ყველაფერი, მით უფრო – გადასატანი.

მაკამ ეკლესიაში მესანთლედ დაიწყო მუშაობა და ცოტა სული მოითქვა. მაგრამ ზამთარში, როცა ქუჩები მოიყინა, დაღმართზე დაშვება გაუჭირდა და რამდენჯერმე დაეცა კიდეც.

ახლად გადმოსულმა მეზობელმა ზაალმა თავის სართულზე ყველა ბინის შესყიდვა რომ მოამთავრა, ეზოში ჯიხური ჩადგა და „დიდსულოვნად" (ასეთ ხალხს როგორც სჩვევია) მაკას სამსახური შესთავაზა. რაღაც კაპიკებს უხდიდა „სულგრძელად", მაგრამ მაკა მაინც ცას ეწია სიხარულით. სახლიდან ჯიხური ხუთი წუთის სავალზე იყო, აქედან დედასთანაც ახლოს იქნებოდა და, ასე იყო თუ ისე, მაინც სამსახური ერქვა.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მაკა ბედნიერი იყო. ირინასაც რაღაც მშვიდი პერიოდი დაუდგა, ხანდახან ეზოში მსხდომ ბიჭებს სიგარეტს თუ სთხოვდა და ისინიც დაუყოვნებლივ აძლევდნენ, – ეცოდებოდათ.

მაკამ ჯიხური დაკეტა და ნელ-ნელა სახლის გზას გაუდგა. შიმშილისგან კუჭი უბუყბუყებდა, მაგრამ დედასთან ერთად უნდოდა ეჭამა. თან ზაალის მოტანილი მარწყვის კომპოტი მიჰქონდა, ორი ქიშმიშიანი ფუნთუშა, ხუმრობაა ამ გაჭირვების ჟამს?

მაკამ სველი კიბეები ძლივს აათავა და კარი გააღო.

– დედა, მე ვარ! ნახე, რა მოვიტანე…

ხმა არავის გაუცია ალბათ, სძინავს, – გაიფიქრა მაკამ და საძინებლისკენ წაბანცალდა.

– დე, მოვედი! – თქვა კიდევ და საძინებლის კარი შეაღო. მარწყვის კომპოტის ქილა ზრიალით დაასკდა იატაკს. ჰაერში უმოძრაოდ ეკიდა ორი ფეხი.

II

მაკა ტახტზე მოკუნტული იჯდა, ბებიას ნაქონი შალი მხრებზე ეხურა და ხელის ფათურით გაუთავებლად ისწორებდა, ბოლოებს გამალებით ექაჩებოდა, თითქოს უნდოდა მთლად დაპატარავებულიყო და ამ შალში ერთიანად შემალულიყო, სამუდამოდ გაჰქცეოდა იმ სამყაროს, რომელშიც მოსვლას ასეთი დაუდეგარი შემართებითა და შეუპოვრობით ლამობდა.

ამდენმა მისვლა-მოსვლამ და თანაგრძნობის გამომხატველმა ჩურჩულმა მთლად გამოფიტა და დაქანცა.

ხალხი მიდიოდა და მოდიოდა, კარი იღებოდა და იკეტებოდა, ციოდა. იატაკზე წყლიანი ნაფეხურები რჩებოდა, სახლი ქუჩის ერთგვარ გაგრძელებად იქცა. მაკა ძილ-ბურანში იყო, თითქოს ეძინა. სულ ერთი იყო ყველაფერი. ყვავილების სუნი გულს ურევდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. აი, კვლავ გაიღო კარი, ნაკადს ახალგაზრდა კაცი შემოჰყვა, მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, უცნობი. მორიდებით წამოვიდა მაკასკენ, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ძალიან ვწუხვარ!

მაკამ ქვევიდან ამოხედა, ხმა ეცნო, ვერაფრით ვერ გაიხსენა

– საიდან. უცნობს თვალი გაუსწორა. ეს უცნაური, ღრმად ჩამჯდარი თვალის ჭრილიც ახსოვდა, ეს გამჭოლი მზერაც, მაგრამ საიდან?!

– ძალიან ვწუხვარ, – გაიმეორა უცნობმა და მძიმედ გაჰყვა ხალხის ნაკადს.

მაკა თითქოს ბურანიდან გამოერკვა, წამოიწია და მზერა დაადევნა.

უცნობი ეზოს ბიჭებთან ცოტა ხნით გაჩერდა და მალევე დატოვა ოთახი.

დასაფლავება მაკას ბუნდოვნად ახსოვს. სახლში ეზოს ბიჭებმა და გოგიტას ახლად შერთულმა ცოლმა ლიამ მოიყვანეს, შუაღამემდე

ისხდნენ და მაკას გამხნევებას ცდილობდნენ. მაკაც უსმენდა. იღიმებოდა თავისი სუფთა ბავშვური ღიმილით, მაგრამ არაფერი ესმოდა.

ღმერთო, როგორი ცარიელი იყო სახლი, როგორი ცივი და მიუსაფარი! გაწყდა ბმული. უკანასკნელი რგოლი ზრიალით დაასკდა ცივ ფილაქანს. აღარავინ იყო მის გარშემო.

მაკას ბოლოს და ბოლოს სავარძელზე ჩამოეძინა. ბიჭების დახმარებით ლიამ მაკა საწოლზე დააწვინა და საბანი დაახურა.

– გმადლობთ, – ჩუმად თქვა მაკამ და, როცა ყველანი გაიკრიფნენ და სახლში სიჩუმემ დაისადგურა, მაკას მეხსიერებაში უცბად გაკრთა უცნობის მზერის მწვანე ნათება და მაკამ გარკვევით გაიგონა ხმა:

– კარგი სიგარეტი ხომ არ გაქვთ?

ეს აჩიკო იყო, აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდა კაცი, მხატვარი. ლამაზი ხელის მტევნები ჰქონდა, გრძელი დაძარღვული თითებით, ნახატებს რუსთაველზე, ხან კი მშრალ ხიდთან ყიდდა. ერთხელ გადავაწყდი, ვერ მიცნო, არც გამკვირვებია – საკუთარ თავში ჩაკეტილი და მარტოსული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თვალი შევავლე სურათებს, შავ და რუხ ფერებში დახატულმა ატუზულმა ფიგურებმა მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა, მალე გამოვერიდე. კაცია და გუნება.

აჩიკო ჩვენი სახლის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, ბინა ჰქონდა ნაქირავები. ცხოვრობდა თავისთვის, თავისი არსებობით თითქოს არავის აწუხებდა. ბიჭებთან იშვიათად ნახავდით, ყველასთან თავაზიანი იყო და ძალიან თავშეკავებული. მზერას იშვიათად თუ გაუსწორებდა ვინმეს, ასე რომ, მარტო მაკამ თუ იცოდა, როგორი ლამაზი მწვანე თვალები ჰქონდა აჩიკოს და ამ მწვანე თვალების შემონათებას მაკა ყოველ დილით გულის-ფანცქალით ელოდა.

აჩიკო მოდიოდა თითქმის ყოველდღე და მაკაც ახვედრებდა მისთვის საგანგებოდ გადანახულ „კარგ სიგარეტს”.

აჩიკო ჯიხურის სარკმლიდან ამოხედავდა მაკას, გაუღიმებდა, ხან ვაშლს შეუგორებდა, ხან ბრჭყვიალა ქაღალდიან კამფეტებს დაუყრიდა, ხან თბილ სიტყვას შეაგებებდა და მაკას უსახური ცხოვრებაც ათასფერად იწყებდა ლივლივს... ოცნებობდა მაკა

– ოოო, რამდენს ოცნებობდა, რა ვეებერთელა და დაუნდობელი ფრთები აქვს ოცნებას, და რა დიდი ნეტარების მომნიჭებელია.

…და დაჰქროდა მაკა აღმა-დაღმა, არ დარჩენია სიმაღლე დაუპყრობელი და ზღუდე გადაულახავი. თავის მტკივან ფეხებს სწრაფ-სწრაფად მიაბაკუნებდა დილ-დილაობით, გული მირბოდა და ფეხები ვერ ეწეოდნენ, გულისცემა ყელში ებჯინებოდა, საცაა ბუდიდან ამოუხტებოდა, მაგრამ რა კარგი იყო.

იმ დღეს აჩიკომ თავისი მომუშტული ხელის მტევანი ძლივს შეაცურა ჯიხურის სარკმლის ღრიჭოში.

– რა გაქვს ხელში? – იკითხა მაკამ

– გაშალე და ნახავ, – მაკამ აჩიკოს ხელს თითები შეახო და უკან დაიხია. იგრძნო, როგორ აასხა სისხლმა და შებრუნდა.

– შენ თვითონ გახსენი, – თქვა ყრუდ.

– გავხსენი! – თქვა აჩიკომ სიცილით.

მაკა მობრუნდა, მის წინ ენძელების თაიგული იდო.

მაკას სუნთქვა შეეკრა და ღაპაღუპით იწყეს ცრემლებმა დენა.

– ტირი? – გაოცდა აჩიკო

– დედას უყვარდა ენძელები, – იცრუა მაკამ.

მაკა ორი დღე რუდუნებით უვლიდა ენძელების კონას და, როცა თავები ჩამოკიდეს, სათითაოდ დაკოცნა, ჩააწყო წიგნის ფურცლებს შორის, მერე წიგნი გულთან მიიკრა და პირველად თქვა:

– მიყვარს!

ირინას გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მაკას ცხოვრებაში. მოხდა ის, რასაც ჩვენს ეზოში არავინ ელოდა. ეზოს ბიჭები გვერდიდან არ მოსცილებიან მაკას, მისი არარსებული ოჯახის ნამდვილ წევრებად და მის თავგამოდებულ ქომაგებად იქცნენ. ბინა გაწმინდეს, პარკეტის ამოვარდნილი ფიცრები ახლით ამოავსეს, დაბზარული ფილები ჩაუსვეს, ფანჯრის ჩარჩოს ღრიჭოები დაგმანეს და ძველი მინები ახლით შეცვალეს.

ლიამ ძველი ფარდები ჩამოხსნა, საგულდაგულოდ დარეცხა და დააუთოვა, სამზარეულოს კარადები გამოუსუფთავა და ყველაფერი დამტვრეული სანაგვეში მოისროლა. ერიდებოდა მაკას, არ იყო ჩვეული ასეთ ყურადღებას, მაგრამ გული სიხარულით ჰქონდა სავსე… ყოველ საღამოს ათუხთუხებდა თავის დიდ მწვანე ჩაიდანს და ბიჭებიც არ აყოვნებდნენ. მოდიოდნენ და ხან მურაბას მოუტანდნენ, ხან შინ გამომცხვარი ღვეზლით გაანებივრებდნენ, თვითონაც რა ჰქონდათ, რო... სამსახურიდან მოსულები, დაღლილ-

დაქანცულები, ხშირად სტუმრობდნენ მაკას, რომ მისთვის მარტოობა არ ეგრძნობინებინათ და ცხოვრება რაღაცნაირად მაინც გაეხალისებინათ. მაკაც ტრიალებდა, როგორც შეეძლო და სულ იმას ნატრობდა, რომ აჩიკოსაც შემოეღო ერთხელ მისი სახლის კარი და ეს დღეც დადგა...

ლიამ მაკას დაბადების დღეზე ტორტი გამოაცხო, დიდი ტორტი იყო, დიდი, ორსართულიანი, ყავის კრემით, უგემრიელესი. ლიამ თავზე შოკოლადის მთელი ფილა დაახეხა და სანთლებიც ჩაარჭო. ბიჭებიც შემოიკრიბნენ, ერთი ბოთლი კონიაკი და ყვავილები მოუტანეს მაკას და აფუსფუსდნენ. მაკამ თავისი ათადან– ბაბას დროინდელი მწვანე ჩაიდანი შემოდგა ქურაზე და აჩიკოს ფანჯრებს მალულად გახედა. სინათლე არ ენთო.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ლევანმა კარისკენ გასწია:

– ვა, შენ აქ საიდან? – მოესმა მაკას ლევანის ხმა. გულში თითქოს ზარმა მძიმედ ჩამორეკა, სისხლი გაეყინა, თავს ძალა დაატანა და კარისკენ გაბაკუნდა.

აჩიკო იდგა წვიმისგან გალუმპული სველი თმებით და იღიმებოდა თავისი შეუდარებელი ღიმილით.

– მაკა, სტუმარი გყავს, – თქვა ლევანმა, – შემოდი. მაკა გაოგნებული იდგა და ხმას არ იღებდა.

– რა ზუსტად გაარტყი, თუ იცოდი, რომ დღეს მაკას დაბადების დღეა? – იკითხა გოგიტამ.

– არ ვიცოდი, – მშვიდად თქვა აჩიკომ, – მაგრამ... როგორც ჩანს, …მცოდნია, ეს კი შენთვისაა, მაკა, სწორედ შენი თვალების ფერია, გამომართვი.

მაკამ საჩუქარს ქაღალდი შემოაცალა, დიდი ცისფერი კერამიკული ჭიქა იყო ზედაპირზე ამოტვიფრული ყვავილებითა და კოხტა ყურით.

ლია კარს მიყრდნობილი ადევნებდა თვალ-ყურს ამ უჩვეულო შეხვედრას. მასაც უკვირდა აჩიკოს მოულოდნელი სტუმრობა, მაგრამ, როცა მაკას თვალებს შეხედა, ამ უზარმაზარ ბედნიერებისგან გაფართოებულ თვალებს, და მისი გულიდან ვულკანივით ამოხეთქილი ბედნიერების ტალღის წამლეკავი ძალა თითქმის ფიზიკურად იგრძნო, იქაურობას უმალ გაეცალა და ლევანი და გოგიტაც თან გაიყოლა.

– მოგწონს? – ჰკითხა აჩიკომ

– ძალიან, სად მონახე ასეთი ლამაზი? – ძლივს ამოთქვა მაკამ.

– იქ, ჩვენთან, ერთმა კერამიკოსმა მოიტანა და… ძალიან გგავდა შენ.

იმ საღამოს გვიანობამდე ჰყავდა სტუმრები მაკას. ბიჭები ხუმრობდნენ, მღეროდნენ. მაკას გიტარამ ისევ ამოიდგა ენა. აჩიკო ჩუმად იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და კონიაკს წრუპავდა. მაკას თავის დიდ ხელის გულებში მოექცია აჩიკოს ნაჩუქარი ჭიქა და ჩაის სმით ვერ ძღებოდა, მერე გაუბედავად მოჰკიდა გიტარას ხელი და სიმები აახმაურა. ოთახში უხერხეული სიჩუმე ჩამოწვა. არავის არასდროს ენახა ასეთი მაკა – ულამაზესი, წელში გამართული, და ყელმოღერებული. სად იყო ის ავადმყოფი გოგონა, რომელიც მხოლოდ თანაგრძნობას და შეცოდების გრძნობას აღძრავდა სხვებში?! მაკა სხვა ადამიანად ქცეულიყო, მის ცისფერ თვალებში აქამდე არნახული ცეცხლი გიზგიზებდა, მის ხმას კი ხავერდოვანი ტემბრი და გულის ძირამდე ჩამწვდომი ძალა მისცემოდა.

ასე შორად რად მაფრინე,
ნიავის მესხა ფრთები,
რა გინდა, რას მიპირებ?
ფრთებმა რომ მიმუხთლონ,
მოგიკვდები...

მღეროდა მაკა. ჩაქრა მისი ხმა. სიჩუმე არავის დაურღვევია. მაკამ მორცხვად გადადო გიტარა და გაიღიმა ისევ ძველებური თბილი და ბავშვური ღიმილით. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, არც კი იცოდნენ, რა ეთქვათ.

მარტო ლიას არ გაჰკვირვებია მაკას ასეთი გარდასახვა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და გული გამალებით უცემდა. ორი რამ კარგად შეიგრძნო იმ საღამოს ლიამ: ერთი – ის, რომ მაკას აჩიკო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, და მეორე – ის, რომ მის და გოგიტას დიდი ხნის ნანატრ შვილს ამქვეყნად მოსვლა ელოდა.

12 საათისთვის გაიკრიფნენ სტუმრები. მაკა კიდევ დიდხანს უჯდა მაგიდას და აჩიკოს ანთებულ ფანჯარას უმზერდა. მერე ცისფერი ფინჯანი ჩაბღუჯა და თავის ოთახში წაბანცალდა.

გარეთ ოქტომბერი იდგა და გადაუღებლად წვიმდა. მაკა დიდ ძველ კარადასთან მივიდა და კარი გამოაღო. დიდი, მღვრიე ლაქებით დაფარულ სარკეში დააკვირდა თავის სახეს, შემდეგ გაიხადა და ახლა შიშველი დადგა სარკის წინაშე. მართლაც რომ ლამაზი თვალები ჰქონდა, მარმარილოსავით თეთრი და პრიალა კანი, დედასავით

მაღალი და სავსე მკერდი, ყოველთვის მოხრილ მხრებს შორის რომ მალავდა. მერე მზერა თავის აცაბაცა ფეხებისკენ გაექცა, სარკე უსიტყვოდ მიხურა და გრილ საწოლში შეწვა.

წვიმას დიდი რაკარუკი ჰქონდა ატეხილი. უყვარდა მაკას წვიმის ხმა, იწვა ხოლმე და აყურადებდა, ახლა კი მალე წაართვა ძილმა თავი. ეძინა მაკას ცისფერი ფინჯნით ხელში. სიზმრად კი ენძელების უზარმაზარ მინდორს ხედავდა, ენძელები კი პატარები როდი იყვნენ, მაკას მკერდამდე სწვდებოდნენ და პურის ყანასავით ირწეოდნენ. აღარაფრის ეშინოდა მაკას, მის სხეულს წონა არ ჰქონდა. ბუმბულივით მსუბუქი იყო და ჰაეროვანი. მაკა სავსე მკერდით ისრუტავდა ენძელების გამაბრუებელ სურნელს და ლაღად მიაბიჯებდა გაუკვალავ მინდორზე.

იმ წელს ზამთარი მეტისმეტად ჭინჭყლი გამოდგა. ქარიან დღეებს თოვლიანი წვიმა ენაცვლებოდა. სახლში ციოდა, გარეთ კი სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა.

მაკა ყოველდღე დადიოდა ჯიხურში, გამათბობელს ხანდახან მთელი დღე ვერ ანთებდა, შუქი არ იყო, მაგრამ მაკა რის მაკა იქნებოდა – ძველ პალტოში შეფუთული, ხელებზე ხელთათმანებ-წამოცმული იჯდა, ყველას ღიმილით პასუხობდა და ელოდა, ელოდა აჩიკოს… ეს მოლოდინი გულს უხარებდა და გათოშილ სხეულში თბილ, უწყვეტ ნაკადად ეღვრებოდა.

იმ დილითაც სახლი მიალაგ-მოალაგა, ძველი პალტოს დიდი შავი ღილები ნიკაპამდე შეიკრა და კარისკენ გასწია.

კაკუნი გაისმა.

– შემოდით, – თქვა მაკამ და სახლის გასაღები ჯიბეში თითებით მოსინჯა.

გოგიტას ლევანი შემოჰყვა, ლევანს – მიხა, მიხას – ლექსო.

მაკას ღიმილი პირზე შეაშრა. რაღაც უცნაური იყო მათი ასე ერთად გამოჩენა, თან დილით, ამ დროს ყველანი სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ.

– მოხდა რამე? – იკითხა მაკამ ჩუმად და პირში სისხლის გემო იგრძნო.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ და ძალიან ერთნაირად უცნაურად იშმუშნებოდნენ.

– მოხდა რამე? – ახლა უკვე ხმამაღლა იკითხა მაკამ და გოგიტას თვალი გაუსწორა.

ბიჭები აწურულები იდგნენ და მაკას მზერას თვალს არიდებდნენ.

– აჩიკო? – ყრუდ იკითხა მაკამ.

– ხო, – თქვა… ლევანმა, – აღარ არის... გული გაუჩერდაო, ასე თქვეს.

ვერავინ გაბედა მაკასთვის აჩიკოს სიკვდილის ნამდვილი მიზეზის გამჟღავნება.

აჩიკოს დაცხრილული სხეული საღამოს ექვსი საათისთვის შემთხვევით მისულმა ბინის პატრონმა აღმოაჩინა.

III

ამ დღის შემდეგ მაკასთვის დრომ სვლა შეწყვიტა. მისი ისედაც დაცხრილული გულისთვის აჩიკოს სიკვდილი სრულიად შეუგუებელ და დაუჯერებელ ამბად იქცა.

ეკლესიის სამრეკლოსთან მტრედები ფრთხიალებდნენ.

აჩიკოს ცხედარი სწორედ იმ ეკლესიაში ესვენა, სადაც მაკა ერთ დროს სანთლებს ჰყიდდა. …

მაკა აქ იყო, ეკლესიის კუთხეში გაუნძრევლად მდგარი. მის წინ უამრავი ხალხი ირეოდა, მაგრამ მარტოობისა და მიუსაფრობის უსაშველო და უძირო ტკივილი სულს უხუთავდა. თაფლის სანთელი ხელით ჩაებღუჯა და ალზე ალიცლიცებულ ხატებს გაშტერებით უმზერდა თავისი უზარმაზარი ცისფერი თვალებით. სანთლის ნაღვენთი ხელს უწვავდა, მაგრამ მაკა თითქოს ვერც გრძნობდა ამას, რაღაცნაირად ყველაფერი სულერთი იყო მისთვის. ყვავილებისა და საკმევლის სუნი ნესტოებს უწვავდა. იდგა გახევებული, თვალმშრალი. ბიჭებმა არაერთხელ სცადეს სკამზე დაესვათ, მაგრამ არ დაჰყვა, თითქოს არც გაუგონია მათი ნათქვამი. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გასვენების დრო დადგა და ხალხმა გარეთ გაკრეფა იწყო, ყრუდ აარაკუნა თავისი ყავარჯენი და თავაწეული გასასვლელისკენ დაიძრა. გარეთ გავიდა და კარისკენ ზურგით დადგა, ლევანმა ხელი მოხვია და მკერდისკენ მიიზიდა. მაკა იოლად დაჰყვა. ცრემლი არ ჩამოვარდნია. არც ეკლესიაში და არც სასაფლაოზე უტირია, არც მანქანიდან გადმოსულა, ეს იყო მხოლოდ – ჯიბიდან რაღაც ამოიღო და გოგიტას გაუწოდა. ენძელების კონა იყო. გოგიტამ მიწაში ჩააყოლა

აჩიკოს ენძელებად ქცეული მაკას მდუღარე ცრემლი. ბიჭებმა – ჭიქა წავუქციოთო – და გოგიტასთან ავიდნენ, ლიას ბიჭებისთვის სუფრა უკვე გაეშალა. მაკას დანახვაზე ცრემლები წასკდა, მაგრამ თავი შეიკავა. რაც სახლში ჰქონდათ, დაუზარებლად გამოიტანა და დატრიალდა. ფეხმძიმობა უკვე კარგად დასტყობოდა, მაგრამ კოხტა მუცელი ჰქონდა. ლიამ მაკა დასვა და მხრებზე შალი მოახურა:

– ალბათ, გაიყინე! – უთხრა ლიამ.

– მე? არა! – თქვა მაკამ.

მერე ლიას მუცელს ფრთხილად ხელი დაადო და ჩუმად თქვა:

– ტყუპია!

– საიდან იცი? – გაეცინა ლიას.

– ვგრძნობ!

– მართლა რომ იყოს…

– აი, ნახავ…

ბიჭებმა ჭიქები შეავსეს და აჩიკოს ჭიქა წაუქციეს. გარეთ ნელ-ნელა ღამდებოდა. ბარდნიდა მშვიდად, დიდი, დიდი ფანტელებით. სინათლე ისევ ჩაქრა და ლიამ თუნუქის ღუმელს შეშა შეუკეთა, ბიჭებმა სანთელი აანთეს. მაკა გაუნძრევლად იჯდა, არაფერი უჭამია, ბიჭებსაც არ დაუტანებიათ ძალა. ლიამ რამდენჯერმე გამოლა-პარაკება სცადა, მაგრამ ამაოდ, მაკა საუბარში არ აჰყვა. შეშა ატკაცუნდა და სახლში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა მაკა ღუმელთან გადაჩოჩდა, თავისი უზარმაზარი ხელები ცეცხლს მიუფიცხა და მიყუჩდა. ბიჭები სვამდნენ და ლაპარაკობდნენ. ლიამ დაინახა, როგორ აიფარა მაკამ სახეზე ხელები და როგორ დაიწყეს ხტუნვა-თამაში მისმა გამხდარმა მხრებმა. მაკა ტიროდა ჩუმად, ყრუდ, გულამოსკვნით, მისი სულის კივილი, ნება რომ მიეცა, ალბათ, ყველაფერს წალეკავდა ირგვლივ და მტვრად აქცევდა, მაგრამ… მაკამ, ბავშვობიდან მარტოსულმა და მიუსაფარმა, კარგად იცოდა, რომ მისი ტკივილი მხოლოდ მისი ტკივილი იყო, ტვირთი, რომლის არსებობითაც არავის შეაწუხებდა და არც ტარებით დაუმძიმებდა მხრებს ვინმეს.

– წავალ, – თქვა ჩუმად და წამოდგომა სცადა, ლექსომ ხელი შეაშველა.

– დარჩი, აბა რა უნდა აკეთო სახლში?

– რასაც ყოველთვის ვაკეთებდი, – გაეცინა მაკას და ხელები გაშალა, – ახლა საფიქრალიც მეტი მაქვს… სადარდებელიც… ესეც საქმეა. ლევანის მკლავს დაყრდნობილი მაკა ნელ-ნელა მიუყვებოდა

ჩაბნელებული სადარბაზოს ვიწრო კიბეებს. დათოვლილი ეზო გადაჭრეს და მაკას სახლის კიბეებთან მივიდნენ.

– აქედან მე თვითონ მივალ, – თქვა მაკამ და კიბეებს მძიმედ აუყვა.

გამჭოლ სადარბაზოში მიძინებულ ქარს მაკას ყავარჯნის რაკა-რუკზე გამოეღვიძა და აშრიალდა.

სახლში ციოდა და ბნელოდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ მაკას თავისი ბინა ახლა განსაკუთრებით გამოყრუებულ-გამოცარიელე-ბული ეჩვენა.

ლევანი ბიჭებთან აღარ დაბრუნებულა. სახლში წავიდა და დაწვა. დაძინება სცადა, მაგრამ თითქოს მაკას სატკივარმა მასთან გადმოინაცვლა: ადგილს ვერ პოულობდა, წრიალებდა, ბოლოს ჩასთვლიმა, მაგრამ შუაღამისას გამოეღვიძა. ეკლესიის ზარების რეკვის ხმა ესმოდა, ხედავდა, ნისკარტებით როგორ ექაჩებოდნენ თოვლივით თეთრი მტრედები ზარის ენაზე გამობმულ ბაგირს, ჩამორეკავდნენ ზარს და უსულოდ ცვიოდნენ გაუვალ თოვლში. ზარი ისე მკაფიოდ ჟღერდა, ვერ გაერკვია, ცხადი იყო თუ სიზმარი.

ლევანი წამოჯდა, გული გამალებით უცემდა, ფარდა გადაწია. თოვლს კარგად დაედო. უჩვეულო ღამე იყო, დიდფანტელა და მშვიდი. ყველას ეძინა. ამ უზარმაზარ შენობაში მარტო მაკას ფანჯარა იყო სანთლის შუქით განათებული და ეს სინათლე რაღაცნაირად თვალს აბრმავებდა.

აივანზე გავიდა. ფანტელებსაც კი ეძინათ, ზანტად ეშვებოდნენ, ტრიალიც კი ეზარებოდათ. ლევანი აივანს დაეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა. მაკას არ ეძინა. რა დააძინებდა: შორს, სადღაც მთის წვერზე, სველ, გაყინულ მიწაში აჩიკო პირველ ღამეს ათევდა.

მაკამ სამზარეულო გადაჭრა და მისი ჩრდილი უზარმაზარი გამოჩნდა სანთლის შუქზე.

– ჩემო პატარა მაკა, – რამდენი სიმწარე გარგუნა ბედმა, – გაუელვა თავში, – ასეა ცხოვრება. მარტო უფალმა უწყის, ვის რა გვიწერია. …„Помолись, дружок, за бессонный дом, за окно с огнем”, – გაახსენდა ცვეტაევა.

ციოდა, საფეხურები თოვლის თხელ შეყინულ ფენას დაეფარა. ფეხი სხლტებოდა.

მაკამ ხის ყავარჯენი იღლიის ქვეშ ამოიჩარა, გაქექილი ხელთათ-მანები მაჯაზე ჩამოიქაჩა და ნელ-ნელა ჩაუყვა კიბეს.

ხის ყავარჯენი ყრუდ ახმაურდა შეყინულ ასფალტზე.

მაკა ჯიხურთან მივიდა, გასაღები კარის ღრიჭოს მოარგო, ძველი პალტოს გრძელი კალთები აიკრიფა და ჯიხურში შეიმალა. ხელის ცეცებით უმალვე მიაგნო გადამალულ სიგარეტის კოლოფს და კუთხეში სათუთად დადო.

– მოვა და მეც მზად მექნება! – გაუელვა ჩვეულმა აზრმა. დარაბა გახსნა და რძისფერ ცას ახედა.

„ალბათ, ისევ მოთოვს, ან არ მოთოვს. გაზაფხულამდე ჯერ შორია”.

ჯიხურში, როგორც ყოველთვის, ყინავდა, სინათლე არ იყო, მაკამ გამათბობელი ფეხით სკამის ქვეშ შეაცურა და შუშა ასწია.

– დღევანდელი გაზეთები არ გაქვთ? – მოესმა უცებ.

– ჯერ ადრეა, ალბათ, თერთმეტისთვის მოიტანენ.

– ასე გვიან?

– დაახლოებით ამ დროისთვის მოაქვთ ხოლმე, თუ გნებავთ, შეგინახავთ.

– მნებავს, – გაეცინა უცნობს, – სულ ჩემს ნებაზეა აწყობილი ეს ქვეყანა, აი!… მაგრამ ორი პროგრამა შემინახე (მაშინვე „გადიდკაცდა” პატარა კაცი, შენობით დაიწყო ლაპარაკი, ტონიც „გაუდიდკაცდა”).

– შეგინახავთ, არ დამავიწყდება! – თქვა მაკამ.

– აბა შენ იცი, პატივისცემა ჩემზე იყოს, – გაიღრიჭა „ბატონი” და ჩამომდგარ ავტობუსს ძუნძულ-ძუნძულით აედევნა.

ჯიხურს პატარა სატვირთო მანქანა მოადგა, კეპიანი კაცი მკვირცხლად ჩამოხტა და ზაალთან მივიდა.

– მოვიტანე, დავცალო?

– სამი ყუთი აქ დატოვე, დანარჩენს საწყობში დააწყობ.

– კარგი… ისე, შენთან ხომ მშვიდობაა?..

– თითქოს. რატომ მეკითხები?

– გავიგე, ვიღაც მოუკლავთ აქ, თქვენს უბანში…

– ხო, ბევრი ხმაურია ამ ბიჭის ირგვლივ.

– იცნობდი?

– რა მაქვს მაგისთანებთან საერთო, ისე, ვიცოდი… ერთი ნარკო-მანი იყო, ძაღლივით ჩაკლეს.

მაკა გაირინდა, სისხლი გაუჩერდა.

– საიდან იცი, რომ მოკლეს. …

– ჩემი შვილისგან. მაკა ძლივს წამოდგა.

– მილიციაში დარეკეს, – არ ცხრებოდა ზაალი.

– როგორ თუ მოკლეს?

– აი, ასე. … ექვსი ტყვია ჰქონია მოხვედრილი. ახია მაგისთანებზე, სულ წავიდნენ ხელიდან, საწყალ და პატიოსან ხალხს ყვლეფენ და ძარცვავენ, – თქვა ზაალმა და კეპიანს ბოთლებიანი ყუთის ჩა-მოდგმაში ხელი შეაშველა.

– ეს ვინაა პატიოსანი, თქვენ? – იკითხა მაკამ და თვითონვე შეაკრთო თავისმა ხმამ. ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს ვიღაც გვერდით ედგა და მისი ხმით ლაპარაკობდა.

ზაალმა გაოგნებულმა ამოხედა ქვევიდან.

– მოხდა რამე, მაკა?

– აჩიკო არავის მოუკლავს…

– მოკლეს-მეთქი, ახლა მე მასწავლე!

– ყველა თქვენნაირი ნუ გგონიათ…

– რაო? – ყურთან ხელი მიიტანა ზაალმა, – რა თქვი?

– ყველა თქვენნაირი ნუ გგონიათ-მეთქი, – ყრუდ გაიმეორა მაკამ და თვალი გაუსწორა.

– ამანაც რომ ხმა ამოიღო, რასაა, რომ ამბობ, შე ღვთის გლახა, შენა! ააა! სულ დამავიწყდა… ესენი ხომ შენი უახლოესი მეგობრები არიან.

– თავი დაანებე, – თქვა კეპიანმა, – ვერ ხედავ?…

– რომ ვხედავ, იმიტომ ვეხმარები. მე რომ თავი დავანებო, ვინ ეყოლება პატრონი, ესენი? – ზიზღით მიმოიხედა ზაალმა, – მე რომ არ ვიყო, შიმშილით ამოსძვრებოდა სული, ვაიიი, ვირო, მადლიო, ხომ გაგიგია?..

მაკა გაფითრებული იდგა, კრიჭა შეჰკვროდა, კანკალს აეტანა. ზაალს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ვიღაცის ღონიერი ხელი მოხვდა სახეში. შეტორტმანდა, მაგრამ დაცემისგან კეპიანმა იხსნა.

გოგიტა იყო.

– შენა ხარ ამის პატრონი, შე მათხოვარო, … ეს საცოდავი გოგო დღე და ღამე ამ გაყინულ ყუთში გიზის და იმ კაპიკებსაც არ უხდი, რასაც დაჰპირდი. კაცი ხარ შენ? კაცი კი არა, სალახანა ხარ, შენი...

ზაალი გოგიტასკენ გაქანდა, მაკამ შუაში ჩადგომა სცადა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და მთელი ძალით დაასკდა გაყინულ მიწას. კიდევ კარგი, ძველმა პალტომ იხსნა დამტვრევისგან.

ატყდა ერთი ამბავი, გაწევ-გამოწევა. მაღაზიებიდან ხალხი გამოიშალა და გაშველებას შეუდგა.

– დავაჭერინებ შენს თავს, აი ნახავ, არ გეგონოს, შენი ფეხმძიმე ცოლის გამო დაგინდობ!

– შენი დიტო კარგი კაცი რომ იყოს, შენისთანებს დაიჭერდა პირველ რიგში, – თქვა გოგიტამ და გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მუშტით მოიწმინდა.

მაკა მიწაზე იჯდა და თვალებზე ხელაფარებული ყრუდ სლუკუნებდა. სახე ტალახით ჰქონდა მოსვრილი და ღვარად სდიოდა შავი ცრემლები...

ბიჭებმა ფეხზე წამოაყენეს, სუნთქვა უჭირდა, თითქოს ერთიანად დამძიმდა, ფეხებს ვერ იმორჩილებდა. ჩოჩიალ-ჩოჩიალით მაინც მივიდა გოგიტასთან და ჩუმად თქვა:

– მაპატიე, არ მინდოდა. წამოდი, პირი მაინც მოიბანე, ასე ლიას ნუ დაენახვები.

გოგიტა და მაკა ნელ-ნელა აუყვნენ სადარბაზოს კიბეებს.

სამი დღის შემდეგ, დაახლოებით ღამის პირველ საათზე ისევ ერთი ამბავი ატყდა ეზოში. ზაალის ჯიხურს ცეცხლი ეკიდა, ხეს ტკაცატკუცი გაუდიოდა და ალი ცისკენ სულ ნაპერწკლების ცვენით იწევდა. გამწარებული ზაალი თავისი ვაჟით დიტოთი და ოჯახის სხვა წევრებით წყლიანი კასრებით დარბოდა აქეთ-იქით და ხალხს დასახმარებლად უხმობდა. არავინ გამოსულა. ეზოს ბიჭები ჯიბეებში ხელჩაწყობილები იქვე შორიახლოს იდგნენ და ადგილიდან არ იძროდნენ.

– თქვენი მოწყობილია ეს ყველაფერი, – დაისისინა ზაალმა.

– როგორ მიხვდი, – შეეპასუხა მიხა.

– არ შეგარჩენთ.

– აბა, შენ იცი. …

ლევანმა აივნიდან გადმოიხედა.

– რა ხდება?

– „ქაჯანას” ახალ ვერსიას ვიღებთ, ჭიაკოკონობის სცენას ამჯერად. ჩამოდი, თუ გინდა, გადაგახტუნებთ, – ამოსძახა თედომ.

– მართლაც რომ კარგადაა დადგმული… შთამბეჭდავია, – გაეცინა ლევანს.

– აბა, რა გეგონა, „პროფესიონალი”.

ზაალს დიდხანს სირბილი არ დასჭირვებია. მისი ჯიხური ბოლომდე ჩაიწვა და ჩაიფერფლა.

– მორჩა კინო, – თქვა ლექსომ, – მთავარი გმირი მართლაც რომ მაგრად თამაშობდა, ჰა, რას იტყვით?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და უხმოდ დაიშალნენ.

ღამით მოთოვა.

დილით გამოსულ მეზობლებს ზაალის თავმომწონე ჯიხურის ნაცვლად აგურით ამოშენებული სამი გაჭვარტლული საფეხურიღა შერჩათ ხელში.

IV

ის დღე იყო და მაკამ გარეთ გამოსვლა შეწყვიტა, სახლში ჩაიკეტა. გარე სამყაროს გაემიჯნა, რაღაცნაირად თითქოსდა ერთიანად დაპატარავდა, თვალები ჩაუქრა, თითქოს ფერიც კი შეეცვალა და უღრუბლო ცისფერი თვალები ნაცრისფერი გაუხდა.

საღამოობით მისულ ბიჭებს ისევ ხალისით ხვდებოდა, უთუხთუხებდა თავის მწვანე ჩაიდანს და ღიმილით ეპატიჟებოდა სუფრასთან, მაგრამ ძირითადად ჩუმად იჯდა მაგიდის კუთხეში და ვითომდა მათ საუბარს ადევნებდა თვალყურს, თუმც აშკარა იყო, რომ მაკას გონება სულ სხვაგან იყო. აჩიკო არასდროს უხსენებია, არც ბიჭებს დასცდენიათ სიტყვა, მაგრამ დიდ ხელისგულებში მოქცეული ცისფერი ფინჯანი და ქრისტეს ჯვარცმასთან მუდმივად მოლიცლიცე სანთელი აჩიკოს არათუ ხსოვნის, არამედ მაკას ცხოვრებაში ცოცხლად არსებობის ნათელი დასტური იყო.

ერთ დღესაც სანახავად მოსულ ლიას მაკა უცნაურად აფუსფუსებული დაუხვდა. მაკა ტრიალებდა და რაღაცას მეტად საქმიანად ფუთავდა. ლიას მაკას ისედაც ცარიელი სახლი მთლად გამოშიგნული ეჩვენა.

– რას აკეთებ? – ჰკითხა გაოცებულმა.

– სწორედ შენი და გოგიტას ნახვა მინდოდა, დროზე მოხვედი. ლიამ ოთახს მოავლო თვალი, სერვანტის თაროები ცარიელი იყო. …

– სადაა შენი ლურჯი სადილის სერვიზი, – გაყიდე? – გაოცდა ლია.

– აქ, – მიუთითა მაკამ მუყაოს მოზრდილ ყუთზე.

– კი მაგრამ, რატომ ფუთავ?

– მივემგზავრები…ცოტა ხნით და მინდა თქვენთან იყოს.

– სად… მიემგზავრები?ვისთან?

– ახლობლებმა დამირეკეს და თავისთან დამპატიჟეს.

– ვინ ახლობლებმა, მაკა, სად?

ლია აწრიალდა, გრძნობდა, რომ მაკა რაღაცას არ ეუბნებოდა.

– დედას გარდაცვალება ახლა გაუგიათ და...

– და რა?

– დამპატიჟეს…

– შენ იცნობ?

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ხალხია, ისე როგორ წავიდოდი. აი, ერთ გასაღებს გიტოვებ, ხანდახან დახედე ხოლმე აქაურობას.

– კი მაგრამ, ვინ შემოვა აქ, ვინ წაიღებს ამ სერვიზს?

– ლია, შენც კარგად იცი, რომ ამის მეტი არც არაფერია წასაღები ამ სახლიდან, თქვენზე ახლობელი კი მე არავინ მყავს და უფრო მშვიდად მექნება გული. შენთვის მძიმეა, ხელი არ მოჰკიდო, გოგიტა აიტანს.

– როდის მიდიხარ, რითი და როდის აპირებ დაბრუნებას?

– ლია მექანიკურად უსვამდა შეკითხვებს, გული კი ფორიაქით ჰქონდა სავსე.

– ხვალ მატარებლით, ბილეთი უკვე დაჯავშნულია, დაბრუნებით კი – მალე… ორ-სამ კვირაში… ნეტავ, ვის რაში ვჭირდები ან აქ და ან – იქ, – გაეცინა მაკას.

– ჩვენ გვჭირდები და ეს შესანიშნავად იცი!

– ვიცი, – თქვა მაკამ და ლიას მოეჩვენა, რომ მაკამ მზერა აარიდა, ცრემლი დამალა.

– შენს პატარებს მიხედე, მე მალე ჩამოვალ!

– გოგიტა გაგაცილებს!

მაკამ მხრები აიჩეჩა.

– კარგი! ხვალ ექვსი საათისთვის შემომიაროს, თუ დრო ექნება. მატარებელი რვის ნახევარზე გადის, თუ არა და, ტაქსის გამოვიძახებ…

– არა, მაკა, გოგიტა ან ლევანი აუცილებლად მოვლენ.

ლია მაკას მიუახლოვდა და მოხვევა სცადა. მაკა თითქოსდა დაჰყვა, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან დაუსხლტა და თავისი ოთახისკენ ჩქარი ნაბიჯით გაბაკუნდა.

ლია მიხვდა, რომ მაკა ტიროდა. ამიტომ ჩუმად გაიხურა კარი და გაეცალა.

მეორე დღეს საღამოს 6 საათზე მოსულ გოგიტას კარებში მაკას წერილი დახვდა. თავისი ბატიფეხურით მაკა წერდა: „ადრე მომიწია გამგზავრება, ძალიან მომენატრებით, დიდი მადლობა ყველაფ-რისთვის, თქვენი მაკა".

გოგიტამ გასაღები გადაატრიალა და ოთახში შევიდა. ოთახის შუაგულში მუყაოს მოზრდილი ყუთი იდო...

მართლაც რომ უცნაური იყო ეს ყველაფერი…

განვლო ორმა კვირამ, სამმა. მაკა არ გამოჩენილა. ბიჭები აწრიალდნენ, მილიციაში მივიდნენ და განცხადებაც დატოვეს.

– თქვენ მისი ვინა ხართო? – ჰკითხეს.

– ახლობლებიო, – უპასუხეს.

– „ახლობელი" ფართო ცნებაა, იმ ქალს ნათესავი და კანონით თქვენზე მეტი გულშემატკივარი არავინ ჰყავსო? – დაინტერესდა მილიციელი.

– რამდენადაც ვიცით, არაო, – მხრები აიჩეჩეს ბიჭებმა.

– აბა თქვენ, ბინა გაინტერესებთო, – სიტყვა შეაგება თავისი გამჭრიახობით კმაყოფილმა მილიციელმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ დატოვეს მილი-ციის განყოფილება.

თებერვალს მარტი მოჰყვა, მარტს – აპრილი. გოგიტას და ლიას ტყუპები შეეძინათ – გოგო და ბიჭი, სანდრო და ელენე.

მაკა მართლაც უკვალოდ გაქრა, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ ლია და ბიჭები მაინც არ კარგავდნენ იმედს და მის დაბრუნებას ყოველდღე ელოდნენ.

ერთ საღამოს სახლში დაბრუნებულ გოგიტას ლია ფანჯარასთან ზურგით მდგარი დაუხვდა. მისი მოსვლა ლიას თითქოსდა არც კი გაუგია. პატარა ელენე საწოლში იდგა და ბუქნავდა, სანდრო კი ფეხშიშველა დაბაჯბაჯებდა და მაწოვარას პატარა თითებით ჭმუჭნიდა.

შუშაბანდში მუყაოს თავახდილი ყუთი იდო. გოგიტამ მაშინვე იცნო მაკას ლურჯი სადილის სერვიზი.

– ლია! – დაუძახა გოგიტამ, – მაკა დაბრუნდა?

ლიას მოულოდნელად მხრები აუთამაშდა და სახეზე ხელი აიფარა.

– არ მეტყვი, რა მოხდა? – შეშინდა გოგიტა, – რატომაა მაკას ყუთი გახსნილი? დაბრუნდა?

– არა! – თავი გააქნია ლიამ, – არ დაბრუნებულა და… არც დაბ-რუნდება.

– საიდან იცი, რამე შეიტყვე, აღარ იტყვი?

ლიას ლაპარაკი უჭირდა

მაკას სერვიზის გარეცხვა და ხელახლა ჩალაგება გადავწყვიტე და აი, რა ვიპოვე, – ძლივს თქვა ლიამ და მუჭი გაშალა – ლიას ხელისგულზე ოქროს ბეჭედი იდო, შუაში მოზრდილი ვარდისფერი ქვითა და ირგვლივ გამჭვირვალე ბრჭყვიალა თვლებით მოოჭვილი, და ელვარებდა.

„ბედნიერი ვიქნები, თუ ატარებ ჩემს მოსაგონებლად. მაკა” – ეწერა პატარა ქაღალდზე.

სანდრომ და ელენემ ფეხი კარგად აიდგეს და ენაც ამოიდგეს. მაკა კი არ ჩანდა.

გაზაფხულის პირს მიხას და ლევანს მუხათგვერდის სასაფლაოზე მოუწიათ ასვლა. გზად აჩიკოს საფლავზე შევლა გადაწყვიტეს.

– ქვემოთ ნამდვილი გაზაფხულის სურნელი ტრიალებს, აქ კი… თითქოს ისევ ზამთარი დგას. არ მიყვარს აქ მოსვლა, – თქვა მიხამ.

– ვის უყვარს რო?

– არც არავის, მაგრამ აქაურობა რაღაც ნამეტანი მოწყვეტილია.

– სამაგიეროდ, ხედია ლამაზი, ნახე, ჯვარი ხელისგულივით მოჩანს, ზაფხულში არაჩვეულებრივი სანახავია.

– ხედი „აქაურებს” დიდად არაფრად სჭირდებათ… რაც შემეხება მე, სულ არ მხიბლავს, ხედი კი არა და… კარგი იყო, სასმელი წამოგვეღო…

– სხვა დროს იყოს.

მიხა და ლევანი მძიმედ მიაბიჯებდნენ თოვლში.

– აი, ეს უნდა იყოს აჩიკოს საფლავი.

– ხო, ესაა, ნეტავ, ვინმე თუ მოდის.

– ნახე, ენძელები, – გაოცებულმა თქვა მიხამ.

– აბა?…

თოვლიდან თავი ამოეყოთ ენძელებს.

– მართლა საოცრებაა, საწყალი მაკას ცრემლი უნდა იყოს. …

– ვინ იცის, იქნებ, მართლაც ასეა. …

მიხამ ჯიბიდან სანთლები ამოაძვრინა და ასანთს გაჰკრა.

– მაინც რა ბედი ჰქონია ამ უბედურს!…

– ვის?

– აჩიკოს.

– რას გულისხმობ?

– საცოდავად იცხოვრა და საცოდავად წავიდა.

– ხო, მაგრამ როგორ უყვარდა მაკას!

– ხო, უყვარდა, მართლა ძალიან უყვარდა და სულ მიკვირს, რატომ?

– აბა, რა ვიცი. შენ თუ ჰყვარებიხარ ასე ვინმეს?

– არ ვიცი, არავის არაფერი უთქვამს და… ალბათ, არა. ეტყობა, არ ვიმსახურებ, – თქვა ლევანმა, – ისე, ცუდი არ უნდა იყოს.

– „დამსახურება" აქ არაფერ შუაშია, გენატრება მაკა?

– იცი, მენატრება, ძალიან მენატრება, მაგისთანა სუფთა და ხალასი ადამიანი არც შემხვედრია და, ალბათ, აღარც შემხვდება. „ჯანსაღ სხეულშია მარტო ჯანსაღი სულიო", რა სისულელეა.

– ისე, მართლაც რა უცნაურია, რომ ენძელები მარტო აჩიკოს საფლავზეა მიმობნეული, – თქვა ლევანმა.

ლევანს ბათინკის ძირზე აკრულმა თოვლიანმა ტალახმა ფეხები დაუმძიმა, მიმოიხედა, იქვე, საფლავის შორიახლოს, მიწიდან ამოჩრილ ხის ნაგლეჯს მოჰკრა თვალი, მიუახლოვდა და ღონივრად დაჰკრა ფეხი. თოვლიდან ამოტყორცნილი სველი მიწის გორახი პირდაპირ სახეში ეცა ლევანს.

– რას შვრები, ბიჭო, გაგიჟდი? – ამოსძახა მიხამ და სახელოების ბერტყვას შეუდგა.

– ფეხსაცმლის ძირის გაწმენდა მინდოდა და, – სიტყვა გაუწყდა ლევანს, – მიხა, … მოდი, – თქვა და ჩაიმუხლა.

– რა იყო?

– მოდი, რაღაც უნდა გიჩვენო.

მიხა და ლევანი უხმოდ დასცქეროდნენ მიწას. თოვლიან მიწაზე ყავარჯენი იდო. სამი სანთელი ჩუმად იღვენთებოდა თოვლიდან წამოყელყელავებულ ენძელებს შორის…

მაკას მალევე გამოუჩდნენ „უახლოესი ნათესავები". მათ დიდი მონდომებით, "დიდსულოვნად" ეხმარებოდნენ და მფარველობას უწევდნენ ზაალი და მისი ვაჟი დიტო.

ბინაში დაუყოვნებლივ გაკეთდა ევრორემონტი და მალევე სარეცხის თოკები ბავშვების ჭრელაჭრელა სარეცხით დაიხუნძლა და დამძიმდა.

ბიჭებს იქით გახედვაც კი უჭირდათ. მაკა მათ მეხსიერებას სისუფთავის, ერთგულებისა და თავდადებული სიყვარულის განსახიერებად შემორჩა. მაკას ხატება მათ სულებში ჩაიკირა და განუყოფელ ნაწილად იქცა.

ახლა ლია გადმოიღებს ლურჯი სადილის სერვიზის თეფშებს და სანდროსა და ელენეს უამბობს ამბებს მამაცი მხედარი ქალის, მაკასა და მისი მეგობრების შესახებ. თან თითით აჩვენებს, რომ ეს არაჩვეულებრივი ადამიანი აი, იიიიმ ფანჯარაში ცხოვრობდა. არ ვიცი, რამდენად ესმით ეს ყველაფერი სანდროს და ელენეს, მაგრამ დედის ნაამბობს პირდაღებული უსმენენ, კოხტა თავებს ატრიალებენ და თითქოს აი, იიიიიმ ბნელ ფანჯარაში მაკას დანახვას ცდილობენ.

ასე იყო და ასე იქნება.

იყო და არა იყო რა, … იყო მაკა.

ისე, მართლა… „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიო” – ვინა თქვა ეს? სისულელეა ეს ყველაფერი.

ქეთიმ ძლივს გამოაღო შუშის მძიმე კარი და განიერ საფეხურებს ფრთხილად დაუყვა.

ეწვიმა.

შავ ცაზე ქარი ლურჯ ღრუბლებს არხეინად მიერეკებოდა. ღამე აქა-იქ გუბეებში ვარსკვლავებს ფანტავდა.

ქეთიმ ჟაკეტის საყელო აიწია, ფული ჯიბეში ხელით მოსინჯა და საათს დახედა. 9-ს გადაცილებული იყო.

– იღელვებენ! – გაუელვა თავში და მობილურს დასწვდა. ახლაღა გაახსენდა, რომ მობილურის დამუხტვა დავიწყებოდა და ქუჩის ავტომატს თვალებით დაუწყო ძებნა.

ავტომატი ახლომახლო არ ჩანდა. ქეთიმ ნაბიჯს აუჩქარა, სულ რაღაც ორ-სამ ქუჩას გადაჭრიდა და უკვე მეტროს სადგურს მიადგებოდა.

აი, დიდი თაღიც გამოჩნდა, წვიმამ ისევ დაუშვა და ქეთის ფეხ-დაფეხ მიჰყვა. ქეთიმ ძლივს შეასწრო მეტროში.

ბაქანზე რამდენიმე ადამიანი იდგა. მატარებელი კი არა და არ ჩანდა. ქეთი ნერვიულად გაჰყურებდა ბნელ სველ ლიანდაგებს და მატარებლის გამოჩენას მოუსვენრად ელოდა.

შორს... მანჰეტენი ბრდღვიალებდა ანთებული კელაპტრებივით.

მალე სიბნელიდან ამოვარდნილმა ორმა განათებულმა ფარმა თვალი დაუბრმავა ქეთის და მატარებელიც გრუხუნით მოადგა ბაქანს.

ვაგონში თბილოდა. ერთ კუთხეში ორი ახალგაზრდა იჯდა, ხმამაღლა იცინოდნენ და ნერვიულად აწვალებდნენ მობილურს. ქეთი გამოერიდა. მოშორებით შავკანიან ჩასკვნილ ქალს მოჰკრა თვალი. ქალი თვლემდა, ფუმფულა მკლავები მეტად შთამბეჭდავ მკერდზე გადაეჯვარედინებინა და ცხვირი ნიკაპის ჩათვლით ორ რბილ ბალიშში ღრმად ჰქონდა ჩაფლული. ქეთის რატომღაც სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა, სიმშვიდისა და სიმყუდროვის. შავკანიან ქალს გვერდით ფრთხილად მიუჯდა და ისე მიეფიცხა, როგორც ყინვიდან შემოხეტებული მგზავრი აგიზგიზებულ ღუმელს. ქალი თვლემდა და ისე ფრუტუნებდა, როგორც ძველი ჩაიდანი – მშვიდად, რიტმულად, თითქოს მატარებლის მუდმივი მგზავრი ყოფილიყოს და არასდროს დაეპირებინოს გაღვიძება. უცებ ბებია

გაახსენდა, მისი ხმელი და თბილი ხელები, ბავშვობის ცისფერი ფინჯანი და დაბრაწული ყიყლიყოები. ახლა ის კაკაოც უყვარდა, მაშინ თვალის დასანახავად რომ ვერ იტანდა. რძე მაშინვე ნაღებს მოიგდებდა თავზე. ქეთის ნაღები ჭირივით სძულდა, ამიტომ უბერავდა მანამ, ვიდრე ცხელ რძეს ნაღების ზეწარივით აფრიალებულ თავსაბურავს არ მოხდიდა, რძე ლამბაქზე იღვრებოდა, ბებია კი ბრაზობდა. ამ მოგონებას ახლა ფინჯანივით ცისფერი დაჰკრავდა.

მატარებელმა დაჰკივლა.

ქეთიმ საათს დახედა და კვლავ შფოთის ეშმაკუნებმა დაიწყეს სისხლთან თამაში...

– გაგიჟდებიან! – ეს აზრი პატარა ჩაქუჩივით მონოტონურად ურტყამდა თავში... წარმოიდგინა, როგორ წრიალებდნენ ბავშვები, ქმარი ფანჯარას არ სცილდება და ყოველი ავტობუსის მოახლოებას ნერვიულად ადევნებს თვალყურს... ქეთი კი სულ არ ჩანს და არა... რა აღარ მოგივა ამ დროს თავში!..

მატარებელმა სვლას უმატა, რამდენიმე გაჩერება გამოტოვა კიდეც. აბდღვრიალებული ქალაქი ოქროს ხაზებად გარბოდა ქეთის თვალწინ, ქეთი შიშმა აიტანა: ვაითუ, მემანქანეს ჩამოეძინა, მატარებელმა კი თავისუფლებით ისარგებლა და სველ რელსებზე თვითნებურად იწყო ნავარდი...

ქეთის ბავშვობაში არაერთხელ უნახავს სიზმარი, ლიფტი დაუსრულებლად ადიოდა ზევით და ზევით და ამ აღმასვლას ბოლო არ უჩანდა... ასე იყო ახლაც: თითქოს მატარებელი მიწას მოსწყდა და თბილი შხაპის ქვეშ აბდღვრიალებული ქალაქის თავზე იწყო ფარფატი...

მოულოდნელად მატარებელმა სვლას უკლო და ჯიქურ შედგა.

ვაგონის კარები გრუხუნით გაიღო და შემოდგომის ცრემლიანმა ღამემ შემოყო თავი. დაგუდულმა ხმამ რაღაც გამოაცხადა და დადუმდა. ქეთიმ ვერაფერი გაიგო, შიშით გახედა მთვლემარე შავკანიანს – ვაითუ, გამოეღვიძოს და წასვლა დააპიროსო – მარტო დარჩენის შიშმა სველი ხელები სალტეებად შემოაჭდო საფეთქლებზე და შუბლი დაუნამა. მადლობა ღმერთს, ქალი მშვიდად განაგრძობდა ძილს.

წვიმამ უმატა და ცარიელ ბაქანზე წვიმის მილიონობით პატარა ფეხმა ხმაურიანი ტყაპუნი ატეხა.

ვაგონში არავინ შემოსულა... მატარებელი კი ისე იდგა, თითქოს დაძვრას საერთოდ არ აპირებდა. წუთი საუკუნედ იქცა. ქეთიმ ფული კიდევ ერთხელ მოისინჯა ჯიბეში და ჩანთის შიდა ჯიბეში საგულდაგულოდ ჩამალა. უიმედოდ დახედა მობილურის ჩაბნელებულ ეკრანს... თითქოს არასდროს დასრულდებოდა ეს საბედისწერო მგზავრობა...

თბილისში რომ ყოფილიყო, გული ამოუჯდებოდა, მაგრამ ამ ტირილ-ტირილში გზას მაინც რაღაცნაირად გაიკვლევდა, აქ კი...

ქეთის შავ დაფებზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული ყურანის სურები გაახსენდა, კედლებს რომ ამშვენებდნენ და დიდი ამფორები. გადასაწმენდად მტვრის ტილოთი მიახლოებისას ჯინის ამოვარდნას რომ ელოდა... მდუმარედ მლოცველი ჩადრით შემოსილი ქალი, რომელიც თბილი ღიმილით ჩაცივებულ მანგოს წვენს სთავაზობდა ხოლმე და... დაირღვა სივრცე და დრო... ცრემლის საბურველში მტირალა წვიმიანმა ქალაქმა ათასგვარ ფერად იწყო ნარნარი... მაგრამ ქეთიმ გონება მოიკრიფა, როგორ სჭირდება ახლა ეს დიდი ჯინი, თავისი ღონიერი ხელისგულით სახლთან რომ ჩამოსვას, – იმ სახლთან, სადაც შეშინებული ქმარ-შვილი მოუთმენლად ელის...

ქეთი ფრთხილად ადგა, ფანჯარასთან მივიდა, დაორთქლილ მინას ხელი გადაუსვა და ღამის ქალაქს გახედა. კვლავ გადაუღებლად წვიმდა, თითქოს იქ, ზემოთ, ვიღაც იდგა და პირსავსე კასრს აპირქვავებდა.

ქუჩის დიდ საათს თავპირი ჩამოსტიროდა, მაგრამ დროის გულისცემას თავდახრილი, მონური მორჩილებით მიუყვებოდა. დიდი ისარი სადღაც 7-სა და 8-ს შორის გახიდულიყო და ქეთი მიხვდა, რომ საათი სადაცაა 11-ს ჩამოჰკრავდა.

მატარებელმა ერთი დაიქშინა, კარები ხმაურით დაიხურა და შემადგენლობამ ტანი ძლივს აითრია.

ქალმა თვალები გაახილა, დაბინდული მზერით მიმოიხედა, ქეთის დაბნეულ ღიმილს თავისი შეაგება და კვლავ ძილის საოცარ სამყაროში გაუჩინარდა.

ქეთი თვალებს არ უჯერებდა... უკვე გამოჩნდა ნაცნობი შენობები, აი, ხიდიც... სულ რაღაც ხუთი გაჩერება დარჩა, მერე კი ქუჩას სულ სირბილით აათავებს...

ქეთი 12 წლის გოგონასავით ახტებოდა საფეხურებს, აი, ნაცნობი ქუჩაც, ავტობუსი არ ჩანდა, აღარ წვიმდა, ქუჩები თითქმის ცარიელი იყო... გუბეებში ღამის ქალაქი ირეკლებოდა და უკვე უხვად ეყარა ვარსკვლავები. ქეთის ისევ ბავშვობისკენ გაექცა გონება, გაახსენდა, როგორი განცვიფრებით დაჰყურებდა ხოლმე მანქანაგავლილ გუბეებს, ბენზინის წვეთი ნებივრად რომ იშლებოდა ცისარტყელას მბზინვარე ფერებად...

ქეთიმ ნაბიჯს აუჩქარა, სულ ცოტაც-ცოტაც და სახლიც გამოჩნდება, ფანჯარაში მოლოდინით დაღლილ თვალებშიც სიხარული დაიბუდებს და შიშით აფართხალებული კურდღლებიც დროებით მაინც მიიძინებენ.

ფანჯრებში სინათლე არ ენთო.

– ნუთუ ჩემს საძებნელად ქუჩაში გავიდნენ... თან ასეთ ამინდში?! – გული მოეწურა ქეთის, ჩანთაში ხელის ფათურით ძლივს მიაკვლია გასაღებს და სწრაფად გადააბრუნა საკეტი.

– მიაუ! – თქვა კიბეებთან მოთმინებით მომლოდინე დიდმა თეთრმა შავლაქებიანმა კატა ქუსამ, კუდი აპრიხა და კიბეები აირბინა. ქეთიც უკან გაჰყვა...

ყველას ეძინა...

სამზარეულოში ლამპა ენთო და ფანჯრიდან შემობერილი გრილი ნიავი მის გადიდებულ ჩრდილს კედელზე ნება-ნება ათამაშებდა.

ქეთი კიბეზე დაეშვა...

დიდი კატა ქეთის ფეხებს ეგლისებოდა, მერე მოაჯირთან მივიდა და ყბის ფხანას მოჰყვა, თან ჭრელ დიდ თვალებს არ აცილებდა ქეთის.

ქეთი ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე სახეზე ხელები აიფარა. ხელისგულებს ჯერ კიდევ ასდიოდა სარეცხი ფხვნილის სურნელი. ქეთი იცინოდა და ტიროდა და ცრემლები ნიკაპზე ისე ენასკვნებოდა, როგორც შორეულ ბავშვობაში.

– გელოდნენ, – ჩუმად თქვა ქუსამ და სამზარეულოსკენ გაუძღვა.

მაგიდაზე თეფშს საგულდაგულოდ დაკეცილი ხელსახოცი ჰქონდა ამოფარებული. გვერდზე კი დანა-ჩანგალი ეწყო, თეფშზე განფენილი ეგრეთ წოდებული „გლაზოკის" ყვითელი თვალი უნდობლად იმზირებოდა დაპრანჭული თეთრი ჩარჩოდან. გაცივებული ყავით სავსე ფინჯანში ნათურას ეძინა.

– ხომ გითხარი, გელოდნენ-მეთქი, – თქვა ქუსამ და სკამზე მსუბუქად მოიკალათა.

ქეთის გაეცინა და ახლა ყურის უკან ჩამოუსვა ხელი, ქუსა დაჰყვა და გაინაბა...

ბავშვებს ოთახში მშვიდად ეძინათ, პატარა ფეხისგულები სასაცილოდ ლაპლაპებდნენ ღამის სინათლეზე.

ქეთი ფეხაკრეფით შევიდა საძინებელში და ლოგინში ჩაწვა.

წვიმას გადაეღო, გაშოლტილი სველი ფოთლებით მოფენილი იყო მთელი ქუჩა.

– სად იყავი ამდენ ხანს... მოვკვდით ნერვიულობით, – ძილიდან შეეხმიანა ქმარი.

– ტრანსპორტი არ იყო... დაიძინე, – ჩუმად მიუგო ქეთიმ.

ქუსამ მსუბუქად ისკუპა ფანჯრის რაფაზე და ცაზე ამოგორებულ მთვარეს ჭრელი თვალები გაუსწორა.

მუქი ღრუბლები მთვარის დიდი დისკოს ფონზე ნელა მიცურავ-დნენ და შავ ცაში იკარგებოდნენ. როგორც ჩანს, ქუსამ სანახაობა დიდად საინტერესოდ არ მიიჩნია, მალევე დამრგვალდა რაფაზე და გრილი ცხვირი კუდის ქვეშ დამალა.

ქეთი იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ცას გაჰყურებდა. ქალაქს ბღუჯა-ბღუჯად ეყარა თავზე ვარსკვლავები. ისინი იმ შორეული მარადისობიდან უჭვრიტინებდნენ ქეთის და სიცილით იჭაჭე-ბოდნენ.

ეღიმებოდა ქეთისაც... ახსენდებოდა მხურვალე შავკანიანი ქალი, გალუმპული საათი, ასე ერთგულად რომ ასრულებდა თავის მოვალეობას ამინდის მიუხედავად, უზარმაზარი ამფორები და შავ ფიგურულ დაფებზე ოქროთი ამოტვიფრული უცნაური ასოები... მერე ასოებმა დაფები დატოვეს და ოქროს ძაფებად ქეთის ირგვლივ იწყეს ბზრიალი.

ქუსა ჩუმად თვლემდა ფანჯრის რაფაზე, მხოლოდ ხანდახან მარჯვენა ყურს თუ შეატოკებდა, როცა წვიმის გზააბნეული წვეთი რაფაზე მოადენდა ტყაპანს.

მერე ქეთი სადღაც ღრმად, რიფებს შორის დაცურავდა. წყალს ცისფერი დაჰკრავდა და ფსკერზე უამრავი მბზინვარე ულამაზესი ქვა იყო მიმობნეული...

კარგი იყო... ძალიან კარგი...

მერე კი საიდანღაც ბებიას ხმელი ხელი გაჩნდა, მხოლოდ ხელი, რომელიც პურის მოზრდილ ნაჭერს კუბიკებად ჭრიდა და თავზე არაჟანსა და ყველს ადებდა.

ქეთის აღარაფრის აღარ ეშინოდა... თმაზე ცისფერი ბაფთი ეკეთა და ოქროსფერ ყიყლიყოებს მადიანად შეექცეოდა, თან თავისი დიდი ცისფერი ფინჯნით რძიან კაკაოს აყოლებდა, – იმ კაკაოს, რომელიც ახლა ძალიან, ძალიან, ძალიან უყვარდა...

თარგმანები

გევორქ ემინის თარგმანები

ჩემი ოჯახის ბიბლიოთეკაში ერთ პატარა წიგნს გადავაწყდი. მოვარდისფრო გარეკანზე ახალგაზრდა კაცი ჩამომჯდარიყო სალამურით ხელში და უდარდელად თუ დარდიანად ახმიანებდა. მოშორებით გრძელნაწნავიანი ქალის მაღალი სილუეტი გარინდულიყო, იქით ვიღაც მიწას ჩასჭიდებოდა, ვიღაც თავთავის მსხვილ ძნას გაჭირვებით ეპოტინებოდა. გევორქ ემინი – „სალამი შენდა, სიხარულო" – წავიკითხე და გულში სასიამოვნო მოლოდინის ჟრუანტელმა ჩამირბინა. კარგად მახსოვდა მისი ლექსები და სტატია ეღიშე ჩარენცის შესახებ, – სტატია, რომელმაც თავის დროზე ძალიან დიდი სიამოვნება მომგვარა. ისიც კარგად მახსოვდა: გევორქ ემინი – უშე კარლენ მურადიანი, დღეს ცნობილი სომეხი პოეტი, ის პიროვნება იყო, რომელმაც 18-19 წლის ასაკში თავის მეგობარ ვიგენ ხეჩუმიანთან ერთად ყველასგან გარიყულ, მწერალთა კავშირიდან გაძევებულ ეღიშე ჩარენცს ზურგი არ აქცია და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ამ ორ ახალგაზრდას არა ერთხელ შეუღია ეღიშე ჩარენცის სახლის კარი ზანგუს ხეობაში დაჩეხილ-დაპობილი შეშის იღლიაში ამოჩრილი კონებით, რათა ჩარენცის სიცივისგან აცახცახებული ოჯახი მოსალოდნელი გაყინვისგან ეხსნა.

კითხვა დავიწყე, დავიწყე და ვერ მოვწყდი...

გზა გულისაკენ – ალბათ, ასე დავასათაურებდი ამ კრებულს. „ემოცია, რომელსაც საყრდენად სინდისის პოსტულატები უდევს, ფიქრებს წამოშლის ხოლმე, – აღნიშნავს ევგ. ევტუშენკო, – მაგრამ ძლიერი გრძნობით ნაშობ აზრსაც ხშირად ემოციად გადაქცევა უწერია, ამგვარი აზრისა და ემოციის ურთიერთშერწყმა წარმოშობს პოეზიის ჰარმონიულობას. გ. ემინის პოეზიასთან ზიარებაც სწორედ აზრთა ასეთ მიმოქცევას იწვევს.

ზოგჯერ მისი ლექსები მაჯის საათს წააგავს გამჭვირვალე უკანა პირით, სადაც გარკვევით ჩანს თითოეული კბილანისა თუ ჭანჭიკის მოძრაობა. აქ დროს თავისი მაჯისცემა აქვს – სვლას არც უმატებს, არც უკლებს – ზუსტია!!! სიზუსტე კი ხელოვნების ერთ-ერთი პირობაა.

გ. ემინისთვის უცხოა აზრის გამოუთქმელობის მრავალწერტილისათვის ნიშანდობლივი იდუმალება და ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში გამომწყვდევა. მისი სიტყვა ყოველთვის მკაფიოა და გარკვეული.

ემოციის გარეშე დარჩენილი გონება სასიკვდილოდაა განწირული, როგორც ტოტს მოწყვეტილი ფოთოლი...

ვფიქრობ, ასეა...

* * *

ტყეს ბილიკ-ბილიკ მივდევდით ორნი,
სამყარომ თითქოს იცვალა ფერი,
სულ სხვა სილურჯე ღვიოდა ცაში,
სუნთქვას მიკრავდა სულ სხვა სურნელი.
მეგობრის მზერა ირიბად დამყვა,
დაფიქრებული და ეჭვნარევი,
გვიანღა მივხვდი, თურმე სიყვარულს
შემოელეწა გულის კარები!

2001

* * *

ბაღი თვლემდა და ემოსა ბინდი,
ალუბლის ხე კი შორით კრთებოდა,
ვწყვეტდი ალუბალს, მარჯნისფრად მფეთქავს,
თან მტკიოდა და მეფიქრებოდა.
სიშიშვლემ სევდა შემომაფეთა, –
სიშიშვლემ, ნდობით გადრეკილ ტოტის,
ასე მეგონა, ციცქნა ქალბატონს
ჩამოვაგლიჯე საყურე ძოწის.

2001

* * *

მომეცი ძალა, ცთუნებას ვძლიო,
ძილს არ ვემონო და ფხიზლად ვიყვე,
ღია კარს ჯიქურ არ შევეჭიდო,
დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივყვე!
არ მსურს, დიდების მღვრიე მორევმა
რომ დამიბინდოს გონება საღი,
ან სიზარმაცემ დამრიოს ხელი,
ან უმიზეზოდ მოვკვდე ტრაბახით.
მინდა ვაშენო ჩემთვის... უჩუმრად...
ქვა ქვაზე დადო – მერე ასე თქვან...
შევიგრძნო, როგორ ფრთხიალებს ლექსი
ჩემს გულში გარეთ გამოსახეთქად.
ტყუილუბრალოდ არ მსურს, ვეგონო
ვინმეს სიმართლის ღამის მთეველი
თუკი ეს მხრები ვინმემ გადრიკა,
თუ ვიყავ ცრუ და ფარისეველი.
არ მსურს, დაბუროს ჩემი სიცოცხლე
უღიმღამობის უსახო ფარდამ.
მინდა ღირსეულ კაცის სახელით
მშვიდად მივიდე სამარის კართან!!!

2001

აშტარაკი

ჰაერი გაძღა ღვინის სურნელით,
ფშატმა პირი შეკრა, ყურძენი დაიმცვარა,
ბავშვობამ მომაგნო და ერთად მივუყვებით
ნაცნობ ბილიკებს და სოფლის მტვრიან შარას...
წლების ძაფს ვართავ და გორგალს მივაგორებ
იმ დღეებს დანატრული ურჩი მდევნელი,
სადღაც აქ დავკარგე, მახსოვს, სათამაშო,
მამამ აქ მოკლა უხსენებელი.

ხე იყო ვაშლის, მძიმედ დახუნძლული,
ტოტს ვეჭიდებოდი, ცრემლად ვილეოდი,
სოფელს მწყვეტდნენ და, ვინ იცის, როდემდე...
ბავშვობას მგლეჯდნენ და ვერ შევლეოდი.
მხრები დამიტორა წლების ხელმა მძიმემ,
პეპლებად ამიფრინა დღეები ბავშვობის,
მზერა დამადევნა სოფლის დედაბერმა,
ნეტავ, რას დარდობო, შვილო, რა მოგდის?
ჩუმად გავუმხილე გულის საიდუმლო
მის მკერდს შევეფარე, გალეულს სანთელივით,
ცრემლმა დამნამა და მწარედ დავიტირე
ბავშვობა, სამუდამოდ ჩემგან გაფრენილი.

2001

* * *

ვუძღვნი გარდაცვლილი ძმის ხსოვნას

ის დღე შორს დარჩა, ჰორიზონტს მიღმა, მზე ჩაქრა თითქოს
სიცარიელე შენი უღრუბლო თვალების გამო.
გარკვევით ვხედავ ორ ფეხშიშველა ციცქნა ბიჭუნას
სხვისგან უჩუმრად ბაღის სიღრმეში შეპარვას ლამობს.
მგონი, მიგტყიპეს, არად ჩავაგდე ტირილი შენი,
ვენახში შესულს გამოგენთო ნაგაზი ავი,
დღესაც არ ვიცი, როგორ მოხდა, როგორ გაგწირე
ბედს შეგატოვე სულ მთლად უმწეო და დაუცავი.
უკვე დიდი ვარ! იცი, გემო გავუგე ლექსებს...
არ დაიჯერებ, მაგრამ ასეა – ვკითხულობ ნიცშეს...
შენი ხატება ნისლის სვეტივით მოცურავს ნელა,
ისევ ვერ ვიცლი – ხელს ნუ მიშლი... შენთვის არ მცხელა!
არარას ამბობ, მხრები სუსტი, თავი დახრილი
შემომცქერიან შავი თვალები სევდით დაღლილი.
წელი წელს მისდევს, ცოლი მყავს უკვე, დიდი ვარ, არა?
შვილს ვუჯავრდები: ადექი, ხოხვა მიწაზე კმარა!
საოცარია, დრომ ვერა გავნო, ვერა შეცვალა,
კვლავ ის ბიჭი ხარ... თითქოსდა შენთვის არც კი ეცალა

– მაყვლისთვალება, სევდიანი, გაუბედავი...
რა საიდუმლოს დაატარებ, ძმაო, ნეტავი...
მიახლოვდები და საუბრის ცდილობ დაწყებას,
მაგრამ ამაოდ... ჩოჩქოლი სახლში ისევ არ წყდება,
ცოლიც ბუზღუნებს და უჩვეულო საუბრის ტონით
უგუნებობას იმიზეზებს დღეისთვის, მგონი.
გაუცხოება, ისევე ზღუდე ჩემს და შენს შორის,
სარკმელთან ქარი დაუნდობლად აწვალებს რტოებს.
შენი აჩრდილი ფითრისფერი, მაყვლის თვალებით
გრძნეული მზერით ძველებურად უსიტყვოდ მტოვებს.
წლები წლებს მისდევს, უკვე სიბერე ქირქილებს კართან,
საცაა მოვა... როგორ გავუძლო ტკივილს ამხელას,
ამ მონატრებას შენი ნახვის და უღვთო სევდას,
უშენობა რომ დაბადებით დაჰყვა სახელად.

2001

ერთი სიყვარულის ისტორია

განა რა უნდა ადამიანს გრძნობამორეულს –
ფეხქვეშ რომ მიწა არ ეცლებოდეს და იდგეს მყარად...
ვფიქრობ, ისეთი არაფერი, მოთელვა გრძნობის,
დაცხრომა სისხლის, აბორგებულის დაუფარავად.
ღმერთმა მაშოროს და დამიფაროს მსგავსი ხვედრისგან.
არ ვეძებ წალკოტს, თუკი იმედი არსად კიაფებს.
სული მშფოთვარე შვებას თუკიღა მიაკვლევს ვერსად,
გულს სასომიხდილს სანუგეშოს ვერას მიაგებს.
თუ სიყვარული ოცნებებით დამაფრთიანებს,
რატომღაც ვხდები სულ მთლად უმწეო და დაუცავი,
მაგრამ მზე დამაქვს, მზე ვარვარა, პირთამდე სავსე,
ბედნიერების შეგრძნება მწველი, გასაოცარი.
თუკი არ მიყვარს, ამაოება მიღრღნის გონებას,
და მწუხარება ტალახისფერი მეპატრონება.
ვხდები გულგრილი, ვით ტირიფი თავჩაქინდრული,
კლდე მოუქნელი, პირქუში და სულ მთლად ეული,
რომელსაც მძიმედ, უიმედო თავგამეტებით
ეხეთქებიან ზღვის ტალღები ქაფმორეული.

ან ვგავარ ტაძარს, სადაც მლოცველნი მუხლზე დგებიან
და სასწაულის მობრძანებას ელოდებიან.
ღმერთო მაღალო, უბედური ვარ, ღონემიხდილი,
შენგან ხსნას ველი მუხლმოყრილი, თავს არ ვიმართლებ,
მომეცი ძალა, ჩემს თავს ვძლიო – იმ სუსტ გოგონას
აღარ ვეცრუო, გავუმხილო სრული სიმართლე.
რა ვქნა, არ მიყვარს, ნუთუ ისევე დამძლევს სიმხდალე?
კვლავინდებურად დამარცხებას მაგემებს მწარეს?
როგორ ვუგანო ნდობით შემყურე თვალებს შუქჩამდგარს,
ბაგეს გაპობილს, ნეტარების სხივით მთრთოლვარეს?
გულს მხოლოდ ჩემთვის მოფრთხიალეს, ახმაურებულს,
სიყვარულმა რომ სასიცოცხლო ძალა შთაბერა,
სიყვარულს, ჩემთვის დადუმებულს სამარადისოდ,
მისთვის აზრს ყოვლის, სამყაროს მფეთქავს ათასგვარფერად...
შემოგავედრებ, მომეცი ძალა, ვუთხრა სიმართლე,
ამ ერთხელ მაინც... მოვახერხებ ცოდვის გამხელას?
ნუთუ შევძლებდი ამოწვერილი ნორჩი ბალახის
დაუზოგავად ამოძირკვას, ფეხით გათელვას?
ნაზ ყვავილს გვირგვინს დაუნდობლად დავუპენტავდი?
ან ცელქ ნაკადულს მორაკრაკეს ამოვკენჭავდი?
შეხედე, მოდის, საცაა ზღურბლზე გადმოაბიჯებს,
ჩემკენ მოილტვის ფრთაშესხმული... ხვალ რა იქნება?
რაც რამ ებადა ქვეყნად, ვიცი, უძვირფასესი
ჩემს სამსხვერპლოზე მოიტანა დაუფიქრებლად.
ღმერთო მაღალო, მომეცი ძალა! ხელაპყრობილი
შემოგავედრებ სულის სიმშვიდეს, მხდალი არა ვარ!
კოშკებს დავუნგრევ ცადაზიდულს ოცნებით, რწმენით.
ახლავე ვეტყვი სრულ სიმართლეს დაუფარავად.
ვგონებ, ასე ჯობს, საშველი, ალბათ, ეს არის მხოლოდ,
ეს სატანჯველი რომ დასრულდეს ბოლოს და ბოლოს.
მაგრამ... შემოდის... გული თითქოსდა აჩერებს ფეთქვას,
ღმერთო, რა მომდის, მე ხომ სათქმელი დღეს უნდა ვუთხრა,
ბეღურასავით ჩემს მკერდთან ჩუმად აჟივჟივებულს
კვლავ საუკუნო სიყვარულის ფიცს ვაძლევ ურცხვად...

2001

* * *

ის, ვინც გიყვარდა ოდითგან ჩემში ასე ძალუმად,
აღარ არსებობს, უკვალოდ გაქრა, მგონია ასე...
 აღარ შემორჩა უწინდებური, შენ რომ გხიბლავდა,
ის თავმდაბლობა, სიფაქიზე და სიხალასე.
ნეტავ, იცოდე, ხანდახან როგორ ამიტანს შიში
და იმ სხვის მიმართ ეჭვს შემოპარულს ვახშობ წვალებით,
თუმც კარგად მესმის ამაოება მასთან ჭიდილის,
ის სხვა ხომ მე ვარ, დანახული შენი თვალებით.
თუკი მიხვდები, როგორ ცდებოდი ცხოვრება მთელი,
სიცივე დაგზრავს მარტოსულობის დაუძლეველი...
გთხოვ, ნუ ჩამიქრობ შუქს შენს სარკმელში აკიაფებულს,
ჩემდა ნუგეშად დამიტოვე ლამაზი ფრთები,
შენ რომ მარგუნე სამუდამოდ... დიდი ხნის წინათ,
უძირო რწმენით, აღმაფრენით და რუდუნებით.
მაფრინე ისევ, მინდა გჯეროდეს, რადგანაც, როცა
შემომაგებებ მზერას პირსავსეს იმედის შუქით,
ვცდილობ, სხვად ვიქცე, იმ სხვას ვემსგავსო, შენ რომ ოდესღაც
გამოიგონე და სასიცოცხლოდ სული ჩაუდგი!

2001

* * *

ჩიტუნა, ტოტზე შემომჯდარი, მასწავლის ჭიკჭიკს,
ფუტკარი ცდილობს, არ დამსვას უქმად არც ერთი წამით,
ფესვი – ღრმად ჩავწვდე ჩემს მშობელ მიწას, ჩავებღაუჭო,
ყური მივუგდო მის მაჯისცემას დღისით თუ ღამით.
მთა მირჩევს დინჯად – არ გავტყდე წელში, არ შევეპუო
ცხოვრებას, თუკი განსაცდელსა და ტკივილს მარგუნებს,
მუხა – არ შევდრკე, ფეხზე ვიდგე მტკიცედ მაშინაც,
როცა სიკვდილი მხარზე ალერსით მომითათუნებს.
მიწა მასწავლის მოთმინებას, წყარო ლიკლიკა
სიკეთით მავსებს და თავმდაბლობას მაჩვევს ხალისით,

პეპლის ფარფატი – რომ ყოველ დილას ღიმილით შევხვდე
და მადლიერმა გავაცილო ყველა დაისი.
ღმერთმა მაშოროს ცრემლი და ოხვრა, კვნესა და ვიში,
თვალებს მომწყდარი შიში მფეთქავი, სევდა უძირო,
უღონო რწევა დასიცხული სველი ხელების,
ღმერთმა მაშოროს ასეთ აღსასრულს, მინდა ვუცქირო
მზის ზანტ ზმორებას, მთების გადაღმა ღრუბლების ტაატს,
დილას ჩაძირულს განთიადის ბინდისფერ კვამლში
და, თუკი შევძლებ, ქვასავით მშვიდად ჩავბარდე სიკვდილს,
გულხელს დავიკრეფ, ამ წუთისოფელს დავტოვებ მაშინ...

2001

* * *

წააგავს მეტად სიყვარული ზღვას უნაპიროს,
ნუ შეეცდები, გადაუფრინო პატარა ფრთებით,
ციცქნა ბეღურავ, ნუ ფრთხიალებ, მინდა გირჩიო,
საბედისწერო გზას შორეულს ნუ შეუდგები.
არწივი მძიმედ დაიქნევს ფრთებს და ცას შეერევა,
არად მიიჩნევს თავსხმა წვიმას, ქარბუქს და ელვას,
შენ კი, ჩიტუნავ, პაწაწინავ, ვინ მოგცა ძალა,
ვინ დაგანათლა გამბედაობა, ნეტავ, ამხელა?!
შემოგყურებ და გული საცაა გასკდება შიშით,
ფიქრი მიკარგავს მოსვენებას, რა გეშველება?
მიაღწევ ნაპირს თუ ცის ლაჟვარდში ჩამეკარგები,
თუ ზღვას გაიხდი სამუდამო განსასვენებლად?
გემუდარები, სულ ცოტაც, ცოტაც... გაშალე ფრთები,
ნუ შეწყვეტ ფრენას, იქნებ როგორმე სიშორეს სძლიო,
თუ გზამ მოგქანცოს, ცოდვას ნუ დამდებ, ღმერთს შეგავედრებ,
ძალა შეგმატოს, როგორმე ნაპირს რომ მიაღწიო...
ჩემო ჩიტუნავ, არ ხარ არწივი ვეება ფრთებით,
ბეღურად გაჩნდი, განგებამ, ალბათ, ასე ინება,
გზა მშვიდობისა, ციცქნა ბეღურავ, ღმერთი გფარავდეს,
ნუ მოგკლებოდეს შეუპოვრობა და მოთმინება!!!

2001

* * *

ჩემს მეგობარს – ჩემს ვაჟს

როგორ მიყვარდი, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდი...
რა არ ვიღონე, მიწა რომ ფეხქვეშ შეგეგრძნო მყარად,
სუსტი ხელებით ჩაგებღუჯა ჯერ ბურთი, შემდეგ წიგნი და რვეული...
თვალსა და ხელს შორის წამომეჩიტე,
მისწვდი იმ ხელს, საჩუქრებს რომ უხვად იმეტებდა შენთვის,
გულს რომ გაუთანაბრდი, იმედი მომეცა,
სიყვარულსა და მწუხარებას ერთად შევეჭიდებოდით...
მალე ჩემს თვალებს ამოსწვდი, თვალებს, რომლებსაც ბევრი უნახავს,
მერე გონებას – რომელსაც უხილავის ხილვა ძალუძს,
ვნატრობდი – მალე გაზრდილიყავი,
ზემოდან გადმოგეხედა ჩემთვის და ის დაგენახა,
რის დანახვასაც ასე ელტვოდნენ ჩვენი წინაპრები...
მაგრამ ამაოდ...
გაიზარდე, თითქოს ადამიანად იქეცი კიდეც,
მაგრამ, საოცარია...
ჩემს ჯიბესთან ზრდა შეწყვიტე,
მეტად გაზრდა არ მოიწადინე,
რატომღაც ამ სიმაღლეზე დარჩენა ამჯობინე...

2001

მარინა ცვეტაევა

* * *

განათებული ფანჯარა ბნელში,
ვიღაცას თითქოს გაუკრთა ძილი,
ან იქნებ, ვინმემ მეგობარს უხმო
და ახლა ღვინოს წრუპავენ უხმოდ...
იქნებ, თითებმა მიაგნეს თითებს,
ჩუმად გაანდვეს გულის სათქმელი,
შფოთიანი და ჩაუქრობელი
ყველა სახლშია თითო სარკმელი.
ვერც ერთი ლამპა, ასი სანთელი
ერთად, ლიცლიცა მკრთალი ნათელით
ვერ გაანათებს ღამეს უძიროს,
როგორც ეს ძალუძთ თვალებს უძილოს...
შენ ხარ ძახილი სასომიხდილთა,
ნეტარების და სიამის წამი,
სამი სანთელი, ან თუნდაც ასი...
წყვდიადში მდგარი შუქურა ღამის...
გონებას მიმღვრევს ფიქრი ამაზე,
ეს როგორ მოხდა, ვეღარ მივმხვდარვარ,
უძილო ღამემ ჩემს მყუდრო სახლში
შემოაბიჯა დაუკითხავად.
შენ შეეწიე ანთებულ სარკმელს,
ღამემ იჩქაროს გაცისმარება,
შვება მიაგე ძილგამკრთალ თვალებს,
რული რომ წამით არ ეკარებათ

2015

* * *

მზე ხომ ერთია, მაგრამ ყველას და ყველაფერს სწვდება,
ეს მზე ჩემია, მხოლოდ ჩემი, არ მოგცემთ ნებას,
თვალი შეავლოთ ერთი წუთით ან თუნდაც წამით...
ვერავინ შესძლებს, დაეპატრონოს, ერთურთს გაგვყაროს,
თუნდაც დაინთქას სიბნელეში მთელი სამყარო.
ხელით ჩავბღუჯავ, რომ შევაჩერო ბზრიალი მისი,
მკერდში ჩავიკრავ, რომ არ დამისხლტეს უცბად ხელიდან,
ცხელი ამბორით დამდუღრული გული, მკლავები
არაფრით მიღირს სადარდებლად ამიერიდან.
მარადისობის უკუნეთში გადაგორდები?
აგედევნები, ერთი წამითაც არ მოგშორდები,
იცოდე, მზეო! ჩემი ხარ, ჩემი, ჰოდა, ამიტომ
ვერ შეგელევი, მე შენ ვერავის ვეღარ დაგითმობ!

2015

ანა ახმატოვა

* * *

ეს სრულიად ნათელია და ადვილი სათქმელია,
არ გიყვარვარ, არასოდეს შემომხედავ სიყვარულით!
მაშინ რატომ მივილტვოდე, სინაზით და ნდობით ვთრთოდე
მისთვის, ვისაც არ ვუყვარვარ, რატომ უნდა ვლოცულობდე?!
რისთვის დავთმო მეგობარი, თმახუჭუჭა შვილის სითბო...
ჩემს მშობლიურ ქალაქს მოვწყდე, ამდენ მსხვერპლად
ღირხარ ვითომ?!
ვით ბოგანომ, დღე და რამე ღია ცის ქვეშ გავატარო...
უცხო მიწის დედაქალაქს თავი რატომ შევაფარო?!
მაგრამ... გულთან რას გააწყობ,
ჩემს საქციელს ვგმობ და ვძრახავ,
მაგრამ... ვიცი, გავიხარებ...
ხვალ თუ სადმე დაგინახავ!

2015

ალექსანდრე ბლოკი

* * *

არა დიდება, თავგანწირვა, არა პატივი,
არად მიღირდა, არ მადარდებდა, არვინ ელოდა...
როდესაც შენი ნატიფი სახე ჩემს მაგიდაზე
ნათელი მზერით სადა ჩარჩოდან ამომცქეროდა.
მაგრამ ვაი, რომ განშორების ჩამოჰკრა ზარმა
შენ სხვა ირჩიე ბედის გამრიგედ... და როცა წვიმდა,
ღამის სიბრმავეს ვუსახსოვრე ბეჭედი შენი
და დავიწყებას შევატოვე ხატება წმინდა.
მიჰქროდნენ დღენი, ვნება და ღვინო თანგავდნენ სხეულს,
სული ებრძოდა თავდატეხილ დროის ქარბუქებს,
თვალწინ გამიკრთი ხატის წინ მლოცველს – როგორ გეძახდი,
გიხმობდი, როგორც უკვალოდ გამქრალ ჩემს სიჭაბუკეს.
გიხმობდი, მაგრამ ამაო იყო ძახილი ჩემი,
არად ჩააგდე ცრემლში დამხრჩვალი ტკივილი დარდის...
ლურჯ საწვიმარში გახვეული მწუხარე სახით
ნესტიან ღამის ყრუ სიბნელეში გაუჩინარდი.
უცნაურია, სად მოდრიკე ამაყი მზერა,
ნეტავ, სად ჰპოვა მშვიდი სავანე შენმა სიურჩემ?!
მძინავს და მაინც მოსვენებას მიკარგავს ისევ ბნელი
ღამე და იმ მოსასხამის სველი სილურჯე... .
რაღა დროსია ამაზე ფიქრი, ჩემს სიჭაბუკეს
რა დააბრუნებს, წლებმა ჩამარცვლეს ცხოვრება მთელი...
შენი სურათი ნატიფი სახით სადა ჩარჩოში,
ჩემს მაგიდიდან მევე ავიღე ჩემივე ხელით.

2016

კონსტანტინე სიმონოვი

* * *

მე დავბრუნდები, ნუ შეწყვეტ ლოდინს, ოღონდ გჯეროდეს,
რომ არ ვარ ქვეყნად, ამაზე ფიქრი არც კი გაბედო,
თუნდ შემოდგომამ მისებურად იტიროს გაბმით,
გულის მკაწვრელი ცრემლი ყვითელი შემოგაგებოს.
მე დავბრუნდები! ოღონდ მელოდე, ნუ შეგაშინებს
სარკმელს მომწყდარი თეთრი ნამქერი, სიცხე და ელვა,
მელოდე, როცა სხვა უიმედოდ ჩაიქნევს ხელს და
როცა ლოდინი გამოფიტავს შენს ირგვლივ ყველას!
ძვირფას სახელებს დრო ფეხაკრეფით წააყრის ნაცარს,
მელოდე, როცა უკვე არავის აღარ ელიან,
და მეგობრები ღვინით ხელში სულის საოხად
ცეცხლს მოგიზგიზეს მდუმარე სახით მიუსხდებიან,
არ შეეპუო ჩემს არყოფნას, დაჯექი მათთან
ყური მიუგდე მათ გულისძახილს, გვერდს ნუ აუქცევ,
მაგრამ ერთსა გთხოვ, არ იჩქარო და მათთან ერთად
ჩემს მოსაგონრად ჭიქა ღვინოს თავს ნუ წაუქცევ!
დაე, იფიქრონ დედამ და შვილმა, რომ არ ვარ ქვეყნად
და მღვრიე ტკივილს შეეგებონ მორჩილი მზერით,
მელოდე, როცა უკანასკნელ სამკუთხა ბარათს
ვიღაც ჩაიკრავს ცრემლიან გულში მთრთოლვარე ხელით.
მე დავბრუნდები, გესმის? მელოდე! ვერას დამაკლებს
სიკვდილი, თუნდაც ბასრი მახვილი დამცეს ძლიერად,
ვიღაც შემავლებს თვალს გაოცებით, ვიცი, მიმიჩნევს
სასწაულებრივ გადარჩენილ ღვთის ნებიერად...
როგორ გადავრჩი? გაკვირვებული გაშლიან ხელებს,
ჩემს დაბრუნებას უკვე არავინ აღარ ელოდა...
მათ არ იციან, როგორ მიხმობდი უსიტყვოდ, უხმოდ
დღისით და ღამით ზურგს უკან მედექ მხსნელ ანგელოზად...
ასე გადავრჩი! შენმა ლოდინმა გამომარიდა
ტყვიების წვიმას, ქვემეხთა გუგუნს, ცეცხლს და ქარაშოტს,
გადავრჩი, რადგან შენსავით, ვიცი, არვის შეეძლო
ლოდინი ასე უსასრულოდ და უღალატოდ!

2016

ბელა ახმადულინა
შენი სახლი

სახლმა, რომელმაც არ იცოდა, რა იყო სევდა,
მეგებებოდა ალერსით და გულში მიკრავდა,
მძიმე განჯინის ფართო შუშიდან ძველი ჭურჭელი
ალმაცერად მომხედავდა, თვალს ჩამიკრავდა...
შენი ნაგაზიც კუდის ქიცინით ერთხმოდა მიწას,
ხტოდა და ყეფდა სიხარულით ხმაჩახლეჩილი
ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი, დაღლილი მზერით
მიმაცილებდნენ კაქტუსები თმაგაჩეჩილი.
მხრებაწურული წუთისოფლის ამაოებით,
გეხიზნებოდი ჩამოყრილი ტყვიის მკლავებით,
და შენი სახლი დაბუდებულს შენს თბილ წიაღში
შემომყურებდა ღირსეული თავშეკავებით.
მხვდებოდა სახლი, თითქოს ჩემიც და თითქოს სხვისიც,
თვალს მარიდებდა, გამირბოდა, შორით დგებოდა,
შენი ნაგაზიც, ნაცვლად ნეტარი ყეფა-წკმუტუნის,
ამჯერად მორცხვად, სულ სხვაგვარად მეგლისებოდა.
ო, როგორ ვფრთხოდი, როგორ მღრღნიდა ეჭვი უტეხი,
მის ბასრ ნესტართან თავგანწირვით როგორ ვომობდი,
ვაითუ სადმე გადავყროდი ქალის ხილაბანდს,
ან, ღმერთმა ნუ ქნას, ღილს აწყვეტილს გადავწყდომოდი.
არ გატყდა სახლი, საიდუმლო არ გასცა შენი,
ვიცი, დამინდო, მწარე ტკივილს არ მაზიარა...
ნატიფი მკლავი ჰაეროვნად ესვენა სკამზე,
ობოლმა ცრემლმა ვარსკვლავივით ჩაისრიალა...
ბებერი სარკე – ცარიელი დიდი თვალებით
შემომყურებდა დაჟინებით ვერცხლის ძირიდან,
თითქოს მოთოვა, დიდ ფიფქებად მოვიდა თოვლი
და სადღაც გაქრა, გაიკრიფა მიწის პირიდან...
შუშის ჭიქაში ყვავილები იბანდნენ წვივებს,
ვინ იყო, ნეტავ, ვინ ჩააწყო თლილი თითებით?
სახლი შფოთავდა, სიტყვას ურჩად მიგდებდა ბანზე,
არ პასუხობდა ჩემს შეკითხვას არასდიდებით...
სახლო კეთილო, ოდეს სავანედ ქცეულო ჩემთვის,
მშვიდობით, გტოვებ, წასვლა, ალბათ, დავიგვიანე...
ერთსა გთხოვ მხოლოდ – ნუ იქნები ასე კეთილი,
ტკბილი ტყუილით ტკივილს ჩემსას ნუ დამიამებ!

2016

ლარისა რუბალსკაია

* * *

გამწყდარმა სიმმა გადასერა ლურჯი ჰაერი,
გაქვავდა ბგერა, თითქოს სიმღერას გამოსჭრეს ყელი,
ჩემმა სამყარომ, სადაც დაბრუნდი, შემოგაგება
მზერა უსულო, სხივჩამქრალი, უცხო და ბნელი...
სუსხიან ყინვას გამოუხრავს თბილი სავანე
და ფარღალალა კედლებს მძიმედ აწყდება ქარი...
ახლა შენ მზად ხარ, დავიწყებას მისცე ყოველი...
მე კი აღარ მაქვს ამ გახსენების ძალა და თავი...
ნურაფერს მკითხავ, იცოდე მაინც არაფერს გეტყვი,
უცეცხლოდ თბობის მარტოობით რა მაქვს განცდილი,
ჩვენ ახლა ორნი – მეგობრები და მტრები ერთად
ვართ იმ წარსულში ჩაკირული ორი აჩრდილი.
გაწყდა სტრიქონი, გახევდა სიტყვა და ჯიქურ შედგა,
კვლავ ჩემთან მოსვლა, უცნაურია, რამ მოგანდომა,
ამაოდ ცდილობ ჩემს მომზრალ ხელზე უწინდებურად
გრილი თითების და ხელისგულის თრთოლვით გათბობას.
რაც იყო, იყო... წარსულს, გთხოვ, ნუღარ აფორიაქებ,
ცეცხლს მინავლებულს გაღვივება არ უწერია...
მე “იქ” დაგტოვე, დიდი ხნის წინათ და ამას იქით
შენთან შეხვედრა არასოდეს არ მსურვებია.

2016

* * *

ყბა ჩადგმული მაქვს, სულს ძლივს ვიბრუნებ,
სარკეს თვალს ვარიდებ, არ შემეხედება,
სახეზე ნაოჭთა მთელი კასკადი
ყელს ნაკეცები ტალღებად ედება.
ფეხსაცმელს ვყიდულობ, ასლია ჟურნალის
„პლოსკოსტოპიე" განუკურნელი...
თვალებს ვჭუტავ და გზას ძლივს მივიკვლევ,
რა არის ჩემს წინ – ხე თუ კედელი?
ჩემს მხედველობას რა ჰქვია ნეტავ
ახლოს „მჭვრეტი" ვარ თუ შორს მხედველი?
რაღაც ბოლო დროს სმენაც მღალატობს,
თითქოს არ მქონდა პრობლემა არასდროს...
ნათქვამის გაგებას დიდხანს ვუნდები,
შემიკურთხებენ... უკან ვბრუნდები...
პუშკინი გვმოძღვრავდა – დიდი პოეტი,
ღვთის მადლით დიდად ნასაზრდოები,
სიყვარულს არ აქვსო თითქოსდა ასაკი,
ასეა ვითომ?! ეს ლაპარაკი
არ მეჩვენება სარწმუნოდ დიდად...
მზერას გავტყორცნი კეკლუც თამაშით
და თან ვალიდოლს ვეძებ ჩანთაში.
მსურს ვეამბორო გულისსწორს კიდევ,
მაგრამ არ მიშვებს სათვალის ძგიდე.
რაღაც გონებაც არ მაქვს მთლად საღად
მეხსიერებამ მიმტყუნა თითქოს,
თანამეცხედრეს შევყურებ კითხვით
– ვერ გამიგია, ჩემგან რას ითხოვს...
მაგრამ ასეა... რაც იყო, იყო...
ჩავლილს უკვალოდ, ვერ მოაბრუნებ,
ერთს სანუგეშოდ ვინახავ იმედს –
ვინ იცის, ბედი რა ხვედრს გვარგუნებს.
ერთი კი ვიცი დანამდვილებით, –
გულწრფელად გეტყვით ჩემი მიგნებით:
ახლა რაცა ვართ, ვიხაროთ თორემ
მალე ასეთნიც აღარ ვიქნებით.

2016

მიჩ ალბომის წიგნს „სამშაბათობით მორისთან” ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად.

ეს არის გულისამაჩუყებელი და მეტად საინტერესო ისტორია სტუდენტისა და მისი სათაყვანებელი პროფესორის ურთიერთობისა. ამ ორ ადამიანს შორის გამართული საუბრები და ნააზრევი ბევრ საფიქრალს აღძრავს, სულს სიკეთით ავსებს და ცხოვრებას სწორ მიმართულებას სძენს.

წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ წიგნის მიხედვით შესანიშნავი ფილმია გადაღებული, რომელშიც მთავარ – მორი შვარცის – როლს ცნობილი ამერიკელი მსახიობი ჯეკ ლემონი ასრულებს მისთვის ჩვეული ოსტატობითა და მომ-ხიბვლელობით.

ვფიქრობ, ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ წიგნის წაკითხვა. ეს წიგნი ამ გამარტოხელებულ და გამარტო-სულებულ სამყაროში ადამიანებს ერთმანეთისკენ უხმობს და კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ურთიერთობაზე ფასეული, სულიერ თანაზიარობაზე საოცარი ძნელად თუ მოიძებნება რაიმე ამქვეყნად!

ეძღვნება ქეთო კანდელაკის ნათელ ხსოვნას

მიჩ ალბომი

სამშაბათობით მორისთან

მორისთან სახლში ვიკრიბებოდით კვირაში ერთხელ. მისი ოთახის ფანჯარასთან მდგარი, ვარდისფრად გაფოთლილი მომცრო ჰუბიკუსი ნათელ მზერას შემოგაგებებდათ ხოლმე. კლასი სამშაბათობით იწყებოდა, ნასაუზმევს. კვლევის საგანი კი სიცოცხლის არსი გახლდათ და მისი კვლევა თუ განსაზღვრა ცხოვრებისეული გამოცდილებით იყო ნაკარნახევი.

ნიშნებს არავინ გვიწერდა, მაგრამ ყოველ კვირას ზეპირი გამოცდის ჩაბარება მაინც სავალდებულო იყო. თქვენგან დასმულ

შეკითხვებზე პასუხს ელოდნენ. თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, თქვენ საკუთარი შეკითხვების დასმაც შეგეძლოთ, გარდა ამისა, გარკვეული ფიზიკური სამუშაოს შესრულებაც გევალებოდათ: ხანდახან თქვენი პროფესორისთვის ბალიში ისე უნდა გაგესწორებინათ, რომ თავი მოხერხებულად ეგრძნო, სათვალეც ცხვირის ძგიდეზე დროულად უნდა მოგერგოთ და, თუკი დამშვიდობებისას კოცნითაც დააჯილდოებდით, ექსტრაკრედიტსაც გამოჰკრავდით ხელს.

წიგნებს არავინ ითხოვდა. თემატიკა განსაზღვრული იყო – სიყვარული, სამსახური, საზოგადოება, ოჯახი, ასაკი, მიმტევებლობა და, ბოლოს, გარდაცვალება. ეს უკანასკნელი გაკვეთილი მეტად მოკლე აღმოჩნდა, სულ რაღაც ორიოდ სიტყვაში მოქცეული.

გამოსაშვები საღამოს მხიარულება დასაფლავების მწუხარებამ შეცვალა და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო გამოცდა არასდროს გვქონია, მაინც მინდა მოგითხროთ იმის შესახებ, რაც ამ დროის მანძილზე ვისწავლეთ.

ჩემი მოხუცი პროფესორის ბოლო გაკვეთილს მხოლოდ ერთი სტუდენტი ესწრებოდა და ეს სტუდენტი... მე ვიყავი...

* * *

1979 წლის გვიანი გაზაფხული იდგა. ცხელოდა, შაბათი დღე, შუადღე უკვე გადასულიყო. ასობით სტუდენტი მთავარი კორპუსის წინ მოგრძო დასაკეც სკამებზე ვიყავით გამწკრივებულნი. ლურჯი ნეილონის ფორმები გვეცვა და მოუთმენლად ველოდით გამომსვლელთა გაჭიანურებული სიტყვის დამთავრებას. როცა, როგორც იქნა, ცერემონიალი დასრულდა, ქუდები ცისკენ ავტყორცნეთ, რითაც მსოფლიოს კოლეჯის დამთავრება ოფიციალურად ვამცნეთ. ეს იყო ბრანდეის უნივერსიტეტი ქალაქ ვოლტემში, მასაჩუსეტის შტატში. ბევრი ჩვენგანისთვის საბოლოოდ დაიხურა ბავშვობის კარები!

ცერემონიის შემდეგ ჩემი უსაყვარლესი პროფესორი მორი შვარცი მოვნახე და ჩემს მშობლებს წარვუდგინე. ეს იყო ტანმორჩილი კაცი, რომელიც მოკლე ნაბიჯებს დგამდა. ძლიერ ქარს რომ დაებერა, ალბათ, იოლად გაიტაცებდა ღრუბლებისკენ. ამ დღისთვის

განკუთვნილ ტანსაცმელში გამოწყობილი ერთდროულად ბიბლიურ წინასწარმეტყველსაც წააგავდა და შობის ელფსაც. მორი მოცისფრო-მომწვანო თვალებს აკვესებდა, შეთხელებული ვერცხლისფერი თმა შუბლზე ეყარა, დიდი ყურები ჰქონდა და მოზრდილი ცხვირი, ბუჩქებივით ხშირი შეჭაღარავებული წარბები. ოღროჩოღრო კბილები, ქვედა ხაზი შიგნით შეზნექილი, თითქოს მუშტი უკრავთო. გულიანი სიცილი იცოდა – გეგონებოდათ, ახლახან მოისმინა მსოფლიოს ყველაზე სასაცილო ამბავი!

მორი ჩემს მშობლებს ესაუბრებოდა. ეუბნებოდა, რომ „განსაკუთრებული შვილი ჰყავთ". მე მორცხვად ვიშმუშნებოდი, თავდახრილი ვიდექი და უხერხულად დავყურებდი ჩემს ფეხებს. ვიდრე დავემშვიდობებოდი, ჩემს პროფესორს პატარა საჩუქარი გადავეცი – მოყავისფრო ჩანთა, ზედაპირზე მისი ინიციალებით. ეს ჩანთა დიდ მაღაზიაში წინასწარ შევიძინე. არ მინდოდა მისი დავიწყება, ალბათ, ასევე მსურდა, მასაც არ დავვიწყებოდი!

– მიჩ, შენ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი ხარ, – მითხრა კმაყოფილმა. შემდეგ გულში ჩამიკრა და ვიგრძენი ზურგზე მისი გამხდარი ხელების სითბო. მასზე მაღალი ვიყავი. უცნაური გრძნობა დამეუფლა: თითქოს ის იყო ბავშვი, მე კი – მისი მასწავლებელი.

– არ დამეკარგო, იმედია, შემეხმიანები, არა? – მკითხა მორიმ. უმალ დავეთანხმე.

მორიმ უკან დაიხია და მივხვდი, რომ ტიროდა!

სილაბუსი

მისი მოსალოდნელი გარდაცვალების ამბავმა 1994 წლის ზაფხულში გაიჟღერა. ახლა, როცა უკან ვიხედები, ვხვდები, რომ მორი ამ უბედურების მოახლოებას კარგა ხანია გრძნობდა. მისთვის ეს ნათელი გახდა სწორედ იმ დღეს, როცა ცეკვისთვის თავის დანებება მოუწია.

მორის ყოველთვის უყვარდა ცეკვა. როკნ-როლი, ბიგ-ბენდი, ბლუზი... სულერთი იყო. მორი თვალებს მინაბავდა, სახეზე ნეტარი ღიმილი აუთამაშდებოდა და თანდაყოლილი რიტმის გრძნობით იწყებდა რწევას. ხანდახარ რაღაც ისე არ გამოსდიოდა, ხანდახან არც პარტნიორი ჰყავდა, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევდათ, ცეკვავდა

მარტო თავისთვის – დიდი შთაგონებითა და გატაცებით.

როგორც წესი, ოთშაბათს საღამოობით ჰარვარდ-სკვერში მყოფ ეკლესიაში დადიოდა. ამ საღამოებს „იცეკვე უფასოდ” ერქვა. აქ უმეტესწილად ახალგაზრდობა იყრიდა თავს. ირგვლივ დიდი აურზაური იდგა – ფეთქავდა სინათლე და ხმამაღალ ლაპარაკს ბოლო არ უჩანდა. მორის, როგორც წესი, შავი შარვალი ეცვა, გულზე სამკუთხედად ამოჭრილი მაისური, კისრის გარშემო კი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. მუსიკის ჩართვა და ცეკვის დაწყება ერთი იყო. დიაპაზონი – ლინდიდან ჯიმი ჰენდრიქსამდე. მორი ტრიალებდა, იდრიკებოდა, ხელებს დირიჟორივით იქნევდა და ეს გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ზურგზე ოფლის ნაკადი დენას დაიწყებდა. არავინ იცოდა, რომ ეს ადამიანი სოციოლოგიის დოქტორი იყო, დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ადამიანი, კოლეჯის პროფესორი და რამდენიმე ცნობილი წიგნის ავტორი. მორი ირგვლივ მყოფთათვის, უბრალოდ, მოხუცი კერკეტი კაკალი გახლდათ.

ერთხელ ტანგოს ჩანაწერი მოიტანა და ითხოვა, დაეკრათ. შემდეგ ასპარეზი დაიმარტოხელა: თავდავიწყებული ესპანელი მიჯნურივით დასრიალებდა წინ და უკან. ცეკვა რომ დასრულდა, ტაშმა იქუხა. მორი განაბული იდგა, სურდა, ასე გაგრძელებულიყო დიდხანს, დიდხანს, მაგრამ... სამოცი წლის ასაკში მორის ასთმა აღმოაჩნდა და სუნთქვა შეეკრა. ჩარლზ-რივერზე გადასვლის დროს ცივმა ქარმა გაჰკრა და საავადმყოფოშიც კი ამოყო თავი, ვერც ადრენალინის ნემსს გადაურჩა. რამდენიმე წლის შემდეგ კი სიარული გაუჭირდა. მეგობრის დაბადების დღეზე მოულოდნელად წაიბორძიკა, მეორე დღეს საღამოს თეატრის კიბეზე დაეცა და ხალხი გვარიანად შეაშინა.

– ჰაერი მიეცით! ჰაერი! – ყვიროდნენ ირგვლივ.

ამ დროისთვის მორი სამოცდაათის თუ იქნებოდა. ხალხი მის ირგვლივ ტრიალებდა, წამოყენებას ცდილობდნენ და ყოველივეს ასაკს აბრალებდნენ, მაგრამ მორი, რომელიც კარგად გრძნობდა თავის სხეულს, ხვდებოდა, რომ მარტო ასაკი აქ არაფერ შუაში იყო, რაღაც უცნაური ხდებოდა მის თავს. თითქოს ძალა ეცლებოდა, ძილი გაუკრთა, სიზმარში სიკვდილმა მიაკითხა.

ექიმებს მიმართა. სისხლისა და შარდის ანალიზებიც აუღეს, სწორ-ნაწლავიც გაუსინჯეს. ერთი შეხედვით, არაფერი შემაშფოთებელი

თითქოსდა არ ჩანდა. ბოლოს ექიმმა კუნთის ბიოფსიის გაკეთება გადაუწყვიტა. პასუხმაც არ დააყოვნა. მორი ნევროლოგიური დაავადების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და კვლავ დატრიალდა ანალიზების ახალი სერია. ერთ-ერთი ასეთი გამოკვლევის დროს მორი სკამზე იჯდა და მასთან მიერთებული ელექტრომავთულებით მისი ორგანიზმის ნევროლოგიურ რეაქციას აკვირდებოდნენ.

– უფრო მეტი კვლევაა საჭირო, – თქვა ექიმმა, როცა შედეგებს თვალი გადაავლო.

– რატომ? – იკითხა მორიმ, – ეს რას უნდა ნიშნავდეს?

– დანამდვილებით ჯერ ვერ გეტყვით, რეაქციაა შენელებული. 1994 წლის აგვისტოს ცხელ, ნესტიან დღეს მორიმ და მისმა მეუღლემ შარლოტამ ნევროლოგიურ კლინიკას მიაკითხეს. ექიმმა სკამი შესთავაზა, ვიდრე ანალიზის საბოლოო პასუხს გაუმჟღავნებდა. ვერდიქტი მეტად მძიმე აღმოჩნდა – ლუ გერიგის სახელით ცნობილი ნევროლოგიური სისტემის მძიმე დაავადება. უბედურება კი ის იყო, რომ ამ დაავადებას ვერაფრით შველოდნენ.

– როგორ შეიძლებოდა, ეს დამმართოდა? – იკითხა მორიმ. ექიმმა მხრები აიჩეჩა.

– და... ეს პასუხი საბოლოოა?

– ასეა!

– გამოდის, რომ მალე მოვკვდები?

– ძალიან ვწუხვარ! – თქვა ექიმმა.

მან მორისთან და შარლოტასთან დაახლოებით ორ საათს დაჰყო, ცდილობდა, მოთმინებით მოესმინა და პასუხი გაეცა მათი თითოეული შეკითხვისთვის. წასვლისას ავადმყოფობის შესახებ პატარა ბროშურებიც უსახსოვრა, აი, ისეთი, ბანკში კლიენტებს ანგარიშის გასახსნელად რომ აძლევენ.

გარეთ მზე ანათებდა და ხალხი საქმიანად მიიჩქაროდა აქეთ-იქით. ერთი ქალბატონი მანქანის გაჩერების საფასურის გადასახდელ ავტომატს დაჟინებით დაეძებდა, მეორე – მაღაზიისკენ გარბოდა. შარლოტას თავში უამრავი აზრი ერთმანეთს ეხლებოდა:

„რამდენი დრო დაგვრჩა ერთად?" „როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მოგვარება?" „როგორ მოვახერხებთ მკურნალობის ხარჯების გასტუმრებას?". ამ დროს ჩემი მოხუცი პროფესორი გაქვავებული იდგა, მასზე თავსდატეხილი ამბით თავზარდაცემული. „საოცარია მაგრამ

ცხოვრებას სვლა არ შეუწყვეტია, ნუთუ ამ ხალხმა არ იცის, რა უბედურება ტრიალებს ჩემს თავს,” – გაოგნებული ფიქრობდა მორი. მაგრამ... ცხოვრებას სვლა არ შეუჩერებია, არც შეუნელებია. მორი უმწეოდ დააწვა მანქანის კარის სახელურს და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ღრმა ორმოში უკრეს თავი.

– აწი რაღას უნდა ველოდე?! – იკითხა თავისთვის...

სანამ ჩემი მოხუცი პროფესორი ამ შეკითხვებზე პასუხს ეძებდა, მისი ავადმყოფობა ნელ-ნელა ძალას იკრებდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა ეუფლებოდა მთელ მის სხეულს. ერთ დილას მანქანის ავტოფარეხიდან გამოყვანა სცადა და ძლივს მოახერხა პედლებისთვის ფეხის დაჭერა. ეს იყო და ეს, მანქანის მართვაზე საბოლოოდ აიღო ხელი.

მორი ფეხზე მყარად ვეღარ იდგა, ამიტომ ჯოხზე დაყრდნობილი თუ ახერხებდა გადაადგილებას. როცა აუზს მიაშურა, გაირკვა, რომ დამოუკიდებლად გახდაც აღარ შეეძლო. მორიმ თავის სიცოცხლეში პირველად აიყვანა მომვლელი ქალი, სახელად ტონი. იგი თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მისი დახმარებით მორი აუზში ჩასვლას და ამოსვლას ახერხებდა. ტონი მას ტანსაცმლის ჩაცმა-გახდაშიც ეხმარებოდა. გასახდელში სხვა მოცურავენი თითქოსდა თვალს არიდებდნენ მორის, მაგრამ თანდათან მისი საიდუმლო ყველასთვის ცნობილი გახდა.

1994 წლის შემოდგომას მორი ბრანდეის უნივერსიტეტში მივიდა უკანასკნელი კურსის ჩასატარებლად. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ამისთვის თავის არიდება, უნივერსიტეტში მის ამ ნაბიჯს გაგებით მოეკიდებოდნენ – ადამიანი ავადაა და დიდი ვერაფერი ბედენაა, საზოგადოება მისი ტკივილის უშუალო მოწმე გახდეს, მაგრამ მორის სხვაგვარად არ შეეძლო, აზრი უნივერსიტეტის დატოვების შესახებ მისთვის მეტად მძიმედ გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

მორი კოჭლობით შევიდა აუდიტორიაში, იმ ოთახში, რომელიც 30 წლის განმავლობაში მის მეორე სახლს წარმოადგენდა. გაჭირვებით მიუახლოვდა სკამს, დაჯდა და ცხვირზე ჩამოცურებული სათვალის ზემოდან გახედა აუდიტორიას. სტუდენტები უხმოდ შესცქეროდნენ.

– ჩემო მეგობრებო, – დაიწყო მორიმ, – ვიცი, რომ თქვენ აქ სოციოლოგიის კურსის მოსასმენად შეიკრიბეთ. ამ კურსს მე 20 წლის

განმავლობაში ვკითხულობდი და, უნდა გამოგიტყდეთ, ამჯერად არც კი ვიცი, რამდენად სწორია თქვენი არჩევანი. მეშინია დაგაღალატოთ, რადგან განუკურნებლად ვარ ავად. შეიძლება სემესტრის ბოლომდეც ვერც მივაღწიო. თუკი რომელიმე თქვენგანს გულს ეთანაღრება, შეგიძლიათ სხვა საგანი აირჩიოთ, მე არ მეწყინება, მერწმუნეთ!

მორიმ ღიმილით მოავლო თვალი აუდიტორიას.

ამგვარად, მორის ავადმყოფობის ამბავი ყველასთვის გახდა ცნობილი.

მორის ავადმყოფობა ანთებულ სანთელს ჰგავდა. ავადმყოფობა ანადგურებდა ნერვებს და ცვილის პატარა ნაჭერსღა უტოვებდა სხეულს. როგორც წესი, ეს დაავადება ფეხებიდან იწყება და მაღლა მიემართება. ფეხის კუნთები დუნდება და ადამიანი ფეხზე ვეღარ დგას, მწყობრიდან გამოდის მთელი სხეული, პაციენტს გამართულად ჯდომაც აღარ შეუძლია. სოცოცხლის ბოლოს ავადმყოფს სული ეხუთება და სუნთქვას მხოლოდ ყელში ჩადგმული მილის საშუალებით ახერხებს, გონება სრულიად საღი და ნათელი რჩება, მაგრამ ადამიანს მხოლოდ ენის მოძრაობისა და თვალების დახამხამების უნარიღა აქვს შერჩენილი. ასეთი სახეცვლილება ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ადამიანი ბოლოს და ბოლოს სამეცნიერო-ფანტასტიკის პერსონაჟს ემსგავსება, სხეულში გამოკრული ჩაყინული შიგთავსით.

მორის ექიმებმა ორი წლის სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს, მაგრამ მორი გრძნობდა, მას უფრო ნაკლები ეწერა.

იმ წუთიდან, რაც ექიმის კაბინეტი დატოვა, მორიმ მეტად სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო. თავზემოთ დამოკლეს მახვილმა გაიელვა და მორიმ თქვა:

– მე შეიძლება ჩავქრე და შეუმჩნევლად გავეცალო ამ ქვეყანას, ამავე დროს შემიძლია დარჩენილი დრო საინტერესოდ გავატარო. ავადმყოფობას ჩემი განადგურების ნებას არ მივცემ, სიკვდილს არ შევუშინდები!!!

ასეც მოხდა... სიკვდილი მორის უკანასკნელ პროექტად იქცა. მას კარგად ესმოდა კაცობრიობის ცხოვრებაში სიკვდილის გარდუვალობა და მიაჩნდა, რომ მისი გამოცდილების გაზიარება ადამიანებს მომავლისთვის შეიძლებოდა სასიკეთოდ გამოსდგომოდათ. მორი

მზად იყო საკუთარი თავი სამედიცინო კვლევის საგნად ექცია, ერთგვარ ცოცხალ სახელმძღვანელოდ.

– თვალი გაადევნეთ ჩემს ნელ კვდომას, თვალყური ადევნეთ, რა მემართება, – ამბობდა მორი, – მოდი, ერთად ვისწავლოთ.

მორიმ სიკვდილ-სიცოცხლის ხიდზე ფეხი შედგა. და ის ჩვენთვის თავისი შთაბეჭდილებების გაზიარებას თავდაუზოგავი გულწრფელობით ელტვოდა.

შემოდგომის სემესტრმა მალე ჩაიარა. წამლების რაოდენობამ იმატა. მორისთვის ფიზიოთერაპია ყოველდღიურ სატანჯველად იქცა. მედდა მოდიოდა და, კუნთები რომ სრული მოდუნებისგან ეხსნა, ავარჯიშებდა. მის უსიცოცხლო ფეხებს ისე ღონივრად ხრიდა და შლიდა, თითქოს ჭიდან წყალს ეზიდებოდა. კვირაში ერთხელ მასაჟისტიც შემოივლიდა, გახევებული კიდურებისთვის რომ შვება მიეცა. მორი მედიტაციის მასწავლებელსაც ხვდებოდა. ის მორის სწორად სუნთქვას ასწავლიდა. მორი თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა, მთელი სამყარო ამ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაში მოექცია.

ერთხელ მორიმ ჯოხით გასეირნება მოინდომა, მაგრამ წაიქცა. ერთი ჯოხი ორით შეიცვალა. მის სხეულს ნელ-ნელა ეცლებოდა ძალა. მორის მალე საპირფარეშოში გასვლაც კი დიდ სირთულედ ექცა. შარდავდა სპეციალურ ჭურჭელში, მაგრამ ამ ჭურჭლის დაჭერაც კი აღარ შეეძლო.

უმეტესობა ჩვენგანს ასეთ ვითარებაში ყოფნა საშინელ უხერხულობას შეუქმნიდა, განსაკუთრებით მორის ასაკში, მაგრამ მორი ჩვენ არ გვგავდა. ზოგჯერ, როცა კოლეგები ესტუმრებოდნენ, თუკი მათთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა, მორის ჩვეული უშუალობითა და გულწრფელობით საპირფარეშოში წაყვანა და დახმარების გაწევაც კი შეიძლებოდა შეეთავაზებინა და ისინიც, მათსავე გასაკვირად, უყოყმანოდ თანხმდებოდნენ.

მორი ხვდებოდა და ნუგეშს აძლევდა ყველას, მომნახულებელთა რიცხვი კი არცთუ მცირე იყო. ისინი უამრავ შეკითხვას აძლევდნენ მორის – სიკვდილის, მისი როლის შესახებ ცხოვრებაში. საზოგადოებას ხომ ყოველთვის აფრთხობდა სიკვდილის თემასთან პირისპირ შეყრა და ამ საკითხს ყოველთვის შეძლებისდაგვარად გვერდს უვლიდა.

მორიმ თავის მეგობრებს განუცხადა, რომ, თუკი ვინმე მის დახმარებას მართლაც ესწრაფოდა, თავი დაენებებინა მისთვის

თანაგრძნობის გამოხატვისთვის, მისულიყო, მოენახულებინა, ანდა დაერეკა, გაეზიარებინა საკუთარი განცდები და შთაბეჭდილებები; მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ, მორი ხომ მართლაც საოცარი მსმენელი იყო. განსაცვიფრებელია... მორის ხმა ყოველთვის მხნედ ჟღერდა. მისი ტვინი აქტიურად მუშაობდა და მის თავში უამრავი საინტერესო აზრი დაფუთფუთებდა. მორის ყველასთვის სურდა დაემტკიცებინა, რომ იყო მომაკვდავი, არ ნიშნავს – იყო უსარგებლო.

მობრძანდა და წაბრძანდა ახალი წელი. მართალია, მორის ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ იცოდა, რომ ამ დღესასწაულს უკანასკნელად ხვდებოდა. ახლა ის ინვალიდის ეტლში იჯდა და თავდაუზოგავად ებრძოდა დროს. უნდოდა ყველაფრის თქმა მოესწრო მისთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანებისთვის. როდესაც მისი უნივერსიტეტელი კოლეგა მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა, მორი მის დასაფლავებას დაესწრო და მეტად დათრგუნული დაბრუნდა.

– რა დასანანია, – თქვა მან, – ყველა, ვინც იქ იყო, ისე თბილად და კეთილად ლაპარაკობდა ერვეს შესახებ, მას კი არაფერი გაუგია...

მერე უცებ გონება გაუნათდა, დაურეკა ყველა მეგობარს და მათთან შესახვედრად დღე დათქვა.

ერთი ცივი კვირის შუადღეს მან თავისი მეგობრების მცირე ჯგუფს მოუყარა თავი ე. წ. „ცოცხალი დასაფლავების" ჩასატარებლად. იმ დღეს თითოეულმა სტუმარმა გულის ნაწილი დაუტოვა მორის. ზოგი იცინოდა, ზოგი ცრემლებს ვერ იკავებდა, ერთმა ქალბატონმა კი დაახლოებით ასეთი შინაარსის ლექსი წაუკითხა:

„ჩემო საყვარელო კუზენ,
შენ დრო ვერას დაგაკლებს,
მის ყველა სიმრუდეს იოლად არღვევ,
შენი ახალგაზრდა გული
სათუთი სეკვოიაა."

მორი სხვებთან ერთად ტიროდა და იცინოდა. იმ საღამოს მან გულის სიღრმიდან ამოთქვა მისთვის ყველაზე სათუთი და ძვირფასი, რაც კი რამ ემეტებოდა ამ ადამიანებისთვის და რის თქმასაც ჩვენ რატომღაც სიცოცხლეში ვერასოდეს ვახერხებთ.

„ცოცხალმა დასაფლავებამ" კარგად ჩაიარა.

მაგრამ მორი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და არა მარტო ცოცხალი. ახლა იწყებოდა მისი ცხოვრების საოცარი ეტაპი.

სტუდენტი

ახლა კი ნება მიბოძეთ გიამბოთ, თუ რა გადამხდა მას შემდეგ, რაც ჩემს შორსმჭვრეტელ პროფესორს დავემშვიდობე და დავპირდი, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი.

სიმართლე რომ ვთქვა, ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტე ჩემს უნივერსიტეტელ მეგობრებთან, იმ ქალთანაც კი, რომლის გვერ-დითაც პირველად გავიღვიძე დილით. მას შემდეგ რაღაცნაირად განურჩეველი გავხდი, მეტად განსხვავებული იმ ბავშვურად თავდაჯერებული ახალგაზრდისგან, რომელიც ნიუ-იორკისკენ მიისწრაფოდა თავისი ნიჭიერებით ამ ქალაქის დაპყრობის იმედით.

როგორც გაირკვა, აქ მე არავინ მელოდა. მე მაშინ 20-22 წლის ვიქნებოდი და მთელ დროს ბინის გადასახადზე ზრუნვას და სამსახურის განცხადებების კითხვას ვანდომებდი, თან ვერაფრით გამერკვია – რატომ არ მწყალობდა ბედი. ვოცნებობდი, გავმხდა-რიყავი ცნობილი მუსიკოსი (ფორტეპიანოზე კარგად ვუკრავდი), მაგრამ ბნელ და ცარიელ ღამის კლუბებში გატარებული რამდენიმე წლის, შეუსრულებელი დაპირებების შემდეგ, იმ ჯგუფების გამო, რომლებიც განუწყვეტლივ იშლებოდნენ და იმ მიზეზით, რომ ხელმძღვანელობა ყველას აქებდა ჩემს გარდა, ჩემს ოცნებას ფრთები შეეკვეცა. პირველად ჩემს ცხოვრებაში ვიგემე დამარცხების სიმწარე.

ამავე დროს პირველად შევიგრძენი სიკვდილის თავზარდამცემი ძალა. ჩემი უსაყვარლესი ბიძა, დედაჩემის ძმა – ადამიანი, რომელმაც მუსიკას მაზიარა, გოგონებთან ურთიერთობაზე ალმაცერი ღიმილით მელაპარაკებოდა, რომელმაც მანქანის მართვა და ფეხბურთის თამაში მასწავლა, ის უფროსი ადამიანი, რომელიც ბავშვს მის „აბუჩად აგდების” ნებას მაძლევდა და რომელსაც მინდოდა ვმგვანებოდი, მოულოდნელად 44 წლის ასაკში კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნით გარდაიცვალა.

ბიძაჩემი კარგი გარეგნობის კაცი იყო. არცთუ მაღალი, ხშირი ულვაშებით.

ერთ სახლში ვცხოვრობდით, სხვადასხვა სართულზე. მისი ბინა ჩემს თავზე იყო. ბოლო წელი კი ერთ ბინაში გავატარეთ.

ჩემს თვალწინ იფერფლებოდა მისი ძლიერი სხეული.

ჯერ საგრძნობლად გახდა, მერე მუცელი გამოებერა. ძალიან მძიმე იყო მისი ტანჯვის ყურება. ვხედავდი, როგორ იწვა თავის საწოლში მორკალული, თვალდახუჭული, მუცელი ხელებით ეჭირა და დაფჩენილი პირი საშინელ ტკივილს გამოხატავდა.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!– გვესმოდა მისი გმინვა.

ჩვენ ყველანი – მისი მეუღლე, შვილები, მე – მის გვერდით ვიყავით, მაგრამ ვცდილობდით მისთვის არ გვეყურებინა და, რაც შეიძლება მალე დაგვემთავრებინა ჩვენი სადილის კუთვნილი ულუფა.

არასდროს მიგრძნია თავი ასე უმწეოდ.

ერთხელ მაისის ღამით ბიძაჩემი და მე აივანზე ვისხედით. თბილი ამინდი იდგა, ნელი ნიავი ქროდა. ბიძაჩემმა თვალი ჰორიზონტს გაუსწორა და მოულოდნელად თქვა:

– შემდეგ წელს ჩემი შვილები უჩემოდ წავლენ სკოლაში, მინდა, რომ ისინი არასოდეს დატოვო!

– რა სალაპარაკოა,– მოვუჭერი მოკლედ.

ბიძაჩემმა სევდიანად გადმომხედა. რამდენიმე კვირის შემდეგ კი დაგვტოვა.

ამ გარდაცვალებამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ჩემს სულში. მივხვდი, რომ დრო ფასდაუდებელია, ის ონკანიდან წამოსულ წყლის ნაკადს ჰგავს, რომელსაც, თუ არ მიჰყევი, სამუდამოდ დაკარგავ. აღარ მიზიდავდა ნახევრად ცარიელ ღამის კლუბებში დაკვრა, აღარც შინ ჯდომა და სიმღერების შეთხზვა მგვრიდა სიამოვნებას. ისინი მაინც არავის სჭირდებოდა. კვლავ სწავლის გაგრძელება გადავწყვიტე. ბოლოს და ბოლოს სამაგისტრო წოდებაც მივიღე ჟურნალისტიკის განხრით. მალე სპორტული კომენტატორის სამუშაო ადგილიც ვიშოვე.

დიდების ძიებას თავი ვანებე და ვწერდი სტატიებს ცნობილი სპორტსმენების შესახებ. ჩემს ნაკვესებს ძირითადად გაზეთებში ვაქვეყნებდი, თუმც ჟურნალებთანაც ვთანამშრომლობდი. ვმუშაობდი თავაუღებლად, არავითარი ზღვარი ჩემთვის არ არსებობდა. ვიღვიძებდი დილით, ვიხეხავდი კბილებს და, რაშიც მეძინა, იმავე სამოსში მივუჯდებოდი ხოლმე საბეჭდ მანქანას.

ბიძაჩემი ერთ კორპორაციაში მუშაობდა და დასანახად ვერ

იტანდა იქ მისვლას. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა, ამ ერთფეროვნების გამო სული ჰქონდა გამწარებული. მე დავიფიცე, რომ მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში არასდროს მოხდებოდა.

ხან ნიუ-იორკში ვიყავი, ხან – ფლორიდაში, აქეთ-იქით ვაწყდებოდი. ბოლოს და ბოლოს დეტროიტში დავიწყე მუშაობა „დეტროიტ-ფრი-პრეს"-ის კორესპონდენტად. ეს იყო ქალაქი, რომელსაც სპორტისადმი ამოუწურავი ინტერესი ჰქონდა. აქ ოთხი პროფესიული გუნდი არსებობდა: ფეხბურთელების, ფრენბურთელების, კალათბურთელებისა და ჰოკეისტების. ეს სრულიად აკმაყოფილებდა ჩემს თავმოყვარეობასა თუ პატივმოყვარეობას.

რამდენიმე წლის შემდეგ გაზეთებში სტატიების გამოქვეყნებასთან ერთად სპორტულ თემებზე წიგნებსაც ვწერდი, რადიოგადაცემებს ვამზადებდი, გაუთავებლად გამოვდიოდი ტელევიზიით და საზოგადოებას ცნობილ სპორტსმენთა მოსაზრებებს ვაცნობდი, ასევე ახალგაზრდებს კოლეჯთა სპორტულ პროგრამებში მონაწილეობის მიღებას ვთავაზობდი. უმალ ჩამითრია ჟურნალისტურმა მღელვარე ტალღამ, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო. ჩემს მოსაზრებას უკვე წონა ჰქონდა და ანგარიშს უწევდნენ.

აღარ ვქირაობდი ბინებს, მე მათ ვყიდულობდი. ჩემი სახლი შემაღლებულ ადგილას იდგა. შევიძინე მანქანები. ფულს საბირჟო აქციებში ვაბანდებდი და მალე ფასიანი ქაღალდების მფლობელიც გავხდი. ვრთავდი მეხუთე სიჩქარეს და ყოველი წუთი გათვლილი მქონდა. გონების დაკარგვამდე ვვარჯიშობდი, თავბრუდამხვევი სიჩქარით დავაგრიალებდი მანქანას. ფული – თავზე საყრელი. შევხვდი შავტუხა ჯანინს, რომელმაც ისეთი მიმიღო და შემიყვარა, როგორიც ვიყავი. ჩვენ შვიდი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და მხოლოდ მერე დავქორწინდით.

ქორწინებიდან ერთი კვირის თავზე მე კვლავ ჩემს სამუშაო მაგიდას მივუჯექი. ჩემს თავს და ჯანინსაც აღვუთქვი, რომ ოდესმე გვეყოლებოდა შვილები. ეს კი ჯანინს ძალიან უნდოდა, მაგრამ ეს „ოდესმე" აღარასდროს დაგვიდგა.

ერთადერთი რამ, რაც მადარდებდა, წარმატების მიღწევა იყო. მიმაჩნდა, რომ სწორედ მას შეეძლო ყველაფრის გაკონტროლება. მინდოდა, ცხოვრებისგან ყველაფერი მიმეღო, უკანასკნელ წვეთამდე გამომეწურა ყველა ცხოვრებისეული სიხარული და მომესწრო ეს მანამ, ვიდრე ავადმყოფობა ბიძაჩემივით დამრევდა ხელს და იმქვეყნად გამისტუმრებდა.

კი, მაგრამ... მორი? ჰო, მორი დროდადრო მახსენდებოდა. მეხსიერება უცებ ამოატივტივებდა ჩვენს საუბრებს, როგორ მიხსნიდა, რომ უნდა დავმდგარიყავი „ადამიანი” და სხვებზე მეზრუნა, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი ისე შორს იყო ჩემგან, როგორც სრულიად სხვა ცხოვრებაში მომხდარი რამ. მთელი ამ წლების განმავლობაში მე გაუხსნელად ვყრიდი ბრანდეის უნივერსიტეტიდან მოსულ წერილებს, რადგან დარწმუნებული ვიყავი – თითოეული მათგანი საქველმოქმედო მიზნებისთვის თანხის გაგზავნას მთხოვდა. ასე რომ, მორის ავადმყოფობის შესახებ არაფერი მსმენია. ტელეფონის ნომრები კი იმ ადამიანებისა, რომელთაც რაიმეს თქმა შეეძლოთ, დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა და სხვენზე შეყრილ დალუქულ ყუთებში გაუჩინარდა.

ასე გაგრძელდებოდა ეს ყველაფერი, რომ არა ერთი გვიანი საღამო. ტელევიზორს მივუჯექი. არხიდან არხზე ვხტებოდი და უცებ ერთმა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება.

თვალსაჩინოებანი: ნაწილი პირველი

1995 წლის მარტის ერთ დღეს მორის სახლის წინ დათოვლილ ბილიკთან მასაჩუსეტის შტატის ვესტ-ნიუტონში ლიმუზინი გაჩერდა. შიგ ტედ კოპელი იჯდა – „ეი-ბი-სი”-ს პროგრამის „ნაით-ლაინ”-ის წამყვანი.

მორი უკვე გაუნძრევლად იჯდა სავარძელში, დამოუკიდებლად მოძრაობა აღარ შეეძლო. დამხმარე პერსონალს იგი ხან საწოლზე გადაჰყავდა და ხან ისევ სავარძელში აბრუნებდა. ჭამის დროს მორის ხშირად აუტყდებოდა ხველა, ღეჭვაც უჭირდა. ფეხები წაერთვა, სიარული აღარ შეეძლო... მიუხედავად ამისა, მორი იხტიბარს არ იტეხდა. იდეებით იყო სავსე. თავის ნააზრევს ხან ბლოკნოტში იწერდა, ხან კონვერტზე, საქაღალდესა თუ ფურცლის ნაგლეჯზე მიაწერდა. ეს იყო ერთგვარი სიცოცხლის ამონარიდები, განფენილი სიკვდილის ჩრდილში. „უდრტვინველად და მზადყოფნით მიიღე რეალობა – რაღაცის ძალა შეგწევს, რაღაცისა – არა!”, „წარსულს ნუ დაამახინჯებ, მიიღე ისეთი, როგორიც არის და ნურასდროს იტყვი მასზე უარს”, „ისწავლე საკუთარი თავის პატიება და მიუტევე

სხვებს”, „ნუ გგონია, რომ მონაწილეობის მიღება იმაში, რაც შენს ინტერესს იწვევს, როდისმე გვიანაა”. ასე ჟღერდა მათი ერთი ნაწილი.

მალე მორის დაახლოებით 50 აფორიზმი დაუგროვდა. მორი ხალისით უზიარებდა და აცნობდა მათ თავის მეგობრებს. ერთ-ერთი მეგობარი – მორი შტეინი იმდენად მოიხიბლა ამ გამონათქვამებით, რომ „ბოსტონ-გლოუბის” რეპორტიორსაც კი გადაუგზავნა. ის კი მორის ესტუმრა და მის შესახებ ვრცელი სტატიაც დაწერა. სათაური კი ასე ჟღერდა: „პროფესორის უკანასკნელი ლექცია – საკუთარი გარდაცვალება”.

ამ სტატიას „ნაით-ლაინ”-ის ერთ-ერთმა პროდიუსერმა მოჰკრა თვალი და კოპელს ვაშინგტონში უჩვენა.

და აი, ახლა კოპელის ლიმუზინი მორის სახლთან იდგა, ტელეოპე-რატორები კი მის მისაღებ ოთახში მოკალათებულიყვნენ.

მორის ოჯახის რამდენიმე წევრი და მეგობარი კოპელს გამოეგება. ამ ცნობილი ადამიანის დანახვამ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია. მორის კი ფორიაქის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. თავისი ეტლით უდრტვინველად გამოგორდა, შუბლი შეიკრა და მაღალი, თითქოს მღერისო, ხმით დაარღვია გამეფებული დუმილი:

– ტედ, ვიდრე ინტერვიუზე დაგთანხმდებით, უნდა გამოგცადოთ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

კოპელი და მორი ოთახში გაუჩინარდნენ და კარი მიიხურეს.

– ღმერთო ჩემო, – ჩაილაპარაკა მორის ერთ-ერთმა მეგობარმა, – იმედია, კოპელი მოუთმენს მორის.

– კარგი იქნება, თუ მორი მიუტევებს კოპელს, – მიუგო მეორემ.

მორიმ შესვლისთანავე ტედს თითით ანიშნა, დამჯდარიყო, ხელები მუხლებზე დაიწყო და გაიღიმა.

– მითხარით, ტედ, რა გიხარებთ გულს?

– გულს? – გაოცდა ტედი და გამომცდელი მზერა შეაგება, – ჩემი შვილები, – თქვა ფრთხილად და მათ შესახებ დაიწყო მოყოლა.

– ახლა თქვენი რწმენის შესახებ მიამბეთ რამე...

კოპელი შეიშმუშნა, თავი უხერხულად იგრძნო.

– როგორც წესი, ამ თემაზე სხვებთან არ ვლაპარაკობ, მით უმეტეს – იმ ადამიანებთან, ვისაც სულ რამდენიმე წუთია, ვიცნობ.

– ტედ, მე ვკვდები! – თქვა მორიმ და ყურადღებით გადმოხედა სათვალის ზემოდან, – ძალიან ცოტა დრო მაქვს დარჩენილი... კოპელს გაეცინა და დაჰყვა. მარკუს ავრელიუსის თავისთვის ძვირფასი ციტატა მოუყვანა.

მორიმ თავი დაუქნია, ეტყობოდა, ნდობით განეწყო.

– ახლა კი, ნება მიბოძეთ, მე გკითხოთ, – დაიწყო კოპელმა, – ოდესმე ჩემი გადაცემა თუ გინახავთ?

მორიმ მხრები აიჩეჩა:

– ალბათ, ორ-სამჯერ!

– სულ ესაა?! – გაოგნდა კოპელი.

– ნუ მიწყენთ, ოპერაც სულ ერთხელ მაქვს ნანახი.

– კეთილი, მაშ ის მაინც მითხარით, რა აზრისა ხართ? რას ფიქ-რობთ, როცა ჩემს გადაცემას უყურებთ?

მორიმ პასუხი დააყოვნა.

– მართლა გაინტერესებთ? გინდათ, გულწრფელი ვიყო?

– რა თქმა უნდა!

– მაშ გეტყვით, რომ მეტისმეტად მოგწონთ საკუთარი თავი... ნარცისიზმით ხომ არა ხართ შეპყრობილი?

კოპელმა გადაიხარხარა.

– საამისოდ მეტისმეტად უშნო ვარ!

მალე ბუხრის წინ სასადილო ოთახში კამერები ჩართეს. კოპელი უზადოდ შეკერილ ლურჯ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, მორის კი თავისუფალი მონაცრისფრო ჯემპრი ეცვა. მან გადაჭრით უარი თქვა გრიმის გაკეთებასა და საზეიმო ჩაცმულობაზე. მორის მიაჩნდა, რომ ადამიანებს არ უნდა რცხვენოდეთ სიკვდილისა, ამიტომ ბუნებრივად დარჩენა ამჯობინა.

ვინაიდან მორი ინვალიდის სავარძელში იჯდა, კადრში მისი გახევებული ფეხები არ მოხვედრილა, ხელებს კი ერთთავად შლიდა. მუდამ ასე იცოდა. საზოგადოებას დიდი ენთუზიაზმით უხსნიდა, როგორ ხვდებოდა თავის აღსასრულს.

– ტედ, – თქვა მორიმ, – როცა ეს უბედურება თავს დამატყდა, ჩემს თავს ვკითხე: „რას აპირებ? გინდა ამქვეყნიურ ცხოვრებას განერიდო, როგორც ამას ბევრი შვრება, თუ შეძლებ უწინდებურად იცხოვრო?” მე მეორე ავირჩიე, ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, რო-გორც მომწონს: ღირსების გრძნობით, თავშეკავებით, შემართებითა

და იუმორით. ზოგჯერ დილაობით ცრემლი მომადგება და პატარა ბავშვივით ვზლუქუნებ, დავტირი საკუთარ თავს. ხანდახან კი ისე მომეძალება სევდა და ისეთი სიბრაზე ამიტანს, რომ... მაგრამ ამგვარი განწყობა დიდხანს არ გასტანს ხოლმე. ბალიშიდან თავს ვწევ და ვამბობ: „მე მინდა ვიცხოვრო!" ჯერჯერობით გამომდის... რა იქნება მერე, არ ვიცი, მაგრამ მჯერა, რომ გამომივა.

აშკარა იყო, რომ კოპელზე მორი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

– როგორ მიგაჩნიათ, სიკვდილის მოახლოება ადამიანს უფრო შემრიგებელს ხდის? – იკითხა კოპელმა.

– როგორ გითხრათ, **ფრედ, – ტედის** ნაცვლად შემთხვევით წამოსცდა მორის.

– აი, თურმე რას ჰქვია შემრიგებლობა, – გაეცინა ტედს.

მათ დიდხანს ისაუბრეს იმაზე, თუ რა იქნება სიკვდილის შემდეგ, იმის შესახებ, რომ მორი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება სხვა ადამიანებზე. მას დახმარება ესაჭიროებოდა ჭამის, დაჯდომისა თუ გადაადგილების დროს. კოპელი დაინტერესდა, მაინც რა აშინებდა მორის ყველაზე მეტად ამ ნელი, ვერაგი კვდომის პროცესში.

მორი ჩაფიქრდა.

– ტედ, არ ვიცი, რამდენად მაქვს უფლება, ასეთი რამ ტელე-ვიზიით ვთქვა...

– თქვით, – თავი დაუქნია კოპელმა.

მორიმ კოპელს, ამერიკის ყველაზე ცნობილ ჟურნალისტს, თვალი თვალში გაუყარა და მიუგო:

– რა გითხრათ, სულ მალე სხვას მოუწევს ჩემი უკანალის გაწმენდა.

გადაცემა ეთერში პარასკევს საღამოს გავიდა. ტედ კოპელი ვაშინგტონში თავის საწერ მაგიდას უჯდა და ხმამაღლა საქვეყნოდ სვამდა შეკითხვას: „ვინ არის მორი შვარცი? რატომ გახდება იგი ამ გადაცემის შემდეგ ბევრისთვის ძალიან ახლობელი?"

ვაშინგტონიდან ათასი მილის მოშორებით, გორაკზე მდგარ ჩემს სახლში ტელევიზორთან ვიჯექი და არხიდან არხზე ვხტებოდი... და უცებ გავიგონე: „ვინ არის მორი შვარცი?", გავიგონე და გავხევდი.

* * *

ჩვენი პირველი შეხვედრა 1976 წელს შედგა, გაზაფხული იდგა, როცა მორის მოზრდილ კაბინეტში ფეხი შევდგი. თვალში მომხვდა კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული წიგნებით გადავსებული თაროები.

რას არ გადააწყდებოდით აქ – წიგნებს სოციოლოგიისა თუ ფილოსოფიის შესახებ, გამოკვლევებს რელიგიისა თუ ფსიქოლოგიის დარგში. იატაკზე მოზრდილი ხალიჩა ეფინა. ფანჯარა შენობისკენ (კამპუსისკენ) მიმავალ გზას გადაჰყურებდა. ოთახში დაახლოებით 12-ოდე სტუდენტს მოეყარა თავი. სილაბუსებსა და რვეულებში თავჩარგულები, ფურცლებს მოუსვენრად აშრიალებდნენ. უმეტეს-ობას ჯინსები ეცვა, მოყავისფრო ფეხსაცმელი და შოტლანდიური ფანელის პერანგები.

– ნეტავ რა უნდა ვაკეთო ამ ერთ ციცქნა კლასში, ღირს კი საერთოდ დასწრება?! – გამიელვა თავში.

– მიტჩელი? – იკითხა მორიმ სიის ამოკითხვისას. ხელი ავწიე.

– როგორ ჯობს მოგმართოთ – მიჩ თუ მიტჩელ?

მსგავსი შეკითხვა ჩემთვის მასწავლებელს არასდროს დაუსვამს. კიდევ ერთხელ შევავლე თვალი მამაკაცის მოღიმარ სახეს. შუბლზე ვერცხლისფერი თმა ეყარა, ყელთან სამკუთხედად ამოჭრილი ყვითელი მაისური ეცვა და მწვანე ველვეტის შარვალი. მხრები ავიჩეჩე.

– ალბათ, მიჩ, – ასე მეძახიან მეგობრები.

– ასე იყოს, – თქვა მორიმ, და დასძინა, – იმედი მაქვს, მალე დავმეგობრდებით!

შეხვედრა

ჩემმა მანქანამ ვესტ-ნიუტონში შეუხვია, აქ მორი ცხოვრობდა ბოსტონის მყუდრო გარეუბანში. ცალ ხელში ყავის ჭიქა მეჭირა. მხარსა და ყურს შორის კი მობილური მქონდა მოქცეული, პროდიუსერს ვესაუბრებოდი მნიშვნელოვან საკითხებზე. ჩემი მზერა მოუსვენრად აწყდებოდა ხან ჩემი საათის ციფერბლატს, ხან კი ხეებით ჩამწკრივებულ ქუჩაზე დაჟინებით დაეძებდა სახლის

სასურველ ნომერს. რამდენიმე საათში უკან უნდა დავბრუ-ნებულიყავი. რადიოც ჩართული მქონდა, მოკლედ, ერთდროულად ხუთი კურდღლის დაჭერას ვლამობდი.

– გადაახვიე, კიდევ ერთხელ მინდა, ამ ნაწილს მოვუსმინო, – ვუთხარი პროდიუსერს.

– კარგი, ახლავე დავაბრუნებ, – მომიგო მან.

უცებ მივხვდი, რომ უკვე მორის სახლთან ვიდექი. ორივე პედალს დავაწექი, მანქანა ჯიქურ შედგა და ყავა მუხლებზე გადმომეღვარა. თვალი მოვკარი დიდი იაპონური ნეკერჩხლის ხის ქვეშ მჯდომ სამ ადამიანს. ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, მეორე საშუალო ასაკის ქალი, მესამე კი – ჩია კაცი, სავარძელში იჯდა.

– მორი! – გამიელვა თავში და სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

– ჰელოო, აქა ხართ? მგონი, დაგკარგეთ, – მომესმა პროდიუსერის ხმა.

16 წელი არ მენახა მორი. თმები შესთხელებოდა და სულ გასთეთ-რებოდა, ლოყები ჩასცვენოდა. მივხვდი, რომ ამ შეხვედრისთვის მზად არ ვიყავი. ჯერ ისევ ტელეფონზე ვეკიდე. იმედი მქონდა, რომ მორიმ ჩემი მოსვლა ვერ შენიშნა, გაწონასწორებისა და ფსიქოლოგიური მომზადებისთვის დრო მჭირდებოდა, ამიტომ ოდნავ შეყოვნება ვამჯობინე. შემეძლო მანქანით კიდევ რამდენიმე ბლოკი გამევლო, საუბარი ჩამეთავებინა და გონს მოვსულიყავი, მაგრამ მორის ღიმილიანი მზერა, იმ მორისა, რომელსაც ასე კარგად ვიცნობდი და რომლის ლანდიღა იყო დარჩენილი, მანქანისკენ იყო მომართული. ხელები მუხლებზე დაეწყო და ჩემს მანქანიდან გადმოსვლას მოუთმენლად ელოდა.

– ჰელოო, – ჩამესმა ისევ პროდიუსერის ხმა, – აქა ხართ?

წესით და კანონით, მობილური დაუყოვნებლივ უნდა დამეკეცა, მანქანიდან გადმოვმხტარიყავი, თავქუდმოგლეჯილი გავქცეული-ყავი და გულში ჩამეკრა მორი, თუნდაც იმ ერთად გატარებული წლებისა და იმ სიკეთის პატივსაცემად, რაც მას ჩემთვის გაეკეთებინა, ანდა იმ მოთმინებისა, რომელსაც ყოველთვის იჩენდა ჩემს მიმართ ახალგაზრდობაში. ამის ნაცვლად მე მოტორი გამოვრთე და მანქანაში ჩავძვერი, ვითომ რაღაცას ვეძებდი.

– ჰო, აქა ვარ, აქ, – წავჩურჩულე პროდიუსერს და საუბარი განვაგრძე. გავაკეთე ის, რის კეთებასაც ჩვეული ვიყავი და ყველაზე უკეთ გამომდიოდა. მაშინაც კი ჩემს საქმეს ვაგვარებდი, როცა ჩემი

უსაყვარლესი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი პროფესორი მელოდა. რა გითხრათ, სინდისი მქენჯნის, მაგრამ ასე იყო... ალბათ, ცოდვა აღიარებული ჯობს...

ახლა კი, ხუთი წუთის შემდეგ, მორი გულში მიკრავდა, მისი შეთხელებული თმა ჩემს ლოყას ეკვროდა.

– მანქანის გასაღებს ვეძებდი, ამიტომ შევყოვნდი – ვეუბნებოდი მორის თვალის ასახვევად და ღონივრად ვიკრავდი გულში, რათა ჩემი ტყუილი რაღაცნაირად შემენიღბა.

მიუხედავად იმისა, რომ გარეთ გაზაფხულის თბილი ამინდი იდგა, მორის ქურთუკი ეცვა და ფეხებიც საბნით ჰქონდა დათბილული. რაღაცნაირი მომჟავო სუნი მისწვდა ჩემს ყნოსვას, ასეა ხოლმე, როცა ადამიანები ბევრ წამალს იღებენ. მორი ჩემთან ახლოს იდგა და მესმოდა მისი დამძიმებული სუნთქვა.

– ჩემო ძველისძველი მეგობარო, – წამჩურჩულა მან, – როგორც იქნა, დამიბრუნდი!

მორი მომეკრა, არ გამიშვა. ხელები ჩემს მკლავებს ამოაყოლა და მეც დავიხარე, რომ მოვხვეოდი. გამაკვირვა ასეთმა ემოციურმა შეხვედრამ. რამდენმა დრომ განვლო, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ჩემს აწმყოსა და წარსულს შორის თითქოს ქვის კედელი აღმართულიყო. ჩვენი უწინდელი ურთიერთობის სიახლოვეც რაღაცნაირად მივიწყებას მისცემოდა. გამახსენდა კოლეჯის დასრულების დღე, ნაჩუქარი ხელჩანთა, მისი ცრემლით სავსე თვალები და ყელში ბურთი გამეჩხირა, რადგან ვგრძნობდი იქ, სადღაც, გულის სიღრმეში, რომ მე შორს ვიყავი იმ იდეალური ახალგაზრდისგან, იმ სიხარულის მიმნიჭებელი სტუდენტისგან, როგორიც მორის ვახსოვდი.

იმის იმედიღა დამრჩენოდა, რომ ამ რამდენიმე საათში მაინც მოვახერხებდი უწინდელი შთაბეჭდილების მოხდენას და იმედს არ გავუმტყუნებდი.

სახლში შევედით და კაკლის სასადილო მაგიდას მივუსხედით. ფანჯარა მეზობლის სახლს გაჰყურებდა. მორი წრიალებდა, ცდილობდა, ველჩერში მოხერხებულად მოკალათებულიყო. ჩვეულებისამებრ, ჩემი გამასპინძლება მოიწადინა და მეც დავყევი.

ერთ-ერთმა თანაშემწემ, ჩასკვნილმა იტალიელმა ქალმა, სახელად კონიმ, პური და პამიდორი დაგვიჭრა, ქათმის სალათი, ჰუმუსი და ტაბულიც შემოაყოლა.

კონიმ რამდენიმე აბი წინ დაუდო მორის. მორიმ აბებს თვალი შეავლო და ამოიოხრა. თვალები ჩასცვენოდა და ყვრიმალები თითქოს წინ წამოსწეოდა, ეს კი მას თითქოს უფრო აბერებდა და პირქუშ შესახედაობას სძენდა, მაგრამ, გაიღიმებდა თუ არა, გამომეტყველება სრულიად ეცვლებოდა და სახეზე ნათელი გადასდიოდა.

– მიჩ, – მითხრა მან, – იცი, რომ ბევრი აღარ დამრჩენია? ვიცოდი და მორიც მიხვდა ამას.

– მაშ ასე, – თქვა მან და აბები გადაყლაპა. ქაღალდის ჭიქა დადგა, ღრმად ჩაისუნთქა და მითხრა:

– გინდა იცოდე, რას ჰგავს ეს ყველაფერი? რას განიცდის ადამიანი ამ დროს?

– მინდა, – ვთქვი მე. და, მიუხედავად იმისა, რომ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი ამისთვის მზად, მივხვდი, რომ ჩემი უკანასკნელი „გაკვეთილი” დაიწყო.

* * *

ეს იყო ჩემი პირველი სასწავლო წელი. მორი სხვა პროფესორებზე უფროსი იყო, მე კი სტუდენტებს შორის – ყველაზე უმცროსი. სკოლა სულ რაღაც ერთი წლის დამთავრებული მქონდა. ძველი ნაცრისფერი სვიტერი მეცვა, სავარჯიშო დარბაზში დავიარებოდი და კრივით სერიოზულად ვიყავი გატაცებული. პირში მუდმივად სიგარეტი მქონდა გაჩრილი, თუმც არასდროს ვეწეოდი, დავაგრიალებდი მერკური კუგარს (Mercury Cougar) და ბოლომდე ჩაწეული ფანჯრებიდან მუსიკას ვაღრიალებდი. ასე ვცდილობდი ჩემი სიყმაწვილის შენიღბვას. მინდოდა, ყველასთვის თავი „მაგარ ტიპად” წარმომედგინა. მორის სირბილემ გონს მომიყვანა. მორი არასდროს მომქცევია, როგორც ბავშვს და მეც რაღაცნაირად მოვეშვი, დაძაბულობა მომეხსნა.

პირველი კურსი დავხურე და მეორეზე გადავედი.

სხვანაირი იყო, რაღაცნაირი ფართო, არა პედანტი. ნიშნებს დიდად არ აქცევდა ყურადღებას. ერთ წელს, ვიეტნამის ომის დროს, ყველა

ვაჟ სტუდენტს უმაღლესი შეფასება მისცა, რათა ისინი თავისი მხარში დგომით გაემხნევებინა და გამოცდის გადავადება არ დაეშვა.

მორის „კაპიტანი” შევარქვი და ეს სახელი მას ძალიან მოსწონდა.

– კაპიტანი? ასე იყოს, – უხაროდა მორის, – შენ კი ჩემი მოთამაშე იქნები და ყველა იმ პარტიას წარმართავ, რომლისთვისაც მე უკვე აღარ ვვარგივარ.

ხანდახან კაფეტერიაშიც ერთად ამოვყოფდით ხოლმე თავს. მორი, ჩემდა გასაკვირად, ჩემზე ფეთხუმი აღმოჩნდა. კვერცხის სალათით პირგამოტენილს შეეძლო ელაპარაკა, ეცინა, შთაგონებაშეპყრობილს საინტერესო აზრები გამოეთქვა, მაგრამ ამ დროს საჭმლის ნამცეცები ღია პირიდან სცვიოდა და ირგვლივ ყველაფერს „ბილწავდა”. მსგავსი ვითარება მუდამ მაბნევდა. რაც მას ვიცნობდი, ორი დაუოკებელი სურვილი ერთმანეთს ებრძოდა – ერთი მხრივ, მინდოდა გულში ჩამეკრა და მოვფერებოდი, მეორე მხრივ, ერთთავად პირზე ასაფარებელი ხელსაწმენდის ძიებაში ვიყავი.

საკლასო ოთახი

მზემ ოთახში შემოიჭყიტა და იატაკზე მოიკალათა. ჩვენმა საუბარმა დაახლოებით ორ საათს გასტანა. ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა. ზარებს დაუზარებლად პასუხობდა კონი და სახელებს შავ უბის წიგნაკში ინიშნავდა. ვინ აღარ კითხულობდა მორის ამბავს – მეგობრები და მედიტაციის მასწავლებლები, დისკუსიის მონაწილენი თუ მონაწილეობის მიღების მსურველნი, ზოგს, უბრალოდ, მისთვის კეთილი სურვილების გადაცემა სურდა, ზოგიც მასთან სურათის გადაღების ნებართვას ითხოვდა.

ცხადია, მე არ ვიყავი ერთადერთი, ვისაც მორის ამბავი ადარდებდა. შოუ „ნაით-ლაინ”-მა იგი საკმაოდ პოპულარულ ადამიანად აქცია. ეს მე ვიცოდი, მაგრამ მაინც არ ველოდი ასეთ ამბავს. სადღაც მშურდა კიდეც იმ ხალხისა, ვინც მორის გარს ეხვია... გამახსენდა ის ადამიანები, რომლებთანაც თითქოს ვმეგობრობდი სტუდენტობის დროს, მაგრამ მათი ასავალ-დასავლისა არაფერი ვიცოდი.

– მიჩ, უცნაურია, მაგრამ, რაც სიკვდილმა თავისი სიახლოვე მაგრძნობინა, საზოგადოებისთვის უფრო საინტერესო გავხდი, – თქვა მორიმ.

– თქვენ ყოველთვის ძალიან საინტერესო იყავით, – მივუგე.

– ვითომ? – გაეღიმა მორის, – მეტისმეტად კეთილი ხომ არა ხარ ჩემს მიმართ?

– სულაც არა, მე მართლაც ასე ვფიქრობ.

– მე მაინც მგონია, აქ ერთი რამაა საგულისხმო. რაც ავად გავხდი, ხალხი მე გარკვეულწილად შუამავლად აღმიქვამს, არც მიწის ვარ და არც ცისა, რაღაც ამის მსგავსი, ერთგვარ ხიდად ვიქეცი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლეს შორისაა გადებული.

მორიმ ჩაახველა და ღიმილით განაგრძო:

– ახლა მე უკანასკნელი მგზავრობისთვის ვემზადები, მათ კი აინტერესებთ – ასე საგულდაგულოდ მაინც რას ვაწყობ ამ ჩემს ზურგჩანთაში.

ტელეფონმა დაიწკრიალა.

– უპასუხებთ? – იკითხა კონიმ.

– დავურეკავ, უთხარით, რომ ძველი მეგობარი მესტუმრა, – მიუგო მორიმ.

ვერაფრით ამეხსნა მორის ასეთი სითბო და ყურადღება ჩემს მიმართ. მე ხომ ჩემი დანაპირები არ შევასრულე. რომ არა „ნაით-ლაინი", ისე წავიდოდა ამქვეყნიდან, ვერაფერს შევიტყობდი. კარგად მესმოდა, რომ ამის პატიება არ შეიძლებოდა. ერთადერთი, რითაც თავის მართლება შემეძლო, ის იყო, რომ ყოველდღიურობამ ჩამითრია და თავგზა ამიბნია.

– ეს როგორ მომივიდა? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს. მორის მაღალმა, ხრინწშეპარულმა ხმამ კვლავ უკან, უნივერსიტეტის წლებისკენ მიმაბრუნა. მაშინ მჯეროდა, რომ ფულიან ხალხს სულში ეშმაკი ჰყავდა ჩასახლებული. გახამებულსაყელოიანი ჰალსტუხგა-მონასკვული პერანგი ჩემთვის ტუსაღთა ფორმას წარმოადგენდა, გაღვიძება თავისუფლების გარეშე, მოტოციკლეტით პარიზში სრიალი, როცა ქარი პირდაპირ სახეში გცემს, სულაც არ იყო კარგი ცხოვრების მიმანიშნებელი. მაშინ ჩემთვის ბედნიერებად არც ტიბეტის მთიანეთში მოხვედრა აღიქმებოდა. ვერ გამეგო, რა მჭირდა.

80-იანმა წლებმა ჩაიარეს, მათ 90– იანი მოჰყვა. სიკვდილი მომიშინაურდა, ავადმყოფობამაც მაგრძნობინა თავისი სუნთქვა. წონაში მოვიმატე, თმები შემითხელდა. ერთადერთი, რაც

მადარდებდა – რაც შეიძლება მაღალი ფულადი ანაზღაურება მიმეღო. იმას კი არ ვფიქრობდი, რომ ცხოვრება თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა, თითებს შორის უაზროდ მეწურებოდა.

ახლა მორისთან ვსაუბრობდი. თითქოს ჩემი კოლეჯის ჯადოსნურ სამყაროში გადავინაცვლე.

მორი კითხვას კითხვაზე მაყრიდა:

– როგორ ცხოვრობ და რით? რამეს თუ აკეთებ იმისთვის, რომ საზოგადოება სასიკეთოდ შეცვალო? შეხვდი თუ არა შენი სულის თანაზიარ ადამიანს შენი ცხოვრების გზაზე? მიგაჩნია თუ არა, რომ ნამდვილი ადამიანი ხარ? შენს შინაგან „მე"-ს თუ ეთანხმები, თუ ხანდახან ამბოხი გიპყრობს?

გულწრფელად რომ გითხრათ, თავს რაღაცნაირად არაკომფორტულად ვგრძნობდი, ვწრიალებდი და მხრებს ვიჩეჩდი. ყოველმხრივ ვცდილობდი, მორიც დამერწმუნებინა და საკუთარი თავიც, რომ ეს საკითხები მართლაც მაღელვებდა.

გამახსენდა, რომ ადრე, ერთხელ პირობაც კი დავდე, რომ არასდროს ვიმუშავებდი ფულის დაგროვების მიზნით, მოვინახულებდი თვალწარმტაც, შთამაგონებელ ადგილებს, უყოყმანოდ ჩავდგებოდი მშვიდობის მშენებელთა რიგებში. ახლა კი...

ყოველივე ამის ნაცვლად დეტროიტში ათი წლით გამოვიკეტე, ერთსა და იმავე ადგილს ვტკეპნიდი, ბანკიც კი ერთი მქონდა, ერთსა და იმავე დალაქს ვაკითხავდი. კომპიუტერულ ტექნიკასთან მჭიდრო კავშირში სტატიებს ერთი მეორეს მიყოლებით ვაცხობდი. ძირითადად სახელგანთქმული სპორტსმენების შესახებ ვწერდი.

37 წელი შემისრულდა. რა ხანია, ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა აღარ ვიყავი. არც ნაცრისფერი სვიტერი მეცვა და არც პირში სიგარეტგარჭობილი დავიარებოდი. ცხოვრების არსის შესახებ საინტერესო საუბრებიც კვერცხის სენდვიჩებით გამოტენილი პირით რა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. ჰო, ჩემი ცხოვრება ნამდვილად მეტად დატვირთული და დაძაბული იყო, მაგრამ რატომღაც ვერანაირ კმაყოფილებას ვერ ვგრძნობდი. ვერაფრით ვერ გამეგო, რა იყო ამის მიზეზი.

– ჩემო კაპიტანო! – ვთქვი უცებ, – გამახსენდა მისი მეტსახელი.

– ეს მე ვარ, შენი კაპიტანი, – გაეღიმა მორის და ორმოცი წუთის წინ დაწყებულ საჭმელს თავი ანება. მე მორის ყურადღებით ვადევნებდი

თვალს. მისი ხელები ნელა მოძრაობდნენ, თითქოს ახლახან ესწავლა მათი ხმარება. დანის ტარზე ოდნავი დაწოლაც კი დიდ ტკივილს აყენებდა. თითები უთრთოდა. თითოეული ლუკმის ჩადება და გადაყლაპვა დიდ განსაცდელს უქმნიდა. გაჭირვებით ღეჭავდა ლუკმას, ლოყიდან ლოყაში გადაჰქონდა. ხანდახან პირში საჭმლის გაჩერება უჭირდა და უკან შესაბრუნებლად ხელსაწმენდს აშველებდა. კანი, მაჯიდან მოყოლებული, ასაკისთვის შესაფერის ლაქებს დაეფარათ და ძვლებს ისე ეკიდა, როგორც ქათმის ბარკალს ბულიონში.

ერთხანს ასე მშვიდად შევექცეოდით ჩვენ ჩვენს ულუფას სნეული მოხუცი და ახალგაზრდა, ჯანმრთელი მამაკაცი. ეს დუმილი რაღაცნაირად მთრგუნავდა, მაგრამ, მგონი, მხოლოდ მე.

– გარდაცვალება, – დაიწყო მორიმ, – რა თქმა უნდა, სევდის მომგვრელი რამაა, მიჩ, მაგრამ სიცოცხლე ბედნიერების გარეშე კიდევ სხვა თემაა.

– რას გულისხმობთ?

– კულტურა არ არის ის, რაც ადამიანს ბედნიერს ხდის და, თუ ეს ასეა, უნდა გეყოს გამბედაობა, აღიარო ეს და შექმნა შენი საკუთარი. ადამიანების დიდ ნაწილს ამის გაკეთება არ შეუძლია. მიუხედავად ჩემი დღევანდელი მდგომარეობისა, ისინი ჩემზე უბედურად გამოიყურებიან. მართალია, მე ვკვდები, მაგრამ რამდენი მოსიყვა-რულე და მზრუნველი ადამიანი მახვევია გარს. განა ბევრს შეუძლია ეს დაიტრაბახოს?

გაოცებული ვუსმენდი. მორის საკუთარი თავის მიმართ შეცოდება-სინანულის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. საიდან ჰქონდა ასეთი მიტევების, შემგუებლობის უნარი ადამიანს, რომლის ცხოვრების წესიც ავადმყოფობამ თავდაყირა დააყენა. მორი ვეღარ ცეკვავდა, ვეღარ ცურავდა, დამოუკიდებლად არათუ შხაპის მიღება და ტანის გამშრალება, გადაადგილებაც კი არ შეეძლო. კარს ვერ გაგიღებდათ, სხვისი დახმარების გარეშე საწოლში გვერდს ვერ იბრუნებდა. თვალს ვადევნებდი მის შეუპოვარ ბრძოლას ჩანგალთან, რომლითაც მორი პომიდვრის ნაჭრის აღებას ცდილობდა, ის კი ხელიდან უსხლტებოდა და გაურბოდა. მართლაც რომ შთამბეჭდავი სანახაობა იყო. დღესაც ვერ ამიხსნია ეს ფენომენი, ეს ოლიმპიური სიმშვიდე, არნახული უდრტვინველობა, რომლის ძალაც უკან, კოლეჯის წლებისკენ თავქუდმოგლეჯით მიმაქანებდა.

საათს შევავლე თვალი. წლებით გამომუშავებული ჩვევა. მაგვიანდებოდა. ისიც ვიფიქრე – დავრეკავ და რეისს გადავადებინებმეთქი. ამ დროს მორიმ ისეთი რამ მკითხა, რამაც მთლიანად დაიპყრო ჩემი გონება.

– იცი, როგორი იქნება ჩემი აღსასრული? ავხედე.

– უჰაეროობა მომიღებს ბოლოს. ჰო, ჩემი ფილტვები ასთმის გამო ვერ გაუძლებს ავადმყოფობას. ის ქვემოდან ზევით მოიწევს. ფეხები უკვე დაიმორჩილა, იგივე ელის ჩემს ხელებს, მერე კი ფილტვებს მიადგება. უბრალოდ – დავიხრჩობი... – მხრები აიწურა მორიმ.

– ეს არავინ იცის... – ჩავილუღლუღე ჩემთვის. უბრალოდ, არ ვიცოდი, რა მეთქვა. მორიმ თვალები დახუჭა.

– მე ვიცი, მიჩ, ვიცი! შენ არ უნდა შეგაშინოს ჩემმა სიკვდილმა. მე კარგი ცხოვრება განვვლე, სიკვდილი კი ახლა გარდუვალია, ეს ორივემ ვიცით. ალბათ, ოთხი-ხუთი თვეღა მაქვს დარჩენილი.

– კარგი ერთი, – ადგილს ვერ ვპოულობდი მე, – ეს არავინ იცის...

– მე ვიცი, – რბილად მომიგო მორიმ, – ჩემმა ექიმმა ტესტი გამიკეთა.

– რა ტესტი?

– რამდენჯერმე ჩაისუნთქე! ჩავისუნთქე.

– ახლა კიდევ ერთხელ სცადე და, როცა ამოისუნთქავ, დაითვალე. ამოვისუნთქე. 70-მდე დათვლა მოვასწარი.

– ყოჩაღ, – თქვა მორიმ, – ხედავ, შენ ჯანსაღი ფილტვები გაქვს, ახლა მე მიყურე.

მორიმ ჰაერი ჩაისუნთქა და მშვიდი ხმით თვლა დაიწყო. მხოლოდ 18-მდე მოახერხა. შედგა. სული მოითქვა.

– როცა პირველად ჩემმა ექიმმა ამ ტესტის გაკეთება შემომთავაზა, მაშინ 33-მდე ავქაჩე, ახლა კი სულ 18-ია.

მორიმ თვალები დახუჭა და თავი გადააქნია:

– ჩემი მარაგი ფაქტობრივ დაცლილია.

ნერვიულად ვიმტვრევდი თითებს. ერთი დღისთვის მეტისმეტი იყო.

– არ დაივიწყო შენი მოხუცი პროფესორი, – მითხრა მორიმ, როცა გამოსამშვიდობებლად გულში ჩავიკარი.

დავპირდი. ამჯერად უწინდელი გატეხილი სიტყვის შესახებ ფიქრს თავი ავარიდე.

* * *

უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში მორის მიერ მითითებულ წასაკითხი წიგნების სიას საგულდაგულოდ ჩავყურებდი. ამ წიგნების არსებობის შესახებ ადრე არაფერი მსმენია. „ახალგაზრდობა: დღესასწაული თუ კრიზისი", „მე და შენ", „მეობის გაორება-დანაწევრება", – ასე ჟღერდა მათი სათაურები.

ვიდრე კოლეჯში სწავლას შევუდგებოდი, ვერ წარმომედგინა, რომ ადამიანთა ურთიერთობების შესწავლა მეცნიერულ დონეზე იქნებოდა შესაძლებელი. მორისთან შეხვედრამდე ეს ჩემთვის სრულიად უცხო ხილი იყო, მაგრამ ლტოლვა წიგნებისადმი სრულიად რეალური და გადამდები აღმოჩნდა. ხანდახან ჩვენ დაცარიელებულ აუდიტორიაში ლექციების შემდეგაც ვრჩებოდით და სერიოზულ საუბრებს ვმართავდით. მორი მეკითხებოდა ჩემი ცხოვრების შესახებ, შემდეგ ციტატები მოჰყავდა ერიხ ფრომის, მარტინ ბუბერის, ერიკ ერიქსონის ნაშრომებიდან. ხანდახან საკუთარ განმარტებებსა და მოსაზრებებსაც ურთავდა. მე ვხვდებოდი, რომ ეს არ იყო უბრალო ურთიერთობა ერთ ჩვეულებრივ ადამიანთან, მორი ფართო დიაპაზონის მქონე პიროვნება იყო, ნამდვილი პროფესორი.

ერთ დღეს დავიწუწუნე ჩემი ასაკის წინააღმდეგობრივ ხასიათთან დაკავშირებით.

– შენთვის არაფერი მითქვამს საპირისპირო პოლუსთა ურთიერთ-მიზიდულობის შესახებ? – მკითხა მორიმ.

– ცხოვრება მიქცევ-მოქცევას წააგავს. შენ ერთი რამის გაკეთებას ლამობ, მაშინ როცა სინამდვილეში მეორეა უფრო მნიშვნელოვანი. რაღაც გულს გტკენს, ანდა იცი, რომ არაფერია საწყენი. რაღაცას ღვთის წყალობად მიიჩნევ, როცა ეს აქ არაფერ შუაშია. ესაა საპირისპირო პოლუსთა მიზიდულობა, ცხოვრება რეზინის ზონარს ჰგავს, აქეთ-იქით რომ ექაჩებიან, ჩვენ კი სადღაც შუაგულში ვართ შეჯგუფებულნი.

– ცხოვრება მეტოქეთა ჭიდილს წააგავს, – ვთქვი მე. მორის გაეღიმა:

– შეიძლება ასეც ითქვას.

– მერედა, ვინ გაიმარჯვებს? – ვიკითხე კვლავ.

მორიმ ეშმაკურად გადმომხედა, თავისი აცაბაცა კბილები გამოაჩინა და თვალებში შუქი ჩაუდგა:

– სიყვარული გაიმარჯვებს, მიჩ, სიყვარულია მუდამ გამარჯვებული!

დასწრების გადამოწმება

რამდენიმე კვირის შემდეგ ლონდონში გადავფრინდი უიმბლდონში გამართული პირველი მსოფლიო საჩოგბურთო ტურნირის შესახებ რეპორტაჟის მოსამზადებლად. ვიყავი ისეთ ადგილას, სადაც თავმოყრილი ხალხი ავის მომასწავებელი ხმაურით არ შეგაწუხებს და მანქანის გასაჩერებელ ადგილსაც რომ მონახავ. ასევე ძნელად თუ გადაეყრები მთვრალებს. ინგლისმა თბილი და ღრუბლიანი ამინდი შემომაგება. ყოველ დილით ჩავუყვებოდი ხეივანს ჩოგბურთის კორტების სიახლოვეს, ჩავუვლიდი ალალბედზე ზედმეტი ბილეთის მოლოდინში გრძელ რიგად ჩამწკრივებულ თინეიჯერებს. ქუჩაში ხენდრო და ნაყინი იყიდებოდა. საგაზეთო კიოსკები გადაჭედილი იყო ფერად-ფერადი ბრიტანული ტაბლოიდებით, ნახევრად შიშველი ქალებისა თუ პაპარაცების მიერ გადაღებული ინგლისის სამეფო ოჯახის წევრთა სურათებით, ჰოროსკოპებითა და ლატარიის ბილეთებით. აქა-იქ ახალ ამბებსაც გადააწყდებოდა კაცი. დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ ინფორმაცია პატარა დაფაზე იყო დაწერილი და ქაღალდის უზარმაზარ გროვაზე წამოესკუპებინათ. ზოგიერთი მათგანი ასე გამოიყურებოდა: „დაპირისპირება დაიანასა და ჩარლზს შორის", ან „გაზა მიმართავს გუნდს: მომეცით მილიონი".

ხალხი ხელში იბღუჯავდა ტაბლოიდებს, ზოგიც თავს ჭორაობით იქცევდა. ასევე ვიქცეოდი ადრე მეც ინგლისში ჩემი პირველი სტუმრობის დროს, მაგრამ ამჯერად რატომღაც სულ მორი მიტრიალებდა თავში – მაშინაც კი, როცა ჩემი მზერა მორიგ სისულელეს შეეფეთებოდა. ჩემს გონებაში ერთმანეთს კადრებივით ენაცვლებოდა მორის სახლი, იაპონური ნეკერჩხალი, ხის მკვრივი

იატაკი. მესმოდა მორის მშფოთვარე სუნთქვა, მუდამ სიყვარულით გაჯერებული. ვფიქრობდი მორის შესახებ და მიკვირდა, რამდენ დროს უაზროდ ვფლანგავდი ისეთ რაღაცეებზე, რასაც ჩემთვის არანაირი ფასი არ გააჩნდა: ცნობილი მსახიობები, სუპერმოდელები, უახლესი ამბები ლედი დის, მადონას, ანდა კენედის შესახებ... უცნაურია, მაგრამ შურით შევყურებდი მორის მიერ გატარებულ ცხოვრებას. სიკვდილამდე დარჩენილი დროის სიმცირე კი გულს მიკლავდა. არ მესმოდა, რატომ ვიქცეოდით ასე. შინ მოსულები უმალვე ჯეიმს სიმფსონის სასამართლო პროცესს ჩავუჯდებოდით. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ლანჩის მთელ დროს ამ სიუჟეტის ყურებას უთმობდნენ; რაც ვერ მოასწრეს, ფირზე იწერდნენ და ღამის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს. ისინი არ იცნობდნენ სიმფსონს, არც ამ ტრაგედიაში მონაწილე ადამიანებს, მაგრამ მზად იყვნენ, თავიანთი ინტერესები და ცხოვრება სხვისი უბედურების ცქერისთვის შეეწირათ...

მახსენდებოდა მორის სიტყვები: „თუკი თქვენი ცხოვრების წესი კმაყოფილების გრძნობით არ გავსებთ, ნუ შეუშინდებით მის შეცვლას, იყავით გამბედავნი და აღიარეთ ეს”.

ასე ცხოვრობდა მორი, მან ხომ თვითონ შექმნა თავისი ცხოვრება, თან ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სნეულება დარევდა ხელს. მორი ქმნიდა სადისკუსიო ჯგუფებს, მეგობრებს წერილებს სწერდა და მათთან ერთად სეირნობდა, გატაცებით ცეკვავდა ჰარვარდ-სკვერის ეკლესიაში... კითხულობდა წიგნებს, რათა სტუდენტების თვალსაწიერი ახალი იდეებით გაემდიდრებინა, ურთიერთობდა კოლეგებთან და არ წყვეტდა კავშირს ძველ მოწაფეებთან. მორის სახელთან იყო დაკავშირებული პროექტ „მწვანე სახლის” შექმნაც. აქ ხელმოკლე ადამიანები ფსიქოლოგიური დახმარების მისაღებად მოდიოდნენ. მორი ცდილობდა, მეტი დრო დაეთმო კვებისათვის, ელტვოდა ბუნებასთან სიახლოვეს. დიდხანს არასდროს უჯდა ტელევიზორს და არც კვირის სერიალების ყურებით იკლავდა თავს. სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა.

მეც შევეცადე, შემექმნა ჩემი ცხოვრება. ეს კი იყო სამსახური. ინგლისში მე 3 თუ 4 მედიასამსახურის მფლობელი ვიყავი. დღეში რვა საათს ვუთმობდი კომპიუტერთან მუშაობას და ჩემს რეპორ-ტაჟებს სხვადასხვა შტატებს ვაწვდიდი. შემდეგ ჩამოვაყალიბე

სატელევიზიო განყოფილებები და ჯგუფთან ერთად ლონდონის სხვადასხვა უბნებში დავიარებოდი. იმავდროულად ყოველ დილა-საღამოს რადიორეპორტაჟებს ვუძღვებოდი. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო რაღაც განსაკუთრებული ტვირთი. სამსახური ჩემთვის ერთგვარი კომპანიონი გახდა. სხვა ყველაფერი ერთგვარად ჩრდილში მოექცა.

უიმბლდონში ჩემს პატარა ხის კუბიკლში შევექცეოდი საჭმელს და არაფერზე არ ვფიქრობდი. ერთ, განსაკუთრებით გიჟურ დღეს რეპორტიორების გუნდი ანდრეა აგასის და მის ცნობილ გერლფრენდს ბრუკ შილდს დაედევნენ. მეც მათ შორის აღმოვჩნდი და შემთხვევით ბრიტანელ ფოტორეპორტიორს შევეფეთე. მას კისერზე მსხვილლინზებიანი აპარატი ეკიდა. რეპორტიორმა ბოდიშის მსგავსი რაღაც ჩაიბურტყუნა და გამშორდა. მაშინვე მორის სიტყვები ამომიტივტივდა: „ღმერთო ჩემო, რამდენი ადამიანი ცხოვრობს უაზროდ. ისინი რაღაცით გაბრუებულ, ნახევრად მძინარე ადამიანებს მაგონებენ მაშინაც კი, როცა თავი ისე უჭირავთ, ვითომდა მეტად მნიშვნელოვანი საქმეებით არიან დაკავებულნი. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არასწორი ღირებულებები აქვთ. სიცოცხლის აზრი სხვების სიყვარულია. უნდა სცადო, სამყარო შენს ირგვლივ უკეთესი გახადო, შექმნა რაღაც ისეთი, რაც შენს ცხოვრებას აზრს შესძენს, მიზანს მისცემს.”

ვიცოდი, რომ მორი მართალს ამბობდა.

მაგრამ არც ამჯერად გამიკეთებია არაფერი.

ტურნირი დასრულდა. მე ბევრი ყავის დალევა მოვასწარი, მერე გამოვრთე კომპიუტერი, ირგვლივ მივალაგ-მოვალაგე და ჩასა-ბარგებლად გავწიე. უკვე გვიან იყო. ტელევიზორის ჩართვა აღარ ღირდა. არაფერი იქნებოდა საინტერესო...

გადავფრინდი დეტროიტში, სახლამდე ძლივს მივჩანჩალდი, შუადღე უკვე გადასულიყო და პირდაპირ საწოლს მივაშურე. ახალმა ამბავმა საწოლიდან პირდაპირ წამომაგდო. ჩემი გაზეთის თანამშრომლები გაფიცულიყვნენ. მოპიკეტეებს შესასვლელთან მოეყარათ თავი და სიმღერ-სიმღერით დადიოდნენ წინ და უკან. მე უნიონის (პროფკავშირის) წევრი ვიყავი და სხვა გზა არ მქონდა. საქმე ისაა, რომ უცნაურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ჩემს ცხოვრებაში პირველად იყო, რომ არ ვმუშაობდი, ხელფასის გარეშეც ვრჩებოდი. თან ჩემი თანამშრომლების წინააღმდეგ წასვლაც მიწევდა. პროფკავშირის ლიდერებმა შინ დამირეკეს და გამაფრთხილეს,

უარი მეთქვა ჩემს ყოფილ გამომცემლებთან ურთიერთობაზე, არა და, ბევრი მათგანი ჩემი მეგობარი იყო, მთხოვეს, ყურმილი დამეკიდა, თუკი ისინი დამირეკავდნენ და შუამდგომლობას შემომთა-ვაზებდნენ.

– ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე! – ფიცს დებდნენ უნიონის ლიდერები და მათი სიტყვები ჯარისკაცთა ომახიანი შეძახილივით ჟღერდა.

ყოველივე ამან მეტად დამთრგუნა, თავს უხერხულად ვგრძნობდი. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზია და რადიო ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, საგაზეთო მუშაობას მაინც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ის მე ჟანგბადივით მჭირდებოდა.როცა ვდგებოდი და ყოველ დილით გაზეთში დაბეჭდილ ჩემს სტატიებს ვაწყდებოდი, სიხარული მიპყრობდა და იმის შეგრძნება, რომ ცოცხალი ვარ. ახლა კი... გაფიცვა გრძელდებოდა ერთი დღე, ორი, სამი... ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა... ყველაფერი თავდაყირა დადგა. იმის მაგივრად, რომ სპორტული გვერდი გამეშუქებინა, ყოველ საღამოს სახლში ვრჩებოდი და მოვლენების მიმდინარეობას ტელევიზორით ვადევნებდი თვალყურს. მუდამ მჯეროდა, რომ ერთგული მკითხველი მყავდა, რომ ისინი მოუთმენლად ელოდნენ ჩემი სტატიის გამოჩენას. ახლა კი... ცხოვრება თავისი ჩვეული რიტმით მიედინებოდა ჩემი მონაწილეობის გარეშე და ეს მაცოფებდა.

ერთი კვირის შემდეგ მორის ნომერი ავკრიფე. კონიმ მას ყურმილი გადასცა.

– ჩამოხვალ? მომინახულებ? – ეს უფრო მოთხოვნა იყო, ვიდრე შეკითხვა.

– ეიძლება? – ვკითხე მე.

– სამშაბათზე რას იტყვი?

– სამშაბათი? შესანიშნავია!

დაიწყო ჩემი მეორე სასწავლო წელი. ამჯერად ორი საგნით მეტი ავიღე. ლექციის დამთავრების შემდეგ მორი და მე ერთმანეთს სასაუბროდ ვხვდებოდით. ასე მანამდე არასდროს მოვქცეულვარ, მხოლოდ ჩემს ნათესავს ან ოჯახის წევრს თუ გადავუშლიდი გულს. მორისთან კი თავს უფრო იმედიანად ვგრძნობდი, ვენდობოდი. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მორის ჩემს მიმართაც.

– რა მოვინახულოთ ამჯერად? – მკითხავდა ხოლმე თბილად.

გაზაფხულზე გარეთ ვსხდებოდით, სოციოლოგიის კორპუსის წინ მდგომი ხის ქვეშ, ზამთარში კი მაგიდას ვუსხედით. მე ნაცრისფერი ჯემპრი და ადიდასის ბოტასები მეცვა, მორის კი – ტყავის ბათინკები და ველვეტის შარვალი. მორი მუდამ ყურადღებით უგდებდა ყურს ჩემს აბდაუბდა ლაპარაკს და მერე მშვიდად ცდილობდა ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებას. მაფრთხილებდა, რომ ფული სრულებითაც არ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას, როგორც ეს უმეტესობას მიაჩნდა, და მიმანიშნებდა, რომ უნდა დავმდგარიყავი ნამდვილი ადამიანი, ამ სიტყვის სრული გაგებით. სურდა, ახალგაზრდული ჩაკეტილობისგან თავი დამეხსნა და გარემომცველ სამყაროსთან მეტი სიახლოვე მეგრძნო. ზოგი რამ მესმოდა, ზოგი – არა, მაგრამ მორი არას დაგიდევდათ. ეს იყო მამაშვილური დამოკიდებულება. მე ჩემს ნამდვილ მამასთანაც კი არ მქონია ასეთი სიახლოვე. მამას ძალიან უნდოდა, რომ იურისტი გავმხდარიყავი. მორი კი ერთობ ალმაცერად უყურებდა ამ არჩევანს.

– რას აპირებ კოლეჯის დამთავრების შემდეგ? – მკითხა.

– მუსიკა მიტაცებს, მინდა პიანისტი გავხდე.

– შესანიშნავია, მაგრამ... რთული ცხოვრება გელის... ირგვლივ ავისმოსურნე არ მოგაკლდება, მაგრამ, თუკი მართლაც ძლიერია შენი სურვილი, ეს ნატვრა სინამდვილედ უნდა აქციო...

მინდოდა გადავხვეოდი და გულში ჩამეკრა, მაგრამ ვერ გავუბედე, ამის ნაცვლად თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დავუქნიე.

– დარწმუნებული ვარ, დიდი შთაგონებით უკრავ!

გამეცინა.

– რა, რაღაც ვერა ვთქვი სწორად? – გაეღიმა მორის.

პირველი სამშაბათი
ვსაუბრობთ სამყაროს შესახებ

კარი კონიმ გამიღო და სახლში შემიპატიჟა.მორი თავისი საგორა-ვებელი ეტლით სამზარეულოს მაგიდასთან დამიხვდა. თეთრი ბამბის პერანგი ეცვა და შავი შარვალი. კიდურები ატროფირებული ჰქონდა და შარვალი და პერანგი თავისუფლად ეკიდა მის გამომშრალ

სხეულს. ისეთი გამხდარი იყო, რომ მის ბარძაყს ორ ხელისგულს შორის იოლად მოიქცევდა კაცი.ფეხზე რომ წამომდგარიყო, დაახლოებით 5 ფუტი თუ იქნებოდა. მეექვსეკლასელის ჯინსის ზომა მისთვის ზედგამოჭრილი იყო.

– რაღაც მოგიტანეთ, – ვუთხარი და დიდ მოყავისფრო ჩანთაზე მივუთითე. აეროპორტიდან გზად სუპერმარკეტში შევლა გადავწყვიტე. ინდაურის ხორცი, კარტოფილისა და მაკარონის სალათი გამოვაყოლე ხელს ბეგელებითურთ. ვიცოდი, საჭმელი მორის სახლში თავზე საყრელი ჰქონდა, მაგრამ მეც მინდოდა, რაღაცით გამენებივრებინა. საუბედუროდ, მისთვის სხვა მხრივ დახმარება არაფრით არ შემეძლო. თან ჭამისადმი მისი სიყვარული კარგად მახსოვდა

– ღმერთო ჩემო, რამდენი რამ მოგიტანია, – აღმოხდა მორის, – ამას მე მარტო ვერ გავუმკლავდები. შენი იმედი მაქვს.

მე მივუჯექი სამზარეულოს მაგიდას, რომელსაც ირგვლივ ჩალის დაწნული სკამები ჰქონდა შემოწყობილი. ამ თექვსმეტ წელს თითქოს არც კი გაევლო. ჩვენი საუბარი ჩვეულ რიტმში გაგრძელდა, მორი კვლავინდებურად შეკითხვებს მისვამდა და გულდასმით უგდებდა ყურს ჩემს პასუხებს, ხანდახან მაწყვეტინებდა, თითქოს ხელმარჯვე მზარეული ყოფილიყოს და საჭმელს შესაკაზმად სხვადასხვა სანელებელს უმარჯვებდა. დაინტერესდა გაფიცვით, ვერაფრით ვერ გაეგო – მხარეები რატომ ართულებდნენ ურთიერთობას პრობ-ლემათა მოგვარების ნაცვლად.

– იმიტომ, რომ არ გვყავს თქვენისთანა გონიერი ადამიანი, – მივუგე მე.

მოულოდნელად საუბარი შევწყვიტეთ, რადგან მორის საპირფა-რეშოში გასვლა მოუნდა. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვდა.

კონიმ ველჩერი (ეტლი) საპირფარეშოსთან მიაგორა და მორის წამოდგომაში მიეშველა. უკან დაბრუნებული მორი დაქანცული ჩანდა.

– გახსოვს, ტედ კოპელს ვუთხარი – მალე დრო დადგება, როცა ჩემი უკანალის გამოწმენდასაც ვერ მოვახერხებმეთქი?

გამეცინა:

– ასეთი მომენტები არასდროს გავიწყდება...

– მიჩ, საქმე იმაშია რომ ეს დღე არცთუ შორსაა და ეს ძალიან მთრგუნავს.

– კონკრეტულად რა?

– ის, რომ სხვაზე დამოკიდებულების კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყება. ვიღაც უკანალს გწმენდს... მაგრამ ვცდილობ,ამასაც იუმორით შევხედო.

– ს როგორ?

– ეს იმას ნიშნავს, რომ მე კიდევ ერთხელ ვუბრუნდები ბავშვობას.

ეს ჩემთვის სრულიად სხვა მიდგომა იყო.

– მე ცხოვრებას ახლა სხვაგვარად ვუყურებ. აი, მისმინე... საყიდ-ლებზე ველარ დავდივარ, რა ხანია, მანქანის მართვაზეც ავიღე ხელი, ნაგვის გატანაც კი აღარ შემიძლია. სამაგიეროდ, აქ ვზივარ და ცხოვრების არსზე ვფიქრობ, მინდა გავარკვიო, რა არის უფრო მნიშვნელოვანი... ამისთვის დროც მაქვს და მიზეზიც.

– მაშასადამე, – ვთქვი ცინიკურად, – ცხოვრების არსს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა ნაგვის გარეთ გატანას თავი ვანებოთ.

მას გაეცინა და მეც შვებით ამოვისუნთქე.

კონიმ თეფშები გაიტანა. უცბად ჩემი მზერა გაზეთების გროვას გადააწყდა. მივხვდი, რომ ჩემს მოსვლამდე მორის ეს ყველაფერი უკვე გადაკითხული ჰქონდა.

– სიახლეებს ადევნებთ თვალს? – ვკითხე მე.

– ასეა, – მომიგო მორიმ, – უცნაურად გეჩვენება, არა? ალბათ, ფიქრობ, რომ რაღა დროს ჩემი სიახლეებზე ზრუნვაა, როცა სიკვდილი სადაცაა კარს შემომიღებს...

მორიმ ამოიოხრა და განაგრძო:

– იქნებ, მართალიც ხარ, იქნებ, ეს არც უნდა მადარდებდეს, რა მოხდება მომავალში და როგორ, ... რთული ასახსნელია, მაგრამ შევეცდები, მიჩ. მას შემდეგ, რაც ეს უბედურება დამემართა, ხალხთან უფრო მეტი სიახლოვის გრძნობა გამიჩნდა. ამას წინათ ტელევიზიით ბოსნიაში მიმდინარე მოვლენები აჩვენეს... ხალხი ქუჩებზე გადარბოდა, ისროდნენ, კლავდნენ, უდანაშაულო ადამიანები იღუპებოდნენ და, შენ წარმოიდგინე, ტირილი დავიწყე. მათ სატკივარს ისე განვიცდიდი, როგორც საკუთარს. მე ხომ მათ არც ერთს არ ვიცნობდი, მაგრამ... არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო... მე მათი ცხოვრების ნაწილად ვიგრძენი თავი.

დავინახე, როგორ აუწყლიანდა თვალები მორის. სალაპარაკო თემის შეცვლა ვცადე, მაგრამ მან ცრემლი შეიმშრალა და ხელი ჩაიქნია:

– ამ ბოლო დროს სულ მეტირება, – მითხრა, – ყურადღებას ნუ მომაქცევ.

უცნაურია, – ვფიქრობდი მე, – ვმუშაობ. არაერთხელ გამიშუქებია ადამიანთა გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიუჟეტები, მისაუბრია უბედურებით განადგურებულ ოჯახის წევრებთან, დასაფლავებასაც დავსწრებივარ და ზოგჯერ ცხედარი სასაფ-ლაომდეც კი მიმიცილებია, მაგრამ არასდროს არ გადმომვარდნია ერთი ცრემლიც კი. მორის კი სამყაროს მეორე კიდეში მცხოვრები ადამიანთა ბედი მდუღარე ცრემლს ადენდა. საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, არ ვიცოდი, ეს რითი ამეხსნა. იქნებ სიკვდილს შესწევს ძალა ირგვლივ ყველაფრის გათანაბრება-დაახლოებისა და ადამიანებიც ამ დროს იოლად იმეტებენ ერთმანეთისთვის ცრემლს? ვინ იცის...

მორიმ ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

– უცნაურია, არა, როცა მამაკაცი ტირის? – მკითხა.

– არაფერია უცნაური, – მივუგე მაშინვე.

მას გაეღიმა:

– მე მგონი, მთლად დაგაბნიე, მიჩ. ერთ დღესაც მიმიხვდები, რომ ტირილი მართლაც კარგი რამაა...

– ალბათ! – ვთქვი მე.

– ასეა, ასე, – მომიგო მორიმ და ორივეს გაგვეცინა, – გაგვეცინა, რადგან ასე ვსაუბრობდით 20 წლის წინაც. უმთავრესად ეს სამშაბათობით ხდებოდა. ამ დღეს ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით. მორის ლექციების კურსიც რატომღაც სამშაბათობით იყო დანიშნული. მორის საოფისე დღეც სამშაბათი იყო. ის კი არა და, როცა მორის მიერ შემოთავაზებულ საკითხზე დამამთავრებელი ნაშრომის წერას შევუდექი, მაშინაც სამშაბათობით ვუსხედით ხან მის მაგიდას, ხან კაფეტერიაში მოვიკალათებდით, ხან კიპერლ ჰოლის კიბეებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე სამსჯელოდ და სასაუბროდ.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამშაბათს დავუბრუნდი მორის სახლს, რომლის წინაც იაპონური ნეკერჩხალი თავს იწონებდა. ამის შესახებ ვუთხარი კიდეც წასვლის წინ

– ჩვენ სამშაბათის ხალხი ვართ, – თქვა მორიმ.

– სამშაბათის ხალხი, – გავიმეორე მეც.

მორის გაეღიმა.

– ადამიანებზე ზრუნვასთან დაკავშირებით მეკითხებოდი, არა? გულწრფელად რომ გითხრა, არც კი ვიცი, რა გიპასუხო. ის კი

შემიძლია აგიხსნა, თუ რა მასწავლა ამ ავადმყოფობამ... თურმე ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი სიყვარულის გაცემის ნიჭი და მისი საკუთარ სულში შეშვების უნარი ყოფილა.

მორის ხმა გაებზარა.

– აცალე, შემოვიდეს!!! ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიყვარულს არ ვიმსახურებთ. მიგვაჩნია, რომ, თუ მას გულის კარს გავუღებთ, მეტისმეტად მგრძნობიარე და რბილი გავხდებით. იცი, რა თქვა ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა, ლევინმა – ის, რომ სიყვარული – ეს არის ერთადერთი გონივრული აქტი ამქვეყნად და მე მას სავსებით ვეთანხმები.

მორიმ ეს ფრაზა კიდევ ერთხელ დამარცვლით გამიმეორა.

მე თავი დავუქნიე, როგორც მორჩილ და თვინიერ სტუდენტს შეეფერებოდა.შემდეგ კი დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. მკლავებზე მორის სუსტი ხელების შეხება ვიგრძენი და სახეზე გაუპარსავმა, თხელმა წვერმა მომითათუნა.

– მაშ, სამშაბათამდე, არა? – მკითხა.

* * *

მორი საკლასო ოთახში შემოდის, ჯდება და ხმას არ იღებს. ის ჩვენ შემოგვყურებს, ჩვენ – მას. თავიდან საკლასო ოთახში სიცილი გაირბენს, მაგრამ მორი მხოლოდ მხრებს იჩეჩავს, აი მაშინ კი სრული სიჩუმე დაისადგურებს. სულ მცირე ხმაურიც კი ყურს გვჭრის – რადიატორის დუდღუნი ოთახის კუთხეში, თუ ჩვენი კლასელი ზორბა ბიჭის მძიმე სუნთქვა.

ზოგიერთი ჩვენგანი წრიალებს, როდისღა იტყვის რამეს? ვეღარ ვისვენებთ, საათს დავყურებთ. რამდენიმე სტუდენტი ფანჯარაში იყურება, ცდილობენ, არაფერი შეიმჩნიონ. ასეთი ვითარება დაახლოებით თხუთმეტ წუთს გასტანს, ვიდრე მორი ჩურჩულით არ დაარღვევს სიჩუმეს და იტყვის:

– რა ხდება?

და დაიწყება აზრთა გაცვლა– გამოცვლა. მორი ცდილობს ადამიანთა ურთერთობაში სიჩუმის არსის გარკვევას, რატომ იწვევს ის უხერხულობის შეგრძნებას და რა უპირატესობა აქვს ხმაურს. მე სიჩუმე არ მაწუხებს. ჩემთვის ჯერ კიდევ უჩვეულოა ჩემი შეგრძნებების შესახებ სახალხოდ საუბარი, – მით უმეტეს, თუკი

ეს ადამიანები ჩემი კურსის წევრები არ არიან. მე ისევ ოთახის კუთხეში წყნარად ჯდომას ვამჯობინებ.

ლექციის შემდეგ მორი მაჩერებს და მეუბნება:

– დღეს ბევრი არაფერი გითქვამს.

– რა ვიცი, არაფერი მქონდა დასამატებელი, – მივუგებ მე.

– მე კი მგონია, რომ სწორედაც რომ ძალიან ბევრი რამ გქონდა სათქმელი. ასეა თუ ისე, ძალიან მაგონებ ერთ ადამიანს. ახალგაზრდობაში მასაც ასე უყვარდა თავისი აზრების სხვისთვის გაუზიარებლად გულით ტარება.

– მაინც ვის?

– ჩემს თავს!

მეორე სამშაბათი
ვსაუბრობთ საკუთარი თავის მიმართ
სინანულის გრძნობის შესახებ

სამშაბათს დავბრუნდი. ამ სამშაბათს სხვა სამშაბათებიც მოჰყვა. ყოველ კვირას 700 მილის გადაფრენა მიწევდა, რათა მომაკვდავი ადამიანის გვერდით ვყოფილიყავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დროის არტახებით გამკოჭეს. ბევრად უფრო მომწონდა ჩემი თავი მორისთან ყოფნის დროს, ვიდრე ადრე. აეროპორტიდან მორის სახლისკენ მიმავალს აღარ მჭირდებოდა მობილური, „არაფერია, დამელოდებიან", – ვფიქრობდი ჩემთვის, მორის ვბაძავდი.

დეტროიტშიც გაზეთის მდგომარეობა ძველებურად მძიმე და გაურკვეველი რჩებოდა. დაპირისპირება მოპიკეტეებსა და თანამშრომლებს შორის სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ხალხს აპატიმრებდნენ, იყო ერთი ცემა-ტყეპა და სატვირთო მანქანების წინ ქუჩაზე გაწოლა.

ყოველივე ამის ფონზე ჩემი მორისთან სტუმრობა ადამიანური სიკეთის შუქში ლივლივს წააგავდა. ვსაუბრობდით სიცოცხლისა და სიყვარულის შესახებ. მორისთვის განსაკუთრებით ფაქიზი მიტევების თემა იყო; მიაჩნდა, რომ საზოგადოება ამ უნარის დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

ჩემი მესამე ვიზიტის დროს BBREAD AND CIRCUS-ად წოდებულ მარკეტში შევირბინე. წინა მისვლისას მორისთან სწორედ ამ მაღაზიის პაკეტებს გადავაწყდი და გადავწყვიტე, რომ აქაურ

საჭმელს მორი უპირატესობას ანიჭებდა. წამოვიყოლე ვერმიშელი ბოსტნეულით, სტაფილოს სუფი და ბაქლავა. ამდენი პაკეტით ხელში ნამდვილ ბანკის მძარცველს ვგავდი.

მორიმ ამომხედა და გაიღიმა.

ამ ერთ კვირაშიც დასტყობოდა მორის ჯანმრთელობის გაუარესება. მისი თითები ჯერ კიდევ ახერხებდნენ წერას და სათვალის დაჭერას, მაგრამ მკლავების აწევა მხოლოდ მკერდის სიმაღლემდე შეეძლო. ახლა მორი სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებდა სამზარეულოს მაგიდასთან თუ სასადილო ოთახში. უმეტესწილად თავის კაბინეტში ნახევრადმწოლარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ბალიშებით გარშემორტყმული, საბანი ეფარა და ფეხებთან პენოპლასტის სპეციალური მუთაქები ჰქონდა შემოწყობილი დასუსტებული კიდურებისთვის შვების მოსაგვრელად. მორის გვერდით ეჟვანი ედო და საჭიროების შემთხვევაში რეკავდა. მაშინ კონი, ტონი, ბერტა თუ ემი – მორისთვის დასახმარებელი მიჩენილი არმიის ერთგული ჯარისკაცები – დაუყოვნებლივ მიაშურებდნენ ხოლმე მორის ოთახს. მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ მორი ვერ ახერხებდა ზარის აღებას და ეს მას ძალიან თრგუნავდა.

– ოდესმე თუ გაგჩენიათ შეცოდების გრძნობა საკუთარი თავის მიმართ? – ვკითხე ერთხელ.

– როგორ არა, – მომიგო მორიმ, – ეს ძირითადად დილაობით ხდება, როდესაც სიკვდილზე ფიქრი ამიყოლიებს. მე ვაკვირდები ჩემს სხეულს, ვამოძრავებ თითებს, ხელებს, რისი განძრევის უნარიც ჯერ კიდევ შემრჩენია და ვგლოვობ მას, რაც უკვე სამუდამოდ დავკარგე, ვტირი, რადგან ვგრძნობ სიკვდილის ვერაგ სუნთქვას და მესმის მისი მოახლოებული ჩუმი ნაბიჯების შარიშური. მაგრამ უცებ გონს მოვდივარ. გული ერთი კარგად ამომიჯდება და ესაა.

ვცდილობ, ვიფიქრო რაღაც კარგზე, რაც ჯერ კიდევ ცხოვრებაში მელის, იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც ჩემს მოსანახულებლად მოდიან, იმ საინტერესო ისტორიებზე, რომელთა მოსმენაც მომიწევს, შენზე, თუკი სამშაბათია, ჩვენ ხომ „სამშაბათელები” ვართ?

– „სამშაბათელები”, – გამეცინა მე.

– მიჩ,ვცდილობ საკუთარი თავი აღარ შევიცოდო, დილაობით ერთ-ორ ცრემლს გადმოვაგდებ და ამით ვამთავრებ.

ვუსმენდი მორის და ვფიქრობდი იმ ადამიანთა შესახებ, ვისაც

ვიცნობდი და რომლებიც ცხოვრების დიდ ნაწილს საკუთარი თავის მიმართ ნუგეშს ანდომებდნენ. მაინც, რა სწორი იყო მორის გადაწყვეტილება თვითშეცოდების „დღიურ ლიმიტთან" დაკავშირებით. რამდენიმე ცრემლიანი წუთი და მერე მიჰყვები დღის დინებას. ნუთუ ასე ძნელია? მორიმ ხომ მოახერხა ეს, თან ასეთი საშინელი დაავადების ფონზე...

– ძალიან მძიმეა, როცა ამას ყველაფერს უყურებ, თუ როგორ ირღვევა ნელ-ნელა შენი სხეული, მაგრამ ამას მეორე შესანიშნავი მხარეც აქვს, მე შემიძლია გამოსამშვიდობებელი სიტყვა გითხრათ, – გაეღიმა მორის, – ყველას როდი აქვს მინიჭებული ასეთი ბედნიერება...

ყურებს არ ვუჯერებდი. მომესმა, თუ მართლა თქვა სიტყვა „ბედნიერება"? კაცმა, რომელიც სკამს იყო მიჯაჭვული, არ შეეძლო წამოდგომა, შარვლის აწევა, ხელების დაბანაც კი...

* * *

ვიდრე მორი საპირფარეშოში იმყოფებოდა, მის სკამთან დადებულ ბოსტონის გაზეთს გადავავლე თვალი. სტატია ეხებოდა ერთ პატარა ქალაქში მომხდარ ამბავს, თუ როგორ აწამა და გამოასალმა სიცოცხლეს ორმა თინეიჯერმა გოგონამ სამოცდაცამეტი წლის კაცი, რომელიც მათ ეხმარებოდა. მერე მის სახლში ტაშფანდური გამართეს და პოლიციისთვის თვალების ახვევას ცდილობდნენ.

მეორე სტატიაში ლაპარაკი იყო მომავალი სასამართლო პროცესის შესახებ. ვიღაცას მოეკლა გეი, რომელსაც მონაწილეობა მიეღო სატელევიზიო თოქ-შოუში და სახალხოდ მას სიყვარულში გამოსტყდომოდა.

გაზეთი გვერდით გადავდე. მორი ოთახში დაბრუნდა. როგორც ყოველთვის, სახეზე ღიმილი ეფინა. კონი მისი ველჩერიდან სკამზე გადასმას შეუდგა.

– გინდათ, მე ვცდი? – ვიკითხე.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამას მოვახერხებდი, მაგრამ მორიმ ახედა კონის და სთხოვა:

– თუ არ შეწუხდები, აჩვენე, ეს როგორ ხდება.

ინსტრუქციის თანახმად, დავიხარე, ხელები იღლიებქვეშ ამოვდე და ჩემკენ მოვიზიდე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოზრდილ მორს ვეჭიდებოდი. შემდეგ წელში გავსწორდი და ავწიე. როგორც წესი, ამ დროს ადამიანს საპასუხო რეაქცია აქვს და ხელს გხვევს, მაგრამ მორის ამის ძალა აღარ შესწევდა. ეს იყო მკვდარი სიმძიმე. მორის თავი ჩემს მხარზე უმწეოდ ესვენა და მისი სხეული ჩემსას ისე აწვა, როგორც სველი ტვირთი.

მორიმ ამოიოხრა.

– ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ, – ვთქვი მე.

მიჭირს იმის აღწერა, თუ რას განვიცდიდი. ერთი რამ კი გარკვევით შემიძლია ვთქვა, ვგრძნობდი, როგორ დაფათურობდა სიკვდილი ამ ადამიანურ ჩარჩოში. მორი სკამზე დავსვი, თავქვეშ ბალიშები გავუსწორე... მაგრამ ახლა განსაკუთრებით მძაფრად ვგრძნობდი, როგორ გვეწრიტებოდა დრო თითებს შორის...

რაღაც უნდა მეღონა...

* * *

1978 წელი იდგა. მე უკვე მესამე კურსზე ვსწავლობდი. ეს იყო დისკოსა და როკის ეპოქა. სოციოლოგიის უჩვეულო ლექცია გვქონდა: მორის თქმით, „ჯგუფური პროცესი". ყოველკვირეულად ვსწავლობდით, თუ როგორ უნდა გავმკლავებოდით შურს და სიბრაზეს, ჩვენს მიმართ გამოვლენილ ყურადღებას. ჩვენ საცდელად გამზადებულ ლაბორატორიის ვირთხებს ვგავდით. ხშირად ეს ყველაფერი ცრემლებით თავდებოდა. მე ამ კურსს „შემ-ხებმგრძნობიარე" შევარქვი. მორის მიაჩნდა, რომ მე ცხოვრების აღსაქმელად გარკვეულწილად შეზღუდული თვალსაწიერი მქონდა და მირჩევდა – სამყაროს რეალურად შესაგრძნობად უფრო ფართოდ გამეღო გულისა და გონების კარი.

ერთ ასეთ დღეს მორი მოვიდა და გამოგვიცხადა, რომ ჩვენთვის ტესტი ჰქონდა მომზადებული. ჩვენ უნდა ვმდგარიყავით ერთმანეთისგან ზურგშექცევით. ინსტრუქციის თანახმად, თავმოწყვეტით ზურგით უნდა დავცემულიყავით იმ იმედით, რომ ჩვენი მეწყვილე ჯგუფელი ხელს შეგვაშველებდა და დაგვიჭერდა. ბუნებრივია, უმეტესობა მეტად უხერხულად გრძნობდა თავს, უკან კი ვიზნიქებოდით, მაგრამ დაცემას ვერავინ ბედავდა. აქა-იქ ისმოდა დაძაბული სიცილი.

ბოლოს ერთმა გამხდარმა წყნარმა გოგონამ, რომელსაც სულ ბუკლეს თეთრი სვიტერი ეცვა, მკერდზე ხელები გადაიჭდო, თვალები დახუჭა და დაუფიქრებლად ქვასავით დაეშვა ძირს. მეგონა, საცაა კვახივით გასკდებოდა, მაგრამ ბოლო წუთს მისმა პარტნიორმა ხელი სტაცა, მისი თავი და მხრები ჩაბღუჯა და ხელში აიტაცა.

აღტაცების ყიჟინა და ტაშის ხმა გაისმა. როგორც იქნა, მორიმ გაიღიმა.

– ხედავ, რა მოხდა? – მიმართა გოგონას, – შენ თვალები დახუჭე, ამაშია საქმე. ზოგჯერ საკუთარ თვალებს არ ვუჯერებთ, ჩვენს შეგრძნებებს მეტად ვენდობით. თუკი ადამიანები შენ ნდობით გეკიდებიან, შენც უნდა მიენდო მათ, მაშინაც კი, როცა ირგვლივ სიბნელე იქნება, მაშინაც კი, როცა დასაცემად ქვევით მიექანები.

მესამე სამშაბათი
სინანული

შემდეგ სამშაბათსაც პაკეტებით გამოვცხადდი. ამჯერად მაკარონი მოვიტანე სიმინდის მარცვლებით, კარტოფილის სალათი, ვაშლის პეროგი და კიდევ რაღაც... სონის ფირმის ჩამწერი აპარატურა.

– მინდა, ჩავიწერო ჩვენი საუბარი, – ვუთხარი მორის, – მინდა, გავიგონო თქვენი ხმა... მერეც...

– როცა აღარ ვიქნები?

– მოდი, ამის შესახებ ნუ ვილაპარაკებთ.

მორის გაეღიმა.

– მიჩ, ადრე თუ გვიან მაინც მოვა ჩემი აღსასრული.

მან ჩამწერ აპარატურას გადახედა

– რამხელაა...

მივხვდი, რომ უტაქტოდ ვიქცეოდი, სამწუხაროდ, ეს ხშირად ახასიათებთ რეპორტიორებს. იქნებ, ჩამწერი აპარატურა მართლაც რომ გარკვეულ გაუცხოებას ქმნიდა ორ მეგობარს შორის, ხელოვნური ყურის შეგრძნებას ბადებდა. იქნებ, მე მეტისმეტად ბევრი მოვინდომე? ბევრად მეტი, ვიდრე იმ ხმაურიანმა ხალხმა, რომელიც მორის გარს ეხვია...

– მომისმინეთ, ჩვენ ამას არ გამოვიყენებთ, თუკი ეს ჩამწერი თქვენ რაიმე უხერხულობას გიქმნით, – ვთქვი.

მორიმ გამაჩერა. თითი დამიქნია, შემდეგ სათვალე მოიხსნა და მკერდთან ჩააცურა. თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

– დადგი!

მის ნებას მაშინვე დავყევი.

– მიჩ, – მითხრა მან რბილად – ვერ მიმიხვდი, მე მინდა ჩემი ცხოვრების შესახებ გიამბო, ვიდრე ამის უნარი ჯერ კიდევ შემწევს.

მისი ხმა ქვითინმა ჩაახშო.

– მინდა ვინმემ მოუსმინოს ჩემი ცხოვრების ისტორიას, თანახმა ხარ?

თავი დავუქნიე.

– მაშ ასე, დავიწყოთ!

* * *

სიმართლე რომ გითხრათ, ჩამწერი აპარატურა უფრო მეტი იყო ჩემთვის, ვიდრე ნოსტალგიის შემსუბუქების პირობა. მე ვკარგავდი მორის, კარგავდნენ მას მისი ოჯახის წევრები, მეგობრები, ყოფილი სტუდენტები, კოლეგები, პოლიტიკური დისკუსიის მონაწილენი, რომელთა მოსმენაც მას ასე უყვარდა, ცეკვის პარტნიორები, ჩვენ – ყველანი. სასოწარკვეთილი ხავსს ვეჭიდებოდი, ვცდილობდი, ვიდეოსა და ფოტოაპარატის მსგავსად, ჩამწერის მეშვეობით სიკვდილისთვის ხელიდან რამე მაინც წამეგლიჯა. მაგრამ ასევე ნათელი ხდებოდა ჩემთვის ის, რომ მორი მისთვის ჩვეული სიმხნევის, იუმორის, ნებისყოფისა და გულგახსნილობის თანახმად, სრულიად სხვაგვარად უყურებდა სიცოცხლეს, რადიკალურად განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომელთაც მე მანამდე ვიცნობდი. ეს იყო უფრო ჯანსაღი და უფრო მგრძნობიარე ხედვის კუთხე. სიკვდილი კი მისკენ დაუნდობლად მიიწევდა და თანდათან იმორჩილებდა.

როცა ადამიანი სასიკვდილო სარეცელზე წევს და სიკვდილს თვალებში უყურებს, მას სხვა ხედვა უჩნდება. მორის სწორედ ამის განდობა სურდა, მე კი ვცდილობდი, ის რაც შეიძლება კარგად დამემახსოვრებინა, რათა ეს მოგონებანი მთელი ცხოვრების მანძილზე თან გამეყოლებინა.

როცა მორი პირველად ღამის შოუში ვიხილე, ცნობისმოყვარეობამ მომიცვა – მაინტერესებდა, რას ნანობდა ყველაზე მეტად. წუხდა თუ არა მეგობრების დაკარგვის გამო, საინტერესოა, შეცვლიდა რამეს, მისი ნება რომ ყოფილიყო?

„ნეტავ, რას მოვიმოქმედებდი, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი? – ვფიქრობდი დ,ა ჩემი ეგოიზმიდან გამომდინარე, ვცდილობდი ვითარების შეფასებას. „ნეტავ, თუ ამიტანდა შფოთი სამუდამოდ ჩავლილი ცხოვრების გამო? ნეტავ, თუ გავთქვამდი ჩემს საიდუმლოებებს?”.

როცა ეს მორის ვკითხე, მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

– ეს ყველას აწუხებს, ვინ იცის, რას გვიმზადებს ბედისწერა? იქნებ, ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი დღეა?

მორიმ თვალი გამისწორა და, როგორც ჩანს, დაბნეულობა შემატყო. მოულოდნელად წარმომიდგა თვალწინ, როგორ ჩავიკეცები ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ მაგიდაზე ჩემი მთელი შემოქმედებითი ჯგუფის წინაშე, ჩემი ბოლო, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რეპორტაჟის ფურცლები მაგიდაზე იქნება მიმოფანტული და მათ რედაქტორები უცებ მოხვეტავენ, ამ დროს კი ექიმები დინჯად გაიტანენ ჩემს უსულო სხეულს.

– მიჩ, – მორის ხმამ გამომარკვია.

არაფერი მითქვამს, უბრალოდ, თავი გავაქნიე, მაგრამ მორიმ მაშინვე იგრძნო ჩემი გულისტკივილი.

– მიჩ, ჩვენი საზოგადოება არაფრად აგდებს მსგავს აზრებს, ვიდრე მართლაც სიკვდილის პირისპირ არ აღმოჩნდები. ამ წუთამდე ჩვენ, უბრალოდ, არ გვცალია – ხან კარიერას დავსდევთ, ხან ოჯახის მოვლით ვართ გართულნი, ხან ფული არ გვყოფნის, აქაოდა – კრედიტია დასაფარი, ახლა ახალი მანქანაა საყიდელი თუ რადიატორი შესაკეთებელი, ჰოდა, ამდენი წვრილმანისგან თავბრუ გვესხმის. ჩვენ ხომ არასდროს ვჩერდებით, სადა გვაქვს იმის დრო, რომ შევდგეთ? გვერდიდან შევავლოთ თვალი ჩვენს ცხოვრებას და ვიკითხოთ:

„სულ ესაა? ესაა სულ, რაც მინდოდა თუ კიდევ დაგვრჩა რამე?”.

მორი გაჩუმდა:

– ვიღაცამ ხელი უნდა წაგვკრას, გონზე მოგვიყვანოს, თავისთავად ეს არ მოდის...

მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა მორის – თითოეულ ადამიანს ცხოვრებაში მოძღვარი სჭირდება. ასეთი კი მე უკვე მყავდა და ის ჩემს პირდაპირ იჯდა.

„თუკი კვლავ მოსწავლედ ყოფნა მიწერია, დაე, ასე იყოს", – გავიფიქრე ჩემთვის.

* * *

უკანა გზაზე, თვითმფრინავში, პატარა ყვითელ უბის წიგნაკში ჩემი შეკითხვები ჩამოვწერე. ვღელავდი, რამე არ გამომრჩენოდა. მინდოდა, მორისთვის ყველაფრის შესახებ მეკითხა, რაც სულს მიფორიაქებდა: ბედნიერების, სიბერის, ბავშვების აღზრდისა თუ გარდაცვალების შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის თაობაზე უამრავი წიგნია დაწერილი და აუარებელი სატელევიზიო გადაცემაც არსებობს, საათში 90 დოლარად მაღალკვალიფიციურ კონსულტა-ციასაც შემოგთავაზებენ, ამერიკა ხომ ურთიერთობათა შესწავლის ერთგვარ აღმოსავლურ ბაზრადაა ქცეული. მიუხედავად ამისა, ჩემთვის საჭირო გამოკვეთილ პასუხს ვერსად მივაგენი. ვერ გადამეწყვიტა – სხვებზე მეზრუნა, თუ ჩემი სულისთვის მიმეხედა, დავბრუნებოდი ტრადიციებს, თუ უკუმეგდო, როგორც ყოვლად უსარგებლო და არასაჭირო რამ. რა იყო უფრო სწორი და ფასეული – ლტოლვა წარმატებისკენ თუ მოკრძალებული სადა ცხოვრების წესი. მესწავლა უარის თქმა, თუ უპირატესობა მოქმედებისთვის მიმენიჭებინა...

არ ვიცი... მაგრამ ერთი რამ ჩემთვის სრულიად აშკარა იყო! მორი ამგვარ „სასწავლო სისტემებში" არასდროს ყოფილა ჩართული. მას ცხოვრების მატარებელი გზის დასასრულისკენ მიაქანებდა და ის გულდასმით უსმენდა მისი ბორბლების დაგადუგსა და ქშენას. მან დანამდვილებით იცოდა, რა იყო ცხოვრებაში მთავარი, ეს კი ჩემთვის, ცხოვრებისგან თავგზააბნეული კაცისთვის, მეტად მნიშვნელოვანი იყო.

– მკითხე, რაც გსურს, – მომიბრუნდა მორი, – და მეც ჩამოვწერე:

სიკვდილი

შიში

სიბერე

სიხარბე

ქორწინება

ოჯახი

საზოგადოება

მიტევება

გააზრებული ცხოვრება.

ეს ჩამონათვალი უკვე ჩანთაში მედო, როცა მეოთხედ ჩავფრინდი ვესტ-ნიუტონში. იმ დღეს ლოგანის აეროპორტში კონდიციონერი არ მუშაობდა და ხალხმა აღარ იცოდა, როგორ გაეგრილებინა თავი. ხელებს უაზროდ იქნევდნენ და ოფლიან ცხვირ-პირს გამწარებით იწმენდნენ. მივდიოდი და აქეთ-იქიდან ბრაზიანი სახეები შემომყურებდნენ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სადაცაა ,ერთმანეთს დაერეოდნენ.

* * *

დამამთავრებელი კურსის სასწავლო წლის ბოლოს სოციოლოგიის ლექციათა ისეთი რაოდენობა მქონდა მოსმენილი, რომ ბაკალავრის ხარისხის მისაღებად თითქმის მზად ვიყავი. მორიმ სადიპლომო ნაშრომის დაწერა შემომთავაზა, თან რაღაც მეტად რთულს მირჩევდა.

– მე-ე?! სადიპლომო ნაშრომი?! კი, მაგრამ, რის შესახებ უნდა დავწერო? – გავიკვირვე.

– შენ რა გაინტერესებს ყველაზე მეტად? – მკითხა მორიმ.

რის შესახებ აღარ ვიმსჯელეთ, რა იდეები აღარ ვატრიალეთ და, ბოლოს, ძნელი დასაჯერებელიც კია, მაგრამ მაინც სპორტზე შევაჩერეთ ჩვენი ყურადღება. აი ასე... მე ვწერ თემას იმის შესახებ, რომ ფეხბურთი ამერიკელებს გონებას უბინდავს. ამერიკელებისთვის სპორტის ეს სახეობა რელიგიის დონეზეა აყვანილი. რა ვიცოდი, რომ ეს თემა ჩემი მომავალი პროფესიის პროლოგი აღმოჩნდებოდა. მე მაშინ მხოლოდ ერთი რამ მახარებდა: ის, რომ ყოველ კვირას მორისთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცემოდა.

მორის დახმარებითა და ძალისხმევით გაზაფხულისთვის 112-ფურცლიანი პროექტი უკვე მზად იყო სქოლიოებით, დანართებით, გამოკვლევის შედეგებითა და კომენტარებითურთ. ნაშრომი მოხდენილ ტყავის ყდაში იყო ჩასმული. მე ის დიდი სიამაყით გადავეცი მორის. თავს ვგრძნობდი ახალგაზრდა სპორტსმენად, რომელმაც პირველად მიაღწია დიდ გამარჯვებას.

– გილოცავ! – მითხრა მორიმ.

მორი ნაშრომს ფურცლავდა, მე კი ამ დროს თვითკმაყოფილი მორის კაბინეტს ვათვალიერებდი. წიგნებით გადავსებული თაროები, ხის იატაკი, ხალიჩა, დივანი.

– იცი რა, მიჩ, – მომიბრუნდა მორი, – ამ ნაშრომის საფუძველზე შენ ჩვენთან მაგისტრატურაშიც კი შეიძლება დაგტოვონ.

– რა თქმა უნდა, – კმაყოფილი ვიღიმები მე. ღიმილი იქით იყოს და, ეს აზრი მე ძალიან მომწონს. ცოტა არ იყოს, მაფრთხობს უნივერსიტეტის დატოვების პერსპექტივა, მაგრამ თან ამის გაკეთებაც ძალიან მინდა. ორი ურთიერთგამომრიცხავი სურვილი თავდაუზოგავად ებრძვის ერთმანეთს. თვალყურს ვადევნებ მორის, თუ როგორ კითხულობს ჩემს პროექტს და მოულოდნელად ცნობისმოყვარეობა სუნთქვას მიკრავს – მაინც როგორია ის უზარმაზარი სამყარო, უნივერსიტეტის კედლებს მიღმა რომ არსებობს?

თვალსაჩინოებანი: ნაწილი მეორე

„ნაით-ლაინ”-მა მორის შესახებ კიდევ ერთი გადაცემა მოამზადა, გარკვეულწილად ეს იმით იყო შეპირობებული, რომ პირველმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამჯერად დამდგმელი ოპერატორები და გადამღები ჯგუფის წევრები მორის სახლში თავისუფლად მიმოდიოდნენ, თითქოს ეს მათთვის ჩვეული გარემო იყო. თვით კოპელიც ამჯერად მეტად მეგობრული ჩანდა. ამ გადაცემას წინ განმარტებითი ჩანართები და ინტერვიუ აღარ უძღოდა. კოპელმა და მორიმ თავიანთი ბავშვობის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამართეს. კოპელი მაყურებელს უამბობდა ინგლისში გატარებული ბავშვობის შესახებ, მორი კი იგონებდა ბავშვობას, რომელმაც ბრონქსში განვლო. მორის მოლურჯო გრძელსახელოებიანი პერანგი ეცვა: ამ ბოლო დროს მას სულ სციოდა, მაშინაც კი, როცა გარეთ გაუსაძლისი სიცხე იდგა. კოპელმა მხოლოდ პიჯაკი გაიხადა და პერანგისა და ჰალსტუხის ამარა დარჩა. როგორც ჩანს, მორი მასზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა და ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ათავისუფლებდა კოპელს ოფიციალური „უნიფორმისაგან”.

– კარგად გამოიყურებით, – მიმართა კოპელმა მორის, როცა კამერები ჩაირთო.

– ყველა ასე მეუბნება.

– ხმაც ომახიანი გაქვთ!

– ამასაც მეუბნებიან.

– მაშ, რაში გამოიხატება თქვენი მდგომარეობის გაუარესება? მორიმ ღრმად ამოიოხრა:

– ჩემს გარდა ამას ვერავინ გრძნობს, ტედ. ეგ მხოლოდ მე ვიცი.

როცა მორიმ ლაპარაკი დაიწყო, ყველაფერი ნათელი გახდა. ის ემოციურად აღარ შლიდა ხელებს, პირველი ინტერვიუსგან განსხვავებით, ძნელად გამოთქვამდა ზოგიერთ სიტყვას, ასო ლ თითქოს ყელში ეჩხირებოდა და ლაპარაკს უშლიდა. სულ რამდენიმე თვეში მორის ლაპარაკის უნარიც წაერთმეოდა...

– არ ღირს ჩემი გრძნობების შესახებ ლაპარაკი, – თქვა მორიმ, – როცა ჩემი მეგობრები და ნაცნობები მესტუმრებიან ხოლმე, განწყობა ყოველთვის შესანიშნავი მაქვს. გამოხატული სიყვარული ჩემთვის დიდი სტიმულია, მაგრამ ისეც ხდება, რომ მოულოდნელად სევდა შემომაწვება და ყველაფერს თავდაყირა დამიყენებს. რა დასამალია და, როცა ვხედავ, რა მემართება, თმები ყალყზე მიდგება. რა მეშველება, თუკი ხელების მოძრაობას ვეღარ შევძლებ, ვეღარ ვილაპარაკებ?! მოვახერხებ კი საჭმლის გადაყლაპვას? თუმც ეს არცთუ დიდი პრობლემაა, ბოლოს და ბოლოს ხელოვნურ კვებაზე გადამიყვანენ, მაგრამ ჩემი ხმა და ხელები?! ეს ხომ ჩემი გამოხატვის საშუალებებია, რა უნდა ვქნა მათ გარეშე?!

– რას აპირებთ, თუკი მართლაც ასე მოხდება? როგორ მოახერხებთ ადამიანებთან ურთიერთობას?

– ალბათ, ყველას ვთხოვ, დამისვან ისეთი შეკითხვები, რომლებზეც მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა შემეძლება.

კოპელს პასუხი მარტივად მოეჩვენა, გაეღიმა და მორის მისი მეგობრის, მორი შტეინის შესახებ ჰკითხა. თავის დროზე შტეინმა მორის გამონათქვამები “ბოსტონ-გლოუბში” გაგზავნა გამო-საქვეყნებლად. ისინი, სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ერთად მუშაობდნენ ბრანდეის უნივერსიტეტში. შტეინი კარგავდა სმენას.

– თუკი მორი შტეინი თქვენთან ერთად აღმოჩნდება, თქვენ ხმა არ გექნებათ, მას კი – სმენა, რას იზამთ ამ დროს?

– მე მის ხელს ჩემსაში ჩავიდებ, – მიუგო მორიმ, – და ჩვენ მაშინვე

ვიგრძნობთ ერთმანეთს, ჩვენს ურთიერთსიახლოვესა და სითბოს. ტედ, ჩვენ 35 წელზე მეტია ვმეგობრობთ. ჩვენ აღარ გვჭირდება ხმა და სმენა ერთმანეთის გასაგებად.

საუბრის ბოლოს მორიმ კოპელს ერთი წერილის წაკითხვა შესთავაზა. პირველი გადაცემის შემდეგ წერილებმა პირდაპირ დასეტყვეს მორი. ამჯერად მორის სწერდა მასწავლებელი პენსილვანიიდან. მას ჯგუფში სულ ცხრა ბავშვი ჰყავდა, მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა. თითოეულ მათგანს მშობლებიდან ერთ-ერთი აკლდა.

– აი, რა ვუპასუხე მას, – დაიწყო მორიმ და სათვალე ცხვირზე ფრთხილად შეისწორა, – ძვირფასო ბარბარა, თქვენმა წერილმა გულის სიღრმემდე შემძრა. ის, რასაც თქვენ ამ ობოლ ბავშვებს უკეთებთ, ფასდაუდებელია. მეც ადრეულ ასაკში დავკარგე დედა.

უცებ კამერების ხმაურში მორიმ სათვალე კვლავ გაისწორა და მოულოდნელად სიტყვა გაუწყდა. დავინახე, როგორ მოიკვნიტა ქვედა ტუჩი და ხველება აუტყდა. მის სახეს ცრემლები მდუღრავდნენ.

– მე დედა დავკარგე, როცა სულ მთლად პატარა ვიყავი. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი ძალის დარტყმა იყო. იმ დროს რომ არსებულიყო თქვენისთანა ჯგუფი, სადაც შემეძლებოდა მოსვლა და ჩემი ტკივილის გაზიარება, აუცილებლად მოვიდოდი.

მორი შედგა, ხმა უთრთოდა:

– მოვიდოდი, რადგან მეტისმეტად მარტოდ ვგრძნობდი თავს.

– მორი, მას შემდეგ ხომ 70 წელზე მეტი გავიდა, ნუთუ ტკივილი კვლავ ასეთი მძაფრია? – იკითხა კოპელმა.

– რა თქმა უნდა, – ჩუმად ჩაილაპარაკა მორიმ.

პროფესორი. ნაწილი 1

ის მაშინ სულ რვა წლისა იყო. საავადმყოფოდან დეპეშა მოვიდა და, ვინაიდან მამამ, რუსეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა, ინგლისურად კითხვა არ იცოდა, ამ შემზარავი ცნობის წაკითხვა მორის მოუხდა. პატარა ბიჭი ფეხზე იდგა და, როგორც მთელი კლასის წინაშე, ისე კითხულობდა ამ შემზარავ შეტყობინებას.

„ღრმა გულისტკივილით გაუწყებთ, რომ...”

დასაფლავების დღეს მორის ნათესაობა მათი სახლის კიბეებზე

დაეშვა. მათი სახლი მანჰეტენის ერთ-ერთ ღარიბულ უბანში მდებარეობდა. შენობაში უამრავი ბინა იყო. მამაკაცებს შავი კოსტიუმები ეცვათ, ქალებს კი სახეზე შავი რიდეები ჰქონდათ ჩამოფარებული. სწორედ ამ დროს მეზობლის ბავშვები სკოლაში მიიჩქაროდნენ. მორის თავი დაეხარა და მათ თვალს ვერ აშორებდა. ერთმა ძონძროხა ქალმა მორის მოულოდნელად ხელი ჩაავლო და მოთქმას მოჰყვა:

– რა გეშველება შენ ახლა დედის გარეშე, რა უნდა გამოვიდეს შენგან?

მორიმ აღარ იცოდა, სად გაქცეულიყო, ტირილი აუვარდა, შეშინებული ბავშვები კი მიმოიფანტნენ.

მორი დედის საფლავთან ატუზულიყო და უყურებდა, როგორ აყრიდნენ მიწას მის ცხედარს. იდგა და დედასთან გატარებული ყველა ნეტარი და სათუთი წუთის გახსენებას ცდილობდა.

დედას ავად გახდომამდე კანფეტების ჯიხური ჰქონდა, შემდეგ კი, როცა ავად შეიქნა, ან ეძინა, ანდა ფანჯარასთან იჯდა, სიფრიფანა, ძალაგამოცლილი. დროდადრო შვილს გასძახებდა და წამლის მიტანას სთხოვდა, მორი კი ამ დროს ამხანაგებთან ერთად ეზოში თამაშობდა. დედის ძახილი კი ესმოდა, მაგრამ თავს იკატუნებდა... სჯეროდა, რომ, თუკი ავადმყოფობას არად ჩააგდებ, ისიც თავისთავად გაივლის. ბავშვი სხვაგვარად როგორ უნდა აღსდგომოდა წინ ავადმყოფობას?

მორის მამამ ამერიკას შეაფარა თავი, რათა რუსულ არმიაში მსახურებისთვის თავი აერიდებინა. ერთხანს ვითომ ბეწვეულის ყიდვა-გაყიდვას მიჰყო ხელი, მაგრამ სინამდვილეში სულ უმუშევარი დაიარებოდა. არავითარი განათლება არ მიუღია, ინგლისურსაც ძლივს ამტვრევდა. ოჯახს მეტისმეტად გაუჭირდა. ფაქტიურად სულ სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. მათი ერთი ციდა ბინა ჯიხურს უკან შეყუჟულიყო, ბნელი და პირქუში. ოჯახს ყველაზე აუცილებელი საჭიროებისთვისაც კი ძლივს ჰყოფნიდა ფული.

ზოგჯერ მორი და მისი უმცროსი ძმა დევიდი კიბეებს რეცხავდნენ ორიოდ გროშის საშოვნელად. ამ საქმიანობაში გასამრჯელოდ მხოლოდ 5 ცენტს აძლევდნენ.

მას მერე, რაც დედა გარდაეცვალათ, ბიჭები საცხოვრებლად კონექტიკუტში გაგზავნეს. აქ რამდენიმე ოჯახი ქირით ცხოვრობდა დიდ ხის სახლში, სადაც საერთო სამზარეულო იყო. სახლი ტყეში იდგა. ნათესავებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვებს სუფთა ჰაერი

სჭირდებოდათ. არც მორის და არც დევიდს ამდენი სიმწვანე ადრე არასოდეს ენახათ და მთელ დღეებს მინდვრებში სირბილს ანდომებდნენ.

ერთხელ სადილის შემდეგ სასეირნოდ წასულებს თავსხმა წვიმამ მოუსწრო. სახლში დაბრუნების ნაცვლად ბიჭები კიდევ დიდხანს დარჩნენ გარეთ და წყალში ტყაპუნით იჯერეს გული.

მეორე დღეს კი, როცა მორიმ გაიღვიძა და საწოლიდან წამოხტა, დევიდმა განძრევაც კი ვერ შეძლო.

– ადექი, რას წევხარ? – ჰკითხა მორიმ

– არ შემიძლია!...

– რას ჰქვია, არ შეგიძლია, – გაოგნდა მორი.

– არ შემიძლია, და ასე, ვერ ვინძრევი, – თქვა თავზარდაცემულმა დევიდმა.

ბიჭს პოლიომიელიტი განუვითარდა.

რა თქმა უნდა, ამის მიზეზი მარტო წვიმა არ ყოფილა, მაგრამ ეს მორის თავის ასაკში არ შეიძლებოდა სცოდნოდა. დავითს დიდხანს მოუწია მკურნალობა და, როცა ის კორსეტში კოჭლობით დადიოდა, მორი თავს მუდამ დამნაშავედ გრძნობდა.

დილაობით მორი სინაგოგაში დადიოდა. მამა მწყრალად იყო ღმერთთან, ასე რომ, მორის მარტო უწევდა დგომა გრძელ შავქურთუკიანი კაცების გარემოცვაში. იდგა მორი და უფალს დედის სულს ავედრებდა და ძმის განკურნებას შესთხოვდა.

დღის განმავლობაში კი მეტროს შესავლელთან იდგა და ჟურნალებს ჰყიდდა. საწყალს მთელი მოგებული თანხა საჭმელზე ეხარჯებოდა.

საღამოს შინ მოსული უხმოდ შესცქეროდა მამას, რომელიც ვახშამს უსიტყვოდ შეექცეოდა და სულ ელოდა, მამა ყურადღებას როდის მიაქცევდა, ოდნავ სინაზესა და სითბოს როდის გამოიმეტებდა მისთვის.

ცხრა წლის ასაკში იგრძნო, როგორ ედრიკებოდა მხრები უზარმაზარი ტვირთისაგან. მაგრამ ერთი წლის შემდეგ მორის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. მამამ ცოლი შეირთო – რუმინელი ემიგრანტი ქალი, სახელად ევა.

ევა მომცრო ტანის ქალი იყო, არაფრით გამორჩეული სახის ნაკვთებით, ხვეული თმითა და ორი ადამიანისთვის სამყოფი

ენერგიით. ჩამოღამებულ ნაცრისფერში თითქოს სხივმა გაიციალა. სახლი გათბა და განათდა. როცა მამა დუმდა, ევა ლაპარაკობდა.

ევას რბილი ხმა და მტკიცე ხასიათი ჰქონდა. მის მიერ გაკვეთილების მომზადებისას გაწეული დახმარება მორის დიდ ნუგეშად ექცა. როცა დევიდი მკურნალობის შემდეგ, ჯერ კიდევ კორსეტში მჯდარი, შინ დაბრუნდა, მათ საძინებლად სამზარეულო ერგოთ. ევა ყოველ ღამე აკითხავდა ბიჭებს ძილის წინ, „ძილინებისას" უსურვებდა და ჰკოცნიდა. მორი ამ ამბორს ისე ელოდა, როგორც ლეკვი რძით სავსე ლამბაქს და გულის სიღრმეში უხაროდა – კვლავ ჰყავდა დედა!

სიღატაკე მათ ოჯახს უწინდებურად არ ტოვებდა. ამჯერად ისინი ტრემონტ-ავენიუზე ცხოვრობდნენ, ბრონქსში, ერთოთახიან ბინაში, წითელი აგურით ნაგებ სახლში. მათ ახლოს იტალიური ბაღი იყო. აქ ხანშიშესულები საღამოობით ბურთს თამაშობდნენ. დეპრესიის წლები იდგა და ბეწვეულის ბიზნესში მამის სამუშაომ თანდათან იკლო. ისეც ხდებოდა, რომ სასადილო მაგიდასთან შემომსხდართ სუფრაზე პურის მეტი არაფერი ხვდებოდათ.

– ამის გარდა სხვა რა გვაქვს საჭმელი? – იკითხავდა ხოლმე დევიდი.

– მეტი არაფერი, – პასუხობდა ევა.

როცა ევა ბავშვებს დააწვენდა, როგორც წესი, იდიშზე – ძველებრაულად უმღეროდა. ეს სიმღერებიც სევდიანი იყო. ერთ-ერთი ასეთი სიმღერა პაპიროსის გამყიდველ პატარა ბიჭუნას შეეხებოდა:

„გემუდარებით, იყიდეთ პაპიროსი,
კარგად არის გამომშრალი, წვიმას არ დაუსველებია,
შეიბრალეთ ობოლი!"

სიმღერა მეტისმეტად მძიმედ ჟღერდა.

მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, მორის შთააგონებდნენ ადა-მიანთა სიყვარულს და სხვებზე ზრუნვას ასწავლიდნენ, უღვი-ვებდნენ ინტერესს სწავლისადმი. ევასთვის მისაღები ნიშანი მხოლოდ უმაღლესი იყო. მას ღრმად სწამდა, რომ სიღარიბისგან თავის დახსნის მხოლოდ ერთი გზა არსებობდა – გზა განათლე-ბისკენ. ევა თვითონაც დადიოდა ღამის სკოლაში და ინგლისურ ენას ეუფლებოდა. ის, რომ მორი ასე ელტვოდა სწავლას, ეს ევას დიდი დამსახურება იყო.

საღამოობით მორი სამზარეულოს მაგიდას მიუჯდებოდა და დიდხანს მეცადინეობდა, დილით კი სინაგოგას მიაშურებდა „იზკორის” – განსვენებულთათვის ლოცვის წასაკითხად, რათა დედის ხატება მის მეხსიერებასა და გულში ცოცხლად დარჩენილიყო. უცნაურია, მაგრამ მამამ მორის დედის ხსენება კატეგორიულად აუკრძალა. მას სურდა, რომ დევიდს ევა ნამდვილ დედად ეცნო.

მორისთვის ეს პერიოდი უმძიმესი იყო. დედის არსებობის ერთადერთ მატერიალურ დადასტურებას დედის გარდაცვალების შესახებ ცნობა წარმოადგენდა. ის მორიმ მიღებისთანავე გადამალა და სასოებით ინახავდა მას მთელი ცხოვრების მანძილზე.

მორი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როცა მამამ მისი ფაბრიკაში წაყვანა გადაწყვიტა. აქ მოხვედრისთანავე მორის მოეჩვენა, რომ მას თავზე ცა ჩამოეხურა. ბნელი და ჩახუთული გარემო, გაჭვარტლულ-გამურული მინები, დაზგები, მატარებლების გულისგამაწვრილებელი და ყურისწამღები ხმაური. ბეწვის ბუსუსებით გაჯერებული შეგუებებული ჰაერი, სამუშაოზე თავდახრილი მოკუნტული მუშები ბეწვეულის ნაჭრების ერთმანეთთან მიკერებას რომ ცდილობენ და ამ დროს რიგებს შორის მოსიარულე მეპატრონე ყვირილით მათ აჩქარებას რომ ცდილობს...

მორი მამას აეკრა, გული უწუხდა. მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა, მეპატრონის რისხვა მასაც არ დასტყდომოდა თავს...

შესვენების დროს მამამ მორი უფროსთან წაიყვანა, ხელით უბიძგა, წინ წასულიყო. უნდოდა ეკითხა – ბიჭებისთვისაც ხომ არ ჰქონდათ რაიმე სამუშაო, მაგრამ სამუშაო ადგილები უფროსებისთვისაც ჭირდა. წასვლას კი არავინ აპირებდა.

მორიმ შვებით ამოისუნთქა – ეს ხსნა იყო. მას უკვე სძულდა ეს ადგილი. მას მერე დაიფიცა, რომ სხვის შრომას არასდროს გამოიყენებდა.

– რის გაკეთებას აპირებ მომავალში? – ეკითხებოდა ხოლმე ევა.

– არ ვიცი, – მხრებს იჩეჩდა ხოლმე მორი. იურიდიული თავიდანვე გამორიცხული იყო, იურისტებს მორი თვალისდასანახად ვერ იტანდა. მედიცინაზეც უარი თქვა. სისხლის დანახვა და გულის შეღონება ერთი იყო.

და უცებ, სრულიად მოულოდნელად მორის მასწავლებლობისკენ გაუწია გულმა.

მასწავლებლის გავლენა უზარმაზარია;
არავინ იცის, სად გადის მისი სასრული ზღვარი.

მეოთხე სამშაბათი
ვსაუბრობთ სიკვდილის შესახებ

– მოდი, იქიდან დავიწყოთ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით, რომ ოდესმე მოვკვდებით, მაგრამ ამის არავის სჯერა.

იმ დღეს მორი ძალიან საქმიანად იყო მომართული. ჩვენს სასაუბრო განრიგში გარდაცვალების საკითხი პირველ ნომრად იდგა. ჩემს მისვლამდე მორიმ რაღაც-რაღაცები ჩაინიშნა, მერე რომ არაფერი დავიწყებოდა. მის ოკრობოკრო ხელნაწერს ახლა მორის გარდა ვეღარავინ არჩევდა. ეს იყო „ლეიბორ-დეი”-ს რამდენიმე დღით ადრე. მორის ოთახის ფანჯრის მიღმა მწვანე მჟაუნასფერი ცოცხალი ღობე მოჩანდა და გარედან ბავშვების შეძახილი ისმოდა. ერთ კვირაში სკოლა უნდა დაწყებულიყო და თამაშით „იკლავდნენ თავს”.

დეტროიტში გაფიცულები დიდი მსვლელობისთვის ემზადებოდნენ, რათა ყველასთვის ეჩვენებინათ პროფკავშირის ერთსულოვნება ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. თვითმფრინავში ერთ სტატიას გადავაწყდი – ქალს მძინარე ორი შვილი და ქმარი მოეკლა იმ მოტივით, რომ ისინი „ცუდი ხალხისგან” ეხსნა. კალიფორნიაში კი სიმფსონის დამცველები გმირების შარავანდედით იმოსებოდნენ.

აქ, მორის ოთახში, სრულიად სხვა ცხოვრება მიედინებოდა. ერთ უსახურ დღეს მეორე ცვლიდა. მე მას გვერდით ვეჯექი. სიახლე ის იყო, რომ სახლში ჟანგბადის მიმწოდებელი სპეციალური დანადგარი გაჩნდა. ზოგჯერ ღამით მორის ჰაერი არ ჰყოფნიდა, ამიტომ ცხვირთან პლასტმასის მილი ჰქონდა მიერთებული. მილი ისე მჭიდროდ ეკვროდა მის ნესტოს, როგორც წურბელა – კანს. თუნდაც იმის გაფიქრება, რომ მორი რაღაცასთან იყო შეერთებული, ჭკუიდან მშლიდა. მე მას ყურადღებით ვუსმენდი, მაგრამ ვცდილობდი, არ შემეხედა.

– თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით, რომ ოდესმე მოვკვდებით, მაგრამ ამის არ გვჯერა. ასე რომ არ იყოს, სრულიად სხვაგვარად ვიცხოვრებდით, – თქვა მორიმ.

– გამოდის, რომ ჩვენ ყველას გვეშლება...

– ასეა, მაგრამ ამ საკითხს შეიძლება სხვა – უკეთესი კუთხიდანაც შეხედო. თუკი გეცოდინება, რომ სიკვდილი გარდუვალია, მისთვის მზად იქნები ყოველ წუთს და, მერწმუნე, ეს დაგეხმარება, რომ უფრო სრულყოფილად ჩასწვდე შენი ცხოვრების არსს.

– არ მესმის, როგორ შეიძლება მზად იყო სიკვდილისთვის?

– აი ისე, როგორც ამას ბუდისტები აკეთებენ... წარმოიდგინე, თითქოს მხარზე ჩიტი გყავს შემოსკუპებული და გისვამს ისეთ შეკითხვებს, შენ თვითონ რომ უნდა უსვამდე საკუთარ თავს: „ეს ის დღეა?", „მზად ვარ?", "ნამდვილად იმას ვაკეთებ, რასაც უნდა ვაკეთებდე?", „ნამდვილად ისეთი ვარ, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი?".

და მორიმ ისე შეაბრუნა თავი, ვითომ მართლაც ჩიტი ეჯდა მხარზე და იკითხა:

– დღეს ჩემი უკანასკნელი დღეა?

მორის ხშირად მოჰყავდა ამონარიდები სხვადასხვა რელიგიური სწავლებებიდან. ის ებრაელად იყო გაჩენილი, მაგრამ მოგვიანებით აგნოსტიკოსად იქცა – ნაწილობრივ იმის გამოც, რაც ბავშვობაში თავს გადახდა. მას ხიბლავდა ქრისტიანობისა და ბუდიზმის ცალკეული პოსტულატები, მაგრამ ყველაზე ახლობლად მისთვის მაინც ებრაული კულტურა რჩებოდა.

მორი რელიგიის სპეციალისტი არასდროს ყოფილა, მაგრამ ის, რის შესახებაც მორი ბოლო დროს ლაპარაკობდა, რელიგიებს შორის განსხვავებულობაზე მაღლა იდგა. მომაკვდავ ადამიანს, ეტყობა, ეს ხელეწიფება.

– ჭეშმარიტება კი იმაშია, – თქვა მორიმ, – რომ ადამიანმა ისევე უნდა ისწავლოს სიკვდილი, როგორც სიცოცხლეს სწავლობს.

მე თავი დავუქნიე.

– მიჩ, ვიმეორებ, თუკი გეცოდინება, რომ მოკვდები, მიხვდები, როგორ იცხოვრო!

მას გაეღიმა და მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა ასე ხაზგასმით: სურდა დარწმუნებულიყო, რომ მე მისი ნათქვამის აზრს ჩავწვდი, თან შეკითხვებით თავის მობეზრებას გაურბოდა. ეს მიდგომაც მას კარგ მასწავლებლად წარმოაჩენდა.

– ავადმყოფობამდე ბევრს ფიქრობდით სიკვდილზე? – ვკითხე მე.

– არა, – გაეღიმა მორის, – ისევე, როგორც ყველა. ერთხელ სიხარულით აღტყინებულმა ისიც კი ვუთხარი ჩემს მეგობარს, რომ ამქვეყნად ყველაზე ჯანსაღი მოხუცი ვიქნებოდი.

– ეს როდის იყო, რამდენი წლის იყავით?

– უკვე სამოცს გადაცილებული...

– ესე იგი, ოპტიმისტი ყოფილხართ!

– რატომაც არა! ხომ გითხარი, ხალხს არ სჯერა, რომ სიკვდილი გარდუვალია-მეთქი...

– კი მაგრამ, თითოეულ ჩვენგანს ვიღაც გვყავს გარდაცვლილი. არ მესმის, რატომაა ასე რთული სიკვდილის გარდუვალობის აღიარება?

– იმიტომ, რომ უმეტესობა ცხოვრებას საღი თვალით არ უყურებს, თითქოს ძილ-ბურანში დაბორიალობს. ჩვენ სამყაროს სრულყოფილ აღქმას მოკლებულნი ვართ და ბევრ რამეს, რაც საჭიროდ მიგვაჩნია, მექანიკურად ვაკეთებთ.

– სიკვდილის პირისპირ რამე იცვლება?

– ყველაფერი, თითქოს ტყავს იცვლი, მერქანს იფერთხავ და მხოლოდ ყველაზე ფასეული იქცევს შენს ყურადღებას. ირგვლივ ყველაფერი სხვაგვარი ხდება.

მორიმ ამოიოხრა:

– „შეიცანი სიკვდილი, რათა ისწავლო, როგორ იცხოვრო". ახლა, როცა მორი ლაპარაკობდა, თვალში მომხვდა მისი ხელების თრთოლვა. მორის სათვალე, როგორც წესი, კისერზე ეკიდა და, როგორც კი თვალებთან აიტანდა, ხელიდან უსხლტებოდა და უკან მისრიალებდა. გეგონებოდათ, სხვისთვის სათვალის მორგებას ცდილობდა, ისიც – სიბნელეში. დავიხარე, სათვალე ყურებთან დავუმაგრე.

– დიდი მადლობა! – წაიჩურჩულა.

როცა მის თავს შევეხე, მორის სახე გაუნათდა. ოდნავი ხელის მიკარებაც კი მის დიდ მადლიერებას იწვევდა.

– მიჩ, შემიძლია რაღაც გითხრა?

– რა თქმა უნდა!

– შეიძლება რასაც გეტყვი, არც კი მოგეწონოს.

– რატომ?

– საქმე ისაა, რომ, თუკი მართლაც მივაყურადებთ მხარზე შემომჯდარ ჩიტუნას და მართლაც ვირწმუნებთ ჩვენი სიკვდილის ყოველწუთიერ მოსალოდნელობას, მე მაინც მგონია, არ ღირს ისეთ პატივმოყვარედ ყოფნა, შენ რომ ხარ...

თავს ძალა დავატანე, რომ გამეღიმა.

– შენი სამსახური, – განაგრძო მორიმ, – რომელსაც ამდენ დროს

უთმობ, დამიჯერე, ასე მნიშვნელოვნად აღარ მოგეჩვენება, მეტიც; სულიერ საზრდოს დაუწყებ ძებნას.

– რას გულისხმობთ? – გაკვირვებულმა შევხედე.

– კარგად ვიცი, სიტყვა „სულიერი" შენს დიდ მოწონებას არ იმსახურებს. მას ისე აღიქვამ, როგორც რაღაც შთამბეჭდავ-ემოციურ აბდაუბდას.

მხრები ავიჩეჩე.

მორი შეეცადა, თვალი ჩაეკრა ჩემთვის, მაგრამ მაინცდამაინც ვერ გამოუვიდა. მე სიცილი ამიტყდა.

– მიჩ, – გაეცინა მორისაც, – მეც არ ვიცი, რა არის ეს „სულიერი განვითარება", მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ჩვენ ერთობ შეზღუდული თვალსაწიერი გვაქვს, ზედმეტად გვითრევს და გვხიბლავს ყოველივე მატერიალური, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი ახლობლებისა თუ სხვათა მიერ ჩვენდამი გამოვლენილ სიყვარულს არაფრად ვაგდებთ, ვიღებთ მას, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, როგორც თავისთავად ნაგულისხმებ მოცემულობას. – მორიმ მზერა ფანჯარას მიაპყრო. ფანჯრიდან მზის ნათელი იღვრებოდა.

– ხედავ, რა ხდება ფანჯრის მიღმა? ახლა შენ შეგიძლია ადგე და ნებისმიერ დროს გარეთ გახვიდე, შეგიძლია აღმა-დაღმა ირბინო და ბედნიერებისგან გული გაიხეთქო. მე ამას ვეღარ ვიზამ, მორჩა!!! ქუჩაშიც კი ვეღარ გავალ, სირბილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ის კი არა, გარეთ ცხვირის გაყოფისაც კი მეშინია, რომ არ გავცივდე... მე ხომ ამ ფანჯრის ფასი უფრო ვიცი, ვიდრე შენ!

და იცი, რატომ? მე ყოველდღე ამ ფანჯრიდან გავყურებ სამყაროს, ვხედავ, როგორ იცვლიან ფერს ხეები და რა ძალით უბერავს ქარი, თითქოს ამ შუშის მიღმა მე ცხოვრების დინებას ვადევნებ თვალყურს. ვიცი, რომ დრო თითქმის აღარ დამრჩენია და ბუნების სიმშვენიერე ახლა არნახული ძალით მიზიდავს, თითქოს ყოველივე ამას პირველად ვხედავ.

მორი მიყუჩდა. ერთხანს ორივენი თვალმოუშორებლად გავყურებდით ფანჯარას. მე ვცდილობდი, დამენახა ის, რასაც ხედავდა მორი, თვალი გამედევნებინა ჩემი ცხოვრების ზანტი დინებისთვის.

მორიმ თავი მხრისკენ გადახარა, თითქოს ვიღაცას მიაყურადა და იკითხა:

– რაო, ჩიტუნავ, დღესაა ის დღე?

* * *

„ნაით-ლაინ”-ის ეთერში გასვლის შემდეგ მორი მსოფლიოს ყველა კუთხიდან იღებდა წერილებს და, როცა თავს შედარებით უკეთ გრძნობდა, ოჯახის წევრებისა და ახლობლების დახმარებით პასუხობდა მათ.

ერთ კვირადღეს, როცა მორის ვაჟები რობი და იონი შინ იყვნენ, მთელმა ოჯახმა სასადილო ოთახში მოიყარა თავი. მორი ეტლში იჯდა. ფეხები საბნით ჰქონდა დათბილული. როცა სიცივე აიტანდა, ზურგზე ქურთუკს მოახურებდნენ ხოლმე.

– რომელია პირველი წერილი? – იკითხა მორიმ.

პირველი წერილი ვინმე ნენსის ეკუთვნოდა. დედამისი ლუ გერიგის ავადმყოფობის მსხვერპლი გამხდარიყო, დედის გარდაცვა-ლებას ვერაფრით ვერ შეჰგუებოდა და მორის მდგომარეობას გულწრფელად განიცდიდა.

– აბა, რა შემიძლია ვთქვა? – მორიმ თვალები დახუჭა, როცა წერილის კითხვა ჩაათავეს, – მოდი, ასე დავიწყოთ: „ძვირფასო ნენსი. ღრმად შემძრა თქვენმა მონათხრობმა. მე კარგად მესმის, რა აუტანელი ტკივილის ატანა გიწევთ. სამწუხაროდ, მას ვერავინ გაექცევა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს მძიმე განცდა და ღრმა სევდა ჩემთვის სასიკეთოც აღმოჩნდა. იმედი მაქვს, ასე იქნება თქვენთვისაც”.

– მე მაინც მგონია, რომ ბოლო წინადადება უნდა შეიცვალოს, – თქვა რობიმ.

მორი ერთი წუთით ჩაფიქრდა.

– ალბათ, მართალი ხარ, ჯობს, ასე დავწეროთ: „მე მჯერა, რომ ამ განსაცდელს განმკურნავი ძალაც გააჩნია”. ასე უკეთესია?

– ვფიქრობ, ასე ჯობს, – მოიწონა რობიმ, – და ვამატებ – „გმადლობთ. მორი”.

მეორე წერილის ავტორს ჯეინი ერქვა. ის მადლობას უხდიდა მორის იმ ღრმა შთაბეჭდილებისთვის, რომელიც მან პროგრამა

„ნაით-ლაინ”-ში მონაწილეობის დროს მოახდინა და მორის წინასწარმეტყველთან აიგივებდა.

– ამაზე მეტი კომპლიმენტი რაღა გინდა! – უთხრა კოლეგამ. მორის სახე დაემანჭა. აშკარად ახალისებდა მსგავსი შედარება.

– რა ვთქვა? მადლობა გადაუხადეთ ასეთი მაცთუნებელი

სიტყვებისთვის და გადაეცით, რომ მოხარული ვარ, თუკი ჩემს გამოსვლას მისთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. არ დაგავიწყდეთ მიაწეროთ „გმადლობთ. მორი"!

შემდეგი წერილი ინგლისიდან იყო. რესპონდენტს დედა გარდასცვლოდა და მორის, სპირიტუალური სეანსის მეშვეობით, მასთან დაკავშირებას სთხოვდა. შემდეგი წყვილი მორისთან შეხვედრისა და საუბრის უფლებას ითხოვდა. ერთი წერილი კი მორის ყოფილ სტუდენტს ეკუთვნოდა. იგი დაწვრილებით უამბობდა მორის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავისი ცხოვრების შესახებ. აქ იყო თვითმკვლელობის მცდელობაც, ტრაგედია სამი მკვდრად შობილი ბავშვის გამო, დედის გარდაცვალება ლუ გერიგის ავადმყოფობით და დაუძლეველი შიში ამ სნეულებით დაავადებისა და სიკვდილის წინაშე. წერილს თითქოს ბოლო არ უჩანდა, ერთი, ორი, სამი, ოთხი ფურცელი.

მორი ყურადღებით და მოთმინებით უგდებდა ყურს ამ მძიმე ისტორიას და, როცა დასრულდა, მშიდად იკითხა:

– როგორ მოვიქცეთ? რა ვუპასუხოთ?

სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს რობიმ ვეღარ მოითმინა:

– ასე მივწეროთ: „დიდი მადლობა თქვენი ვრცელი წერილისთვის". ყველას გაეცინა. მორიმ შვილს შეხედა და სახე გაუნათდა.

* * *

სკამის გვერდით ბოსტონის გაზეთი დევს. მასზე მოღიმარი ბეისბოლისტია გამოსახული. ხელში ბურთი აქვს ჩაბღუჯული, ეტყობა, ახლახან დაიჭირა. უცნაურია, მაგრამ მსოფლიოში არსებულ დაავადებათაგან მორის სწორედ სპორტსმენის სახელით ცნობილი ავადმყოფობა არგუნა ბედმა.

– გახსოვთ ლუ გერიგი? – ვეკითხები მე.

– მახსოვს, როგორ იდგა სტადიონზე და გულშემატკივართ ემშვიდობებოდა.

– ესე იგი, მისი ცნობილი ფრაზაც უნდა გახსოვდეთ...

– რომელი?

– როგორ რომელი? – განცვიფრებას ვერ ვმალავ მე, – ლუ გერიგი...

იანკების სიამაყე... მისი სიტყვა ხომ ყველა რეპროდუქტორიდან გრგვინავდა.

– გამახსენე, თუ შეიძლება!

ღია ფანჯრიდან ვხედავ, როგორ გვიახლოვდება ნაგავსაყრელი მანქანა. გარეთ ცხელა. მორის გრძელსახელოიანი პერანგი აცვია და ფეხებზე საბანი აქვს გადაფარებული. კანს მოთეთრო ფერი დაჰკრავს. დაავადება უკვე მთელ სხეულს მოედო.

ვცდილობ, გერიგს მივბაძო, ხმამაღლა ვიწყებ... ჩემი სიტყვები თითქოს ქვის ნამსხვრევებივით ეხეთქება სტადიონის კედლებს და უკან ცვივა.

– დღეს... მე... ყვე-ლა-ზე ბედ-ნი-ე-რი ადა-მი-ანი ვاااااარ მთელს მსოფ-ლი-ო-შიიიიიი.

მორი თვალებს ხუჭავს და შეუჩნევლად აკანტურებს თავს:

– ჰოოოო... ასეთი რამ მე არ მითქვამს...

მეხუთე სამშაბათი
ვსაუბრობთ ოჯახის შესახებ

სექტემბრის პირველი კვირა იდგა. მეცადინეობა დაიწყო. 35 წლის განმავლობაში პირველად უნივერსიტეტის აუდიტორიებში აღარ ელოდნენ მორის. ბოსტონი სტუდენტებით გადაივსო. ამ დროს მორი თავის კაბინეტში იჯდა. საშინლად უსამართლოდ გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. ჩემი პროფესორი წააგავდა პენსიაზე გასულ ფეხბურთელს, რომელიც ტელევიზორს უზის, ეკრანისთვის მიუპყრია მზერა და ამბობს: „მე ხომ ჯერ კიდევ შემეძლო მათთან ერთად ვყოფილიყავი...” ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცი, რომ, როცა ახალი ჩემპიონატის დრო დგება, ჯობს მათ არ გაეკარო, არაფერი უთხრა. ჩემთვის ზედმეტი იყო მორისთვის დროის წარმავლობის შეხსენება.

ახლა, როცა ფირზე ჩვენს საუბრებს ვიწერდი, ჩვეულებრივი მიკროფონით არ ვსარგებლობდი. მორის უჭირდა მისი ხელში დაჭერა. ამ დროს ჟურნალისტები, როგორც წესი, მცირე ზომის მიკროფონს იყენებენ და მას საყელოზე ან კოსტიუმის ლაცკანზე ამაგრებენ, მაგრამ, ვინაიდან მორის ძირითადად ტილოს რბილი

პერანგები ეცვა, მიკროფონის დამაგრება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ის ან კარგად ვერ მაგრდებოდა, ანდა განუწყვეტლივ ბრუნავდა და მეც სულ მის გასწორებაში ვიყავი. მორის ეს, როგორც ჩანს, ძალიან ახალისებდა. როცა ვიხრებოდი აშკარად მესმოდა მისი მსტვინავი სუნთქვა, ყრუ ჩახველება თუ ტუჩების წლაპუნი, თუკი რისამე გადაყლაპვას მოინდომებდა.

– მაშ ასე... ჩემო მეგობარო, დღეს რაზე ვსაუბრობთ?

– ოჯახის შესახებ. რას იტყვით?

– ოჯახის შესახებ... – მორი წამით ჩაფიქრდა, – ჩემი... აი, აქ არის, – თვალი მოავლო მორიმ თავის ოთახს და თაროებზე ჩამორიგებულ სურათებზე მიმანიშნა – პატარა მორი ბებიასთან ერთად, მორი ახალგაზრდობაში თავის ძმასთან დევიდთან ერთად, მორი შარლოტასთან, რობისა და იონთან ერთად. რობი ჟურნალისტი იყო და ტოკიოში მუშაობდა, იონი კი ბოსტონში ცხოვრობდა და კომპიუტერის სპეციალისტი გახლდათ.

– ვფიქრობ, იმ ყოველივეს გათვალისწინებით, რის შესახებაც შენ და მე მანამდე ვისაუბრეთ, ოჯახის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ახლა, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. საქმე ისაა, რომ ოჯახი არის ერთადერთი დასაყრდენი, ჩემი ავადმყოფობის განმავლობაში ეს ჩემთვის განსაკუთრებით ნათელი შეიქნა. თუ შენ არა გყავს ოჯახი, არა ხარ გარშემორტყმული მოყვარული, მზრუნველი ადამიანებით, არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს. სიყვარულზე აღმატებული არაფერია ამქვეყნად. „გიყვარდეთ ერთმანეთი, თორემ დასაღუპავად ხართ განწირულნი", – თქვა ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა ოდენმა (უისტენ ჰიუ ოდენი, 1907-1973. დაბადებულია ინგლისში, მოგვიანებით გადმოსახლდა ამერიკაში).

– ეს ოდენმა თქვა?

– ოდენმა, კარგადაა ნათქვამი, არა? სამართლიანადაც! მართლაც რომ სიყვარულის გარეშე ჩვენ ფრთამოტეხილ ჩიტებს ვგავართ. აი, წარმოიდგინე, მე რომ გაცილებული ვიყო შარლოტასთან და მარტო ვცხოვრობდე, ან არ მყავდეს შვილები, მე ხომ ყოველივე ამას გაცილებით მძიმედ გადავიტანდი, არა მგონი, გამეძლო. კი... მეგობრები მოვიდოდნენ მოსანახულებლად, კოლეგებიც, მაგრამ ოჯახის წევრები მაინც სულ სხვაა... ისინი არ გტოვებენ, არსად მიდიან. ეს სულ სხვა რამეა, როცა ვინმე შენიანი მუდმივად გვერდით გყავს, თვალყურს გადევნებს. ოჯახის დანიშნულება – ესაა: არა მხოლოდ უყვარდე, არამედ ეს გაგრძნობინონ. ეს არის ის

ნეტარება, რის დიდ ნაკლებობასაც განვიცდიდი დედის გარდაცვალების შემდეგ; ის, რასაც მე სულიერ მფარველობას ვუწოდებ; რწმენა იმისა, რომ ოჯახი არასოდეს მიგატოვებს. ვერანაირი ფული თუ დიდება ამას ვერ შეედრება.

მორიმ მზერა მესროლა და დასძინა:

– ვერც სამსახური!

ოჯახი და ბავშვების აღზრდა ჩემი სიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო. მინდოდა, ყველაფერი მეკითხა და გამერკვია მისი აზრი. მორის გამოვუტყდი, რომ ჩვენი თაობა მშობლებად გახდომისა და შვილების აღზრდის სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა. მათ, და მათ შორის მეც, მიგვაჩნდა, რომ შვილების გაჩენით ჩვენ ვიზღუდავდით ჩვენს თავისუფლებას, ვშიშობდით, რომ მათი საზრუნავი დაიპყრობდა ჩვენს სულსა და გონებას, რაც არასგზით არ გვინდოდა მომხდარიყო.

შევყურებდი მორის და ვფიქრობდი – აი, მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი და არ მყოლოდა არც ოჯახი, არც შვილები, ნუთუ მექნებოდა სიცარიელის ასეთი უკიდეგანო შეგრძნება? მორიმ ორი არაჩვეულებრივად მოყვარული და მზრუნველი ვაჟი გაზარდა. მორის მსგავსად, ისინი გულწრფელად გამოხატავდნენ თავიანთ გრძნობებს. მორის რომ მოენდომებინა, რობიც და იონიც მყისვე მიატოვებდნენ თავიანთ სამსახურებს, რათა მომაკვდავი მამის გვერდით გაეტარებინათ დარჩენილი დღეები.

– ნუ შეცვლით თქვენი ცხოვრების რეჟიმს, – უთხრა მათ მორიმ, – თორემ ეს ავადმყოფობა დააზარალებს არა მარტო ერთ, არამედ სამ ადამიანს!

სასიკვდილო სარეცელზე მყოფიც, დიდ პატივისცემას ავლენდა შვილების ცხოვრების წესის მიმართ. რა გასაკვირია, რომ ვაჟების ჩამოსვლისას მათ სინაზესა და სითბოს, იუმორით გაჯერებულ ურთიერთობას ბოლო არ უჩანდა.

– როდესაც მეკითხებიან ბავშვების ყოლა-არყოლის შესახებ, არავითარ რჩევას არ ვიძლევი, – თქვა მორიმ და უფროსი ვაჟის სურათს შეავლო თვალი, – უბრალოდ, ვამბობ: არაფერია ამქვეყნად ამაზე კარგი! მას ვერაფრით ჩაანაცვლებ. ვერც შეყვარებული, ვერც მეგობარი შვილის მაგივრობას ვერ გაგიწევს. თუკი მზად ხართ, იგრძნოთ, თუ რა არის სრული პასუხისმგებლობა სხვა არსების მიმართ, ისწავლეთ სიყვარული და განიცადეთ ნამდვილი სიახლოვის ნეტარება, გააჩინეთ შვილი.

– ყველაფრის დაწყება თავიდან რომ შეგეძლოთ, შვილებს იყოლიებდით?

ფოტოს შევხედე. უფროსი ვაჟი მორის შუბლზე ჰკოცნიდა, მორის თვალები ჰქონდა დახუჭული და იცინოდა.

– მეყოლებოდა თუ არა შვილები? – განცვიფრებით შემომხედა მორიმ, – რა თქმა უნდა, განა შესაძლებელია ასეთ რაღაცაზე უარის თქმა? არავითარ შემთხვევაში... თუმცა, – მორიმ ნერწყვი გადაყლაპა და სურათი მუხლებზე დაიდო, – ზოგჯერ ეს ყველაფერი ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვს!

– რას გულისხმობთ, – რომ მათი დატოვება მოგიწევთ?

– იმას, რომ მათი დატოვება მალე მომიწევს!

მორიმ თვალები დახუჭა, ტუჩები მოკუმა და დავინახე, როგორ ჩამოუგორდა ცრემლი ლოყაზე.

– ახლა კი შენი ჯერია, – ჩუმად თქვა მორიმ.

– ჩემი?

– შენი... შენი ოჯახის შესახებ მიამბე. მე შენს მშობლებს ვიცნობ. გახსოვს, დიდი ხნის წინ რომ გამაცანი, გამოსაშვები ცერემონიალის შემდეგ. დაც გყავს, არა?

– მყავს!

– უფროსი?

– კი, უფროსი.

– ძმა?

მე დავუდასტურე.

– უმცროსი?

– უმცროსი!

– როგორც მე, – აღნიშნა მორიმ, – მეც მყავს უმცროსი ძმა.

– როგორც თქვენ!

– ისიც ესწრებოდა, არა, გამოსაშვებ ცერემონიალს?

თვალებს ვხუჭავ და თვალნათლივ ვხედავ იმ დღეს, როგორები ვიყავით 16 წლის წინ. მწველი მზე, ლურჯი უნიფორმები. მზის სინათლეზე თვალებს ვჭუტავთ და ერთმანეთს ვეხვევით. ფოტოკამერების წინ ვპოზიორობთ. ისმის: „ერთი, ორი და სამიიიიი”.

– რა მოხდა? – მეკითხება მორი, ხვდება, რომ დავდუმდი.

– არაფერი... ისე... – ვამბობ მე და სასაუბრო თემას ვცვლი.

საქმე ისაა, რომ მე მართლაც მყავს ძმა. მას თაფლისფერი თვალები აქვს, ქერა თმა და ორი წლითაა ჩემზე უმცროსი. ის გარეგნულად იმდენად განსხვავდებოდა ჩემგან და ჩემი შავტუხა დისგან, რომ ბავშვობაში ვაბრაზებდით კიდეც. „ვიღაცეებმა ზღურბლზე დაგტოვეს და როდისმე მობრუნდებიან შენს წასაყვანად", – ვეუბნებოდით ნიშნის მოგებით. მას ტირილით გული ამოუჯდებოდა ხოლმე, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მაინც არ ვიშლიდით.

ჩემი ძმა იზრდებოდა, – იზრდებოდა ისევე, როგორც სხვა უმცროსი ბავშვები – მას ოჯახში, როგორც პატარას, ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდნენ და ანებივრებდნენ, მაგრამ გული სულ დამძიმებული ჰქონდა. ოცნებობდა, გამხდარიყო მსახიობი ან მომღერალი. სადილობის დროს ნამდვილ სპექტაკლებს გვიწყობდა, ერთმანეთის მიყოლებით ყველა როლს გაითამაშებდა ხოლმე და თან სახეზე სულ ლაღი სიცილი დასთამაშებდა. მე კარგი მოსწავლე ვიყავი, ის ცუდად სწავლობდა; მე მუდამ ვემორჩილებოდი წესებს, ის კი – პირიქით; მე ნარკოტიკებისა და სასმელისგან ყოველთვის შორს მეჭირა თავი, მას კი გაუსინჯავი აღარაფერი დარჩენოდა ამქვეყნად.

მალევე, სკოლის დამთავრების შემდეგ, საცხოვრებლად ევროპაში გადასახლდა. მისი აზრით, ევროპის შედარებით მშვიდი ცხოვრების რიტმი მისთვის უფრო მისაღები იყო. ჩვენი ოჯახისთვის კი ის მაინც ყველაზე საყვარელ არსებად რჩებოდა. მის გარემოცვაში, თუკი გვესტუმრებოდა, თავს ყოველთვის რაღაცნაირად შებოჭილად და კონსერვატორად ვგრძნობდი.

ჩემი წარმოდგენის თანახმად, ჩვენ შორის არსებული უკიდურესი განსხვავებულობის გამო ჩვენი ცხოვრების გზები უნდა გაყრილიყო. მე, ერთის გარდა, ყველაფერში მართალი აღმოვჩნდი. მას შემდეგ, რაც ბიძაჩემი გარდაიცვალა, ერთი აკვიატებული აზრი მოსვენებას არ მაძლევდა: დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან მეც მის ბედს გავიზიარებდი. სიკვდილი უდროოდ მომიღებდა ბოლოს. ამიტომ სიკვდილის მოლოდინში თავაუღებლად და მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. კეფასთან ვგრძნობდი მის ცივ სუნთქვას, ვიცოდი – ეს გარდუვალი იყო. ისე ველოდი სიკვდილს, როგორც სიკვდილ-მისჯილი – ჯალათს!

მე მართალი აღმოვჩნდი, ავადმყოფობას არ დაუყოვნებია, მაგრამ

მე არ ვყოფილვარ მისი სამიზნე, ამჯერად მსხვერპლად მან ჩემი ძმა აირჩია!

ეს იყო კიბოს იგივე სახეობა, რაც ბიძაჩემს ჰქონდა – კუჭქვეშა ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის უიშვიათესი ფორმა. ჩვენი ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს – ქერათმიან და თაფლის-ფერთვალება ბიჭს ქიმიოთერაპია და დასხივება დაუნიშნეს. ჩემს ძმას თმები დასცვივდა, სახე გამოეფიტა და სიგამხდრისგან ჩამოუგრძელდა. „კი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მე უნდა დამმართოდა?" – ვფიქრობდი მე.

...მაგრამ ჩემი ძმა არც მე მგავდა და არც ბიძაჩვენს. ის მუდამ მებრძოლი იყო, ბავშვობიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სარდაფში გამართულ ჩხუბში, იატაკზე კოტრიალის დროს, მან კბილებით ჩემი ბათინკის გაკვნეტაც კი მოახერხა და ისე მიკბინა თითზე, რომ ვიყვირე და ხელი ვუშვი.

ძმამ ავადმყოფობას შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა. ის მაშინ ესპანეთში ცხოვრობდა. გადაწყვიტა, მიეღო ექსპერიმენტული წამალი, რომელიც ამერიკისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. მან არაერთი ევროპული ქვეყანა მოინახულა სხვა წამლის მოძიების იმედით, ხუთი წლის ბრძოლის შედეგად ავადმყოფობამ თითქოს უკან დაიხია.

ეს უდავოდ ძალიან დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ცუდი სიახლე ის აღმოჩნდა, რომ ჩემმა ძმამ მტკიცე უარი მითხრა მის გვერდით ყოფნასა და დახმარების გაწევაზე. ის ყველას გვარიდებდა თავის პრობლემებს, არც მე მიშვებდა ახლოს და არც ჩვენი ოჯახის სხვა წევრებს. მასთან დაკავშირების ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. მას მიაჩნდა, რომ თავის განსაცდელს თვითონ მარტო უნდა გამკლავებოდა. თვეები ისე გადიოდა, რომ მისგან არაფერი ისმოდა. ვრეკავდით, შეტყობინებებს ვტოვებდით, მაგრამ ამაოდ. მე სულ სინდისი მქენჯნიდა, ვწუხდი, რომ ვეღარაფრით ვშველოდი, თან მრისხანება მიპყრობდა იმაზე ფიქრით, რომ ჩემი ძმა ასეთი განსაცდელის ჟამს თავს მარიდებდა.

კვლავ ვუბრუნდებოდი სამსახურს და თავდავიწყებით ვმუშაობდი, – ვმუშაობდი, რადგან ჩემი სამუშაოს გაკონტროლება შემეძლო, მას აზრი ჰქონდა და უკუგებასაც არ აყოვნებდა.

ყოველთვის, როცა ესპანეთში ვრეკავდი და ჩემი ძმის ესპანურ ენაზე ჩაწერილი შეტყობინება მხვდებოდა, ყურმილს გამწარებული

ვახეთქებდი. ჩვენს ურთიერთსიშორეს ეს განსაკუთრებით უსვამდა ხაზს.

იქნებ ამიტომაც ასე მოვილტვოდი მორისკენ, ის ხომ ყოველთვის ახლოს მიშვებდა, მრთავდა ნებას, გადამელახა ის ზღვარი, რომლის გადაბიჯების უფლებაც საკუთარ ძმას არასოდეს მოუცია.

ახლა, როცა უკან ვიყურები, ვფიქრობ, რომ მორიმ ეს თავიდანვე იცოდა.

* * *

ზამთარია. ჩვენ ბავშვები ვართ. დათოვლილი შემაღლებული ადგილი ქალაქის პირას. ჩემი ძმა და მე ციგაზე ვართ შემოსკუპებულები. მე წინ ვზივარ, ის უკან მიზის, ნიკაპით მხარზე მეყრდნობა, ქუსლებით ჩემს მუხლებს ეხება.

მიწა შეყინულია და ჩვენი ციგა სულ უფრო და უფრო იკრებს სიჩქარეს.

– მანქანااااა! – ისმის ვიღაცის ყვირილი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ის მარცხნიდან გვიახლოვდება. ჩვენ ვცდილობთ, ციგას რაღაცნაირად მიმართულება შევაცვლევინოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის. მძღოლი, რაც ძალი და ღონე აქვს, გვისიგნალებს და ცდილობს მანქანის დამუხრუჭებას. ჩვენ კი ჩვენდა უნებურად ვაკეთებთ იმას, რასაც ამ დროს ბავშვები აკეთებენ: ციგიდან ვხტებით. კაპიუშონიან ქურთუკებში გორვა-გორვით ვეშვებით ფერდობზე, იმის ღრმა რწმენით, რომ საცაა ბორბლებქვეშ ამოვყოფთ თავს. სასოწარკვეთილნი ვყვირით და სამყარო ჩვენს ირგვლივ იწყებს ბზრიალს.

და უცებ... სრული სიცარიელე. გორვას ვაჩერებთ, სულს ძლივსღა ვითქვამთ და სახიდან სველი თოვლის ჩამობერტყვას ვცდილობთ. მანქანამ უკვე ჩაიარა, გაოგნებული მძღოლი შემოგვყურებს და საფეთქელთან თითს იტრიალებს. გადარჩენილები ვართ! ციგა თოვლშია ჩაფლული, ჩვენი მეგობრები კი გარს გვეხვევიან და მხრებზე ხელს გვიბარტყუნებენ: „მაგარი იყო”, მაგრამ „ხომ შეიძლებოდა მოვმკვდარიყავით?”.

მე ჩემს ძმას ვუღიმი, ახლა ჩვენ ბავშვური სიამაყე გვაერთიანებს. „ეს ყველაფერი არცთუ ისე საშიში ყოფილა!” – ვფიქრობთ და მორიგი ხიფათიანი ნაბიჯისთვის უკვე მზად ვართ.

მეექვსე სამშაბათი
ვსაუბრობთ გრძნობების შესახებ

მე გვერდით ჩავუარე მოწითალო იაპონურ ნეკერჩხალს, ქვის კიბეებს ავუყევი და მორის სახლის ზღურბლთან შევდექი. თვალი შევავლე თეთრ წყალგამტარ მილს, რომელსაც პირდაპირ შესასვლელ კართან დაეღო პირი. დავრეკე, ამჯერად კარი კონის ნაცვლად შარლოტამ გამიღო. მორის მეუღლე ჭაღარათმიანი სანდომიანი ქალბატონი იყო, მელოდიური ხმა ჰქონდა. შინ იშვიათად მხვდებოდა, როცა მივდიოდი. მორის დაჟინებული თხოვნით შარლოტა ისევ მუშაობდა უნივერსიტეტში, ამიტომაც გამაკვირვა მისმა სახლში ყოფნამ.

– მორის დღეს არცთუ იოლი დღე აქვს, – თქვა, დაბნეული მზერა სივრცეს მიაპყრო და სამზარეულოში შებრუნდა.

– ვწუხვარ, – დავიწყე მე.

– არა, არა, მას გაუხარდება თქვენი დანახვა, – უმალვე მომიგო შარლოტამ, – დარწმუნებული ვარ...

მერე მიყუჩდა, თავი მიაბრუნა, თითქოს რაღაცას აყურადებსო, და საუბარი განაგრძო.

– დარწმუნებული ვარ, თავს უკეთ იგრძნობს, როცა შეიტყობს, რომ თქვენ მოხვედით!

ჩანთები დავანახვე.

– ჩემი ჩვეული „შესაწირი", – ვცადე გახუმრება. მან დაბნეულად გამიღიმა:

– იმდენი საჭმელი გვაქვს. ადრე მოტანილიდანაც არაფრისთვის არ დაუკარებია პირი.

გავოგნდი.

– როგორ? სულ არაფერი უჭამია?

შარლოტამ მაცივრის კარი გამოაღო და მაშინვე ვიცანი ჩემი მიტანილი კოლოფები – ქათმის სალათი, ვერმიშელი, ბოსტნეული, ფარშირებული ყაბაყი. საყინულეშიც ყველაფერი ხელუხლებლად ელაგა.

– მორი ასეთ საჭმელს ვეღარ ჭამს, ყლაპვა უჭირს. მხოლოდ თხევადს და გახეხილს ვუმზადებთ.

– ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

შარლოტას გაეღიმა.

– თქვენი წყენინება არ უნდოდა.

– არაფერია საწყენი, მინდოდა, რაღაცით დავხმარებოდი, რაღაც მომეტანა.

– და მართლაც მოგქონდათ. ის ხომ ყოველთვის ძალიან ელოდა თქვენს გამოჩენას... არაერთხელ უთქვამს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის თქვენი პროექტი. მორი ცდილობს, საკუთარ აზრებს თავი მოუყაროს და ამ პროექტისთვის დრო გამოყოს. მე მეჩვენება, რომ სწორედ ამ პროექტმა დაუსახა მის ცხოვრებას მიზანი.

შარლოტას სახეზე კვლავ დაფანტული გამომეტყველება აღიბეჭდა, თითქოს საიდანღაც შორიდან მოდიოდა. მე ვიცოდი, რომ მორის ღამღამობით განსაკუთრებით უჭირდა, ვერაფრით ვერ იძინებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძილი შარლოტასაც გამკრთალი ჰქონდა. ხანდახან მორი მთელ ღამეს თეთრად ათენებდა, ხველება საათობით გრძელდებოდა, ვიდრე ნახველს არ ამოიღებდა. ღამით მასთან მომვლელი ქალი მორიგეობდა, დღისით კი უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ ყოფილი სტუდენტები, პროფესორები, კოლეგები, მედიტაციის მასწავლებლები. ზოგჯერ ეს ხალხმრავლობა შარლოტას სამსახურიდან მოსვლის დროს ემთხვეოდა და ისიც დიდი მოთმინებით იტანდა ყოველივე ამას, თუმც იცოდა, რომ ეს უცხო ხალხი ართმევდა მას მორისთან გასატარებლად დარჩენილ უძვირფასეს დროს.

– მიზანი... – განაგრძო მან, – და ეს ძალიან კარგია.

– მეც ასე მგონია!

შარლოტას მაცივარში საჭმლის შელაგებაში მივეხმარე. სამზარეულოს თაროები დახუნძლული იყო გზავნილებით, ჩანიშნული ფურცლებით, სამედიცინო ინსტრუქციებით. იმატა წამლების რაოდენობამაც: სელესტონი – ასთმის საწინააღმდეგო პრეპარატი, ატივანი – ძილის მომგვრელი, ჰაპროქსენი – წამალი ინფექციის წინააღმდეგ რძის ფხვნილითა და კუჭის დამარბილებელი საშუალებებით. დერეფანში კარი გაიღო.

– იქნებ განთავისუფლდა, წავალ, ვნახავ, – ვთქვი მე.

შარლოტამ ჩემს მოტანილ საჭმელს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და მე უხერხულობის გრძნობა დამეუფლა. მივხვდი, რომ ამით ჩემს პროფესორს ვეღარასდროს მოვგვრიდი სიამოვნებას.

* * *

ავადმყოფობა ყოველდღე ძალას იკრებდა.

როცა მორის ბოლოს და ბოლოს გვერდით მივუჯექი, მას ხველა აუტყდა. მშრალი, შეტევითი ხველება გულმკერდს უნგრევდა.

მორიგი შეტევის შედეგად მიყუჩდა, თვალები დახუჭა და ღრმად ამოისუნთქა. ვიჯექი და მოთმინებით ველოდი, როდის

მოეგებოდა გონს.

– ფირი ჩართულია? – მკითხა და თვალები დახუჭა.

– ჩართულია, – ვთქვი და ღილაკს თითი დავაჭირე.

– ცოტა სული უნდა მოვითქვა, – თქვა მორიმ თვალდახუჭულმა.

– არ იჩქაროთ!

– ცოტა უნდა გავერიდო ამ ყველაფერს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ჩემისთანა ადამიანებისთვის, არამედ შენსავით ძლიერი ჯანმრთელობის მქონეთათვისაც.

მორიმ თვალები გაახილა და ამოისუნთქა:

– იცი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ბუდიზმი? ნურაფერს გამოეკიდები, ამქვეყნად არაფერია მარადიულიო...

– კი მაგრამ, თქვენ არ ამბობდით, რომ ადამიანმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადოს, კარგიც და ცუდიც?

– ვამბობდი!

– მაშ, ეს როგორღაა შესაძლებელი – განრიდება?

– არსებითი შეკითხვაა. განრიდება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გამოცდილებას გზა გადაუკეტო, პირიქით: სწორედ ამ გზით შეიძლება, რომ ეს პროცესი დაიწყოს.

– ვერაფერი გამიგია...

– ავიღოთ მაგალითისთვის ნებისმიერი გრძნობა – სიყვარული ქალის მიმართ, ან წუხილი საყვარელი ადამიანის გამო, ანდა თუნდაც ის, რასაც პირადად მე განვიცდი! ტკივილსა და ძრწოლას ამ განუკურნებელი ავადმყოფობის გამო... თუკი ემოციას პირს აუკრავ, უფლებას არ მისცემ, მთლიანად შეიგრძნო, ვერასდროს ვერ შეძლებ მისგან განრიდებას – შიში მთლიანად დაგიმორჩილებს და ბოლოს მოგიღებს! შიში ტკივილისა და წუხილისა, შიში შენი უსუსურობისა სიყვარულში დაუცველობის გამო. გრძნობამ უნდა დაგიპყროს, ძვალსა და რბილში უნდა დაგიაროს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლია თქვა, რომ განგიცდია ტკივილი, სიყვარული თუ სევდის დამანგრეველი მარწუხების სიბასრე. მხოლოდ მაშინ შეგიძლია

თქვა: „მე მართლაც განვიცადე ეს; ვიცი, რასაც წარმოადგენს, ახლა კი დროა, განვერიდო თუ გავემიჯნო მას”.

მორი გაჩუმდა და სერიოზულად ამომხედა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ნათქვამი სწორად გავიგე.

– ვიცი, შენ ფიქრობ, რომ ყველაფერ ამას სიკვდილს ვუკავშირებ. მაგრამ რამდენჯერმე უკვე გითხარი და კიდევ გაგიმეორებ: თუკი სწავლობ, როგორ მოკვდე, ნათელი ხდება, როგორ უნდა იცხოვრო.

მორიმ თავისი ახლანდელი ცხოვრების ყველაზე რთული მომენტების შესახებ დაიწყო მოყოლა – მიამბობდა, თუ რა აუტანელ ტკივილს განიცდიდა მკერდის არეში, თითქოს ვიღაც მარწუხებს უჭერდა და სუნთქვას უხშობდა. ეს იყო უმძიმესი წუთები, როდესაც მორი უსაშველოდ იტანჯებოდა და შიში ვერაფრით ვერ დაეძლია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ განსაცდელის არსს ჩასწვდა, როცა ტკივილისგან კანი ეხორკლებოდა, ტვინში თითქოს ცხელი ლავა ეღვრებოდა, მხოლოდ მაშინ მოახერხა საკუთარი თავისთვის ეთქვა: „ეს შიშია, გაემიჯნე მას და სასწრაფოდ უკუაგდე!”.

ჩავფიქრდი: ჩვენ ხომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამას ვერასდროს ვერ ვახერხებთ. ხანდახან ჩვენ თავს იმდენად მარტოდ ვგრძნობთ, რომ მზად ვართ, ტირილით გული ამოვიგდოთ, მაგრამ ამას მხოლოდ იმის გამო არ ვაკეთებთ, რომ სირცხვილია, ასე მოქცევა არაა მიღებული, ანდა, უცებ სიყვარულის ტალღა გადაგვივლის და მძაფრი სურვილი გვიჩნდება, გვერდით მდგომ ადამიანს სიყვარულში გამოვუტყდეთ, მაგრამ თან გვეშინია, ვაითუ ამ გულწრფელობამ ეს ადამიანი დააფრთხოს და ურთიერთობას საბოლოოდ გააფუჭოს.

ამასთან დაკავშირებითაც მორის სრულიად სხვა მიდგომა ჰქონდა. მისი ღრმა რწმენით, ადამიანი ემოციამ მთლიანად უნდა მოიცვას. ეს არათუ ზიანს, არამედ ბევრ სასიკეთოს მოუტანდა მას.

– თუკი შენ შიშს გაითავისებ, გაიშინაურებ, მისი მოცილება არ გაგიჭირდება, რადგან მიხვდები, – რას უნდა ებრძოლო. ასევეა მარტოობაც. მიიღებ მას? იტირებ, მერე კი იტყვი: „მე ვიცი, რა არის მარტოობა, მაგრამ მე მისი უკვე აღარ მეშინია. ახლა მე მას გვერდით გავწევ, რადგან ცხოვრებაში კიდევ მრავალი გრძნობაა, რომელთა განცდაც ჩემთვის სასურველია!”.

– გაემიჯნე! – თქვა მორიმ, თვალები დახუჭა და კვლავ ხველების შეტევამ გააწყვეტინა სიტყვა.

ხმამაღლა ახველებდა.

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ, საცაა დაიხრჩობოდა. მორი ღია პირით ისუნთქავდა ჰაერს, ნაწყვეტ– ნაწყვეტ ახველებდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და ისე იქნევდა ხელებს, თითქოს სადაცაა გონებას დაკარგავდა. შუბლი დაეცვარა. მე მორისკენ გადავიხარე, წინ გადმოვქაჩე და ზურგზე რამდენჯერმე დავკარი ხელი. მორიმ ქაღალდის ხელსახოცი პირთან მიიტანა და ნახველი ამოიღო.

მორის ხველა ჩაუწყნარდა და ბალიშზე მიესვენა.

– როგორა ხართ? თავს უკეთესად გრძნობთ? – ყოველმხრივ ვცდილობდი, მორის არ შეემჩნია, როგორ გადამიქანდა შიშისგან გული.

– კი... წესრიგში ვარ, – წაიჩურჩულა მორიმ და თითი ასწია, – მაგრამ... ერთი წუთით...

ჩვენ ვისხედით და უხმოდ ველოდებოდით, მშვიდ სუნთქვას როდის აღიდგენდა. შუბლზე ოფლი მასხამდა. მორიმ ფანჯრის დაკეტვა მთხოვა, სციოდა, არა და, გარეთ ზაფხული იდგა და ტემპერატურა 25 გრადუსს აღწევდა, მაგრამ მორისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს.

– მე ვიცი, როგორ მინდა მოვკვდე! – თქვა უცებ მან.

ვდუმდი, ველოდი, რას იტყოდა.

– მინდა, მშვიდად მოვკვდე, უდრტვინველად! არა ისე, როგორც ხუთი წუთის წინ იყო! აი, იმ დროს სწორედ ეს „გამიჯვნა" იქნებოდა ზედგამოჭრილი. თუკი სიკვდილი ხველების დროს მომისწრებს, შიშს უნდა გავემიჯნო და ასე დავემშვიდობო: „ჩემმა ზარმა უკვე ჩამოჰკრა"! არა და, არ მინდა, ეს ქვეყანა შიშით შეპყრობილმა დავტოვო. მე მინდა გავიაზრო – რა მემართება, მორჩილად მივიღო ჩემი აღსასრული და გავეცალო ამ ქვეყანას. გესმის, რასაც ვამბობ?

მე თავი დავუქნიე.

– მაგრამ ახლა ნუ წახვალთ! – ვთქვი მე. მორიმ სევდიანად გაიღიმა:

– ახლა არა, ჩვენ ხომ ჩვენი საქმე ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია...

* * *

– სულების გადასახლებისა თუ გჯერათ?

– რა გითხრა...

– მაინც სად ისურვებდით ჩასახლებას?
– ჩემი არჩევანი რომ იყოს? ვისურვებდი, ქურციკი ვყოფილიყავი.
– ქურციკი? რატომ?
– გგონია, უცნაური არჩევანია? – ეღიმება მორის.

მე ყურადღებით დავყურებ მის დაპატარავებულ-დაჩიავებულ სხეულს, თავისუფალ ტანისამოსს, თბილწინდებამოცმულ ტერფებს, ქვეშ რეზინის მუთაქა რომ აქვს ამოდებული, სიარულის უნარდაკარგულ გახევებულ ფეხებს, თითქოს ჩემს წინ ბოროტმოქმედი ზის, ბორკილებგაყრილი. შემდეგ კი უდაბნოში მონავარდე ქურციკის წარმოდგენას ვცდილობ.

– არა..., – ვამბობ მე, – არა მგონია, ეს უცნაური არჩევანი იყოს.

პროფესორი. ნაწილი 2

მორი, რომელსაც მე და სხვები კარგად ვიცნობდით, არ იქნებოდა ასეთი, რომ არა ვაშინგტონის მახლობლად მყოფ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებული რამდენიმე სამსახურებრივი წელიწადი. ამ დაწესებულებას მეტად მშვიდობიანი სახელწოდება ჰქონდა: „თავშესაფარი წაბლნარში". ეს იყო მორის ერთ-ერთი პირველი სამსახურთაგანი. ამ დროისათვის მას უკვე მინიჭებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი, მოგვიანებით კი იგი ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის წოდებითაც დააჯილდოვეს. მორის ღრმად სწამდა, რომ მედიცინის, იურისპრუდენციისა და ბიზნესის უგულებელყოფით იგი შეძლებდა კვლევითი სამუშაოს ჩატარებას, რაც საზოგადოებასაც წაადგებოდა და არც სხვის ექსპლუატაციის საჭიროებას შექმნიდა.

მორი ფსიქიატრიულ ავადმყოფთა და მათი მკურნალობის ზედამხედველობით იყო დაკავებული. იქნებ, დღეს ეს ბანალურად ჟღერს, მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისისთვის ეს დიდი სიახლე იყო. მორის ზედამხედველობის არეში იყვნენ ისეთი პაციენტები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ყვიროდნენ, ღამეებს ტირილში ატარებდნენ, ქვეშ ისაქმებდნენ, უარს ამბობდნენ ჭამაზე და ამიტომ მათ ძირითადად წვეთოვანით კვებავდნენ.

ერთ-ერთი შუახნის პაციენტი ყოველდღე გამოდიოდა თავისი პალატიდან, მეტლახის ფილებით დაგებულ იატაკზე პირქვე წვებოდა

და ასე გარინდული საათობით იწვა. ექიმები და მედდები მას გვერდს უვლიდნენ. მორი ყოველივე ამას შეძრწუნებული ადევნებდა თვალყურს და ყოველ დეტალს თავის ბლოკნოტში ინიშნავდა. ასეც უნდა მოქცეულიყო. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ქალი იატაკზე საათობით იწვა და ხმას არავის სცემდა. ეს ჩვეული ამბავი იყო, ამიტომ მას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. პაციენტის მიმართ ასეთი დამოკიდებულება კი მორის მეტისმეტად თრგუნავდა, ამიტომ ხან გვერდით მიუჯდებოდა, ხან კი წამოწვებოდა. ასე ცდილობდა მისთვის დიდი სადარდებლის შემსუბუქებას. ბოლოს იმდენი ქნა, რომ პაციენტი დაარწმუნა, ამდგარიყო და თავის პალატაში დაბრუნებულიყო. როგორც გაირკვა, ის, როგორც ბევრი სხვა, სწორედ ყურადღებას ითხოვდა, მეტს არაფერს.

აქ მორიმ ხუთი წელიწადი დაჰყო და, მიუხედავად იმისა, რომ აქ ასეთი რაღაცეები დიდად არ ეჭაშნიკებოდათ, მორი მაინც დაუმეგობრდა რამდენიმე პაციენტს. მათ შორის იყო ერთი ქალბატონი, რომელსაც თავი იმით მოჰქონდა, რომ ქმარს ამ კლინიკაში მეუღლის მკურნალობის ხარჯების გაწევა შეეძლო. იყო მეორე ქალბატონიც, რომელიც ფურთხებასაც კი არ ერიდებოდა და ყველას შეურაცხყოფას აყენებდა, მაგრამ მორის მიმართ სიმპათიით განეწყო და თავის მეგობრადაც აღიარა. ისინი ყოველდღე საუბრობდნენ. პერსონალი კი კმაყოფილი იყო იმით, რომ ვიღაცამ მაინც მოახერხა მის სულსა და გონებაში შეღწევა.

მაგრამ ერთ დღეს ამ ქალბატონმა გაქცევა მოახერხა. მორის დახმარებისთვის მიმართეს. ქალბატონი მახლობელ მაღაზიაში აღმოაჩინეს, იქვე საკუჭნაოში შემალულიყო. მორის დანახვისას მან ბოროტად დააკვესა თვალები და იკითხა:

– შენც ერთ-ერთი მათგანი ხარ?

– ვის გულისხმობთ?

– ჩემს ციხის ჯალათებს!

მორი ხვდებოდა, რომ პაციენტთა უმეტესი ნაწილი არასრულფასოვანი ოჯახებიდან იყო. მათ აკლდათ ყურადღება და სითბო. მათ ისე ექცეოდნენ, თითქოს არც არასდროს არსებულიყვნენ ამქვეყნად. მათ ვერავინ ამჩნევდა, არავინ თანაუგრძნობდა. ამ მხრივ მომვლელ პერსონალს მათთვის არც ეცალა. პაციენტთა დიდი ნაწილი შეძლებული ოჯახებიდან იყო, მაგრამ ფულს მათთვის ბედნიერება არ მოუტანია, არც ცხოვრებისეული

კმაყოფილებით გაუნეგიერებია. ეს წლები მორისთვის დაუვიწყარ გაკვეთილად იქცა.

მე ზოგჯერ ვეხუმრებოდი მორის, 60-იან წლებში ჩარჩენილს ვუწოდებდი, ის კი მარწმუნებდა, რომ 60-იანი წლები სულაც არ იყო ურიგო, მით უმეტეს, თუკი მათ დღევანდელობას შევუდარებდით.

ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის შემდეგ მორი ბრანდეის უნივერსიტეტში მოვიდა. ეს იყო სწორედ 60-იანი წლების დასაწყისი. ამ რამდენიმე წელიწადში უნივერსიტეტი კულტურული რევოლუციის კერად ქცეულიყო. ნარკოტიკები, სექსი, რასიზმის პრობლემები, ვიეტნამში მიმდინარე ომთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები. ბრანდეის უნივერსიტეტში სწავლობდნენ ები ჰოფმანი (ჯერი რუბინთან ერთად 60-იანი წლებში ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტი), ანჯელა დევისი (შავკანიანთა მოძრაობის „შავ პანტერათა" ერთ-ერთი ლიდერი), მორისთან ჯგუფში ბევრი იყო რადიკალურად განწყობილი სტუდენტიც.

ეს ნაწილობრივ იმის გამოც ხდებოდა, რომ სოციოლოგიის პედაგოგები არა მხოლოდ ლექციებს კითხულობდნენ და ასწავლიდნენ სტუდენტებს, არამედ თვითონაც ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ამ მოძრაობებში. მაგალითად, ისინი მქუხარე სიტყვით გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ. როცა პროფესორებმა შეიტყვეს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონოდათ საშუალო შეფასება მაინც, რომ ახალგაზრდები ჯარში არ გაეწვიათ, ნიშნების დაწერაზე საერთოდ უარი თქვეს. ხოლო, როცა ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სტუდენტებს ნიშნის გარეშე გარიცხვა ემუქრებოდათ, მორიმ ყველას უმაღლესი შეფასება მისცა. მორის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. ბევრი რამ შეიცვალა უნივერსიტეტში, შესაბამისად, ცვლილება განიცადა მორის ფაკულტეტმაც. ახლა სამუშაო დროს მასწავლებლებიც ჯინსებსა და სანდლებში დაიარებოდნენ. აუდიტორიებში კი სიცოცხლე ჩქეფდა. პროფესორებმა ლექციებს თხრობის ნაცვლად ცხარე დისკუსიების სახე მისცეს, თეორიასთან შედარებით პრაქტიკას უპირატესობა მიანიჭეს. სტუდენტებს განზრახ გზავნიდნენ სამხრეთის შორეულ შტატებში თუ დიდი ქალაქების ღარიბთა რაიონებში, რათა მათ იქ მოქალაქეთა უფლებები დაეცვათ. ისინი ხშირად მიემგზავრებოდნენ

ვაშინგტონში საპროტესტო მსვლელობების მოსაწყობად. არაერთხელ ამ ავტობუსების საჭეს მორი მართავდა. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს მორი გაოცებული შეჰყურებდა მოფრიალე ქვედა ბოლოებში გამოწყობილ ქალებს, რომლებიც ავტომატის ლულებში ყვავილებს აწყობდნენ. შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და სულიერი ძალების მოხმობით პენტაგონის ჰაერში ატყორცნას ცდილობდნენ.

– მართალია, პენტაგონს ვერაფერი დააკლეს, – იგონებდა მორი, – მაგრამ ცდას წინ რა უდგას?

ერთხელ კი ბრანდეის უნივერსიტეტის „შავმა" სტუდენტებმა ხელში ჩაიგდეს ერთი კორპუსი და დიდი წარწერა გამოფინეს:

„მალკოლმ იქსის უნივერსიტეტი" (მალკოლმ იქსის (1925-1965) ნამდვილი სახელია მალკოლმ ლიტლი. ამერიკელი შავი ლიდერი. მიჩნეულია გმირად აფროამერიკელთა უფლებებისთვის ბრძოლის გამო).

ამ კორპუსში განთავსებული იყო ქიმიური ლაბორატორიები და ადმინისტრაცია მეტად შფოთავდა. ისინი შიშობდნენ, რომ სარდაფში მათ ყუმბარის დამზადება შეეძლოთ. აი, მორიმ კი იცოდა, რაშიც იყო სინამდვილეში საქმე. მას ესმოდა, რომ ამ ადამიანებს უნდოდათ, ყურადღება მიექციათ მათთვის.

ამბოხი რამდენიმე კვირა გაგრძელდა, მეტხანსაც გასტანდა, რომ არა ერთი შემთხვევა: ერთ-ერთმა მეამბოხემ გზად მომავალი საყვარელი პროფესორი მორი იცნო და სთხოვა, რომ ფანჯრიდან შემძვრალიყო კორპუსში.

ცოტა ხნის შემდეგ მორი იმავე გზით გამოვიდა მეამბოხეთა მოთხოვნების ფურცლით ხელში. ეს ფურცელი მან უნივერსიტეტის პრეზიდენტს წარუდგინა და სულ მალე სიმშვიდემ დაისადგურა.

მორი ყოველთვის ყველაფრის მშვიდობიანად მოგვარებას ახერხებდა.

ბრანდეის უნივერსიტეტში მორი სოციოლოგიას და სოციალურ ფსიქოლოგიას ასწავლიდა, კითხულობდა ლექციებს ფსიქიკური დაავადებებისა და ადამიანთა ჯგუფში ქცევის თავისებურებათა შესახებ. ის ძალზე მცირე ყურადღებას უთმობდა კარიერის მოწყობის ჩვევათა შესწავლას. მის ღრმა ინტერესს მუდამ პიროვნების განვითარების გზათა ძიება წარმოადგენდა.

ახლანდელი გადასახედიდან, ალბათ, იურისპრუდენციისა და

ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები მორის ლექციებს გულუბრყვილოდ და არაფრის მომცემ სისულელედ მიიჩნევდნენ. რა ხელფასები აქვთ მის სტუდენტებს? სასამართლოში რამდენი საქმე აქვთ მოგებული?

მითხარით, რამდენი ასეთი იურისტი სტუდენტი ან ბიზნესმენი აკითხავს თავის პროფესორს კოლეჯის დამთავრების შემდეგ? მორისთან კი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ყოფილი სტუდენტები ბოსტონიდან თუ ნიუ-იორკიდან, კალიფორნიიდან, ლონდონიდან თუ შვეიცარიიდან, მსხვილი კომპანიებიდან თუ ღარიბთა რაიონების სკოლებიდან. ისინი მორის ურეკავდნენ, წერდნენ, ასობით მილს გადიოდნენ, რომ მორი მოენახულებინათ და მისი ღიმილი ენახათ.

... და ყოველი მათგანი ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ასეთი მასწავლებელი არასდროს მყოლია!”

მორისთან სტუმრობის შემდეგ სიკვდილის შესახებ დავიწყე კითხვა. მაინტერესებდა, სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხი როგორ უყურებდა იმქვეყნად გადასახლებას. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის არქტიკულ რაიონში არსებობს ტომი, რომელსაც სწამს, რომ ყოველივეს დედამიწაზე არსებულს აქვს სული და ეს სული წარმოადგენს მინიატურულ სახეს იმ ადგილისა, სადაც ის სახლობს. მაგ.: დიდ ირემში ციცქნა ირემია მოქცეული, ხოლო ადამიანში პატარა ადამიანი ბუდობს. როცა დიდი არსება კვდება, ის მცირედი აგრძელებს სიცოცხლეს და მისი გადასახლება ხდება იმ არსებაში, რომელიც მაშინ იბადება, ანდა იგი ცად დროებით ნავსაყუდელში მიეშურება. ის დიდი მდედრი სულის საშოში ივანებს და იქ იცდის, ვიდრე მთვარე მას კვლავ დედამიწაზე დააბრუნებს.

ხანდახან მთვარეს იმდენი თავსატეხი უჩნდება ამ ახალი (ნორჩი) სულების გამო, რომ მთვარე ქრება. ამიტომ არის ხოლმე უმთვარო ღამეები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის მაინც ბრუნდება, როგორც ყველა ჩვენგანი.

აი, ასე სწამს ამ ტომს.

მეშვიდე სამშაბათი

ვსაუბრობთ სიბერის მიმართ შიშის შესახებ

ეს ბრძოლა წაგებული იყო. დადგა ის დღე, როცა მორი მიხვდა – სხვისი დახმარების გარეშე ვეღარ შეძლებდა, მიეხედა თავისი უკანალისთვის. როგორც კი ეს აღმოაჩინა, მაშინვე კონის მოახსენა და მისთვის ჩვეული გულწრფელობით იკითხა:

– ეს, ალბათ, დიდ უხერხულობას შეგიქმნით, არა?

– სულაც არა, – იყო კონის პასუხი.

ეს ძალიან ჰგავდა მორის – მთავარია, იკითხა.

მორი გამომიტყდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება მას განსაკუთრებით გაუჭირდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი საბოლოოდ დანებდა ავადმყოფობას. სუნთქვისა და ყლაპვის გარდა, უკვე მთლიანად სხვებზე იყო დამოკიდებული.

გაკვირვებული ვეკითხებოდი, თუ როგორ ახერხებდა მაინც სულის მხნეობის შენარჩუნებას.

– ალბათ, სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ: ყოველმხრივ ვეცადე, არაფერი დამეთმო, მინდოდა მე თვითონ გადმოვსულიყავი მანქანიდან, სხვისი დახმარების გარეშე ჩამეცვა და გამეხადა. თავდაპირველად სირცხვილი მკლავდა, უხერხულად ვიშმუშნებოდი, რადგან ჩვენი კულტურა გვასწავლის – არ შეიძლება, იყო სხვაზე ასე დამოკიდებული, მერე კი ბევრი ვიფიქრე და ხელი ჩავიქნიე, „ჯანდაბას, გვასწავლის და გვასწავლოს... განა ცხოვრებაში ერთხელ ან ორჯერ წავსულვართ ამ წესების წინააღმდეგ? და რა? რა არის აქ ასეთი საშინელი?”... და იცი რა, მოხდა უცნაური რამ.

– რა?

– ჩემი სხვაზე დამოკიდებულებით სიამოვნების მიღებაც კი ვისწავლე. მომწონს, როცა მივლიან, გვერდიდან გვერდზე მაბრუნებენ, ფეხებს მიზელენ, სახიდან ოფლს მწმენდენ. თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, ამით სიამოვნება მივიღო, თითქოს კვლავ ბავშვობას დავუბრუნდი. გაბანავებენ, ხელში აჰყავხართ, გამშრალებენ. რომელმა ჩვენგანმა არ იცის, რა არის ბავშვობა? ბავშვი ხომ ყველა ჩვენგანში სახლობს. მხოლოდ უნდა შევახსენოთ საკუთარ თავს, თუ რა დიდი ნეტარებაა ეს. გახსოვს, როცა დედას ხელში ეჭირე, გარწევდა და თავზე გეფერებოდა, ხომ გინდოდა, სულ

ასე გაგრძელებულიყო? რაც არ უნდა თქვა, თითოეული ჩვენგანი გარკვეულწილად იმ დროში დაბრუნებაზე ოცნებობს, როცა ჩვენზე ასე ზრუნავდნენ და სიყვარულს გამოხატავდნენ იმისგან დამოუკიდებლად, ვიმსახურებდით ამას ჩვენ, თუ – არა. ძალიან ბევრმა სრულფასოვნად ვერ განიცადა ეს ნეტარება, უნდა გითხრა, რომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ!!!

მორის შევხედე და მივხვდი, რატომ მოსწონდა ასე, როცა მისკენ ვიხრებოდი და მიკროფონს ვუსწორებდი, ბალიშებს ვუფუმფულებდი, თვალებს ვუწმენდდი. თითოეული შეხება მის სულს მალამოსავით ედებოდა. სამოცდათვრამეტი წლის ასაკში მორი გასცემდა, როგორც უფროსი ადამიანი, გარესამყაროდან კი ენერგიასა თუ ემოციას ისრუტავდა, როგორც ბავშვი.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ჩვენ დაბერების შესახებ ვისაუბრეთ. უფრო სწორად, – იმ შიშზე, სიბერის მოსვლას რომ თან სდევს ხოლმე. ეს იყო ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ჩემს თაობას აინტერესებდა და საფიქრალს უშლიდა. ბოსტონის აეროპორტიდან გზად არ გამომიტოვებია არც ერთი რეკლამა, უშველებელი პლაკატებიდან ახალგაზრდა სახეები შემომყურებდნენ. აი, სამხრეთელი მზეჭაბუკი კოვბოის ქუდით და ხელში სიგარით, ან ორი ულამაზესი გოგონა ღიმილით დაჰყურებს შამპუნის ბოთლს, მოხდენილი მოზარდი მოტკეცილი ჯინსებით, შავ ხავერდის კაბაში გამოკვართული მომხიბლავი ქალბატონი, ფრაკში გამოწყობილი მამაკაცი რომ ამოსდგომია გვერდში. ორივე შოტლანდიურ ვისკის წრუპავს. საინტერესოა, რომ რეკლამაში წარმოდგენილი ადამიანების ასაკი 35 წელს არ აღემატებოდა. მორის გამოვუტყდი: თუმცა ყოველმხრივ ვცდილობდი, ფორმა არ დამეკარგა, მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემი ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე ჩაევლო. სულ ვვარჯიშობდი, საკვებსაც გულდასმით ვარჩევდი, თმასაც საგულდაგულოდ ვისწორებდი ხოლმე სარკის წინ და, თუკი წინათ თავმომწონედ ვლაპარაკობდი ჩემი ასაკის შესახებ ნიშნად იმისა, თუ რამდენს მივაღწიე, ახლა ამ თემას შეგნებულად გავურბოდი. შიში მიპყრობდა, რადგან 40 წელი უკვე პროფესიული დაღმასვლის ასაკად მიმაჩნდა.

მორის სრულიად განსხვავებული აზრი ჰქონდა.

– ახალგაზრდობის შესახებ მე ასეთი მიკიბულ-მოკიბული საუბრებით ვერ წამაბამ, – ჩაიცინა, – მესმის, რომ ახალგაზრდობას

ბევრი სირთულე სდევს თან, მაგრამ ეს შესანიშნავი პერიოდია. ახალგაზრდები, ჩემთან რომ მოდიოდნენ, ხშირად განიცდიდნენ შინაგან დაპირისპირებას თუ განხეთქილების გრძნობას, ტანჯავდათ არასრულფასოვნების შეგრძნება და სრულიად მოკლებულნი იყვნენ ცხოვრებისგან სიამოვნების მიღების უნარს. ეს მათთვის იმდენად მტკივნეული იყო, რომ ზოგიერთი მათგანი თავის მოკვლასაც კი ფიქრობდა. ამ საცოდავ ახალგაზრდებს არ ჰყოფნით სიბრძნე. ისინი სიცოცხლის არსს ვერც კი ჩასწვდომიან. მიდი და მოსთხოვე სიცოცხლე იმათ, რომელთაც ისიც კი ვერ გაურკვევიათ, თუ რა ხდება მათ ირგვლივ. ყიდულობ სუნამოს, რომ ვიღაცას თავი მოაწონო, ანდა არჩევ ჯინსებს, რომ შენს სხეულს სექსუალური მიმზიდველობა შემატო, ყოველივე ეს ხომ სრული უაზრობაა...

– თქვენ არ გეშინოდათ სიბერისა?

– მე სიბერეს გაშლილი მკლავებით ვეგებები!

– ეს როგორ?

– რატომაც არა? რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო ბევრ რაღაცას სწავლობ და გამოცდილებას იძენ! თუკი შენ მუდამ

22 წლის იქნები, ისეთივე გულუბრყვილო დარჩები, როგორც ამ ასაკს სჩვევია. ასაკში შესვლა მარტო ჭკნობა როდია, ის იმავდროულად ზრდაცაა. რა თქმა უნდა, ძალიან მძიმეა იმის განცდა, რომ სიკვდილი ახლოვდება, მაგრამ, მეორე მხრივ, კარგია, რომ ამას იაზრებ, რადგან მხოლოდ ეს „ცოდნა" გასწავლის, თუ როგორ უნდა მიხვიდე ამ ბოლომდე ღირსეულად.

– კი ბატონო, – ვთქვი მე, – თუკი სიბერეს ამდენი ღირსება აქვს, რატომაა, რომ გაუთავებლად მესმის „ისევ ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი", და არა, ვთქვათ: „კარგი იქნებოდა, ახლა 65 წლის რომ ვიყო"?

მორის გაეღიმა.

– ეს ხომ ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის შესახებ მეტყველებს? იმ ცხოვრების შესახებ, რომელიც აზრსაა მოკლებული. თუკი შენი ცხოვრება შინაარსიანია, უკან კი არ გინდა დაბრუნება, წინ იხედები, რადგან გსურს, მეტი და მეტი ნახო, კიდევ უფრო მეტი გააკეთო. ერთი სული გაქვს, როდის გახდები 65 წლისა. შენ უნდა იცოდე ეს, ყველა ახალგაზრდამ უნდა გაიგოს ამის შესახებ. ის, ვინც ებრძვის სიბერეს, უბედური ადამიანია, რადგანაც სიბერე მაინც მოვა,

უნდა მას ეს თუ არა. და, მიჩ..., – მორიმ ხმას დაუწია, – ბოლოს და ბოლოს შენც ხომ მოკვდები? ეს ხომ ფაქტია?

მე თავი დავუქნიე.

– რაც არ უნდა თქვა.

– ვიცი!

– მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მოხდება დიდი, დიდი ხნის შემდეგ. მორიმ თვალები დახუჭა. სახეზე სიმშვიდე გადაჰფენოდა. მთხოვა, მისთვის თავქვეშ ბალიში გამესწორებინა. უჭირდა ერთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა. ირგვლივ თეთრი ბალიშები ჰქონდა შემოწყობილი, ყვითელი პარალონი, ლურჯი პირსახოცები და ფოსტით გასაგზავნ ამანათს წააგავდა.

ბალიში გავუსწორე და მან ჩურჩულით გადამიხადა მადლობა.

– არაფრის! – ვთქვი მე.

– მიჩ, რაზე ფიქრობ ახლა?

– ნუთუ არავითარი შურის გრძნობა არ გიჩნდებათ ჯანსაღი ახალგაზრდების მიმართ?

– რა თქმა უნდა, მშურს მათი! – მორიმ კვლავ დახუჭა თვალები, – მშურს, რადგან მათ შეუძლიათ სპორტულ კლუბში ივარჯიშონ, იცურაონ, ანდა საცეკვაოდ წავიდნენ. მოვა ეს შურის ტალღა, გადამირბენს და მერე ვათავისუფლებ ჩემგან. გახსოვს, ამას წინათ რას ვლაპარაკობდით ამის შესახებ? შეიგრძენი და გაუშვი. შენს თავს უნდა უთხრა: „ეს შურია და ახლა მე მას გავემიჯნები!”

მორის ხველება დაეწყო. ახველებდა დიდხანს მშრალად და მძიმედ. მერე პირთან ხელსახოცი მიიდო და ნახველი ამოიღო. მე მის გვერდით ვიჯექი და თავს ძლიერად ვგრძნობდი, უაზრობამდე ძლიერად! ვგრძნობდი, რომ იოლად ავიტაცებდი მას და მხარზე მოვიკიდებდი, – ისევე იოლად, როგორც ფქვილით სავსე ნაჭრის ტომარას. და უცებ შემრცხვა ამ ჩემი ფიზიკური უპირატესობისა, რადგან ყველა სხვა უპირატესობა ყოველმხრივ მორის მხარეს იყო.

– როგორ ახერხებთ, რომ არ გშურდეთ?

– ვისი?

– ჩემი!

მორის კვლავ გაეღიმა.

– მიჩ, აბა როგორ შეიძლება, მოხუცებს არ შურდეთ ახალ-გაზრდებისა?! უბრალოდ, უნდა აღიარო შენი ასაკი და ბედნიერი იყო

იმით, რაც გაგაჩნია. ახლა შენი დროა, იყო 30 წლისა, ოდესღაც მეც ვიყავი 30, ახლა კი დამიდგა დრო, რომ ვიყო 78. სულ ესაა, ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოცემულ ასაკში მიაგნო იმას, რაც საუკეთესოა. როცა უკან იხედები, ხედავ, რა ძლიერი ყოფილხარ და რით. ამ მხრივ ასაკს უპირატესობა არა აქვს.

მორიმ ამოისუნთქა, თითქოს თვალს ადევნებდა, როგორ იშლებოდა მისი სუნთქვა ჰაერში.

– მაგრამ, სიმართლე რომ გითხრა, ჩემში ყველა ასაკია შემორჩნილი. ვარ სამი წლისაც, ხუთისაც, 37-ისაც, 50-ისაც. მე გამოვიარე ეს ასაკი და ვიცი, რა არის ეს. ჩემთვის თანაბარი სიხარულის მომნიჭებელია ბავშვად თუ ბრძენ მოხუცად ყოფნა. წარმოგიდგენია, რა მდიდარი არჩევანი მაქვს? ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ?

თავი დავუქნიე.

– მაშ, როგორ შემიძლია მშურდეს იმის, რაც უკვე გამოვიარე და განვიცადე?!

მერვე სამშაბათი

ჩვენ ვსაუბრობთ ფულის შესახებ

მე ხელში გაზეთი მიჭირავს, მინდა, რომ მორიმ წაიკითხოს.

„არ მინდა, რომ ჩემი საფლავის ქვას ასე წააწერონ: მე არასდროს ვყოფილვარ სატელევიზიო კომპანიათა ქსელის მფლობელი”. მორი იცინის და თავს იქნევს. დილის მზე ფანჯარაში გვიჭვრიტინებს. მზის სხივები რაფაზე კოტრიალობენ და ჰიბიკუსის ვარდისფერ ყვავილებს ასკდებიან.

ეს ფრაზა ტედ ტერნერს ეკუთვნის – მილიარდერს, მაგნატს, ტელეკომპანია სი-ბი-ეს-ის დამაარსებელს, დადარდიანებულს იმით, რომ კიდევ ერთი კომპანია ეი-ბი-სი-ს ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. მე მორის განგებ მივუტანე ეს სტატია. საინტერესოა, რას იზამდა ტედ ტერნერი, ჩემი პროფესორის მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყო – როცა სხეული გახევებულია, ჰაერის მუდმივ უკმარისობას განიცდი და აღსასრულამდე სულ რაღაც თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა

გრჩება. ნუთუ მაშინაც ასეთი გაშმაგებით მოინდომებდა ტერნერი ტელეკომპანიის დასაკუთრებას?

– მიჩ, ეს იმავე პრობლემის ნაწილია, – მეუბნება მორი, – ჩვენ არ ვაფასებთ იმას, რაც მართლაც რომ დაფასების ღირსია, ამიტომაც ღრუბლებში დავფრინავთ, ილუზიებით ვიკვებებით! ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ამის შესახებაც რომ გვესაუბრა.

მორიმ გონება მოიკრიბა. კარგი დღეებიც ჰქონია და ცუდიც. იმ დღეს იღბალი ჩვენს მხარეს იყო. სწორედ წინა საღამოს მორის მომღერლები ესტუმრნენ და „აკაპელა" შეუსრულეს. მორი ახლა აფორიაქებული მიამბობდა ამის შესახებ. მორის ხომ ავადმყოფობამდეც ძალიან უყვარდა მუსიკა, ახლა კი მის გარეშე არსებობა სულ ვერ წარმოედგინა. მუსიკა მას სულს უფორიაქებდა, გულს უჩუყებდა და ხშირად ცრემლსაც ადენდა.

მორი ხანდახან საღამოობით თვალდახუჭული უსმენდა ოპერებს და შესანიშნავ ხმებთან ერთად სწყდებოდა მიწას.

– მიჩ, ნეტავი მოგესმინა გუშინდელი შესრულება, რა ხმები ჰქონდათ, რა ჟღერადობა... მორიმ ყოველთვის გატაცებით იცოდა ცეკვაც და სიმღერაც. ახლა მას სულ უფრო ნაკლებ იზიდავდა ყოველივე მატერიალური. სიკვდილის ზღურბლზე მყოფნი ხშირად ამბობენ: „საფლავში ქონებას ვერ წაიღებ!". ეს მორიმ მანამდეც კარგად უწყოდა.

– ჩვენს ქვეყანაში ტვინის გამორეცხვის პროცესი სრული სვლით მიდის და ვითარდება, – ამოიოხრა მორიმ, – და იცი, ეს როგორ ხდება? ერთსა და იმავეს ათასჯერ ჩაგჩიჩინებენ, მაგალითად, რომ კარგია, იყო ქონების მფლობელი, გქონდეს დიდძალი ფული. ჩვენ ამას გვიმტკიცებენ სხვები და ჩვენც ამას ვუმტკიცებთ სხვებს. ჩვენ უკვე სხვაგვარად აზროვნების უნარი დავკარგეთ. ჩვეულებრივ მოკვდავს თავბრუ ესხმის და ვერ გარკვეულა – მართლაცდა, რა არის ამ ცხოვრებაში ღირებული და ფასეული. სადაც არ წავსულვარ, ყველგან გადავყრივარ ადამიანებს, რომლებიც სულ რაღაცის ჩაჯიბვას ცდილობენ, სურთ, ცხოვრებას რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ – იქნება ის ახალი ბინა თუ სახლი, ახალი სათამაშო თუ სხვა რამ. მერე კი საღერღელი აეშლებათ და ამის შესახებ გეკითხებიან: „აბა, გამოიცანი, რა შევიძინე?" და იცი, რითი ვხსნი მე ყველაფერს? ეს ხალხი სიყვარულს ეძებს და სუროგატით იკმაყოფილებს თავს. ისინი უკანმოუხედავად ცვივიან მატერიალურის წიაღში და მისგან უკუგებას ამაოდ ელიან.

არა და, ასეთი უგნური ნაბიჯი მუდამ დამარცხებისთვისაა განწირული – არ შეიძლება მატერიალური ღირებულებები სიყვარულს გაუთანასწორო, ის ვერ ჩაანაცვლებს სინაზესა და მეგობრულ ურთიერთობებს. სინაზეს არაფერი აქვს საერთო ფულსა თუ ძალაუფლებასთან. მე აქა ვარ. ალბათ, საცაა სიკვდილი კარს შემომიღებს, ამიტომ გეუბნები: ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში ვერც ძალაუფლება, ვერც დიდძალი ფული ვერ მოგცემს იმას, რაც შენ ყველაზე მეტად დაგჭირდება.

მორის კაბინეტს თვალი მიმოვავლე. ის ისევე გამოიყურებოდა, როგორც ჩემი პირველად მოსვლის დროს. თაროებზე ჩამომწკრივებული წიგნები, საწერ მაგიდაზე დახვავებული ფურცლები. სხვა ოთახებსაც არავითარი სასიკეთო გარდაქმნის კვალი არ ეტყობოდა. გამონაკლისს სამედიცინო აპარატურა წარმოადგენდა. მორი დიდი ხანია, ახალს აღარაფერს ყიდულობდა. იმ დღიდან მოყოლებული, რაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, საყიდლებზე სრულიად აიცრუა გული.

ტელევიზორიც ძველებური იყო, შარლოტაც უწინდელ ძველ მანქანას მართავდა. იმავე ჭურჭლით აწყობდნენ მაგიდას, იმავე პირსახოცებით სარგებლობდნენ და, მიუხედავად ამისა, სახლი ერთიანად გამოიცვალა. ის სიყვარულით იყო სავსე, სიყვარულით და ცოდნით. აქ მუდმივად იკრიბებოდნენ მეგობრები და ნათესავები, იმართებოდა გულგახსნილი საუბრები, თვალებში ცრემლები კიაფობდნენ. მოდიოდნენ სტუდენტები და კოლეგები, მედიტაციის მასწავლებლები და ფსიქოთერაპევტები, მედდები და მომღერლები. ეს სახლი დიდებულ, მდიდარ სახლად იქცა ამ სიტყვის სრული გაგებით, თუმც მორის ანგარიშზე არსებული თანხა ელვის სისწრაფით კლებულობდა.

– ჩვენს ქვეყანაში გაუთავებლად ერთმანეთში ურევენ ორ რამეს – სურვილსა და საჭიროებას, – განაგრძო მორიმ, – საჭმლის მიღება – ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ჩვენს ორგანიზმს ის სჭირდება. რაც შეეხება შოკოლადმოყრილ ნაყინს – ეს უკვე სურვილია. მინდა გულწრფელად გამოგიტყდე და გითხრა, რომ შენ არც უკანასკნელი მარკის სპორტული მანქანა გჭირდება და არც დიდი სახლი. სიმართლე რომ ითქვას, ამას კმაყოფილება არ მოაქვს, მაგრამ გინდა გითხრა. რას მოაქვს იგი?

– რას?

– უნარს, რომ გასცე სხვებისთვის ის, რისი გაცემაც შეგიძლია და რაც მათ სიამოვნებას მიანიჭებს!

– ისე ჟღერს, როგორც ბოისკაუტებთან.

– მიჩ, ამას რომ ვამბობ, მე არ მაქვს მხედველობაში ფული, მე დროს ვგულისხმობ, ზრუნვას, საუბარს, და ამის გაკეთება სულაც არ არის რთული. აქვე, ჩვენი სახლის მახლობლად მოხუცებულთა ცენტრი გაიხსნა. ყოველდღიურად იქ ათეულობით მოხუცი მიდის. ახალგაზრდებს, ვისაც გამოცდილება აქვს, სთხოვენ, რომ მივიდნენ მათთან და ცოდნა გაუზიარონ. დავუშვათ, რომ შენ ამ საკითხში კარგად ერკვევი, გზა ხსნილი გაქვს – მიდი და დაეხმარე. ამით ხომ მათ უზომოდ ასიამოვნებ. ასეთი ადგილები ყველგანაა. ამ ნაბიჯის გადადგმა რაღაც განსაკუთრებულ ნიჭიერებას სულაც არ მოითხოვს. მარტოხელა ადამიანები არიან საავადმყოფოებსა და თავშესაფრებში, ერთადერთი, რასაც ისინი ესწრაფვიან, არის ურთიერთობა. შენ გაქვს ამის უნარი – თუნდაც ერთი ხელი კარტი ეთამაშე და დამიჯერე, შენ თვითონ უდიდეს სიხარულს იგრძნობ. გახსოვს, რა გითხარი გააზრებული ცხოვრების შესახებ? მე ეს ჩავიწერე, მაგრამ შემიძლია მეხსიერებითაც აღვიდგინო და გაგიმეორო – იცხოვრე სიყვარულისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გარს გახვევია, შეეცადე, შექმნა ის, რაც შენთვის ღირებულია და მნიშვნელოვანი. თუ მიაქციე ყურადღება, ხელფასისა და ფულის საკითხი ერთხელაც არ მიხსენებია.

მორის აზრების ჩანიშვნა დავიწყე და თავი განგებ ჩავრგე წიგნაკში. არ მინდოდა, მორის ჩემი გამომეტყველება დაენახა და მიმხვდარიყო, რაზე ვფიქრობდი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მე ხომ სწორედ იმით ვიყავი დაკავებული, რაც მორის ასე არ მოსწონდა... ძვირფასი ზიზილ-პიპილოებისკენ გამირბოდა თვალი, ვცდილობდი, უფრო მდიდრული სახლი მქონოდა, ვიდრე მაშინ მქონდა. ვინაიდან სახელგანთქმული და მდიდარი სპორტსმენების წრეში მიწევდა ტრიალი, ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ჩემი მოთხოვნილებანი სავსებით ნორმალური იყო. ჩემი სიხარბე მათ მომხვეჭელობის სურვილთან მოსატანის არ იყო, მაგრამ მორი რის მორი იყო, ყველაფერს მიხვდა და ხელის ერთი მოსმით მოისროლა ლეღვის ფოთოლი.

– თუკი „ზემოთ მყოფთათვის" თავის მოწონებას ლამობ, არაფერი გამოგივა, ფუჭია ყველაფერი. ისინი ქედმაღლურად მაინც ზემოდან

დაგიწყებენ ყურებას, შენს „ქვემოთ მდგომთ” კი, თუკი მათი გულის მონადირება განიზრახე, შური მოსვენებას არ მისცემს. მდგომარეობა არაფერს წყვეტს, მხოლოდ გულისხმიერება და გულითადობა აყალიბებს ადამიანს ადამიანად.

მორი ჩაფიქრდა, შემდეგ მზერა კვლავ მე მომაპყრო და მკითხა:

– ხომ იცი, რომ სიკვდილი სადაცაა კარზე მომადგება?

– ... ვიცი...

– როგორ ფიქრობ, რატომაა ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი სხვა ადამიანთა მოსმენა, განა ჩემი სატკივარი და სადარდებელი მაკლია? რა თქმა უნდა არა, ზომაზე მეტი მაქვს, მაგრამ, როცა მე გავცემ ჩემი გულის ნაწილს, ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, მე სხვას მანქანას არ ვჩუქნი, არც სახლს გადავცემ მემკვიდრეობით, არც სარკეში ამოცურებელ ჩემს ანარეკლს ვთავაზობ, მე მას დროს ვუთმობ და, თუკი ვხედავ, რომ ცოტა ხნის წინ სევდით მოცული ადამიანის დაღვრემილ სახეზე ღიმილმა გადაირბინა, ბედნიერი ვარ და თავი განკურნებული მგონია. აკეთე ის, რასაც გული გკარნახობს, მაშინ არასდროს მოგაკითხავს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, შური, არასდროს მოისურვებ, ის გქონდეს, რაც სხვებსა აქვთ. პირიქით, გაოგნებული დარჩები იმ დამოკიდებულებით, რომელსაც სხვები შენს მიმართ გამოიჩენენ.

მორის ხველება დაეწყო და ხელი ზარისკენ გაიწოდა. ზარი იქვე სავარძელში იდო. მორიმ ზარის აღება ვერაფრით ვერ მოხერხა. ამის შემხედვარემ ვეღარ მოვითმინე, ზარი ავიღე და ხელში ჩავუდე მორის.

– გმადლობ! – წაიჩურჩულა მან და ძლივს გააქნია ხელი. კონის უხმობდა.

– იმ ადამიანმა, ტედ ტერნერმა, ნუთუ საფლავის ქვაზე დასაწერად უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა?!

ყოველ საღამოს, როცა დასაძინებლად ვწვები,
სიკვდილთან ვიყრი წილს,
დილით კი, როცა ვიღვიძებ, ხელახლა ვიბადები
მაჰათმა განდი

მეცხრე სამშაბათი
ვსაუბრობთ იმის შესახებ,
რომ სიყვარულს დრო-ჟამი ვერაფერს აკლებს

ფოთლები იცვლიდნენ ფერს, დასავლეთ ნიუტონში გარემოს ახლა მოოქროსფრო-ჟანგისფერი დაჰკრავდა. დეტროიტში დაპირისპირება პროფკავშირსა და ადმინისტრაციას შორის განსაკუთრებით ცხარე ხასიათს იღებდა. ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, საერთო ენა ვერაფრით გამოენახათ. ტელევიზიით მოწოდებული სიახლეებიც მეტად მღელვარე იყო. კონექტიკუტის შტატში სამმა ადამიანმა საფლავის ქვა დაამსხვრია და ნატეხები ხიდიდან გადაყარა. ერთ-ერთი მანქანის შუშას მოხვდა და მოზარდი გოგონა იმსხვერპლა. გოგონა მშობლებთან ერთად რელიგიურ რიტუალს ასრულებდა. კალიფორნიაში კი სიმფსონის სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა და მთელი ქვეყანა მონუსხული ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას. აეროპორტებშიც კი მუშაობდნენ ტელევიზორები და სი-ენ-ენის სიახლეებს გადასცემდნენ. თვითმფრინავებისკენ მიმავალ მგზავრებსაც კი შეეძლოთ, საქმის კურსში ყოფილიყვნენ და ყოველწუთიერი ცვლილებებისთვის თვალყური ედევნებინათ.

ჩემს ძმას ესპანეთში რამდენჯერმე დავურეკე და შეტყობინება დავუტოვე. ვუხსნიდი,რომ ძალიან მინდოდა მასთან დალაპარაკება, რომ ბევრს ვფიქრობდი მასზე, ჩემზე.

ჩემს მოხუც პროფესორს კი არათუ საუბარი ავადმყოფობის შესახებ, არამედ თვით ავადმყოფობა მიაქანებდა უფსკრულისკენ. ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მას კათეტერი შეუყვანეს და ახლა შარდი წვრილი მილით მიედინებოდა და სავარძლის ქვეშ თოპრაკში გროვდებოდა. ახლა მორის ფეხებს მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მორი კარგა ხანია ფეხებს ვერ ამოძრავებდა, ტკივილები მაინც სტანჯავდა (ეს იყო ლუ გერიგის

ავადმყოფობის კიდევ ერთი ვერაგი თავისებურება). მორის ტერფებსა და პენოპლასტის ბალიშებს შორის გარკვეული სივრცე რომ არ ყოფილიყო, მორის ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს ვიღაც ფეხისგულებზე ჩანგლით ჩხვლეტდა.

საუბრის განმავლობაში მორი მოსაუბრეს ხანდახან თავისი პოზიციის შეცვლას ან ფეხების წამოწევას სთხოვდა, ვერ ისვენებდა. ალბათ, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანს თავის წამოწევის უნარიც კი არ გააჩნია.

ყოველი ახალი ვიზიტის დროს ვხედავდი, ნელ-ნელა როგორ უჩინარდებოდა საწოლში მორი. მისი ხერხემალი სკამის საზურგის ფორმას იღებდა და, მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, იგი ყოველდღე დაჟინებით ითხოვდა მისი საწოლიდან წამოყენებას და კაბინეტში გადაყვანას. აქ ის ჩვეულ გარემოში გრძნობდა თავს – ირგვლივ წიგნებით გადავსებული თაროები, დახვავებული ქაღალდები და რაფაზე შემოსკუპებული გაფოთლილი ჰიბიკუსი. მორის ამასთან დაკავშირებით თავისი ფილოსოფიური მიდგომა ჰქონდა.

– მე აფორიზმაც კი მაქვს! – თქვე მორიმ.

– და როგორ ჟღერს?

– „თუ საწოლიდან ვერ წამოდგები, იმას ნიშნავს, რომ მალე მოკვდები”.

და მორის გაეღიმა. ალბათ, მხოლოდ მას შეეძლო ამ ვითარებაში სახეზე ღიმილი დაჰფენოდა.

მორის არაერთხელ დაურეკეს “ნაით-ლაინ”-იდან, თვით ტედ კოპელიც კი ცდილობდა მასთან დაკავშირებას.

– კიდევ ერთხელ სურთ მოსვლა და გადაცემის გაკეთება, მაგრამ აყოვნებენ, – თქვა მორიმ.

– რას ელოდებიან, ნეტავ, უკანასკნელ ამოსუნთქვას?

– ვინ იცის. ისე, რაც არ უნდა იყოს, დიდხანს ლოდინი არ მოუწევთ.

– ნუ იცით ასე ლაპარაკი.

– მაპატიე...

– მე ის მაწუხებს, რომ ისინი თქვენი მდგომარეობის გაუარესებას ელიან...

– შენ ეს იმიტომ გაწუხებს, რომ გული შეგტკივა ჩემზე, – გაეღიმა მორის, – ისინი კი ცდილობენ, ჩემი დახმარებით დრამა გაითამაშონ.

ეს მე დიდად არ მადარდებს. გარკვეულწილად მეც ვალში ვარ მათთან! მათ ჩემი სათქმელი მილიონობით ადამიანთა გულებამდე მიიტანეს. მე ხომ მათ დაუხმარებლად ამას ვერ შევძლებდი? ასე რომ, დათმობაზე წასვლა მიხდება.

მორის კვლავ ხველება დააწყებინა, ხანგრძლივი და მომქაცველი და ისე დასრულდა, როგორც ყოველთვის.

– რაც არ უნდა იყოს, ნამეტანი გაჭიანურება არ ღირს, – თქვა მორიმ, – ხმას ვკარგავ. როცა ეს რაღაც ოხრობა ფილტვებამდე ამოაღწევს, ლაპარაკს ვეღარ შევძლებ. მე ლაპარაკი ხანგრძლივად ახლაც მიჭირს. ზოგიერთს მონახულებაზე უარიც ვუთხარი, არა და, ბევრს უნდა მოსვლა, მე კი მეტისმეტად სუსტად ვგრძნობ თავს. თუკი არ მეყოფა ძალა სათანადო ყურადღების გამოსაჩენად, განა ეს რა დახმარება იქნება?

უცებ თავი დამნაშავედ ვიგრძენი, თითქოს სხვას ვპარავდი სასაუბროდ განკუთვნილ დროს.

– იქნებ, დღეისთვის შევწყვიტოთ? ალბათ, დაგღალეთ, – ვთქვი მე.

მორიმ თვალები დახუჭა და თავი გააქნია. მომეჩვენა, რომ ტკივილის გაყუჩებას ელოდა.

– არა, ჩვენ უნდა განვაგრძოთ: ჩვენი უკანასკნელი საკურსო დასამთავრებელი გვაქვს. ჩვენ ხომ ორივეს გვინდა, რომ ის საუკეთესოდ გამოგვივიდეს?

მე ჩვენი პირველი საკურსო ნამუშევარი გამახსენდა. იდეა, რა თქმა უნდა, მორის ეკუთვნოდა. მან დამარწმუნა, რომ ჩემი შესაძლებლობებით მე ურთულესი თემის დაძლევას მოვახერხებდი. ეს მე თავშიც არასდროს მომივიდოდა.

და აი, ახლა ჩვენ ერთად ვმუშაობდით. ისევე, როგორც ყოველთვის, ყველაფერი იდეით იწყებოდა. სიკვდილის პირისპირ მდგომი ადამიანი მეორეს უამბობდა ცხოვრებაში არსებული ყველაზე ფასეულის შესახებ, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ახლა მე არსად მიმეჩქარებოდა და სულაც არ ვცდილობდი ამ საკურსოს მალე დასრულებას.

– გუშინ მე მეტად სახალისო შეკითხვა დამისვეს, – თქვა მორიმ და ჩემს ზურგს უკან ჩამოკიდებულ მოსალოცი ბარათებით აჭრელებულ კოლაჟს გახედა. ის მეგობრებმა მორის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაუკეთეს.

თითოეულ ბარათზე მორის მიმართ საუკეთესო სურვილები იყო გამოთქმული. ერთ-ერთი ასე ჟღერდა: „მედგრად იდექი, მორი,

ყველაფერი საუკეთესო ჯერ კიდევ წინაა. როგორც პედაგოგი, საუკეთესო ხარ საუკეთესოთა შორის".

– რა შეკითხვა იყო? – ვკითხე მე.

– მაწუხებს თუ არა ის ფაქტი, რომ სიკვდილის შემდეგ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ჩემი სახელი...

– და...

– არა მგონია, არ შეიძლება ასე მოხდეს. ჩემს ირგვლივ იმდენი ადამიანია, რომლებსაც ჩემს ახლობლად მივიჩნევ და, თუკი მათ ვუყვარვარ, ჩემი ცხოვრება მათთან ერთად გაგრძელდება.

– ეს ლირიკულ სიმღერას მაგონებს „სიცოცხლე გრძელდება სიკვდილის შემდეგაც".

მორის გაეღიმა.

– შეიძლება, მაგრამ აბა, დაფიქრდი იმაზე, თუ რითი ვართ დაკავებულები? შინ დაბრუნდები და არასდროს გამიხსენებ? როცა მარტო მოგიწევს ყოფნა? თვითმფრინავით იფრენ თუ მანქანის საჭესთან იქნები?

– როგორ არა...

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ დამივიწყებ, გაიხსენებ ჩემს ხმას და მეც მოვალ...

– გავიხსენებ...

– და, თუკი ცრემლები მოგადგება, არც ეს იქნება ურიგო...

ო, ეს მორი! ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველკურსელი ვიყავი, სულ ცდილობდა, ჩემი ცრემლები დაენახა. სულ მეუბნებოდა – ადრე თუ გვიან მაინც მოგიხერხებ რაღაცასო და აი...

– მე ვიფიქრე და მივხვდი, თუ რა უნდა ეწეროს ჩემი საფლავის ქვას...

– ამის გაგებაც არ მინდა...

– რა იყო, ვითომ რატომაო... შეგაშინე?

მხრები ავიჩეჩე.

– კარგი, შევწყვიტოთ ამის შესახებ ლაპარაკი!

– არა, რადგან დაიწყეთ... მაინც რა მოიფიქრეთ?

მორიმ ტუჩები მოპრუწა.

– „მასწავლებელი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე", რას იტყვი?

მორიმ მაცალა, სანამ გონებაში დავატრიალებდი ამ ფრაზას.

– კარგია?

– ვფიქრობ, კარგია! – დავეთანხმე მე.

ძალიან მომწონდა, როცა მორის სახეზე ნათელი გადაეფინებოდა

ხოლმე. ასე ემართებოდა, როცა მის ოთახში შევდგამდი ხოლმე ფეხს. იყვნენ სხვებიც, რომელთა დანახვაც მას ძალიან უხარებდა გულს, მაგრამ საინტერესოა, რომ მორის თავდაჭერის გამო თითოეულ მომსვლელს თავი გამორჩეულად და მისთვის განსაკუთრებით სასურველ სტუმრად მიაჩნდა.

– „აიიიი ჩემი მეგობარიც მოვიდა!" – ასე მომაგებებდა სიტყვას მორი თავისი ხრინწშეპარული ხმით, მაგრამ ამით მისი მისალმება არ მთავრდებოდა. თუკი მორი თქვენ გესაუბრებოდათ, მთლიანად თქვენით იყო მოცული. თვალებში შემოგყურებდათ და ისე იცოდა მოსმენა, თითქოს ერთადერთ ადამიანად ეგულებოდით მთელს ქვეყანაზე. რამდენად ადვილი იქნებოდა ადამიანებისთვის ცხოვრება, ყოველ დილით ასეთ ადამიანს რომ შეხვედროდნენ ნაცვლად ავტობუსისა თუ მანქანის ჯაჯღანა მძღოლისა.

– მე ასე მწამს, – ამბობდა მორი, – ან ხარ ადამიანთან ერთად, ან – არა! როცა მე შენ გელაპარაკები, ვცდილობ, მხოლოდ იმაზე ვიფიქრო, რაც ხდება ჩვენს შორის, მეტი არაფერზე, არც იმას ვიხსენებ, რის შესახებ ვისაუბრეთ წინა კვირას, არც იმის თაობაზე, რას განვიხილავთ უახლოეს მომავალში. არც კაპელის შოუ მადარდებს და არც ჩემს წამლებზე ფიქრი.

„გელაპარაკები – ეს ნიშნავს, რომ მთლიანად შენით ვარ მოცული!".

მახსოვს, ბრანდეის უნივერსიტეტში სწავლის დროს როგორ ცდილობდა მორი ჩვენთვის ამ აზრის ჩანერგვას. მაგრამ მე მაშინ რატომღაც არად ჩავაგდე ეს ყველაფერი. სერიოზულადაც არ მომჩვენებია. „ნეტავი ერთი, – ვფიქრობდი ჩემთვის, – ესეც სასწავლებელი საკითხი რომ გახდა. გამოიჩინო ადამიანის მიმართ ყურადღება... დიდი ამბავი, რა არის აქ ასეთი განსაკუთრებული?". ახლა კი კარგად ვიცოდი, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ყველაფერი ის, რაც ჩვენ უნივერსიტეტში ვისწავლეთ.

მორიმ ჟესტით მანიშნა, მისი ხელი დამეჭირა. ასეც მოვიქეცი და, როცა მისი ხელი ჩავბღუჯე, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. ჩემს წინ იჯდა ადამიანი, რომლის სუნთქვაც ძლივსღა ისმოდა, რომლის სხეულის სითბო სადაცაა ამოქარდებოდა, რომელსაც დარჩენილი უძვირფასესი წუთები საკუთარი საფიქრალისთვის, თვითჩაღრმავებისთვის შეიძლებოდა დაეთმო, ის კი ჩვენს სატკივარს დაჰფოფინებდა, ჩვენთვის დახმარების გაწევას ცდილობდა, ჩვენი ცხოვრებისეული საფიქრალის შემსუბუქებას ელტვოდა. ჩვენი

პრობლემები მორის განსაცდელთან განა რა მოსატანი იყო?! ჩვენ ხომ მთლიანად ჩვენი ცხოვრებით ვიყავით მოცულნი და საკუთარი თავის მეტი არაფერი გვადარდებდა. სულ რაღაც ორი წუთია, რაც ადამიანს ელაპარაკები და თვალების გამომეტყველებით ხვდები, რომ მისი გონება სხვაგან ქრის. მას თავისი საფიქრალი აქვს: ვიღაცისთვის უნდა დაერეკა, ფაქსის გაგზავნის დროა, ანდა შეყვარებულს უნდა შეხვდეს... დაასრულებ ლაპარაკს და ის ისევ „გიბრუნდება" და არაფრისმთქმელ ფრაზას შემოგაგებებს. ასე უნდა დაგარწმუნოს, რომ დიდი გულისყურით გისმენდა.

– პრობლემა ისაა, – თქვა მორიმ, – რომ ყველას სადღაც მიეჩქარება. ადამიანები ცხოვრების აზრს ვერ პოულობენ და მუდმივ ძიებაში არიან. ფიქრობენ, რომ ახალი სამსახური, ახალი სახლი ან ახალი მანქანა მოუტანთ კმაყოფილებას, მერე, როცა ხვდებიან, რომ იმედი გაუცრუვდათ, ისევ ხელახლა იწყებენ ძიებას.

– საკმარისია, ამ მარათონს შეუერთდე, – ვთქვი მე, – და ძალიან ძნელია მერე გაჩერება.

– არც ისე ძნელი, – თავი გააქნია მორიმ, – იცი, მე რას ვაკეთებდი, თუკი ვინმე ჩემს გასწრებას ცდილობდა? ჯერ კიდევ მაშინ, როცა მანქანის მართვა შემეძლო?

მორი შეეცადა, ხელი აეწია, მაგრამ ვერ შეძლო, განძრევაც ძლივსღა მოახერხა.

– თითქოს მინდოდა მისი შერცხვენა, მაგრამ თითის ჩვენების უწესო ჟესტის ნაცვლად მეგობრულად ვუქნევდი ხელს და ვუღიმოდი. და იცი, რა ხდებოდა? თითქმის ყველა მაგებებდა საპასუხო კეთილგანწყობილ ღიმილს. აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ, თუ მე მანქანით მივდივარ, მეტისმეტად არ მეჩქარება. მითხარი, რატომ არ უნდა გადავცე ჩემი დადებითი ენერგია გვერდით მყოფს?

მორი ამას ახერხებდა, განსაცვიფრებლად, მისი ხიბლის ქვეშ ექცეოდა ყველა. თუკი მას რაიმე მძიმეს უამბობდნენ, თვალები ცრემლით ენამებოდა, თვით სულელური ხუმრობაც კი ბავშვივით ახარებდა და ახალისებდა.

ჩვენი თაობის ადამიანებისგან განსხვავებით, მორის არასოდეს ერიდებოდა ემოციის გამოხატვა. ჩვენ ფუჭი საუბრის ოსტატებად ვიქეცით: „რით ხართ დაკავებული? სად ცხოვრობთ?" – განა ჩვენ ეს მართლა გვაინტერესებს? განა ჩვენ ვუსმენთ ჩვენს თანამოსაუბრეს? ჩვენ ვუსმენთ მათ მხოლოდ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, როცა გვსურს, რაღაც შევასაღოთ, ჩვენი გეგმებისთვის გამოვიყენოთ,

ანდა, თუკი მათზეა დამოკიდებული ჩვენი თანამდებობა ან მომავალი. როდის ვუსმენთ მათ უანგაროდ? ისეთი გრძნობა მქონდა, რომ დიდი ნაწილი იმ ხალხისა, რომელიც აკითხავდა მორის ბოლო თვეების მანძილზე, მოდიოდა არა მორისადმი ყურადღების გამოსაჩენად, არამედ მორისგან ამ ყურადღების მისაღებად. მიუხედავად დიდი ტკივილისა და უძლურებისა, ეს კაფანდარა მოხუცი უსმენდა მათ ისე, როგორც მათ ეს სჭირდებოდათ.

– თითოეული ადამიანი ინატრებდა, ჰყოლოდა თქვენისთანა მამა, – ვუთხარი მორის.

– ჰოოო, ამ თვალსაზრისით მე გარკვეული გამოცდილება მაქვს, – მომიგო მან.

საკუთარი მამა მორიმ უკანასკნელად საქალაქო მორგში ნახა. ჩარლ შვარცი ჩუმი ადამიანი იყო. უყვარდა ტრემონტ-ავენიუზე, ბრონქსში, ლამპიონების შუქზე განმარტოებით გაზეთის კითხვა. როცა მორი პატარა იყო, ჩარლი ყოველ საღამოს ვახშმის შემდეგ სასეირნოდ გადიოდა. ტანმორჩილი კაცი იყო, ვარდისფერი პირისახით და ჭაღარაშერეული ხშირი თმით. ხანდახან მორი და მისი ძმა ფანჯრიდან უთვალთვალებდნენ მამას, რომელიც ფანრის ბოძს მიყრდნობილი კითხულობდა გაზეთს. მორის ისე უნდოდა, რომ მამა შემოსულიყო და მათ დალაპარაკებოდა, მაგრამ ასე არასოდეს ხდებოდა. მამა მათ არასდროს არ აწვენდა საწოლში და არც არასოდეს ჰკოცნიდა მათ ძილის წინ.

მაშინ დაიფიცა მორიმ, თუკი შვილები ეყოლებოდა, ყველაფერს გააკეთებდა მათთვის და თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა კიდეც.

მორის უკვე საკუთარი შვილები ჰყავდა, ჩარლი კი კვლავ ბრონქსში ცხოვრობდა. ჩვეულებისამებრ, საღამოობით სასეირნოდ გადიოდა და გაზეთს კითხულობდა. ერთ ასეთ საღამოს, სახლთან შორიახლოს მას ორი მძარცველი მიუახლოვდა:

– ფული მოგვეცი, – დაუღრინა ერთმა და პისტოლეტი დაუმიზნა.

შეშინებულმა ჩარლიმ საფულე დააგდო და გაიქცა. გარბოდა თავქუდმოგლეჯილი, ვიდრე თავისი ნათესავის სახლამდე არ მიაღწია, მაგრამ კიბეზე ასვლა ვეღარ შეძლო, იმავე ღამით ჩარლი გულის შეტევით გარდაიცვალა.

მორის დაურეკეს და გვამის ამოსაცნობად მისვლა სთხოვეს. მორი

ნიუ-იორკში ჩაფრინდა. მორგი სარდაფში იყო მოთავსებული და საშინლად ციოდა.

– ეს მამათქვენია? – ჰკითხა მორგის თანამშრომელმა.

მორიმ შუშის მიღმა გახედა გვამს იმ ადამიანისას, რომელიც მთელი ცხოვრება თრგუნავდა მას, ეჩხუბებოდა და დუმდა მაშინ, როცა მორის მასთან ლაპარაკი განსაკუთრებით სურდა, ადამიანისა, რომელიც მას მუშაობას ასწავლიდა და დედის ხსენებას უკრძალავდა. მორის კი ისე სწყუროდა დედის შესახებ საუბარი და მასთან დაკავშირებული მოგონებების ვინმესთვის მაინც გაზიარება...

მორიმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და გარეთ გასასვლელი გზა ძლივს გაიკვლია. ამ ოთახმა მორის ისეთი თავზარი დასცა, რომ სხვა გრძნობებისთვის აღარ ეცალა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ატირდა... და მაინც, რაც არ უნდა ვთქვათ, მამის სიკვდილმა მორი გარკვეულწილად საკუთარი სიკვდილისთვისაც მოამზადა. ერთი რამ კი გარკვევით იცოდა მორიმ – იქნებოდა ბევრი სითბო, ალერსი, საუბარი, სიცილი და არ დარჩებოდა უთქმელად სიტყვა „მშვიდობით"! იქნებოდა ყველაფერი ის, რაც ასე აკლდა მორის საკუთარი დედ-მამისგან.

იცოდა ისიც, რომ, როცა დადგებოდა ის ბოლო წუთი, ყველა მისი საყვარელი ადამიანი მის ირგვლივ მოიყრიდა თავს არსებული ვითარების სრული შეგნებით. არც ერთ მათგანს არავინ დაურეკავდა ან გაუგზავნიდა დეპეშას და არც ერთ მათგანს არ მოუწევდა იმ შემაძრწუნებელ სარდაფში მისთვის შუშის მიღმა ყურება.

სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში არსებობს ერთი ტომი – დისანა. მის მცხოვრებთ მიაჩნიათ, რომ სამყარო სავსეა ენერგიის გარკვეული რაოდენობით, რომელიც ცოცხალ არსებებს შორის მიმოდის. შესაბამისად, ყოველი დაბადება იწვევს სიკვდილს და – პირიქით, ამიტომ ენერგია მუდმივ წონასწორობას ინარჩუნებს. როცა ამ ტომის წევრები სანადიროდ მიდიან, სჯერათ, რომ ყოველი ცხოველის სიკვდილი წარმოშობს სიცარიელეს სიცოცხლის წყაროში. მაგრამ მათ ასევე სჯერათ, რომ ეს სიცარიელე ქრება მონადირეთა გარდაცვალების დროს. თუკი ადამიანები არ მოკვდებიან, არ იარსებებენ არც ჩიტები და თევზები. მე ეს აზრი ძალიან მომეწონა, ასევე მორისაც. რაც უფრო უახლოვდებოდა ის თავის აღსასრულს, მით უფრო სჯეროდა, რომ ჩვენ ერთი სამყაროს მკვიდრნი ვართ; ის,

რაც ჩვენ ცხოვრებისგან მივიღეთ, უკლებლივ უკან უნდა დავაბრუ-ნოთ!

– სამართლიანობა ასე მოითხოვს! – თქვა მან.

მეათე სამშაბათი
ჩვენ ვსაუბრობთ ცოლ-ქმრის ურთიერთობის შესახებ

მორის სტუმარი მივუყვანე, ჩემი მეუღლე. ჩემი პირველი გამოჩე-ნიდან დაწყებული, მორი სულ მეკითხებოდა, თუ როდის გავიცანი ჯანინი და სულ მთხოვდა მის მიყვანას. მე კი გაუთავებლად რაღაცას ვიმიზეზებდი. რამდენიმე დღის წინ კი დავურეკე, რათა მისი ამბები შემეტყო. მორის დააგვიანდა ყურმილის აღება და, როცა მიპასუხა, რაღაც უცნაურ ხმაურს მოვკარი ყური, თითქოს ყურმილი სხვას ეჭირა. არ შევმცდარვარ. ყურმილში რაღაც გაურკვეველი სიტყვები გაისმა.

– კაპიტანო, ნორმალურად ხართ? – ვიკითხე მე.

გავიგონე, როგორ ამოისუნთქა მორიმ.

– მიჩ... შენს კაპიტანს... მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არა აქვს...

ღამღამობით მორის სულ უფრო და უფრო უჭირდა, თითქმის ყოველ ღამე ესაჭიროებოდა ჟანგბადის მიწოდება, ხველის შეტე-ვებმაც იმატა და შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო. ხანდახან ხველება ერთი საათიც კი გრძელდებოდა და დასასრული თითქოს არ უჩანდა. მორიმ ერთხელ მითხრა კიდეც – როგორც კი ავადმყოფობა ფილტვე-ბამდე მიაღწევს, აღსასრული უკვე ძალიან ახლოს იქნება. ამის გაფიქრებისას სიცივემ დამირბინა ძარღვებში.

– სამშაბათს გნახავთ! იმ დროისათვის უკეთესად იქნებით!

– მიჩ...

– გისმენთ!

– შენი მეუღლე მანდაა?

ჯანინი მართლაც რომ გვერდით მეჯდა.

– მიეცი ყურმილი, მინდა მის ხმას მოვუსმინო...

საბედნიეროდ, ჩემი ცოლი ყოველთვის ჩემზე ბევრად კეთილი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ მას მორი არასდროს ენახა, ყურმილი დაუყოვნებლად აიღო (მე, ალბათ, თავის ქნევას დავიწყებდი, უარის ნიშნად ხელებს გავასავსავებდი და ჩურჩულს მოვყვებოდი – შინ არა ვარ, მზად არა ვარ სალაპარაკოდ) და... ერთი წუთის შემდეგ ისინი

დიდი ხნის ნაცნობებივით საუბრობდნენ. მე ამას შინაგანად ვგრძნობდი, თორემ მარტო ჯანინის თანხმობისა და მადლიერების გამომხატველი სიტყვები მესმოდა და ის, რომ „მან ყველაფერი მორის შესახებ ჩემგან იცოდა".

ჯანინმა ყურმილი დაკიდა და განაცხადა:

– შემდეგ ჯერზე მეც წამოგყვები!

ასეც მოხდა.

და აი, ჩვენ მორის კაბინეტში ვისხედით, საწოლის გარდიგარდმო სავარძლებში მოკალათებულნი. მორის, მისივე აღიარებით, ახალი-სებდა მსუბუქი ფლირტი და, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ხველა ხელს უშლიდა, ჯანინის იქ ყოფნა აშკარად ამხნევებდა. ათვალიერებდა ჩვენი ქორწინების სურათებს, რომლებიც ჯანინს თან წამოეღო.

– თქვენ დეტროიტიდან ხართ? – ჰკითხა მორიმ.

– დიახ!

– მე დეტროიტში ვასწავლიდი ერთი წელი, 40-იანი წლების ბოლოს. ერთი სასაცილო ამბავიც კი მახსოვს...

მორი გაჩუმდა, ცხვირის მოხოცვა უნდოდა. დავინახე, როგორ უმწეოდ აწვალებდა თავის ქაღალდის ცხვირსახოცს. გამოვართვი, რომ დავხმარებოდი. მორიმ კვლავ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მაშინ ცხვირსახოცი ცხვირთან მივუტანე და მის ნესტოებს მოვუჭირე – აი ისე, დედები პატარებს რომ სწმენდნენ ხოლმე ცხვირს.

– გმადლობ, მიჩ, – მორიმ ჯანინს გადახედა, – ჩემი დამხმარეა... თანაც როგორი!

ჯანინმა უხმოდ გაიღიმა.

– მინდა, ჩემი ისტორია გიამბოთ. უნივერსიტეტში სოციოლოგების ჯგუფი შედგა. ვიკრიბებოდით და სხვა მასწავლებლებთან ერთად პოკერს ვთამაშობდით. მათ შორის იყო ერთი ახალგაზრდა ქირურგი. ერთ საღამოს თამაშის შემდეგ ამ ქირურგმა ჩემს ლექციაზე დასწრების ნებართვა მთხოვა. მეც დავთანხმდი. ის მართლაც მოვიდა და ჩემს ლექციას დაესწრო. როცა გაკვეთილი დასრულდა, მკითხა – ხომ არ მინდოდა დავსწრებოდი მის მუშაობის პროცესს. სწორედ იმ საღამოს ოპერაცია ჰქონდა დანიშნული. მეც გადავწყვიტე, მესიამოვნებინა მისთვის და დავთანხმდი. მან საავადმყოფოში წამიყვანა. ხელები დამაბანინა, ხალათი ჩამაცვა და ნიღაბიც გამიკეთა. გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, უკვე საოპერაციო მაგიდასთან მის

გვერდით ვიდექი. პაციენტი ქალი იყო და მაგიდაზე სრულიად შიშველი იწვა. ქირურგმა სკალპელი აიღო, პაციენტს დაუსვა და... – მორიმ თითით ჰაერში წრე მოხაზა, – აი, ასე დამიტრიალდა ყველაფერი. ყველგან სისხლს ვხედავდი, ვიგრძენი, რომ გული მიმდიოდა. ამ დროს კი მედდა მეკითხება: „ექიმო, რა გჭირთ?", მე კი ძლივს ვპასუხობ: „რა ექიმი, რის ექიმი, ახლავე გამიტანეთ აქედან..."

ჩვენ გაგვეცინა, მორისაც, რამდენადაც სუნთქვა ამის საშუალებას აძლევდა. ბოლო კვირების განმავლობაში ის პირველად ჰყვებოდა მხიარულ ამბავს. „რა უცნაურია, – გავიფიქრე მე, – სხვისი ოპერაციის შემყურეს კინაღამ გული წაუვიდა, საკუთარი ავადმყოფობა კი ასე ვაჟკაცურად გადააქვს..."

კარზე კონიმ დააკაკუნა და შეგვატყობინა, რომ მორისთვის სადილი მზად იყო. ეს არ იყო სტაფილოს სუფი ან ბოსტნეულის ნამცხვარი, არც ბერძნული მაკარონები, რაც იმ დღეს მივიტანე.

ყოველნაირად ვცდილობდი რბილი და ადვილად დასაძლევი საჭმელი მიმეტანა მორისთვის, მაგრამ ამაოდ. მას ღეჭვა და გადაყლაპვა ძალიან უჭირდა. ძირითადად გახეხილ და თხევად საკვებს აძლევდნენ, ხანდახან კექსის ნაჭერს წვენში გაუქნიდნენ და ფაფასავით აჭმევდნენ. შარლოტა ახლა ყველაფერს მიქსერში ატარებდა და საჭმელს ასეთი სახით წვრილი მილის მეშვეობით აწვდიდა მორის. მე უწინდებურად მივდიოდი მაღაზიაში და მისთვის რაღაც-რაღაცები მიმქონდა. ამას უფრო იმისთვის ვაკეთებდი, რომ მორის ჩემი მასთან მუდმივად ყოფნა ეგრძნო. ვაღებდი მაცივარს და ვხედავდი რიგებად ჩამწკრივებულ კონტეინერებს. როგორც ჩანს, ძალიან მინდოდა მერწმუნა, რომ ერთ დღეს მორი და მე სასადილოდ კვლავ ერთად მივუსხდებოდით სუფრას. მორი ისევ პირგამოტენილი ილაპარაკებდა და თავის ირგვლივ მიმოფანტული ნამცეცებით ყველაფერს „წაბილწავდა" ... მაგრამ ეს ჩემი იმედი, საუბედუროდ, ამაო იყო.

– ჯანინ, – თქვა მორიმ, – თქვენ ძალიან სასიამოვნო ქალბატონი ბრძანდებით, გამომიწოდეთ ხელი!

ჯანინმა ხელი გაუწოდა.

– მიჩმა მითხრა, რომ თქვენ პროფესიონალი მომღერალი ხართ.

– დიახ, – დაეთანხმა ჯანინი.

– ისიც მითხრა, რომ არაჩვეულებრივად მღერით!

– არც მთლად ეგრეა საქმე, – გაეცინა ჯანინს, – ამას ისე ამბობს... სიტყვის მასალად.

მორიმ გაკვირვების ნიშნად წარბები აზიდა.

– რამეს ხომ არ მიმღერებდით?

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უთხოვიათ ამის შესახებ ჯანინისთვის, რაც ჩვენ ერთად ვართ. საკმარისი იყო, მისი პროფესიის შესახებ შეეტყოთ, მაშინვე სთხოვდნენ რაიმეს შესრულებას, მაგრამ ჯანინი არასდროს თანხმდებოდა, ერიდებოდა და, ამავე დროს, შესატყვის გარემოდ არ მიიჩნევდა, ამიტომ ყველას თავაზიანად უარს ეუბნებოდა. ახლაც უარს ველოდი, მაგრამ უცებ მისი ხმა გავიგონე:

„საკმარისია, შენს შესახებ გავიფიქრო.

მაშინვე მავიწყდება ყველაფერი,

რაც უნდა მახსოვდეს", – მღეროდა ჯანინი.

ეს იყო რეი ჰობლის სიმღერა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 30-იან წლებში. ჯანინმა სიმღერა არაჩვეულებრივი სინაზით შეასრულა, თან ისე, რომ მორისთვის თვალი არ მოუშორებია. კიდევ ერთხელ გამაოცა მორის უნარმა – მის წინაშე იხსნებოდნენ ყველაზე გულჩათხრობილი ადამიანებიც კი და დაუფარავად გამოხატავდნენ თავიანთ გრძნობებს. მორი თვალდახუჭული უსმენდა, თითქოს თითოეულ ნოტს ფიზიკურად გრძნობდა და ისრუტავდა. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და ეს ღიმილი თავშეუკავებელი კრეშჩენდოს შეგრძნებას ბადებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი სხეული სრულიად უძრავი იყო, მე ვხედავდი, როგორი გატაცებით ცეკვავდა მორი შინაგანად.

როცა ჯანინმა სიმღერა დაასრულა, მორიმ თვალები გაახილა და დავინახე, რომ ტიროდა. მთელი ამ წლების განმავლობაში მე არაერთხელ მომისმენია ჯანინის სიმღერა, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ მისი ნიჭის ისეთი შემფასებელი, როგორიც მორი იყო.

ცოლქმრული ცხოვრება. ჩემს ირგვლივ თითქმის ყველას პრობლემები ჰქონდა. ერთნი ვერაფრით ვერ ახერხებდნენ დაქორწინებას, მეორენი კი – განქორწინებას. როგორც ჩანს, ჩვენს თაობას უჭირდა ცოლქმრულ მარწუხებში გამომწყვდევა. ჩვენ მას, როგორც მღვრიე წყალში აღმოჩენილ ალიგატორს, ისე ვეჭიდებოდით. რამდენჯერ დავსწრებივარ ქორწილს, ახალგაზრდებისთვის ბედნიერება მისურვებია და მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, „სასიძოს" რესტორანში სხვა ახალგაზრდა ქალთან ერთად გადავყრივარ. ის კი თავის ახალ პასიას თამამად წარმომიდგენდა და

უმალ მომახარებდა, რომ „იმასთან" უკვე ყველაფერი დასრულდა, განქორწინდნენ.

მორის ვკითხე – რატომ ხდებოდა ასე, რატომ ვერ ვეგუებოდით ოჯახურ ყოფას? ჯანინს ხომ მე 7 წელი ვხვდებოდი და ვერაფრით ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. იქნებ, იმიტომ, რომ „სიფრთხილეს თავი არ სტკივა"? ან კარგად გვახსოვდა ჩვენი ახალგაზრდა მეგობრების იმედგაცრუება. ან, იქნებ, მეტისმეტად ეგოისტები ვიყავით? ძნელია თქმა...

– თქვენი თაობა ძალიან მეცოდება, – თქვა მორიმ, – ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანმა მოყვარულ ადამიანს მიაგნოს. სიყვარული ხომ იმდენს ნიშნავს... მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობა მეტისმეტად ეგოისტურია, რომ უყვარდეს, ანდა ხშირად სრულიად უგნურად გადაეშვება ხოლმე ოჯახურ ყოფაში. ნახევარ წელიწადში კი ასეთი ოჯახი ირღვევა. ზოგს წარმოდგენაც კი არ აქვს, როგორი ადამიანი სჭირდება გვერდით, ანდა საიდან უნდა იცოდეს, თუკი საკუთარი თავიც კი ვერ შეუცნია?

მორიმ ამოიოხრა. რამდენჯერ მიუმართავთ მისთვის რჩევის მისაცემად სიყვარულზე გულაცრუებულ ადამიანებს.

– ეს ძალიან მტკივნეული საკითხია, ყველას სჭირდება გვერდით ღირსეული ადამიანი. ამას განსაკუთრებით მაშინ ხვდება კაცი, როცა ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდება. მეგობრები, ეს რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ განა შეუძლიათ მათ, გამუდმებით ღამე გითიონ, როცა დაუსრულებლად გახველებს და ძილი გაქვს გამკრთალი? შესწევთ კი ძალა, ამ დროს დაგამშვიდონ და ნუგეში გცენ?

შარლოტა და მორი ერთმანეთს სტუდენტობის დროს შეხვდნენ და მათი ქორწინება უკვე 44 წელს ითვლიდა. ახლა მე ხშირად მიწევდა მათთან ყოფნა და ვხედავდი, როგორი რუდუნებით ახსენებდა შარლოტა მორის წამლების დალევის დროს, როგორ სათუთად ეფერებოდა ხოლმე კისერზე ან ესაუბრებოდა შვილების შესახებ. ეს იყო მეტად შეკრული და შეხმატკბილებული ერთობა. ისინი უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. შარლოტა, მორისგან განსხვავებით, მეტად თავშეკავებული იყო და მორი მის ამ თვისებას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. მორის ჩვენი საუბრის დროს უცბად შეეძლო ეთქვა: „მოდი, ამის შესახებ ნუღარ ვისაუბრებთ, შარლოტამ შეიძლება არ მოგვიწონოს", და ამ თემაზე საუბარი მაშინვე წყდებოდა. ეს იყო ის იშვიათი შემთხვევა, როცა მორი თავის გულახდილობას ზღვარს უდებდა.

– ერთი რამ კი ცოლქმრული ურთიერთობის შესახებ შემიძლია გარკვევით გითხრა – ეს არის გამოცდის დიდი ჯაჭვი. შენ ყოველდღიურად ეცნობი შენს პარტნიორს და ერგები მას.

– არსებობს თუ არა რაიმე საშუალება, რომ ადამიანმა წინასწარ გაარკვიოს, იქნება თუ არა ესა თუ ის ქორწინება ბედნიერი?

– ეს რომ ასე იოლი ყოფილიყო... – გაეცინა მორის, – თუმცა, თუკი ჩემს დაკვირვებას დავუჯერებთ, ცოლქმრობისა და სიყვარულის საკითხში მაინც არსებობს გარკვეული კანონზომიერება. პარტნიორე-ბი ერთმანეთს პატივს უნდა სცემდნენ, უნდა შეეძლოთ დათმობაზე წასვლა, ერთმანეთის მიმართ გულწრფელნი უნდა იყვნენ და ყოველთვის გულახდილად ილაპარაკონ ერთმანეთის პრობლემების შესახებ. ძალიან ცუდია, თუკი მათ განსხვავებული ღირებულებები აქვთ. იცი, მიჩ, რომელია ყველაზე ღირებული რამ?

– რომელი?

– იმის რწმენა, რომ არსებობს ცოლქმრული ურთიერთობის საჭიროება!

მორიმ გაიღიმა და წუთით თვალები მოიჩრდილა.

– პირადად მე მიმაჩნია, რომ ცოლქმრობა მეტად საინტერესო სახუმარო თამაშია. თუკი მას საკუთარ ტყავზე არ გამოცდი, ძალიან ბევრს დაკარგავ.

ბოლოს მორიმ მოიყვანა ლექსის ერთი ციტატა, რომელიც ლოცვა-სავით ჟღერდა:

„გიყვარდეთ ერთმანეთი, სხვაგვარად დასაღუპავად ხართ განწი-რულნი".

– მე კიდევ მაქვს შეკითხვა, – ვთქვი მე.

მორი გამოფიტული თითებით ძლივს აკავებდა მკერდზე დადებულ სათვალეს, რომელიც ამოსუნთქვა-ჩასუნთქვის დროს ქვემოთ მისრიალებდა.

– ამჯერად რა გაინტერესებს?

– იობის წიგნი ხომ გახსოვთ?

– ბიბლიური იობის შესახებ მეკითხები?

– დიახ, კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ღმერთმა მას განსაცდელი მოუვლინა, რათა მისი რწმენა გამოეცადა.

– მახსოვს, მერე?

– წაართვა სახლი, ყველაფერი, რაც კი რამ ებადა, ოჯახი.

– ჯანმრთელობა.

– დიახ, ჯანმრთელობაც გვარიანად შეურყია.

– რწმენა რომ გამოეცადა.

– მართალია, რწმენის გამოსაცდელად, მაგრამ მაინტერესებს...

– რა?

– რას ფიქრობთ ამის შესახებ?

მორიმ მძიმედ დაახველა, მთრთოლვარე ხელები უღონოდ დააწყო საწოლზე ტანის გასწვრივ, გაიცინა და თქვა:

– მე ვფიქრობ, რომ უფალს მეტისმეტი მოუვიდა.

მეთერთმეტე სამშაბათი
ვსაუბრობთ ჩვენი კულტურის შესახებ

– მაგრად დამარტყი!

მე მორის ზურგზე ხელებს ვუბარტყუნებ.

– უფრო მაგრად!

მე ისევ ვურტყამ.

– შუაში... ახლა ცოტა ქვემოთ.

მორი პიჟამის შარვალში გვერდულად წევს ლოგინზე, თავი ბალიშში ჩაურგავს, პირი ღია აქვს. ფიზიოთერაპევტი მასწავლის, როგორ უნდა გამოვდევნო ფილტვებიდან შხამი, რომ არ დაგუბდეს და მორიმ სუნთქვა შეძლოს.

– ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთი სული გქონდა, მიგებერტყე, – სვენებ-სვენებით მეუბნება მორი.

– ზუსტად ასეა, – ვიცინი მე და ჩემს საქმეს განვაგრძობ, მის ფერმკრთალ ზურგს ვურტყამ, – აი, ეს თქვენ იმ ოთხიანისთვის მეორე კურსზე რომ დამიწერეთ.

ნერვიულად ვიცინით, ასე იცინიან შავი იუმორის დროს, ეს იქნებ გულის ამაჩუყებელი ხუმრობაც კი ყოფილიყო, რომ არა არსებული სინამდვილე. ავადმყოფობამ ფილტვებს შეუტია. მორიმ წინასწარ იცოდა, რომ ჰაერის უკმარისობა მოუღებდა ბოლოს. მიჭირდა ამაზე შემზარავი დასასრულის წარმოდგენა. მორი დროდადრო თვალებს ხუჭავდა და მონდომებით ცდილობდა პირითა და ნესტოებით ჰაერის შესრუტვას, ვუყურებდი და რატომღაც მახსენდებოდა, როგორ ექაჩებიან ზღვის ფსკერიდან ღუზას.

ადრიანი ოქტომბერი იდგა, ცოტა აცივდა კიდეც. მთელი ვესტ-ნიუტონი ფოთლებით იყო მოფენილი. ფიზიოთერაპევტი და მედდა, ჩვეულებისამებრ, დილით მოდიოდნენ. მე ამ დროს ვცდილობდი

ოთახში არ ვყოფილიყავი, მაგრამ კვირა კვირას მისდევდა და მე სულ უფრო ნაკლებ მაფრთხობდა ის, რასაც ადრე ასე გავურბოდი. მინდოდა იქ ვყოფილიყავი და ყველაფრისთვის საკუთარი თვალით მეყურებინა. ეს მე არ მგავდა, კიდევ ბევრი რამ მაკვირვებდა, რაც ჩემს თავს ხდებოდა მორის სახლში.

მორის თავზე ვადექი, ფიზიოთერაპევტი მორის ზურგზე ხელს ურტყამდა და ეკითხებოდა, თუ გრძნობდა რაიმე შვებას. შესვენების დრო რომ დადგა, იმავეს გაკეთება შემომთავაზა. დავთანხმდი და დავინახე, როგორ გამიღიმა ბალიშში ჩამხობილმა მორიმ.

– მაინცდამაინც ნუ გამიმეტებ, ხომ იცი, ბერიკაცი ვარ! – გამაფრთხილა ღიმილით.

მე დავიწყე. ვურტყამდი მორის ზურგსა და ფერდებზე, ვაბრუ-ნებდი, როგორც ფიზიოთერაპევტმა მასწავლა. მარტო ის აზრი, რომ მორი საწოლს იქნებოდა მიჯაჭვული, ჭკუიდან მშლიდა. სულ ყურში მედგა მორის აფორიზმი:

„თუ საწოლიდან ვერ წამოვდგები, იმას ნიშნავს, რომ მალე მოვკვდები”.

გვერდზე გადაბრუნებული მორი ბავშვივით პატარა და უმწეო ჩანდა, ფერმკრთალი კანი, შეთხელებული ჭაღარა თმა და სუსტი, უღონო ხელები. „რამდენ ენერგიას ვხარჯავთ, რომ დაკუნთული სხეული გვქონდეს, კარგად გამოვიყურებოდეთ, რას აღარ ვიგონებთ, განტელებით ვვარჯიშობთ, აჭიმვებს ვაკეთებთ და ბოლოს... ხელში აღარაფერი გვრჩება!” – ვფიქრობდი ჩემთვის.

მონდომებით ვუზელდი ტანს მორის და თითებქვეშ ვგრძნობდი სრულიად მოშვებულ სხეულს. ხელს კი ვურტყამდი ზურგზე, მაგრამ მზად ვიყავი, მუშტები დამეშინა...

– მიჩ...

ზურგზე ხელი დავკარი. მორიმ ჩაისუნთქა და უცებ გამოთავი-სუფლებული ხმით იკითხა:

– გამაგებინე... მაინც როდის... დაგიწერე ოთხიანი?

* * *

მორის სჯეროდა თანდაყოლილი სიკეთისა, მაგრამ იმასაც ხედავ-და, თუ როგორ იცვლებოდნენ ადამიანები თვალსა და ხელს შუა.

– ადამიანები სულმდაბლები ხდებიან, როცა მათ რაიმე საფრთხე

ემუქრებათ, ეს კი არის ის, რასაც ჩვენი საზოგადოება გამუდმებით აკეთებს. ამ მხრივ არც ჩვენი ეკონომიკა ჩამორჩება. ისინიც კი, ვისაც სამსახური აქვს, მუდმივ ზეწოლას განიცდიან, ცხოვრობენ ამ სამსახურის დაკარგვის მუდმივი შიშით. როცა ადამიანი საფრთხეს გრძნობს, იწყებს თვითგადარჩენაზე ფიქრსა და ზრუნვას. ამ დროს ხდება ფულისადმი მისი მონური დამოკიდებულების გამომჟღავნება. ეს ჩვენი კულტურის ნაწილია, რომელსაც მე ვერასდროს შევეგუები.

მე თავი დავუქნიე და მისი ხელი ჩავბღუჯე. ამ ბოლო დროს ასე ხშირად ხდებოდა. ეს კიდევ ერთი სიახლე იყო ჩემთვის. ის, რისიც მრცხვენოდა, ან წინათ თავს ვარიდებდი, ჩემთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. გამჭვირვალე თოფრაკი, საიდანაც კათეტერიდან მომდინარე მომწვანო სითხე გროვდებოდა, ახლა ჩემს ფეხთან სულ ახლოს იდო. ასეთი რამ რამდენიმე თვის წინ რომ მომხდარიყო, ავიმრიზებოდი, ზიზღის გრძნობა შემიპყრობდა, ახლა კი ეს არაფრად მიმაჩნდა, ისევე, როგორც სუნი, რომელიც მორის ოთახში მოსაქმების შემდეგ გუბდებოდა. აქ იდგა მისი საწოლი, მისი სავარძელი, აქ მიედინებოდა მისი ცხოვრება. მე რომ ასეთივე პატარა ადგილას შევეყუჟე ვინმეს, უკეთესი სურნელი, ალბათ, არც იქ დატრიალდებოდა.

– მაშ ასე, შექმნა საკუთარი სუბკულტურა, სულაც არ ნიშნავს საზოგადოებაში არსებული წესების უგულებელყოფას, – განაგრძობდა მორი, – მე არ დავიარები ქუჩაში შიშველი და არ ვძრავ მანქანას წითელ შუქზე. ამას როგორმე მოევლება, ეს წვრილმანებია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია აზროვნების მოდელი, თუ რა ღირებულებებს ვირჩევთ ჩვენ თვითონ. არ უნდა დაუშვა, რომ ის შენ ვინმემ თავს მოგახვიოს. ავიღოთ თუნდაც ჩემი მაგალითი: ის ფაქტი, რომ მე ვეღარ დავდივარ, საკუთარ უკანალსაც კი ვერ ვუვლი, ხანდახან დილაობით ვტირი კიდეც, ვიღაცისთვის, შესაძლოა, დიდ სირცხვილად იქცეს, მაგრამ არა ჩემთვის. ჩვენს საზოგადოებას უნდა, დაგვარწმუნოს, რომ სირცხვილია, მაგალითად, ქალი იყოს მსუქანი ან მამაკაცი – არამდიდარი. შენც ადექი და ამ შეგონებას ყურს ნუ დაუგდებ!!!

– არასდროს გქონიათ სურვილი, სადმე სხვაგან გეცხოვრათ, როცა ახალგაზრდა იყავით? – ვკითხე მე.

– სად უნდა წავსულიყავი?

– რა ვიცი, სამხრეთ ამერიკაში, ახალ გვინეაში, იქ, სადაც ადამიანები ასეთი ეგოისტები არ არიან?

– ყველა საზოგადოებას თავისი პრობლემები აქვს, – წარბები აზიდა მორიმ. ამას ახლა მხრების აჩეჩვის სანაცვლოდ აკეთებდა, – ასე რომ, გაქცევა უაზრობაა. ადამიანმა თვით უნდა შექმნას საკუთარი სამყარო. სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ, ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ახლომხედველობაა. ადამიანმა უნდა გაიაზროს, თუ როგორია მისი პოტენციალი და ეცადოს იმას მიაღწიოს, რისი უნარიც აქვს. მაგრამ, თუკი შენს ირგვლივ გაუთავებლად ისმის: „ყველაფერი მინდა დაუყოვნებლად!", საქმე იმით დამთავრდება, რომ გაჩნდება გარკვეული ჯგუფი, რომელსაც მართლაც ექნება ყველაფერი – პოლიცია, სამხედრო ძალა, რომელიც წინ აღუდგება ამბოხებულ საწყალ ხალხს, რომ მათ „ეს ყველაფერი" ხელთ არ იგდონ.

მორიმ ფანჯარას გახედა. ხანდახან ჩვენამდე სატვირთო მანქანის ან ქარის ხმა აღწევდა. მორიმ ყურადღებით შეავლო თვალი მეზობლების სახლებს და განაგრძო:

– მიჩ, საქმე ისაა, რომ არ გვინდა დაჯერება – ჩვენ იმდენი გვაქვს ერთმანეთთან საერთო – თეთრებს და შავებს, პროტესტანტებსა და კათოლიკეებს, ქალებსა და კაცებს. ჩვენ რომ ამ მსგავსების დანახვის უნარი გაგვაჩნდეს, გავერთიანდებოდით ერთ დიდ ოჯახად და ვიზრუნებდით მასზე, როგორც საკუთარზე. დამიჯერე, სიკვდილის სარეცელზე ეს ისეთი თვალნათელი ხდება... ყველა ჩვენგანს ერთი საწყისი აქვს და ერთი დასასრული. განა რითი განვსხვავდებით ასე ერთმანეთისგან? თითოეულ ჩვენგანს შეუძლია რამე შემატოს ამ ოჯახს და შექმნას ერთობა იმ ადამიანებისგან, რომელიც უყვარს და რომელთაც უყვართ.

მორიმ ოდნავ მომიჭირა ხელი. მე უფრო მძლავრად ჩავბღუჯე და როგორც შეჯიბრებისას, როცა ჩაქუჩის დარტყმით დისკო ზევით აიტყორცნება, ისე ჩაეღვარა ჩემი სხეულის სითბო მორის. წავიდა ზევით, გულიდან კისრისკენ, ლოყებისკენ და ბოლოს თვალებს მისწვდა. მორიმ შემომხედა და გაეღიმა.

– ცხოვრების დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ ჩვილი ხარ, სხვების გარეშე არსებობა არ შეგიძლია, ხომ ასეა? სიცოცხლის ბოლოსაც, როცა ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდება კაცი, მაშინაც სხვისი დახმარების გარეშე ვერაფერს შეძლებს. – მორის ხმა ჩურჩულამდე დაეშვა, – მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ შუალედშიც ამ სხვების გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია.

იმავე დღეს, მოგვიანებით კონი და მე მეორე ოთახში გავედით, რათა ტელევიზიით სიმფსონის განაჩენის გამოცხადებისთვის გვეყურებინა. დარბაზში დაძაბულობა იგრძნობოდა. მთავარი მოქმედი პირები სასჯელაღმსრულებელთა პირისპირ იდგნენ. სიმფსონს ლურჯი კოსტიუმი ეცვა და ადვოკატთა მთელი არმია ეხვია გარს. ორი ნაბიჯის მოშორებით კი პროკურორები გამწკრივებულიყვნენ. მათ სიმფსონის ციხის რიკულებს მიღმა გამომწყვდევა მთელი არსებით სურდათ, მაგრამ განაჩენი სხვაგვარად ჟღერდა:

– „არ არის დამნაშავე!" – გაისმა უცებ.

– ღმერთო ჩემო! – შეჰკივლა კონიმ. დავინახეთ, როგორ ეხვეოდა სიმფსონი ადვოკატებს, კომენტატორები ცდილობდნენ მაყურებლებისთვის საქმის ვითარება განემარტათ. სასამართლოს შენობასთან შეჯგუფულმა შავებმა ყიჟინა დასცეს, რესტორანში მჯდარი თეთრები კი თავზარდაცემულნი თვალმოუშორებლად შეჰყურებდნენ ტელევიზორების ეკრანებს.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა თითქმის ყოველდღიურად ხდება, სასამართლოს ეს განაჩენი სრულიად გამაოგნებლად ჟღერდა. კონი ოთახიდან გავიდა, ეს უკვე მეტისმეტი იყო.

მე გავიგონე, როგორ დაიხურა მორის კაბინეტის კარი. ვიჯექი და თვალს ვერ ვწყვეტდი ტელეეკრანს. „მთელმა მსოფლიომ იხილა ეს", – ვფიქრობდი ჩემთვის და უცებ ნაცნობი ხმაური გავიგონე. გავიგონე და ძალაუნებურად გამეღიმა. მორის სკამიდან აყენებდნენ. საუკუნის სასამართლო პროცესის კულმინაციას ჩემი მოხუცი პროფესორი ქოთანზე მჯდარი შეხვდა.

* * *

1979 წელია. ბრანდეის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში კალათბურთის მატჩი მიმდინარეობს. უნივერსიტეტის ნაკრები კარგად მიიწევს წინ. სტუდენტები ერთხმად ყვირიან:

– ჩვენ ვართ პირველები! ჩვეეეენ!

მორი შორიახლოს ზის. ეს ყვირილი რაღაცნაირად აფორიაქებს და უცებ ამ შუაგულ ღრიანცელში ფეხზე დგება და მთელი ხმით ყვირის:

– ვითომ რა მოხდება, მეორენი რომ ვიყოთ?

სტუდენტები გაოგნებულები შეჰყურებენ და ჩუმდებიან. მორი ადგილზე ჯდება. სახეზე საზეიმო ღიმილი დასთამაშებს.

„ნაით-ლაინ”-ის გადამღები ჯგუფი მორის მესამედ და უკანასკნელად ესტუმრა. გადაცემის პათოსი ამჯერად სრულიად სხვაგვარი იყო. ის უფრო სევდიან დამშვიდობებას წააგავდა, ვიდრე ინტერვიუს. მოსვლამდე ტედ კოპელმა არაერთხელ დარეკა, აინტერესებდა, თუ ნამდვილად შესწევდა მორის ძალა მათ მისაღებად.

მორის გარკვეული პასუხი არ ჰქონდა:

– ტედ, ახლა მე სულ დაღლილი ვარ, ხშირად სუნთქვაც კი მიჭირს. თუკი რაიმეს თქმას ვერ მოვახერხებ, თქვენი იმედი მაქვს!

კოპელი დაჰპირდა და დასძინა:

– თუკი ამისთვის მზად არა ხართ, თავს ნუ შეიწუხებთ, მე მაინც მოვალ თქვენთან დასამშვიდობებლად!

მორიმ ყურმილი დაკიდა და კმაყოფილმა ჩაიცინა:

– მე მგონი, კისერი მაინც მოვუგრიხე.

ასეც იყო, კოპელი უკვე მორის თავის მეგობრად იხსენიებდა. ჩემმა მოხუცმა პროფესორმა ტელეგიზნესის წარმომადგენელსაც კი აუჩვილა გული.

ინტერვიუზე, რომელიც პარასკევს დღისით შედგა, მორის იგივე პერანგი ეცვა, რაც წინადღით. მორი ახლა ტანსაცმელს ორ დღეში ერთხელ იცვლიდა და, ვინაიდან „ტანისამოსის გამოცვლისა” და ინტერვიუს დღეები ერთმანეთს არ დაემთხვა, მორიმ „დადგენილი წესი” აღარ დაარღვია.

წინა ორი გადაღებისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი მორის კაბინეტში მიმდინარეობდა. აქ მორი რა ხანია თავისი სავარძლის ტყვეობაში იმყოფებოდა. კოპელი იძულებული გახდა, წიგნის კარადას აჰკვროდა, რომ რაღაცნაირად კადრში მოხვედრილიყო.

– თავს ცუდად გრძნობთ? – დაინტერესდა კოპელი ჩაწერის წინ.

პროფესორმა ხელის აწევა სცადა. მუცლის სიმაღლემდე მოახერხა, უფრო მეტად ხელის აწევის ძალა მორის აღარ ჰქონდა. ეს იყო პასუხი კოპელის შეკითხვაზეც.

კამერა ჩაირთო. ეს იყო მესამე და უკანასკნელი ინტერვიუ მორისთან.

– რას იტყვით, სიკვდილის მოახლოებასთან ერთად შიშმა ხომ არ შემოგიტიათ?

მორიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია:

– პირიქით, ნაკლებად მეშინია, ვიდრე უწინ. მე ახლა სულ უფრო და უფრო ვცილდები გარე სამყაროს, აღარც გაზეთებს მიკითხავენ და ფოსტასაც იმდენ ყურადღებას აღარ ვუთმობ. ძირითადად მუსიკას ვუსმენ და თვალყურს ვადევნებ, როგორ იცვლიან ფერს ფოთლები... მე სხვებიც ვიცი, ვინც ლუ გერიგის ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა, მათ შორისაა სახელგანთქმული ფიზიკოსი, „დროის მცირე ისტორიის" ავტორი სტივენ ჰოკინგი. მას ყელში მილი ჰქონდა ჩადგმული, ლაპარაკობდა კომპიუტერის სინთეზატორის დახმარებით და სიტყვებს სენსორის მეშვეობით ბეჭდავდა. სენსორის მუშაობა კი მისი თვალების მოძრაობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. მე ყოველთვის მაოცებდა მისი შემართება და უდრეკი ხასიათი, მაგრამ არასოდეს მომნდომებია, ასე მეცხოვრა. მე ვიცი, როდის ჩამორეკს ჩემი უკანასკნელი ზარი. ჩემთვის სიცოცხლე ადამიანებთან ურთიერთობაა, ჩემი გრძნობების გამოხატვის საშუალებაა, მე მინდა, მათი სატკივარი გავიზიარო და მათი სიხარულით გული მიფეთქავდეს. როცა ეს აღარ შემეძლება, მაშინ მეც აღარც ვიქნები ამქვეყნად!

კოპელი და მორი დიდი ხნის მეგობრებივით საუბრობდნენ, როგორც წინა ინტერვიუს დროს. კოპელმა უკანალის გამოწმენდის ამბავი გაახსენა მორის იმ იმედით, რომ მორი კვლავ მისთვის ჩვეული იუმორით გამოეხმაურებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, მორის გაღიმების ძალაც კი აღარ შესწევდა, მხოლოდ მდუმარედ დაუქნია თავი.

– გამართულად ჯდომაც კი აღარ შემიძლია, აქეთ-იქით მაქანავებს და მეხმარებიან, რათა წონასწორობა შევინარჩუნო, შემდეგ კი... აი, აქამდე მივიდა ჩემი საქმე...

– მშვიდად მინდა წასვლა, – თქვა მორიმ და მორიგი აფორიზმიც გაანდო კოპელს: „თავქუდმოგლეჯილი ნუ გაიქცევი იქით, მაგრამ ნურც აქ დაივანებ სამარადისოდ".

კოპელმა სევდიანად გააქნია თავი. სულ 6 თვე იყო გასული მათი პირველი შეხვედრიდან, მორის კი ამქვეყნიური პირი უკვე აღარ უჩანდა. მთელი ამერიკა ადევნებდა თვალს მორის უკანასკნელ წუთებს. ეს იყო გარდაცვალების შესახებ გადაღებული მოკლე სერიალი და, მიუხედავად იმისა, რომ მის ხორცსაც ნელ-ნელა ეცლებოდა სითბო, მორის სული უწინდელზე მეტად ზეობდა.

ინტერვიუს ბოლოს კადრში მარტო მორი რჩებოდა. კოპელის ხმა მხოლოდ მის გამოსახულებას მიუყვებოდა.

– იქნებ რაიმეს თქმა გინდათ მაყურებლისთვის? – ჰკითხა კოპელმა და, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს სრულიად არ ჰქონდა განზრახული, მისი ეს შეთავაზება სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის ნებართვასავით გაისმა.

– თანაუგრძენით ერთმანეთს, – წაიჩურჩულა მორიმ, – ერთმანეთის იმედს ნუ დაკარგავთ. ეს რომ გვესწავლა, მერწმუნეთ, ცხოვრება ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა.

მორიმ ამოიოხრა და დასძინა: „გიყვარდეთ ერთმანეთი, სიყვარულის გარეშე დასაღუპავად ხართ განწირულნი".

ინტერვიუ დასრულდა, მაგრამ რატომღაც კამერა ჩართული დარჩა, ამიტომ ფირმა უკანასკნელი სცენაც აღბეჭდა.

– ყველაფერს შესანიშნავად გაართვით თავი! – მიუბრუნდა კოპელი მორის.

– რაც შემეძლო, გავაკეთე, – თქვა მორიმ

– როგორც ყოველთვის!

– ტედ, ჩემი ავადმყოფობა ჩემს სულს ებღაუჭება, მაგრამ მის გატეხას ვერ ეღირსება. ის გაანადგურებს ჩემს სხეულს, მაგრამ ჩემს სულს ვერას დააკლებს.

კოპელს თვალები აუწყლიანდა:

– ყოჩაღ, მორი, – თქვა ჩუმად.

– მართლა ასე ფიქრობ? – მორიმ ჭერს ახედა, – ახლა მას ვეჭიდავები, მაინტერესებს, რას იზამს, ანგელოზად მაქცევს, თუ რას მიპირებს?

მთელი ამ დროის განმავლობაში მორი პირველად გამოტყდა, რომ ღმერთს ესაუბრებოდა.

მეთორმეტე სამშაბათი
ჩვენ ვსაუბრობთ პატიების შესახებ

„სიკვდილის წინ მიუტევე შენს თავს და მერე სხვებს".

„ნაით-ლაინ"-თან ინტერვიუს შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. ცა პირქუშად იმზირებოდა, წვიმიანი დღე იდგა. მორის საბანი ეხურა, მე მოშორებით ვიჯექი და მორის შიშველ ფეხებს მალამოს ვუსვამდი. კანი გაუხეშებული ჰქონდა, ტერფებს აქა-იქ კოჟრები გასდევდა, ფრჩხილები მთლად გაჰყვითლებოდა. ამ პროცედურას მორის უკვე

რამდენიმე თვეა, უტარებდნენ და მეც ვცდილობდი, ეს უმწეო „სტაბილურობა” რაღაცნაირად შემენარჩუნებინა. ავადმყოფობის გამო მორი უკვე ფეხის თითებსაც ვეღარ ამოძრავებდა, თუმცა უწინდებურად ტანჯავდა ტკივილი. მასაჟი შვებას აძლევდა. მორის უხაროდა, როცა ფიზიკურად ეხებოდნენ და ახლა მე ყველაფრისათვის მზად ვიყავი, ოღონდ მისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა.

– მიჩ, – მომიბრუნდა მორი, – შურისძიება და სიჯიუტე აზრს სრულიად მოკლებულია და გაუმართლებელი. რომ იცოდე, როგორ ვნანობ ახლა, – მორიმ ამოიოხრა, – ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა, ნეტავ, რა გვიბიძგებს იმ ნაბიჯებისკენ, რის შემდეგაც მთელი ცხოვრება სინანული მოსვენებას არ გვაძლევს?

პატიების არსი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთაგანი იყო. ერთი ფილმი გამახსენდა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი პატრიარქი თავის მიერ უარყოფილი შვილის მოყვანას ითხოვს, რათა სიკვდილის წინ შეურიგდეს. სულ მაინტერესებდა, ჰქონდა თუ არა მორის ახლა სურვილი, ვინმესთვის პატიება ეთხოვა?

– ხედავ იმ სკულპტურას? – მორიმ მიმანიშნა ბიუსტზე, რომელიც მოშორებით თაროზე იდგა.

მე ამ ბიუსტისთვის ადრე არასდროს მიმიქცევია ყურადღება. ეს იყო ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, დაახლოებით 40 წლის მამაკაცის თავი, რომელსაც თმა შუბლზე ეყარა.

– ეს მე ვარ, – თქვა მორიმ, – ჩემმა მეგობარმა ნორმანმა ის დაახლოებით 30 წლის წინ გააკეთა. მაშინ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. ერთად ვცურავდით, ნიუ-იორკში ერთად ჩავდიოდით. მე მაშინ მასთან კემბრიჯში ჩავედი. ის თავის სარდაფში ამ ბიუსტს რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებდა, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიაღწია.

მე ყურადღებით დავაკვირდი ბიუსტს, რომელიც ზემოდან დაგვცქეროდა. ისეთი უცნაური იყო სამგანზომილებიანი მორის დანახვა. ის ახალგაზრდა იყო, ძალ-ღონით სავსე, შუბლზე თმა სცემდა. აქაც იგრძნობოდა მორის განსხვავებული ბუნება და ჩემთვის აღვნიშნე, რომ მორის მეგობარმა არა მხოლოდ გარეგნული მსგავსების, არამედ მისი არაჩვეულებრივი სულის გადმოცემაც მოახერხა.

– ახლა კი ამ ისტორიის სევდიანი ნაწილის შესახებ მოგითხრობ, –

თქვა მორიმ, – ნორმანი თავის მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად ჩიკაგოშო გადავიდა. შარლოტას ძალიან მძიმე ოპერაციის გაკეთება უწევდა. ნორმანმა და მისმა ცოლმა ამის შესახებ იცოდნენ, მაგრამ ერთხელაც არ დაურეკავთ მისი მდგომარეობის გასაგებად. გაქრნენ. ჩვენ ეს ძალიან გვეწყინა და ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტეთ მათთან. მას შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ ნორმანს, რომელიც ჩემს შემორიგებას ცდილობდა, მაგრამ თავი შორს მეჭირა, არ მაკმაყოფილებდა მისი განმარტებანი. სიამაყე მახრჩობდა.

მორის ხველება დაეწყო.

– მიჩ... რამდენიმე წლის წინ ის კიბოთი გარდაიცვალა... ცუდად ვხდები, ამის შესახებ რომ ვფიქრობ. მე ხომ ის არც მინახავს, ვერც ვაპატიე, ახლა კი ძალიან ვნანობ.

მორი ატირდა ჩუმად, უხმოდ. მე თითებზე მალამოს შეზელას განვაგრძობდი. ის კი, მოგონებებში ჩაძირული, კიდევ რამდენიმე წუთი განაგრძობდა ტირილს.

– ჩვენ არა მხოლოდ სხვებს უნდა მივუტეოთ ჩადენილი შეცდომების გამო, არამედ საკუთარ თავსაც.

– საკუთარ თავს?

– ჰო, საკუთარს! იმისთვის, რისი გაკეთებაც ჩვენ ვერ მოვასწარით, არა და, შეგვეძლო. სინანულს ვერ განიცდი ისეთი რაღაცის მიმართ, რაც არ მომხდარა. ადამიანს ხელს ძალიან უშლის ისეთ ვითარებაში ყოფნა, მე რომ ვარ. ყოველთვის მინდოდა, სამსახურებრივი თვალსაზრისით უფრო მეტისთვის მიმეღწია, მინდოდა დამეწერა უფრო მეტი წიგნი, ვიდრე დავწერე, მახსოვს, ამის გამო ჩემს თავს ვკიცხავდი და ვადანაშაულებდი კიდეც, მაგრამ ახლა კი ვიცი, ეს უაზრობაა... მიუტევე საკუთარ თავს და ყველას, ვინც შენს ირგვლივაა.

მე დავიხარე და ქაღალდის ცხვირსახოცით მორის ცრემლები შევუმშრალე. მორის თვალები აუთამაშდა. მისი მოუსვენარი სუნთქვა მსუბუქ ხვრინვასავით ისმოდა.

– მიუტევე შენს თავს, მიუტევე სხვებს, მიჩ, დროს ნუ დაკარგავ. ყველას ისე არ ანებივრებს უფალი, როგორც მე. გამიმართლა, რომ ღმერთმა ამის დრო შემარჩინა.

მე ქაღალდის ცხვირსახოცი ნაგვის კალათაში მოვისროლე და კვლავ მორის ფეხებს მივუბრუნდი. „გამიმართლა”? მორის გაქვავებულ კანს დავაწექი, ვერაფერი იგრძნო.

– გახსოვს, ორი საპირისპიროდ მიმართული ძალის შესახებ რომ ვსაუბრობდით, ადამიანს აქეთ-იქით რომ ექაჩება?

– მახსოვს!

– დრო თავქუდმოგლეჯილი უკანმოუხედავად გარბის, მაგრამ მე მიხარია, რომ რაღაცის გამოსწორება ჯერ კიდევ შემიძლია.

ერთხანს ორივენი ვდუმდით. წვიმა აწყდებოდა ფანჯრის მინებს. მორის ზურგს უკან რაფაზე პატარა ჰიბიკუსს ყოჩაღად ეჭირა თავი.

– მიჩ! – ჩურჩულით მითხრა მორიმ.

– ბატონო?

მე ჩემი საქმით ვიყავი გართული და მის თითებს ვაწვალებდი.

– შემომხედე!

თვალები ავწიე და მის გამჭოლ მზერას გადავაწყდი.

– მე არ ვიცი, რატომ დაბრუნდი ჩემთან, მაგრამ მინდა გითხრა... – მორი გაჩუმდა, თითქოს ხმა გაუწყდა, – მე რომ კიდევ ერთი შვილი მყოლოდა, ვისურვებდი, რომ ეს შენ ყოფილიყავი!

მზერა ავარიდე და კიდევ მეტი მონდომებით დავიწყე მორის თითების სრესა. ერთი ხანობა შიშმაც კი მომიცვა – ეს აღსარება რომ მივიღო, ამით მამაჩემს ხომ არ ვღალატობ-მეთქი? – გამიელვა თავში, მაგრამ, როცა მორის თვალი გავუსწორე და ცრემლებს მიღმა მისი მოღიმარი სახე დავინახე, მივხვდი, რომ აქ ღალატს არაფერი ესაქმებოდა.

ახლა სხვა რამ გახდა შემაძრწუნებელი – თქმა იმ სიტყვისა, რომელიც ასე ჟღერდა: „მშვიდობით!"

– ჩემი საფლავისთვის ადგილი ავირჩიე...

– მართლა? და სადაა ეს ადგილი?

– აქედან არცთუ შორს, ხის ქვეშ, არხის მახლობლად. ეს არის მშვიდი, უშფოთველი ადგილი. ასეთ ადგილას კარგია ფიქრი...

– იქ თქვენ ფიქრს აპირებთ?

– მე იქ წოლას ვაპირებ.

მორი შეიშმუშნა, მეც მასთან ერთად.

– მოხვალ ხოლმე ჩემთან? მოსანახულებლად?

– მოსანახულებლად? რას გულისხმობთ?

– ისე, სასაუბროდ, მაგალითად, სამშაბათს, შენ ხომ ჩემთან ყოველთვის სამშაბათობით მოდიხარ?

– ჩვენ ხომ მართლაცდა სამშაბათელები ვართ.

– ზუსტად ასეა, ესე იგი, მოხვალ.

მორი მეტისმეტად გამხდარი მეჩვენა.

– შემომხედე!

მე თვალი გავუსწორე.

– მითხარი, მოხვალ თუ არა შენს პრობლემებზე სასაუბროდ?

– ჩემს პრობლემებზე?

– ჰო, სწორედ შენს პრობლემებზე...

– და თქვენ მათ მოგვარებაში დამეხმარებით?

– რითაც შემეძლება, როგორც ყოველთვის...

მე თვალწინ წარმომიდგა მორის საფლავი. პატარა მიწაყრილი ხის ქვეშ, არხის ახლოს. იქ მას დაასაფლავებენ, მიწას მიაყრიან და ზემოდან ქვას დაადებენ. როდის იქნება ეს – რამდენიმე კვირის შემდეგ, იქნებ, არცაა ამდენი დარჩენილი, და მაინც რამდენი? რამდენიმე დღე? დავინახე, როგორ ვზივარ იქ მარტო მუხლებზე ხელებგადაჭდობილი და სივრცეს გავყურებ.

– ეს სულ სხვაგვარად იქნება, მე თქვენს ხმას ვერ გავიგონებ.

– ჩემს ხმას?

მორიმ თვალები დახუჭა და გაეღიმა:

– მოდი, ასე შევთანხმდეთ: ძირითადად შენ მესაუბრე, მე კი მოგისმენ.

მეცამეტე სამშაბათი
ვსაუბრობთ დასრულებული დღის შესახებ

მორიმ ითხოვა, რომ მისი ნეშტი დაეწვათ. ამის თაობაზე ის შარლოტას ადრევე ესაუბრა. მათ ეს გადაწყვეტილება ერთად მიიღეს.

მორის ძველი მეგობარი ბრანდეის უნივერსიტეტის რაბინი ელ აქსელროდი ესტუმრა. მორიმ სწორედ მას სთხოვა დაკრძალვის ცერემონიის გაძღოლა და თავისი სურვილიც კრემაციასთან დაკავშირებით სწორედ მას გაუზიარა.

– და კიდევ ერთი რამ მინდა გთხოვო, ელ!

– გისმენ, მორი, – დაიძაბა ელი.

– ყურადღება მიაქციე, ზედმეტი არ მოუვიდეთ, მეტისმეტად არ დამხრაკონ!

რაბინი გაშრა, არ იცოდა, რა ეპასუხა. მორის უკვე ეადვილებოდა მსგავსი ხუმრობა, სხეულის არსი მისთვის ნელ-ნელა აზრს კარგავდა, იგი მორისთვის ახლა სულის ჭურჭლად, ერთგვარ სამოსად აღიქმებოდა. ხორცი ბერდებოდა და სრულიად უსარგებლო ძვლებისა და კანის გროვად იქცეოდა. ახლა მთლად იოლი იყო მისგან გაყრა.

– ჩვენ თვით სიკვდილის ხსენებაც კი სასოწარკვეთილებაში გვაგდებს, – თქვა მორიმ, როცა გვერდით მივუჯექი.

საყელოზე მიმაგრებული მიკროფონი გავუსწორე, მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ დავუმაგრე.

მორის კვლავ ხველა აუტყდა, ახლა ეს თითქმის შეუჩერებელი პროცესი იყო.

– ამ დღეებში რაღაც წიგნს ვკითხულობდი, – თქვა მორიმ, – იქ ასეთი რამ იყო ნათქვამი: თუკი ვინმე საავადმყოფოში კვდებოდა, როგორც წესი, მის ცხედარს დაუყოვნებლივ ზეწარს გადააფარებდნენ ხოლმე და ქვემოთ მიაქანებდნენ, თითქოს სიკვდილი გადამდები დაავადება ყოფილიყოს.

მე ისევ მიკროფონს ვეჭიდავებოდი. მორი უსიტყვოდ ადევნებდა თვალყურს ჩემი თითების მოძრაობას.

– ის კი სრულებითაც არაა გადამდები, ისეთივე ბუნებრივია, როგორც სიცოცხლე, ის ჩვენთვის ბოძებული ერთი მთლიანობის განუყრელი ნაწილია.

მორიმ ისევ დაახველა. დავიძაბე, არავინ იცოდა, რას გვიქადდა შემდეგი წუთი. ღამღამობით მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდებოდა. მორი ერთი-ორი საათით თუ მოატყუებდა თვალს, მერე კი მძიმე, სულის შემხუთველი ხველება მოსვენებას არ აძლევდა. მაშინ მორიგე მედდა შემოდიოდა და ზურგზე ხელის დარტყმით ცდილობდა ფილტვების ნახველისგან გამოთავისუფლებას, მაგრამ ამის შემდეგაც მორი მხოლოდ ჟანგბადის აპარატით თუ ახერხებდა სუნთქვას. ამას მიჰქონდა მისი ისედაც გამოლეული ძალები და მეორე დღეს თავს მთლად გამოფიტულად გრძნობდა.

ნესტოსთან მიერთებული წვრილი მილი მორის ჟანგბადს აწვდიდა. მე მიჭირდა ამის ყურება და სულ მინდოდა გამომეგლიჯა და მომესროლა.

ის ჩემთვის საძულველ, უსასოობის უტყუარ დასტურს წარმოადგენდა.

– გასული ღამით... – წაიჩურჩულა მორიმ.

– რა გასული ღამით, მორი?

– საშინელი შეტევა მქონდა, ხანგრძლივად გაგრძელდა, რამდენიმე საათი, მეგონა, ყველაფერი დამთავრდა. ხველაც არ წყდებოდა, სუნთქვაც აღარ შემეძლო და უცებ თავბრუ დამეხვა... და რაღაცნაირად სიმშვიდე დამეუფლა, ვგრძნობდი, რომ წასასვლელად უკვე მზად ვიყავი.

მორის თვალები გაუფართოვდა:

– მიჩ, ეს იყო სრულიად აუხსნელი შეგრძნება, მზადყოფნა იმისთვის, რაც მოსალოდნელია, საოცარი სიმშვიდის ფონზე. ის სიზმარი გამახსენდა. წინა კვირას რომ ვნახე – იქ ხიდზე გადავდიოდი, წინ კი არ ვიცოდი, რა მელოდა, მაგრამ მივდიოდი სულიერად შემართული, ამ გაურკვევლობასთან პირისპირ შესაყრელად.

– კი მაგრამ, ეს ხომ არ მომხდარა...

მორი გაჩუმდა, მერე ოდნავ გააქნია თავი:

– არა, არ მომხდარა, მაგრამ ვიგრძენი, რომ მე ამას შევძლებ, გესმის? ეს არის ის, რაც აუცილებელია ყოველი ჩვენგანისთვის. ჩვენ უნდა შევეგუოთ აზრს სიკვდილის შესახებ. მივიღოთ ის, როგორც გარდაუვალი რეალობა და, თუკი ეს მოხდება, ჩვენ უფრო რთული რაღაცეების დაძლევას მოვახერხებთ.

– და რა არის ეს სხვა სირთულე?

– სიცოცხლესთან ურთიერთობა.

მორიმ ჰიბიკუსის მიტანა მთხოვა. მე ქოთანი ხელისგულზე დავიდე და მორის სახესთან ახლოს მივუტანე. მორის გაეღიმა.

– გარდაცვალება ბუნებრივი პროცესია, – გაიმეორა მან, – სიკვდილის ხსენებაც კი საშინელ საგონებელში გვაგდებს, რადგან ვერ გაგვიაზრებია, რომ ჩვენ ამ ბუნების შემადგენელ ნაწილებს წარმოვადგენთ. მიგვაჩნია, რომ ადამიანები ვართ და თავს ბუნებაზე აღმატებულად მივიჩნევთ.

მორიმ ჰიბიკუსს შესცინა.

– არა, ეს არაა სწორი მიდგომა! ყველაფერი, რაც იბადება, კვდება კიდეც. ამაში მაინც მეთანხმები?

– გეთანხმებით!

– ახლა უპირატესობის შესახებ. ჩვენ უდავოდ განვსხვავდებით მცენარეებისა და ცხოველებისგან. ეს კი მანამ ხდება, ვიდრე გვიყვარს ერთმანეთი და ამ დამოკიდებულებას ვინარჩუნებთ. ჩვენ ვკვდებით, არ ვქრებით! სინაზე არ უჩინარდება. შენ სიცოცხლეს აგრძელებ იმ

ადამიანთა გულებში, რომლებიც გიყვარდა და რომელთა მიმართაც მზრუნველობა გამოგიჩენია.

მორის ხმა აუკანკალდა. ეს კი იმას ნიშანი იყო, რომ მას დასვენება ესაჭიროებოდა.

ჰიბიკუსი თავის ადგილზე დავაბრუნე და მაგნიტოფონის გამოსართავად გავწიე, მაგრამ მორის იმ დღის ბოლო ფრაზის ჩაწერა მაინც მოვასწარი: „სიკვდილი ასრულებს სიცოცხლეს, მაგრამ არა ურთიერთობებს".

ლუ გერიგის სახელით ცნობილი ავადმყოფობის განსაკურნებელი საშუალებების ძიება კვლავ მიმდინარეობდა. თითქოს მალე ახალი საცდელი პრეპარატი უნდა გამოჩენილიყო. ის დაავადებას არ კურნავდა, მაგრამ მის განვითარებას გარკვეული დროით აყოვნებდა, მორიმ ეს იცოდა, მაგრამ მისი მდგომარეობა უკვე მძიმე იყო, თან ამ წამლის სრულყოფას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდებოდა.

– ეს ჩემთვის არაა, – გადაჭრით განაცხადა მორიმ.

მას შემდეგ, რაც ეს სნეულება შეეყარა, მორის გულუბრყვილო იმედებით თავი არასდროს დაუმშვიდებია. ის თავის მდგომარეობას ყოველთვის საღად აფასებდა.

– სასწაული რომ მომხდარიყო და გამომჯობინებულიყავით, იქნებოდით თუ არა იგივე მორი, რაც წინათ? – ვკითხე ერთხელ.

მან თავი გააქნია:

– გამორიცხულია, მე ახლა სრულიად სხვა ადამიანი ვარ. ჩემი შეხედულებებიც სრულიად განსხვავებულია. მე ჩემს სხეულს ვაფასებ, რაც ადრე არასდროს გამიკეთებია. ჩემი დამოკიდებულებაც სერიოზული საკითხების მიმართ, – მხედველობაში მაქვს სამარადისო ფასეულობანი – სრულიად შეცვლილია. ამაშია საქმე: საკმარისია, რაღაც ძალიან სერიოზულს შეეხო, მას ვერ უგანებ, ვეღარსად გაექცევი.

– რომელ საკითხებს მიიჩნევთ მარადიულად?

– მე მგონი, ეს საკითხები სიყვარულთან, პასუხისმგებლობასა და სულიერებასთანაა დაკავშირებული. ახლა ჯანმრთელიც რომ ვიყო, ეს ჩემთვის მაინც ყველაზე მთავარი იქნებოდა.

შევეცადე, მორი ჯანმრთელი წარმომედგინა, დავინახე, როგორ გადააგდო საბანი, ადგა, სასეირნოდ გზას ერთად გავუყევით. ერთად

მივაბიჯებდით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე... და უცებ მივხვდი, რომ მორი ფეხზე მდგომი ბოლოს თექვსმეტი წლის წინ ვიხილე.

– მორი, მინდა გკითხოთ, თქვენთვის ჯანმრთელობა მხოლოდ ერთი დღით რომ დაებრუნებინათ, ამ დღეს როგორ გაატარებდით?

– ოცდაოთხი საათი?

– დიახ, ოცდაოთხი!

– მოიცა, დავფიქრდე... ავდგებოდი დილით, ვივარჯიშებდი, გემრიელად ვისაუზმებდი, ალბათ, ეს იქნებოდა ხრატუნა ფუნთუშები ჩაისთან ერთად, მერე ვიცურავებდი და ჩემს მეგობრებს სადილად დავპატიჟებდი. კარგი იქნებოდა, მოსულიყვნენ ან ცალ-ცალკე, ან ორ-ორნი, რომ დრო გვქონოდა მათი პრობლემებისა და იმის შესახებ სასაუბროდ, თუ რაოდენ ძვირფასნი ვართ ერთმანეთისთვის. შემდეგ წავიდოდი რომელიმე პარკში ხეების საყურებლად, ჩიტების ჟღურტულის მოსასმენად, ბუნების სიმშვენიერით დავტკბებოდი, რა ხანია, მსგავსი რამ არ გამიკეთებია. საღამოს კი შევიდოდი რესტორანში, სადაც გემრიელად ამზადებენ საჭმელს, ალბათ, იხვს შევუკვეთავდი, მერე კი მთელი საღამო ვიცეკვებდი. ალბათ, ყველა საუკეთესო მოცეკვავე ქალს დავპატიჟებდი, ვიცეკვებდი იმდენს, ვიდრე ღონე მთლად არ გამომელეოდა, მერე კი შინ დავბრუნდებოდი და ღრმად, ტკბილად დავიძინებდი.

– სულ ესაა?

– ჰო, სულ ეს!

რაღაცნაირად იმედგაცრუებული დავრჩი. ყველაფერი ისე ჩვეულებრივად, პროზაულად გამოიყურებოდა. მე ვიფიქრე – გადაფრინდებოდა იტალიაში, ან პრეზიდენტთან საუზმობას მოიწადინებდა, დატკბებოდა ზღვაში ცურვით ან ბოლოს და ბოლოს დააგემოვნებდა ყოველივე ეგზოტიკურს, რაც კი თავში მოუვიდოდა. არ მესმოდა, ამდენი თვე საწოლში უძრავად ყოფნის შემდეგ სიამოვნება ასეთი ყოველდღიური, ასეთი უბრალო რაღაცეებით როგორ უნდა მიეღო?

მაგრამ უცებ მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

იმ დღეს წასვლის წინ მორიმ მკითხა, თუ შეეძლო ჩემთან რამეზე საუბარი და დასძინა:

– შენი ძმის შესახებ მინდოდა მეკითხა.

დამბურძგლა – რა იცოდა, რომ ჩემი ძმის საკითხი მოსვენებას არ მაძლევდა? ეს ბოლო კვირები სულ მასთან ესპანეთში დაკავშირებას ვცდილობდი. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მისი მეგობრისაგან შევიტყვე, რომ ჩემი ძმა მკურნალობის კურსს ამსტერდამში იტარებდა.

– მე კარგად მესმის, მიჩ, რას ნიშნავს, როცა არ შეგიძლია ყოფნა იმ ადამიანის გვერდით, ვინც გიყვარს! მაგრამ შენ მის ნებას პატივი უნდა სცე და ამ აზრს შეურიგდე. იქნებ, მას შენი ცხოვრების დანგრევა არ სურს, ანდა ეს მისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთია. მე ყველა ჩემს ახლობელს ვთხოვე, გაეგრძელებინათ ჩვეული ცხოვრება. ის ფაქტი, რომ მე ვკვდები, არ ნიშნავს მათი ცხოვრების წესის შეცვლას.

– კი მაგრამ, ის ხომ ჩემი ძმაა...

– ვიცი, ამიტომაცაა ეს ყველაფერი ასე მტკივნეული.

უცებ ჩემს წარმოსახვაში პიტერი ამოტივტივდა. ის რვა წლისაა. ღია ფერის ხუჭუჭა თმა აქეთ– იქით გამოშლია. ბალახზე კოტრიალისგან ჩვენს ჯინსებს ღრმად უჯდება მუქი მწვანე ფერის ლაქები. აი, სარკის წინ დგას, მიკროფონის ნაცვლად ხელში სავარცხელი ჩაუბღუჯავს და მღერის... ანდა ორივენი სხვენში მივიძურწებით, ერთი სული გვაქვს, როდის დაგვიწყებენ მშობლები ძებნას, ნეტავ, თუ გვიპოვიან, სადილის დრო რომ მოაწევს?

მერე კი ვხედავ მის ხატებას უკვე გაზრდილს, ქიმიოთერაპიისგან გამხდარს, რაღაცნაირად აწოწილს, წამახვილებულნაკვთიანი სახით.

– მორი, მაინც არ მესმის, რატომ არ უნდა მას ჩემი ნახვა? – ვეკითხები მე.

ჩემი პროფესორი ოხრავს:

– ადამიანებს შორის ურთიერთობა შაბლონის მიხედვით არ ყალიბდება. მას დიდი სიფრთხილითა და რუდუნებით სჭირდება მოპყრობა. ამ ურთიერთობით თითოეულმა უნდა მიიღოს ის, რაც მას სჭირდება და უნდა; ამავე დროს უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია, თან ისე, რომ არც საკუთარ თავს და არც სხვას ზიანი არ მიაყენოს. ბიზნესის დროს ადამიანები მოგებით არიან დაინტერესებულნი, შენც, ალბათ, ასეთ ურთიერთობებს ხარ ჩვეული. სიყვარულის დროს კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ამ დროს შენ სხვაზე ისევე ზრუნავ, როგორც საკუთარ თავზე. თქვენ ადრე ძალიან ახლოს იყავით, ახლა რაღაც შეიცვალა, ამას ვერ ეგუები და იმ „ძველის" დაბრუნებას

ცდილობ. ასე არ ხდება. ადამიანთა ურთიერთობებს ასე ახასიათებს – ხან მინელდება, ხან ისევ განახლდება.

მე მორის შევხედე და მივხვდი, რომ დრო აღარ იცდიდა, სიკვდილი თითქოს კარებში იდგა. თავი საოცრად უმწეოდ ვიგრძენი.

– შენ იპოვი შენი ძმისკენ მიმავალ გზას! – მითხრა მორიმ

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

მორის გაეღიმა:

– მე ხომ მიპოვე?

ამ დღეებში ერთი საინტერესო ამბავი მოვისმინე.

მორი თვალებს ხუჭავს, ვიცდი, ვიდრე გააგრძელებს.

– მაშ ასე, ეს ამბავი პატარა ტალღას ეხება, ოკეანის ზედაპირზე უდარდელად რომ დათამაშობდა და ქარის ქროლვითა და სუფთა ჰაერით ტკბებოდა. ასე მანამ გაგრძელდა, ვიდრე წინ მიმავალ ტალღებს დაინახავდა, ნაპირს რომ აწყდებოდნენ და უჩინარდებოდნენ.

– ღმერთო ჩემო, – შეჰკივლა მან, – საშინელებაა, მალე მეც იგივე მომელის!

ამ დროს გვერდით სხვა ტალღამ ჩაურბინა, მიხვდა, რომ პატარას გულს სევდა შემოსწოლოდა და მიზეზი ჰკითხა.

– ნუთუ არაფერი გესმით, ჩვენ ხომ ყველანი დასაღუპავად ვართ განწირულნი? განა ეს საშინელება არაა? – შესჩივლა პატარამ.

– ეს შენ არ გესმის არაფერი,– მიუგო მეორემ, – ეს შენ ფიქრობ, რომ ტალღა ხარ, სინამდვილეში კი მხოლოდ ოკეანის პაწაწკინტელა ნაწილს წარმოადგენ!

მე ვიღიმები. მორი კვლავ ხუჭავს თვალებს

– ოკეანის პაწაწკინტელა ნაწილი, – იმეორებს მორი, – პაწაწკინ-ტელა ნაწილი.

მე გულდასმით ვადევნებ თვალს მის სუნთქვას.

მეთოთხმეტე სამშაბათი
მშვიდობით

ნესტიანი დღე იდგა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. მორის სახლის კიბეებს მივუყვებოდი. ახლა ყველაფერს, რასაც წინათ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი, გულისყურით ვაკვირდებოდი –

გორაკის სილუეტს, სახლის ქვის ფასადს, მარადმწვანე მცენარეებსა და გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ წვრილ-წვრილ ბუჩქებს. ნელა მივაბიჯებდი, ნაბიჯს არ ვუჩქარებდი, ფეხქვეშ სველი ფოთლები მეფინა.

წინა დღით შარლოტამ დამირეკა და მორის მძიმე მდგომარეობის შესახებ შემატყობინა. ინტონაციის მიხედვით მივხვდი, რომ აღსასრულის დრო დამდგარიყო. მორიმ ყველა შეხვედრა გააუქმა და თითქმის სულ ეძინა. ეს მას სრულებით არ ჰგავდა. მორის არასდროს ჰყვარებია ძილი, – მით უმეტეს, თუკი მოსაუბრე ჰყავდა.

– მორიმ მთხოვა, დამერეკა. თქვენი ნახვა უნდოდა,... მაგრამ ძალიან სუსტადაა, – მითხრა შარლოტამ.

ზღურბლის საფეხური, შუშიანი შესასვლელი კარი... თითქოს ყველაფერს პირველად ვხედავ. მაგნიტოფონი აქა მაქვს, ჩანთით მხარზე გადაკიდებული. ჰო, მართლა, ფირი ხომ არ დამავიწყდა? არა, ისიც აქაა. თვითონაც არ ვიცი, რატომ ვაკეთებ ამას. ფირი ხომ ყოველთვის თან დამაქვს.

კარს კონი მიღებს. მუდამ სიცოცხლით სავსე, დღეს სრულიად განადგურებული გამოიყურება, შემომყურებს და ძლივს გასაგონად მაძლევს სალამს.

– როგორაა? – ვეკითხები.

– ისე რა... – ქვედა ტუჩს იკვნეტს, – ფიქრიც არ მინდა... ისეთი ღვთისნიერი ადამიანია...

– ვიცი!

– ძალიან მეცოდება!

გამოდის შარლოტა, მიახლოვდება და გულში მიკრავს. მეუბნება, რომ მორის ჯერ კიდევ სძინავს, არა და, უკვე 10 საათია. სამზარეულოში შევდივართ. მაგიდაზე ჯარისკაცებივითაა გამწკრივებული მოყავისფრო თეთრქუდიანი წამლის ბოთლები. მორის სუნთქვის გასაადვილებლად უკვე მორფს უკეთებენ.

ჩემს მოტანილ საჭმელს მაცივარში ვაწყობ – ესაა სუფი, ბოსტნეულის ღვეზელი და თევზის სალათი. შარლოტას ბოდიშს ვუხდი ყოველივე ამის მოტანისთვის. რა ხანია, ვიცი, რომ მორი ამას ვეღარ შეჭამს, მაგრამ ტრადიციის დარღვევა არ მინდა. როცა იცი, რომ საბედისწერო ჟამი ასე ახლოა, ყველაფერს ებღაუჭები.

მე მისაღებ ოთახში ვჯდები. ეს ის ოთახია, სადაც კოპელმა თავისი პირველი გადაცემა ჩაწერა.

მაგიდაზე გაზეთი დევს და მე კითხვას ვიწყებ. მინესოტას შტატში ორი ბიჭი თურმე მამის თოფებით თამაშობდა. თამაში საბედისწერო აღმოჩნდა. ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ რაიონში სანაგვე ყუთში ახალშობილი ბავშვი იპოვეს.

გაზეთს გვერდით ვდებ და ბუხარს ვუშტერებ თვალს. მესმის,

როგორ იღება და იხურება კარი. შარლოტა ჩემკენ მოემართება.

– წადით... გელოდებათ!

ვდგები და მორის ოთახისკენ მივემართები. დერეფნის ბოლოს დასაკეც სკამზე უცნობი ქალი ზის. მას ფეხები გადაუჯვარედინებია და წიგნს გულდასმით ჩაჰყურებს. ეს ჰოსპისის მორიგე მედდაა.

კაბინეტში არავინაა. გონება მეფანტება, დაბნეული საძინებლისკენ ვტრიალდები და ვხედავ მორის, ზეწრის ქვეშ მწოლარეს. ასეთ მდგომარეობაში ის მე მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი, როცა მასაჟს უკეთებდნენ. თავში მაშინვე მისი აფორიზმი წამომიტივტივდა:

„თუ საწოლიდან ვერ წამოდგები, იმას ნიშნავს, რომ მალე მოკვდები".

სახეზე აღბეჭდილი უბადრუკი ღიმილით შევედი საძინებელში. მორის მოყვითალო ფერის პიჟამის მსგავსი პერანგი ეცვა. საოცრად გამხდარი მეჩვენა, საწოლში ბავშვივით ერთი ციდა ჩანდა. პირი ღია ჰქონდა, ფერმკრთალი კანი მჭიდროდ ეკვროდა წამოწეულ ყვრიმალებს. მორიმ მზერა მომაპყრო და რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ მხოლოდ კვნესა აღმოხდა.

– აი, თურმე სად ყოფილა, – წარმოვთქვი სრული ენთუზიაზმით, ნეტავ როგორ მეყო ძალა შინაგანად სრულიად დაცარიელებულსა და გამოფიტულს.

მორიმ ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და გაიღიმა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამის თავიც აღარ ჰქონდა.

– ჩემო მეგობარო... – ძლივს გამოთქვა, – მე... დღეს... თავს მაინცდამაინც... კარგად... ვერ ვგრძნობ...

– ხვალ უკეთესად იქნებით, – ვთქვი მე.

მან გაჭირვებით ამოისუნთქა და თავი დამიქნია.

ვიგრძენი, რომ ზეწარქვეშ რაღაცას ებრძოდა, მივხვდი – ხელის გამოთავისუფლებას ცდილობდა.

მე ზეწარი გადავწიე და ხელი ჩავჭიდე. მისი ხელისგული ჩემს ხელში გაუჩინარდა. დავიხარე, სულ ახლოს მივუტანე სახე და დავინახე, რომ, პირველად მთელი ავადმყოფობის მანძილზე, მორი

გაუპარსავი იყო. მის სახეზე თეთრი თხელი ბუსუსები აქა-იქ სრულიად უადგილოდ იყო გამოჩრილი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მორის ვიღაცამ ლოყებსა და ნიკაპზე მარილი მოაფრქვია. უცნაურია, როგორ ეზრდება წვერი ადამიანს, რომლის ორგანიზმშიც სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივსღა ბჟუტავს.

– მორი, – ფრთხილად დავუძახე.

– კაპიტანო, – შემისწორა მორიმ.

– კაპიტანო, – გავიმეორე მეც.

კანკალმა ამიტანა. მორი ძლივს ლაპარაკობდა, ამოსუნთქვისას თუ ამოაყოლებდა სიტყვას, ხმა ჩუმი ჰქონდა, მთრთოლვარე. ორგანიზმი წამლების მძაფრი სუნით ჰქონდა გაჟღენთილი.

– შენ... კეთილი ადამიანი... ხარ!

კეთილი ადამიანი!

– შენ აქ დაიდე ბინა, – ჩურჩულით თქვა მორიმ და ჩემი ხელი თავის გულთან მიიტანა.

ყელში ბურთი გამეჩხირა.

– კაპიტანო!

– რა იყო?

– არ ვიცი, როგორ გითხრათ „მშვიდობით”...

მორიმ ხელი ფრთხილად მომითათუნა – ისე, რომ ჩემი ხელი თავისი გულიდან არ მოუშორებია.

– აი... ასე ვემშვიდობებით ერთმანეთს.

მან ჩუმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა. ვგრძნობდი, როგორ ადიჩადიოდა მისი მკერდი ჩემს ხელქვეშ.უცებ მორიმ თვალი თვალში გამიყარა:

– ჩემთვის... ძალიან ძვირფასი ხარ! – მითხრა ჩუმად.

– ჩემთვისაც, კაპიტანო...

– ვიცი... ვიცი ისიც...

– რა?

– რომ... ყოველთვის... ასე იყო, – თქვა და ცრემლები წასკდა. სახე ისე მოეღრუბლა, როგორც პატარა ბავშვს, რომელმაც ჯერ არც კი იცის, როგორ იტიროს. მე მორი გულთან მივიკარი, ვეფერებოდი მის მოდუნებულ სხეულს, მის თმებს. ჩემს ხელისგულებს მორის პაწაწკინტელა ცრემლების ნაკვალევი დააჩნდა.

როცა სული მოითქვა და სუნთქვაც შედარებით თანაბარი გაუხდა, ვუთხარი, რომ დაღლილი ჩანდა, ჯობდა დაესვენა. მე კი შემდეგ

სამშაბათს ვესტუმრებოდი, იმ დროისთვის კი ის უფრო მხნედ უნდა დამხვედროდა.

მორიმ ჩუმად გადამიხადა მადლობა და ჩაეცინასავით, მაგრამ ეს ჩაცინებაც ახლა მეტად სევდიანად გამოიყურებოდა.

მაგნიტოფონიანი ჩანთა მხარზე მოვიგდე. არც გამიხსნია, ან რამ მომატანინა? განა არ ვიცოდი, რომ აღარ დაგვჭირდებოდა? დავიხარე, მორის ვაკოცე. ჩემი სახე მის სახესთან მივიტანე და

ერთხანს დავაყოვნე. მინდოდა, ეს შეხება ისევე გახარებოდა, როგორც უწინ.

– მაშ, დროებით, – ვთქვი მე და წელში გავიმართე. ვცდილობდი, ცრემლები დამემალა, მაგრამ მორი რის მორი იყო, რომ რამეს გამოაპარებდით?! მან ტუჩები მოკუმა და გაკვირვების ნიშნად წარბები აზიდა. ვფიქრობ, ჩემმა ცრემლებმა მას დიდი სიამოვნება მოჰგვარა: მაინც ხომ ამატირა ბოლოს და ბოლოს!...

– დროებით, – წაიჩურჩულა მან.

ცერემონიალი

მორი შაბათ დილით გარდაიცვალა. მისი ოჯახის წევრები მის გვერდით იყვნენ. რობი ტოკიოდან ჩამოფრინდა, იონიც იქ იყო, რა თქმა უნდა, შარლოტაც, შარლოტას ბიძაშვილი მარშაც – აი ის, ვინც მორის იმ „არაოფიციალური ცერემონიის" დროს ლექსი უძღვნა, რამაც მორი ასე გაამხიარულა და გაახარა. ისინი სათითაოდ მორიგეობდნენ მორის საწოლთან. მორი ჩემთან შეხვედრის შემდეგ ორ დღეში კომაში ჩავარდა. ექიმი წუთი წუთზე ელოდა მის გარდაცვალებას, მაგრამ მორიმ კიდევ ერთი დღე-ღამე გაძლო.

4 ნოემბერს, როცა მორის ახლობლები სულ რამდენიმე წუთით სამზარეულოში ყავის დასალევად გავიდნენ, მორიმ სუნთქვა შეწყვიტა.

ვფიქრობ, რომ არც ეს მომხდარა ტყუილუბრალოდ, მორი ყოველთვის ერიდებოდა ვინმეს შეწუხებას. არ უნდოდა, რომ მის ახლობლებს იგივე შიში ეგრძნოთ, რაც მან ბავშვობაში განიცადა დედის გარდაცვალების დეპეშის მიღებისას თუ მამის ცხედრის მორგში ნახვისას.

ისიც მგონია, რომ მორის გააზრებული ჰქონდა, რომ იწვა თავის საწოლში თავისი წიგნებითა და ჩანაწერებით გარშემორტყმული, იქვე რაფაზე შემოსკუპული ჰყავდა თავისი საყვარელი ციცქნა ჰიბიკუსიც. მორის ცხოვრებიდან ჩუმად და უშფოთველად უნდოდა წასვლა და ასეც არგუნა უფალმა.

მორის დასაფლავებას ნესტიანი და ქარიანი ამინდი დაემთხვა, ბალახი სველი იყო, ხოლო ცა – მოღრუბლული, რძისფერი. ჩვენ გათხრილი საფლავის წინ ვიდექით და გვესმოდა, როგორ ეხეთქებოდა არხში წყალი ნაპირებს და როგორ იბერტყავდნენ ფრთებს იხვები.

უამრავ ადამიანს უნდოდა, მორის დაკრძალვას დასწრებოდა, მაგრამ შარლოტამ ამის ნება არ მისცა, უნდოდა, რომ ამ დღეს მორისთან მხოლოდ მისი უახლოესი ადამიანები ყოფილიყვნენ. რაბინმა ალექსანდრემ რამდენიმე ლექსი წაიკითხა. მორის ძმამ დევიდმა, რომელიც ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტის გამო ჯერ კიდევ კოჭლობდა, ტრადიციისამებრ, ნიჩბით საფლავს მიწა მიაყარა.

როცა პროფესორის ცხედარი საფლავში ჩაასვენეს, მე ირგვლივ მიმოვიხედე და გავიფიქრე: „მორის მართლაც რომ არაჩვეულებრივი ადგილი აურჩევია – ხეები, ბალახი, კოხტა ფერდობი”.

როგორ მითხრა მაშინ? „შენ მესაუბრე, მე კი მოგისმენ!”.

და მეც გავაბი მასთან გონებაში ბაასი. ჩემდა სასიხარულოდ, ეს წარმოსახვითი საუბარი მეტად ბუნებრივად წარიმართა. საათს დავხედე, მივხვდი – რატომაც... სამშაბათი იყო!